

ზელიმხან უძილაური

# ხეტეას აღდგომა

ანუ

რელიგიის ფენომენოლოგია

თბილისი 2004

რედაქტორი

**ნოდარ ლადარია**

© ზელიმხან უძილაური, 2004

ISBN 99928-0-816-0

## წინათქმა

ზელიმხან უძილაურს ჯერ კიდევ სკოლის მერბიდან ვიცნობდი. თუმცა ეს სკოლა თბილისის სასულიერო აკადემია იყო, და იქ უკვე საკმაოდ მონიფულ ასაკში ჩავაბარეთ, მან იმდენად რადიკალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრებისეული გზა, რომ ამ კლიშეს გამოყენება სრულიად მართებულად მიმაჩნია.

ერთმანეთის გაცნობის მომენტში მე ფიზიკოსი ვიყავი, ზელიმხანი — ფილოლოგი. ცოტა ხნის შემდეგ კი ორივე მივხვდით, რომ სასულიერო აკადემია ჩვენი საერთო სამშობლო იქნებოდა.

საკმაოდ რთულად წარიმართა ჩვენი შემდგომი ბედი და ჯერ ამაზე მშვიდი საუბრის დრო არ დამდგარა. მაგრამ ერთი რამ შეიძლება ითქვას: ზელიმხან უძილაურის არჩევანი ნამდვილად წარმატებით დაგვირგვინდა და ეს წარმატება სწორედ ისეთია, როგორც ნამდვილ წარმატებას შეეფერება: ძნელი და დაუსრულებელი.

ახლა ზელიმხან უძილაური თუბინგენის უნივერსიტეტის დოქტორანტია და რელიგიის ფენომენოლოგიის დარგში მუშაობს. ამ წიგნში შესული ნაწერების უმრავლესობაც სწორედ გერმანიაშია შექმნილი. ერთობ ძნელი საქმე იყო მათი რედაქტირება, რადგან ავტორის ძლიერი ქართული ენა და ევროპული მემკვიდრეობის მეტად თავისებური შეთვისება ბევრ შეკითხვას ბადებს მასში, ვინც ჩემსავით ტრადიციულ ქარგაზეა გამოჭრილი. ამიტომაც ვენდე ავტორის მართლაც ავტორიტარულ სტილს და მხოლოდ მსუბუქად, თითქმის შეუმჩნევლად შევეხე მის ტექსტს...

*რედაქტორი*

ეს პატარა წიგნი რელიგიის თავისუფალი გააზრების გამოხატულებაა.

თავისუფალი აზროვნება ამ წიგნში შეძლებისდაგვარადაა შერ-

წყმული პროფესიონალიზმთან, რელიგიის ფენომენის პროფესიულ ცოდნასთან, და მწერლურ შთაგონებასთან.

როგორც ყოველი ახალი წიგნი, ესეც გულისფანცქალით მოელის მკითხველთან შეხვედრას.

თუკი ზოგადად წიგნის შედარება ხილთან შეიძლება, მაშინ ეს წიგნი უსათუოდ ყურძნის მტევანია. თუმცაღა მარცვლები ამ მტევნისა სხვადასხვაობენ, მეტ-ნაკლებად შეთვალულ-მომწიფებულან, ყველანი მაინც ერთი რტოსაგან, ერთი და იგივე ვენახისაგან არიან.

ზოგი მკითხველი ალბათ ერთ-ორ კურცხალს შეაწყვეტს ამ წიგნ-მტევანს და უკუიქცევა, ზოგიც ბოლომდე შეიტკბობს. იქნებ ისეთი მკითხველიც იპოვოს წიგნმა, ვინც მას სულსა და გულს გაუღებს; ვინც მას შინამდე, საკუთარ გონებამდე მიიტანს და იქ "ღვინოდ" დააყენებს ანუ შემოქმედებითად განაერცობს... მეიმედება.

*ავტორი*

**ენსეიზი, ესკიზები**

## როგორ გამრავლდნენ რელიგიები და როგორ ბაძრა რელიგია

რელიგია ღია, ცოცხალი მოვლენაა: განვითარებადი, ცვალებადი, დანაწევრებადი; ჩნდებიან და დღის სინათლეზე გამოდიან არა მხოლოდ ახალი რელიგიები და ახალი რელიგიურობა (ე. წ. "უხილავი რელიგია", Pachwork-რელიგიურობა, ეზოთერიკა, New Age...), არამედ ისტორიულად გამობრძმედილი რელიგიებიც კი ზოგჯერ მოულოდნელი ფერისცვალებით გვაოცებენ; მოვლენა, რომელიც გუშინ რელიგია არ იყო, დღეს უკვე რელიგიაა და პირიქით.

რელიგიის ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსი რელიგიის მარინტირებელ ფუნქციას მის მიერ სამყაროს კომპლექსურობის დაძლევაში ხედავდა; ნიკლას ლუმანის აზრით, სამყარო კონტინგენტურია, ე. ი. ის შემთხვევითაა ისეთი, როგორც არის და შეიძლება, რომ იგი სულ სხვანაირი ყოფილიყო; სამყაროს კომპლექსურობის მარედუცირებელი, გამანელებელი კი რელიგიაა, რადგანაც იგი ირჩევს სამყაროს მონყობის უთვალავი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთს და ამით ის ამ საფრთხითა და გაურკვევლობით აღსავსე "დედა-სამყაროში" ჩვენს არსებობას ასატანს ხდის. რელიგია გვათირებს, "ნუგეშინია"-თი, ვით დედა ყრმას ძილის წინ.

მაგრამ რელიგიამ, ლუმანისდა გასაოცრად, თვითონ შეიძინა თუ გამოავლინა კონტინგენტურობის თვისება. რელიგია დაემსგავსა უკონტროლებად სამყაროს, რომელიც შემთხვევითაა ისეთი, როგორც არის და იგი შეიძლება სულ სხვანაირი ყოფილიყო. ცნობილი თეოლოგის, პაულ თილლიხის საქვეყნოდ ცნობილი "უპირობო კონცერნი" (Ultimate concern) აქსიომა, — რელიგია არის ის, რაც ყველას უსათუოდ გვეხება, — შეიძლება შეიცვალოს უფრო თანამედროვეთი: რელიგიის წინასწარდაუპროგრამებლობა — კონტინგენტურობა არის ის უპირობო კონცერნი, რომელიც დღეს ყველას

უსათუოდ გვეხება.

თალესის არ იყოს, ყველაფერი ღმერთებით აივსო; თუმცაღა, ღმერთების რა მოგახსენოთ, — მათი დანახვა ჭირს, — გვინდოდა გვეთქვა, ყველაფერი რელიგიებითა და სუპერსტიციებით გაზავდაო (სუპერსტიციას რომაელები ყალბ რელიგიას ეძახდნენ). ყველგან რელიგიები და სუპერსტიციები ჩასაფრებულან. — მაგალითად, პაგანიზმი ინტერნეტში

რელიგია განივრცო, შეიცვალა და ამავე დროს დაიცალა შინა-არსისაგან, რე-ლევგერესაგან. იქნებ უკვე დროა, დიოგენესავით სანთელს მოვიკიდოთ ხელი და დღე-ცისმარეში (რელიგიურ) ადამიანს დავუწყოთ ძებნა?!

სად გაქრა რელიგია?

მას აქეთ, რაც კი ადამიანმა ფიქრი ისწავლა, რელიგიაც ჩაისახა; უფრო სწორად, იმ უხსოვარი დროიდან ჩაისახა, რაც კი ადამიანმა საკრალურისა და პროფანულის ურთიერთგამმიჯვნელი რელიგიური დაფიქრებით ფიქრის სწავლა დაიწყო; მას აქეთაა, რომ კაცმა თავი Homo religiosus-ის უსაშველოდ გრძელი და ძნელი გზისთვის გამოიმეტა. კაცი დაიღალა ამ გზაზე ანდა რაღაც შემოაცვდა. ეს შემოცვეთილი საკრალური სამოსელია. უსასრულო გზაზე ხორშაკი მზისა და წვიმისაგან წმინდა სამოსელი შედგა, შეიპრუნა (Schrumpfing-შეპრუნვა, ტანსაცმლის შეჯდომა — ბგერობრივმა მსგავსებამ "გამოიწვია"), დაპატარავდა.

რელიგია არსებობდა, რადგანაც არსებობდა ორი დრო: საკრალური და სადაგი.

"უამი მოიდა საუფლო, ხალხი ხატობას დიოდა" — საკრალური, წმინდა დროა.

რელიგია არსებობდა, რადგანაც არსებობდა ორი სივრცე: საკრალური და სადაგი. საკრალური აკრძალული, კვრივი ადგილნია:

"არავის შეუძლიან იმათ ხელი ან მახვილი შეახოს." ვაჟას ამ სიტყვებმა ერთი შორეული, მაგრამ რელიგიური კაცის სიტყვები გაგვახსენა: "ენა ქარქაშია, რომელშიაც სულის მახვილია ჩაგებული". სხვაგვარად რომ ვთქვათ? სულს ორი სამოსელი აქვს: საკრალური და სადაგი. რელიგიების ასე უსაშველოდ გამრავლებას და, ამავე დროს, რელიგიის გაქრობას ერთი მიზეზი აქვს: საკრალურსა და პროფანულს შორის წონასწორობის დარღვევა, პროფანულის უზომოდ გაფუფუნება და საკრალურის შეპრუნვა. ინდუსტრიული საზოგადოების დროსწრაფი კაცი მატერიალიზმის უმონყალო ზენოლის ქვეშაა; სადღაა ღმერთებით სავსე ძველი ქვეყნიერება! მეცნიერული ცოდნისა და თეორიების მოზღვავეებისაგან (ზოგის გონება ლუმან-ლუკმანის სისტემათა ლუკმა შეიქნა, ზოგისაც ჰერმენევტიკის "თეთრ ყვავად" ნოდებული გადამერის პრეჯუდისმა გადარია) სამყარო თვალსა და ხელს შუა დესაკრალიზირდა, დემითოლოგიზირდა. ყველაფერი, მთელი სამყარო — უნივერსუმი, თვით ღმერთიც კი, ამ დღეშია. "ღმერთი პირადი კონსუმის სამომხმარებლო, ადვილად მანიპულირებად და შეცვლად საგნად ქცეულა, საუკეთესო შემთხვევაში — შიშის არმომგვრელ, გარდასულ დღეთა რემინისცენციად" (გადამერი).

რელიგიების მოზღვავება ადამიანის თავდასაცავ ღონისძიებას წარმოადგენს. ადამიანი ახალ-ახალი რელიგიებით ახალ-ახალ ციხესიმაგრეებს იშენებს, რათა თავისი საკრალური იდენტიტეტი დაიბრუნოს, რათა თავის დაკარგულ "მე"-ს დაემალოს.

6-7 მარტის შუალაშე, 2003 წელი, თუბინგენი



# დევების ქორწილი

## სიმღერა

რელიგია არის იქ, სადაც გული და გონება ერთად იკვრის, კვრივდება და ნებად იქცევა. რელიგია არის იქ, სადაც ეს ნება, ეს კვრივია; თუ ეს კვრივი ჩვენშია, მაშინ ჩვენში ყოფილა რელიგია. რელიგია არის გან-სჯა, სჯული. მე ვსჯი, გადა-ვნყვეტ და ვარ-ჩევ. მნამს, რადგან აბსურდია? არა. მნამს, რადგან ასე მინდა. ამიტომაცაა "ოქროსაქლემიანი" ზარატუსტრას უმშვენიერესი და უძველესი რელიგია არჩევანის, სჯის რელიგია.

როგორ ვირჩევ? აჰურა მაზდა — სიკეთის ღმერთი კეთილ-სურნელოვანია; მაგრამ ჯერ არიმანი იბადება, რომელიც ყარს და მამა ზრვანი ამით ხვდება, რომ ეს ის შვილი არაა, რასაც იგი ელოდა. — "ჩემი ძე კეთილსურნელოვანია, ის ნათელია, შენ კი ბნელობ და მყრალობ". ესაა მითი და ჭეშმარიტება. "შჯული ქრისტიანეთაჲ სულნელ არს" — რელიგიური ყნოსვით ხვდება ევსტათი და გან-სჯის, ასკვნის, ირჩევს.

რა არის რელიგიური ყნოსვა? გერმანული სოციოლოგიის მამა ტყუევდება, როდესაც იგი რელიგიურ სმენას დაეძებს.<sup>1</sup> რელიგიური არჩევანი, სჯა კეთილსა და ბოროტს შორის, ყნოსვის საქმეა. სიკეთე კეთია, რომელიც სურნელებას აფრქვევს, ბოროტება კეთრია, რომელიც ყარს. ენის ერთი პატარა, ალბათ შემთხვევითი სიბრძნეა ის, რომ მას "ბოროტება" არ გააჩნდა და სხვათაგან ისესხა. "ბოროტება" განბორების საღმობიდან, მყრალი კეთროვანებიდან მოდის. ენას არ გააჩნდა არარსებული მოვლენის სახელი; ბოროტება ხომ არ არსებობს, რადგანაც იგი სხვა არაფერია, თუ არა სიკეთისაგან,

<sup>1</sup> მაქს ვებერი თავის თავს "რელიგიურად არამუსიკალურს" უწოდებდა.

კეთილისაგან დაცლა. ყოველ შემთხვევაში, ნეოპლატონური ფილოსოფია ასე გემოდღვრავს, მაგრამ ეგაა, ბოროტების სიმყრალეს ნეოპლატონიზმიც ვერაფერს უხერხებს, ბოროტება კვლავინდებურად ყარს, პირმძორიანობს...

სულისა და სუნის დიალექტური გაიგივება უფრო მეტი რამაა, ვიდრე უბრალო გრამატიკული პიკანტერია. სუნი სულია. სადაც სული არაა, ან აღარაა, იქ აღარც სიცოცხლეა, არც ნელსურნელება, უსულო სხეული ვერ კეთ-დება, კარგავს სიკვრივეს და იშლება. კეთი, კვრივი და სული სინონიმებია.

როგორ წარმოიშვა რელიგია? ამის ძიება სიბნელეში ხელის ფათურია. "ტოტემი და ტაბუ" გეპასუხობს: ჩანაცვლებით. წმინდა სერობისას, — რაიც ყველა რელიგიის ქვაკუთხედი, — ჯერ დაკლულ, მერე კი გაღმერთებულ მამას ჩანაცვლებული ცხოველი ისმევ-იჭმევა. ფროიდი გვეუბნება: გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სექსუალურმა შურიანობამ, ძეთა ამბოხმა მყრალი, პირველჯოგის ყველა მდედრს დაპატრონებული "მამიკოს" წინააღმდეგ, წარმოშვა რელიგია. ჰმ!.. გაცილებით კეთილსურნელოვანია მერიტის მანისტური თეორია: ჩვენმა არქაულმა ბებო-პაპამ ("ლელამ" და "ზეზვამ") დაინახეს, გამოსცადეს და გან-საჯეს, რომ ზოგიერთი არსება, საგანი თუ მოვლენა ჩვეულებრივი საგან-მოვლენისაგან განსხვავებული სულ სხვა რამ ზებუნებრივი ძალით ზემოქმედებდა. ამ "სულ სხვას" მელანეზიურად "მანა" ჰქვია; მანა ძალაა, უსაზღვროდ ქმედი ძალა. მანის მქონე — სულიერი თუ უსულო, ძალიან ქმედი, მაგრად მ-კეთ-ია. დ-ია.

რელიგიის წარმოშობაზე ფიქრი სიბნელეში ხელის ფათურია. რა აგვახსნევიანებს ამ საიდუმლოს? იქნებ ბავშვობისდროინდელი ცხოვლად სულს დაჩნეული შთაბეჭდილება, ბავშვის ცოცხალი წარმოდგენა, ყრმობისდროინდელი მანა?

ჩემს ბავშვობაში ასეთი მანა შემომანათა ერთმა წიგნმა, რომელიც მუდმივად, კერივად, სარკმლის კალთაზე იდო. სარკმელი გასცქეროდა შტერად დამდგარ მთის წვერთ, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ რელიგიის; და არც სჭირდებოდათ რამის გაგება. მეც არაფერი გამეგებოდა, არც რელიგიის და არც იმ წიგნის, რასაკვირველია, არაფერი გამეგებოდა, მაგრამ რაკი კითხვა ვისწავლე, ხომ უნდა მეთამაშა კიდევაც მასთან? განსაკუთრებულად მახსოვს მხოლოდ ორი ლექსი, რადგანაც ის ორი ლექსი ორი ლექსი კი არა, ორი ხილვა იყო. მე მაშინ ვხედავდი იმ ორ კაცს და ახლაც ვხედავ. ერთი ამირანია, მეორე კი — უცნობი ყმა ვინმე დევების ქორწილიდან:

დევებსა აქვის ქორწილი,  
დიდი დარბაზი ზრიალებს,  
მეც დამპატიჟეს, შევედი, —  
რა მქისე სუნი ტრიალებს!  
სამ პირად ცეცხლი დაენტოთ,  
ზედ სამი ქვაბი შხიოდა,  
სტუმრების წინა ხონჩებზე  
კაცის თავ-ფეხი დიოდა.  
უკვენას ყურეშიითა  
კენესის ხმა გამოდიოდა:  
"ძმის ხორცი როგორა ვსჭამო?" —  
ყმა ვინმე გამოჰკიოდა.

როდესაც სულს მქისე სუნი (სული) ეცა, როდესაც გულმა გადანყვიტა, გონებასთან შენივთებულმა ანუ ერთ-ნებად გა-კვრივებულმა განსაჯა, იმ წამს იქმნა რელიგია — სჯული სიკეთის. ვინ იყო ის უცნობი ყმა ვინმე: პირველჯოგის მამისმკვლელი ძმა თუ ძმის (იქნებ მამის) ხორცის აღარმჭამელი მსჯელი კაცი, — ეს სულერთია. ეს კაცი დღესაც ის კაცია. სჯა, სინდისი და რელიგია მარადიულ ქმნაშია.

6-7 მარტი, შუალამე, 2003, თუბინგენი

# ს ა მ ე უ ლ ი

## 1. რწმენა და ცხოვნება

(ფრაგმენტი)

რწმენა სხვა არაფერია, თუ არა დროის მიმართ პასუხისმგებლობის აღება. — "პასუხი დროს". რწმენაში ცხოვრება ნიშნავს ბრალეულობის განცდას დროსთან მიმართებაში, ნიშნავს სინანულს, ეჭვს, დროის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამო.

როდესაც ცხოვნება თავისთავად, კონვეიერული ნესით მოდის ანუ ტრადიციულ საცხოვნებელ რუტინაში ("მოძღვარი" — "მარხვა" — "წირვაზე სიარული") ავტომატური ჩართვით მიიღწევა, მაშინ გარჯასა და დროს უბრალოდ აღარ ვსაჭიროებთ; ან, უკეთ რომ ვთქვათ, აღარ ვსაჭიროებთ დროში საკუთარი ნებით გარჯას, რომლითაც სულის ცხოვნება უნდა მოგვეპოვებინა. დრო იკარგება; ან, თუ სხვაგვარად ვიტყვი, ნამდვილი დრო, თვითსრულყოფის, პროფესიული სრულყოფის დრო, იცვლება დროის სუროგატი, ილუზორული დროით. დროსთან ერთად ვკარგავთ ყველაფერს: ჩვენს ნებას, პიროვნებას, პროფესიულ უნარებს. ნამდვილ დროსთან ერთად იკარგება ყველაფერი: პიროვნებაც, სულიც, ცხოვნებაც და თვით ღმერთიც თავის სასუფეველიანად.

11. 02. 2003

## 2. რწმენა — არრწმენა, როგორც ორი პოზიციური თამაში (ჩანახატი)

არ არსებობს რწმენა ან არრწმენა. არსებობს ორი პოზიცია: რწმენის და არრწმენის. ორი არჩევანი. ორი ექსისტენციალური ასანა: "მწამსი" და "არამწამსი".

მწამს-არამწამსშიც ყველაფერი, — ბუნებასავით, — უთვალავ სახეობებში და ქვესახეობებში ინთქმება.

"მნამს": ა) მართლაც მნამს; ბ) მგონია რომ მნამს, მაგრამ არ მნამს; გ) ვიცი, რომ არ მნამს, მაგრამ ვთვალთმაქცობ; დ) მგონია, რომ ვთვალთმაქცობ, მაგრამ მართლა მნამს; ე) თან მნამს, თან არა, მაგრამ "მნამს"; ვ) არ ვიცი მნამს თუ არა, მაგრამ "მნამს"; ზ) მინდა, რომ მნამდე; თ) არ ვთვალთმაქცობ, არამედ გულწრფელად ვთამაშობ "მნამს"-ს. და ასე დაუსრულებლად.

"არ მნამს": ა) მართლაც არ მნამს; ბ) მგონია, რომ არ მნამს, მაგრამ მნამს და ა. შ. — ყველაფერი "მნამს" — ივით, ოღონდ პირიქით. და ასე დაუსრულებლად.

როგორც ჩანს, ღმერთს ადამიანისათვის რწმენის მარტივი მექანიზმი არ ჩაუდგამს. მექანიზმი, რომელიც ადამიანს — რწმენის ამ ფაბრიკას ამუშავებს, ძალზე რთულია (სულ ვფიქრობ: რა უნდა იყოს: "მნამს" და მართლაც მნამს?!).

17. 03. 2003.

### 3. ენა, როგორც სიმბოლური კარი სულისა და ჭეშმარიტებისაკენ (ამო-სუნთქვა)

ღმერთი ენაა, სიტყვაა. ბიბლიური ეპიზოდია, როდესაც ღმერთი სამოელს ეძახის; მას ესმის, მაგრამ დამძახებელს ვერ ხედავს, და ამიტომაც არ თუ ვერ ჰპასუხობს. ეს ბიბლიური ეპიზოდი შეიძლება ღრმაფსიქოლოგიურად გავიგოთ: ღმერთი ყველას ეძახის, მაგრამ ღმერთს ჰპასუხობს მხოლოდ ის, ვისაც მის მიმართ ჩრდილი ანუ უკუფენა აქვს სულში. ჩრდილი ანუ რალაცის, რალაც არსებითის (გაგების) მუხტი ანუ ენა მხოლოდ ნათელშია. ბნელში ჩრდილი არაა, რადგანაც იქ ყველაფერი ჩრდილია.

რატომაა ჩრდილი ენა ან რატომაა რალაცის (გაგების) მუხტი? — ამას მე ნუ ამახსნევინებთ; ჩრდილს ჰკითხეთ.

18. 03. 2003. თუბინგენი

# არცერთი რელიგია — რელიგიისავე მიზეზით?

ნეტავი იმას, ვისაცა  
ნადილი აპსრულებია,  
გულში ნადები ისევა  
გულში არ აპსულებია

ვაჟა

## I თეზა

როდესაც კაცი, ე. ი. ცბიერი არსება შინაგან რელიგიურობაზე, რელიგიურ გრძნობაზე დაფიქრებასა და საუბარს იწყებს, გრძნობს რა განუსიტყვებელი თემის განსიტყვების სირთულესა და თავის უღონობას, ღონეს კი აღარ იჩენს და დაეძებს, არამედ ფანდს მიმართავს, ხერხიანობს: ორი ხერხიდან, ორი შესაძლებელი როლიდან ერთერთს ირჩევს; ან შეუვალი რწმენის პოზიციებიდან იწყებს უბნობას, — სულ ერთია, მართლა მორწმუნეა იგი თუ არა, — ან — არრწმენის. ამ ბოლო შემთხვევაშიც სულერთია, მართლაც ურწმუნო ხარ, რწმენის აღიარების გრცხვენია, გგონია რომ არ გნამს, თუ გინდა, რომ არ გნამდეს და ა. შ.

სასურველი შედეგი ანუ როლი-მაყურებელი ორივე პოზიციის ყველა შესაძლებელი ვარიანტის პირობებშია მიღწეული. პირველი პოზიციური თამაშის დროს, ე. ი. "რწმენისას", როდესაც აპრიორულად უნდა დაგიჯეროს მაყურებელმა ანუ მკითხველმა, როგორც ღვთის კაცს, წმინდა წიგნებით უხვი სარგებლობის ნება გაქვს და შეგიძლია თემა მაგალითად, ბიბლიური ციტატების კორიანტელით გადაფარო; მეორე შემთხვევაში ანუ "არრწმენისას" მეცნიერული საგანი "რელიგიის ფსიქოლოგია" გამოგყვება გამმარჯვედ; ოცი-ოცდაათი ავტორი რომ გადაიკითხო და გაიმუდმო, იმდენ საფიქრალს გაგიჩენს, თუ იცოცხლებ, ერთი კი არა, ხუთი სიცოცხლის მანძილზე გაგყვება საგძლად...

არსებობს ამ ორი პოზიციის, ადამიანური ნატურის ამ ორი

ექსისტენციური გამკვეთრების გარდა კიდევ სხვა გზა ანუ მონეტის მესამე მხარეც? რწმენა-არწმენის ორ პოზიციას შორის თუმცაღა მთელი უფსკრული დევს, ისინი თავიანთ უკიდურეს გამოვლინებებში ერთმანეთს გადაკვეთენ და ერთდებიან. რწმენა-არწმენის იდეალური, ერთეულ-ქუალიტეტური გამოვლინებებია კერძო რელიგიურ-სუბიექტური მისტიკა და მიუკერძოებელი მეცნიერული-ობიექტური ემპირია; ხოლო უკიდურესი და უგადაგვარებულესი გამოვლინებები — პირნივარდნილ-მილიტანტური ათეიზმი და ამგვარივე ფანატიზმი; სხვათაშორის, ათეისტური იდეებით ისევე შეიძლება იყოს კაცი შეპყრობილი, როგორც რელიგიურით; უღმერთობა შეიძლება რელიგიად ექცეს კაცს (ჩვენს წარსულს გადავხედოთ); ერთ ასეთ ათეისტურ ტიპს აღწერს W. James თავის გახმაურებულ წიგნში "რელიგიური გამოცდილების მრავალსახეობა"; ფანატიზმია ის, რაც თავისი დამანგრეველი ძალით თუ არ აღემატება, ყოველშემთხვევაში, არც ჩამოუვარდება მილიციურ თუ ე. წ. მეცნიერულ ათეიზმს (ჩვენს დღევანდელობას გადავხედოთ)...<sup>2</sup>

შინაგანი რწმენის დასურათება როლის გაუთამაშებლად, რაც ჩვენ ამ თავის დასწრებით დავისახეთ მიზნად, არაა ორ უკიდურესობას — იაფფასიანი ნიჰილიზმის ქარიბდასა და ბრმა რწმენის სცილას შუა ხიდის გადების მცდელობა; ბერძნული მითის ლოგიკის ძალით სცილასა და ქარიბდას შორის ნიჩბების სწრაფი მოსმა და გასწრებაა საჭირო და არა მათ შუა ხიდის გადება. სცილა-ქარიბდათა ცქერა, მათი განსჯა, მათ შორის მერყეობა და ვითომცდა რაიმე ზომიერი ადგილის ძებნა დროის დაკარგვაა; დროის და-

<sup>2</sup> პარალელური მოვლენის — "მეცნიერული ფანატიზმის" ნიშნებიც გამოჩნდა, რაც გამოიხატება ფანატიკური რელიგიური იდეების კვაზიმეცნიერული დებულებებით შემავრებაში: მაგალითად, ძველი კალენდრის "სისწორის" "ვარსკვლავური სისტემების კანონებით დასაბუთება"; ეს მცდელობა პროფ. ზ. კიკნაძემ მოგვობას შეადარა.

კარგვა კი მათ შუა მოყოლისა და გასრესვის ტოლფასია. ამიტომაც ვირჩევთ სხვა გზას. ამ გზის სახელია: "ან-ან". რწმენის ობიექტი, რომელსაც კაცის შინაგანი ნვა-დაგვა ეძღვნება, ან არსებობს, ან არა. <sup>3</sup> "ან-ან" რელიგიის შემსწავლელი მეცნიერების აღიარებული მეთოდია, ე. წ. "მეთოდოლოგიური აგნოსტიციზმი"; აგნოსტიკოსის ნატურაც იგივეა რაც გნოსტიკოსისა: <sup>4</sup> "ლმერთმა ქნას, რომ ლმერთი არსებობდეს!" მაგრამ აგნოსტიკოსობა გულადობაა, ეჭვის გამხელა, და არა გნოსტიკურ-თეისტური შიშობელობა — ოპორტუნიზმი: დღეს ყველას სწამს, ვინაიდან ეს მომგებიანია, მოდაშია, და "მოდი, მეც მარაქაში გავერევი".

ლმერთის არსებობა და არარსებობა ალბათ ერთი და იგივეა; ორივე ერთსა და იმავეს ნიშნავს: ლმერთი თუ არსებობს, რასაკვირველია, ის ყოვლისშემძლე უნდა იყოს და რახან ის ყოვლისშემძლეა, მამასადამე ისაც უნდა შეეძლოს, რომ არ იარსებოს. ამ სოფისტიკური გავარჯიშების მერე მართლაც დროა, თავი დავანებოთ ლმერთს (რომელსაც, სულ მცირე, თეოლოგების თავებში მაინც აქვს ბინა, შინა და აობა, ხოლო კაცმა სად განისვენოს, სად მიიდრიკოს თავი?) და დავუბრუნდეთ ისევ რელიგიას, რომელიც ობიექტურად არსებობს, ვინაიდან იგი არაა ლმერთივით ყოვლისშემძლე და მას არ შეუძლია არ იარსებოს.

პირველსავე სიტყვას, კონკრეტულ თემას დავუბრუნდეთ; შილერის სიტყვებია: "რომელ რელიგიას ვაღიარებ? არც ერთს იმათგან, შენ რომ მისახელებ. — და რატომ არც ერთს? — რელიგისავე

<sup>3</sup> მისი არსებობის დამტკიცება რომ შეიძლებოდეს, მაშინ ის აღარც იქნებოდა რწმენის ობიექტი.

<sup>4</sup> "გნოსტიკოსსა" და "აგნოსტიკოსს" არ ვანიჭებთ აქ ძველ ისტორიულ-რელიგიურ მნიშვნელობას.



მიზეზით".<sup>5</sup> უფრო უკეთესადაც შეიძლებოდა შინაგანი რელიგიის გადმოცემა? მისტიკაზე რომ ვსაუბრობდეთ, ეს იქნებოდა სუფისტური "ანა'ლ ჰაყყ" — მე ვარ ღმერთი. ან ბერძნული σὺ γὰρ εὔω καὶ εὔω σὺ — "შენ ხარ მე და მე ვარ შენ". მაგრამ ჯერ ასე შორს ვერ წავალთ. შილერის სიტყვები იმ კაცის სულიერ მდგომარეობას ასახავს, რომელმაც თავისი შინაგანი მუხტის ძალით სულ სხვა რამ იგრძნო, ვიდრე ამას რომელიმე ოფიციალურ — ინსტიტუციზირებული კონფესია უქადაგებს. შილერის გმირს სწამს, მაგრამ იგი თავისი რწმენით მარტოა, მას ეს რწმენა ვერც ერთი გაფორმებული რელიგიისათვის ვერ მიუსადაგებია. იგი ერთი ბერძნული მითის გმირივითაა, დგას რელიგიების ოკეანეში და რელიგიის წყურვილით იხრჩობა, რადგანაც დასანაფებლად დახრილს "წყალი" გაურბის. ამირანის ტანჯვასაც მოგვაგონებს შილერის გმირის ტანჯვა. ასეთია გრძნობის, გულის რელიგია (არ გვინდა ეს გრძნობა, ეს ჯოჯოხეთი? მაშინ მკვდარნი ვართ: "მკვდარია უგრძნობი კაცი,/უსაზარლესი მკვდარზედა"). ესაა ჯოჯოხეთი, მაგრამ ესაა გამოსავლელი, გამოსაბრძმედი, "ულტიმატური ჯოჯოხეთი". გზა ზევითკენ ჯერ ქვევით მიდის; ეს იცოდნენ ძველმა ხალხებმა და სიმბოლო ამისა ჰადესია. აგრეთვე არქაული, ე. წ. "ბუნების ხალხების" ინიციაციური რიტუალები, რომელნიც ამ სულის გამოსანართობ "ქვევით"-ს ხორციელი ტანჯვით განასახიერებენ...ესაა სწორედ გველისჭამა.

ფსიქონალიზი და "ღრმა ფსიქოლოგია" გვეხმარება ამ წამების კონსტატირებაში, რადგანაც იგი რელიგიის ღრმა ანალიზიცაა. ყველაფერი არა, მაგრამ არაცნობიერის ოკეანიდან ზოგი რამ უნდა ამოიზიდოს, გაცნობიერდეს. არქაულ კულტურებში, — როგორც

<sup>5</sup> Welche Religion Ich bekenne? Keine von allen; Die du mir nennst. — Und warum Keine? — aus Religion

ეთნოგრაფთა აღწერებიდან ვიცით, — უკვე კაცია რამდენიმე კვირის სავალდებულო სატანჯველიდან, ტყე-ჯაგნარიდან (საპუბერტიტო ინიციაციიდან, "ქვესკნელიდან") უკან, სოფელსანუთროში მობრუნებული ჭაბუკი ანუ "ყმა" და მას სულ სხვანაირად ექცევიან. ასე ხდება "სხვადქცევა", "კაცადქცევა" (უხეშად რომ ვთქვათ, "ხელახალი შობა", ან "ფსიქიკური გრადაცია"<sup>6</sup>), რომელიც სხვანაირად არ ხერხდება, თუ არა "გაყვანით", როგორც ამას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკრალურად კოდირებული ხატის ენა მიგვანიშნებს. ამ აზრითაც სწორია რელიგიოლოგიის დიდი მამის, ფრიდრიხ მაქს მიულერის (1823-1900) ანდერძი: "რელიგია არის ის, რაც კაცს კაცად შეიქმს".

P. S. რელიგიური შინა, რელიგიური გრძნობა ძალზედ პიროვნულ-ინდივიდუალური და ამიტომაც მრავალფეროვანია.

რომენ როლანი ფროიდისადმი მიწერილ თავის წერილში რელიგიურ გრძნობას "ოკეანურს" არქმევს, "რალაც უსაზღვროს, შეუზღუდავს".<sup>7</sup> ფროიდმა "ეს ოკეანური გრძნობა საკუთარ თავში ვერ აღმოაჩინა" (იხ. Das Unbehagen der Kultur, თხზ. სრული კრ. 1999 წ., ტომი XIV, გვ. 422).

ერთი ღვთისმეტყველი შინაგან რელიგიას ყვავილის უხილავ სურნელს ადარებს, მხოლოდ ასეთი რელიგია ანიჭებსო ადამიანს ნამდვილ ღირებულებას, რაც ყვავილისთვის სურნელებაა, იგივეაო ეს გრძნობა კაცისათვის.

ფრიდრიხ შლაიერმახერისათვის რელიგია იყო "დედობრივი

<sup>6</sup> უხეში, აშკარა, არაკოდირებული სახელდებისას ადამიანს უჩნდება საოცარი განცდა თავად იმ მოვლენის გაქრობის, უკუქცევისა. საკრალურის ოფიციალური თუ ლოგიკური პერმენევტიკა უაზრობაა, თამაშგარეა, ნოლი მე ტანგერე-ს ნესის უგულვებელყოფა.

წილი", რომლის "წმინდა წყვდიადში" მისმა "სიყრმის ცხოვრებამ გამოისაზრდოვა"; მისი "სული სუნთქავდა რელიგიაში, მანამ იგი თავის გარეგან მხარეებს — გამოცდილებასა და მეცნიერებას აღმოაჩინდა"; რელიგიამ "ასწავლა" შლაიერმახერს მის "განუყოფელ მთლიანობაში თავი წმინდად დაეცვა" და სხვ.

•  
შინაგანი, ნამდვილი, "ყოველი ადამიანის გულში დანერგილი რელიგია" (კანტი) არის ყოველი ახალი, დიდი რელიგიის მიზანი.

ყოველი ახალი, დიდი რელიგია იქმნება "რისხვით და მწუხარედ სიბრძავეისათვის გულთა მათთაისა" (მარკოზ, 2,5. ). ქრისტესთვის ბრმაგულიანები ძველები, რელიგიაში გაქვავებულები, თვისთა მკვდართა მფვლელი მკვდარი იუდეველები არიან, მუჰამედისათვის — ნარმართი არაბები. — ისლამის იდეალიც ხომ აბრაამული ბუნებრივი რელიგიის ანუ გულის რელიგიის აღდგინებაა.

ბუდიზმიც იქმნება სიბრძავეისათვის გულთა მათთაისა, აქ "ისინი" ინდუისტ-ბრაჰმანისტები არიან, უგულო ასკეტიზმში გაქვავებულები.

•  
ასე მოდიან ახალი რელიგიები...

•  
გადის დრო და ყველაფერი ისევ ქვავდება: "მკითხავი და ქადაგი, მღვდელ-დიაკვანი, მნათე და გონების სიჩღუნგე" (ვაჟა, "ჩვენი სოფელი"). — ეს რელიგიური რუტინაა, რელიგიის გაქვავებულ დროში ამოხრჩობა; ეს დამდგარი დროა, რომელიც ისევე ბოჭავს შემოქმედ, ღვთის მაძიებელ სულს, როგორც აბუდელაურის ტბაში ჩანთხეული დევის სისხლი ღთიშვილს.

•  
შედეგებული დრო-სისხლი უნდა გაიხსნას. ამიტომაც მოდიან რეფორმატორები — რელიგიის განმაახლებლები. "ოდენ რწმენა" — ამ ორადორ სიტყვაში ჩაეტია გერმანული რეფორმაციის მთელი

პროგრამა. იგულისხმება გულისმიერი, ხალასი რწმენა — უადვილესი სათქმელად და უძნელესი საქმნელად; ოდენ "მადლით" შესაძლებელი? თუ გამბედაობითაც?

## II ანტითეზა

"გრძნობა ყველაფერია", თქვა გოეთემ, ფაუსტს ათქმინა, "სიხარული", "გული", "სიყვარული", "ღმერთი" არც ერთი სახელი არ გეყოფნისო, სახელი მხოლოდ ცუდუბრალოდ ქუხს და ხრჩოლავსო: "Gefühl ist alles, Name ist Schall und Rauch"-ო და ა. შ. მაგრამ გრძნობა ხომ მხოლოდ გონებით "სხივოსნდება". "ყვავილის ნელსურნელება", "ოკეანური განცდა", "დედობრივი თბე" — ეს ყველაფერი ხომ გონებისგანაა "მოგონებული", გრძნობა რომ აღწეროს. ობიექტური გონება ჩადის სუბიექტური გრძნობის მორევში, რათა გამოუთქმელი რელიგიური გრძნობა გამოთქვას, განასიტყვოს. მაგრამ გონების ეს მცდელობა — დაეუფლოს გრძნობას, მთავრდება იმით, რომ გრძნობის მორევი ითრევს გონებას. შედეგი: შინაგანი რელიგიის აღწერები ვერასოდეს იქნება მიუკერძოებელი, ემპირიულ-მეცნიერული აღწერები; რას ნიშნავს "შინაგანად დამარხული" ან "ყველა ადამიანის გულში დანერილი რელიგია" — ეს კანტისეული აქსიომები? რა თვალსაჩინოების, რომელი კრიტიერიუმის საფუძველზეა დამტკიცებადი, რომ ეს ყველაფერი მართლაც ასეა? არც ერთის, ვინაიდან ეს ყოველივე სხვა არაფერია თუ არა ფსიქოლოგიზმი. "რელიგიის შიშველი ფსიქოლოგიური განსაზღვრება, მით უფრო, გრძნობისაკენ გადამილება რელიგიისა, საშველი არ არის".<sup>7</sup>

## III სინთეზი

"შინაგანი რელიგიის" გზით შეუძლია ადამიანს ინსტიტუტიზირე-

<sup>7</sup> Albrecht Ritschl, "Das Wesen und die Hauptmerkmale der Religion".

ბული რელიგიის ზედაპირულობას თავი დააღწიოს და სინამდვილეში განახორციელოს ის, რასაც ინსტიტუიზირებული, გარეგანი რელიგია ინტენდირებს (გეპირდება), ალგეითქვამს, მაგრამ მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ "გულის რელიგია" მართოა?

რელიგიის ისტორია აჩვენებს, რომ — არა. "ღმერთი არსებობს! — მე შემოძლია ეს რელიგიის ისტორიით ვაჩვენო!" — შვედი რელიგიოლოგის, Nathan Söderblom-ის ეს სიტყვები, რომელიც მას სიკვდილის წინ აღმოხდა, აღემატება ყოველგვარ აგნოსტიციზმს.

მაგრამ ჩვენ მაინც ერთხელ რწმენილი და აღიარებული აგნოსტიციზმის ერთგულნი ვრჩებით და ნ. ზოდერბლომის სიტყვებს აგნოსტიციზმის ენაზე გადავთარგმნით: რელიგიის ისტორია აჩვენებს, რომ "რელიგიას სძულს მართობა" (შლაიერმახერი).

გულის რელიგია არ რჩება სუბიექტურ მოვლენად და ის გულების რელიგიაა. ამას რელიგიის ისტორია აჩვენებს, თუნდაც იმიტომ, რომ კაცი პირველსავე დაძახილზე — "გამომყევი მე!" — ადგება, მიატოვებს ყველაფერს, და მისდევს მას, მის დაძახებას, იმ ხმას, რომელიც გულებში შეღწევის უნარით შეიძლება ხატის დროშაზე შებმული პატარა ზარის უეცარ ანკრიალებას შევადაროთ — ტანში რომ ელექტრონად გადადის:

"უნდა ხევისბერმა აღმართოს და შეაყლეროს დროშა.. როცა დროშას დაინახავს ხალხი, როგორ აღტაცებულია, ცასა სწვდება ხალხის გრძნობის ტალღა, როგორც ელექტრონი, ისე გაურბენს დიდსა და პატარას ტანში სამღვთო, ზეალმტაცი ფიქრები".

10. 03. 2003. თუბინგენი.

### "კვრივი"

თითქოს არქაული კულტურიდან კი არა, ციდან ყოფილიყოს ის ორი სიტყვა ნამოღებული მისიონერთაგან "ჩამოტანილი" "ტაბუ" და "მანა" იქცნენ გერმანულ-სკანდინავიური ფენომენოლოგიისათ-

ვის იმ საორიენტაციო სიგნიფიკანტებად, რომელნიც დროდადრო უფრო მეტ შუქსაც კი აფრქვევენ, ვიდრე ლათინური, ლამის მშობლიური Sacer და Numen.

ორმა შორეულმა, ოკეანეთურმა სიტყვამ, მელანეზიურმა მანამ განსაკუთრებით, — ახლადფეხადგმული მეცნიერების ლამის მთელი ხასიათი განსაზღვრა. და ხასიათური მიმართულებანი რელიგიის არსის ბნელი და ვრცელი ოკეანეთის გზებზე, რელიგიის გულთაგულის, დერიტის, უმთავრესი მასულდგმულებელის ძიებისას.

მანა არისო მელანეზიური სახელი უსასრულოსი;

მანა არისო საკრალური ენერგია ხილვადობაში განივთებული;

მანა არისო სულ სხვა რამ ძალა.

მანა იქცა ახალი ნავის, ახალი მეცნიერული განშტოების მამოძრავებელ "ზებუნებრივ ძალად", "ატომურ ენერგიად".

ყოფილიყო "კვრივი" ჩატანილი, მაშინ უსათუოდ კვრივს დაჰრჩებოდა პირველობა და რელიგიის ფენომენოლოგიაც, შესაბამისად სულ სხვა იერ-სახეს მიიღებდა, სულ სხვა რამ იქნებოდა.

რა არის ის უმცირესი ელემენტი ანუ ის უდიდესი სიმტკიცე, რომლის იქითაც რელიგიის დაშლა უკვე შეუძლებელია, რომლითაც აგებულია რელიგიის მთელი ცოცხალი ქსოვილი? — რასაკვირველია კვრივი.

ძველ ხალხთაგან ყველაზე ბრძენმა, ბერძენმა ღმერთებსაც ბედისწერა დაუდგინა.

ადამიანებს, სიტყვებსა და ღმერთებს ბედისწერა განაგებს.

"კვრივის" წაღებით საკრალურის სულ სხვა, უფრო ღრმა დატვირთვებზე გამახვილდებოდა ყურადღება, ვიდრე ეს უბრალოდ ძალაა.

"ღმერთი" არის ის რელიგიური სიდიდე, რომელზე უფრო აღ-

მატებული სიდიდის მოაზრებაც უკვე შეუძლებელია. "კერივი" უმცირესი სიდიდეა, უმცირესი ნაწილი, რელიგიის გულთაგული.

კერივი მანიფესტირებს თავისი დადებითი და უარყოფითი მუხტით: პლუსი და მინუსი, "დავლათი" და "მიზეზი". ამ სიტყვების ჰერმენევტიკას აქ აღარ შეეუდგებით. მთაში იციან კარგად მათი მნიშვნელობა — ცოცხალი გამოცდილებით.

18. 03. 2003. თუბინგენი

## ღმერთი, ფროიდი და შემოქმედება

რელიგიებში ღმერთი არაა. ღმერთი შემოქმედებაშია. ეს ფროიდმა მასწავლა. "რატომ", "როგორ"...

"ღმერთს" ჩვენ ისე ვამბობთ, თორემ უფრო სულ სხვა რამ იგულისხმება: მიუნდომელი, ნუმინოზური, *Mysterium tremendum et fascinans*, ნმიდა... ასეთი ეპითეტები მრავლადაა.

თქვენ წარმოიდგინეთ, "ღმერთი არ არსებობს". ათეისტები მართაღს ამბობენ. მაგრამ ისინი ამას კარგად ვერ ამბობენ. მისტიკოსები, მაგალითად, სუფისტები უკეთესად ამბობენ, ღმერთის არსებობა მისი არარსებობაა, ყველა არსებობის მიღმა არსებული არსებობა — არარსებობა; ხოლო მისი არარსებობა — მისი არსებობა. ღმერთთან არსებობა და არარსებობა ურთიერთდამამიზებელია; ერთმანეთში ინკარნირებული და განხორციელებული.

*Noli me tangere* — აი რა არის ღმერთი. "უკადრისა"! თუ შევეხებით, ის უკვე აღარაა, ტკააც! გაფრინდა — როგორც პატარა ბავშვს ვატყუილებთ, როგორც ჩვენც ვეატყუილებდნენ ხოლმე — "ფააფუუ". ან: "ბუამ წაილო!" ეს ბუა ვინლაა ნეტა?

რას არ მოიგონებს ეს კაცი: ძამიკობმა მამიკო დაკლესო, შეჭამესო, რათა ამით რელიგია ქმნილიყო! ხინკლებად თუ ისე

უბრალოდ შეახრამუნეს, ამას "ადგილზე" აღარ განმარტავს; მაგრამ სადმე სხვაგან ხინკლების ამბავსაც უსათუოდ მოგვახსენებს. წაკითხვა უნდა. ფროიდი ერთ გამჭოლ დეტალს, ერთ მცირე ჭუჭრუტანასაც კი არ ტოვებს, საიდანაც მის ფსიქონალიტიკურ სასახლეში შეიძლება ღმერთმა შემოიჭყიტოს. ერთი თხზულების ხერხელებს მეორე თხზულებაში უბრუნდება, ავსებს, ჰგოზავს, ამონმებს, ნაპრალი ხომ არსად გაჩნდა, რომ მზის, ღვთის სინათლემ შემოაღწია.<sup>8</sup> მოკლედ, იბრძვის, ცდაშია; ხანაც "სარკის" წინ, მოკრივესავით წარმოსახულ მეტოქესთან, გარდაქმნის რა მონოლოგურ თხრობას დიალოგურად!

თურმე ნუ იტყვი, და, პავლე კარგად ვერ მოქცეულა, თავის ქრისტიანულ თემ-სოფელს რომ სიყვარულის მცნებები დაუდგინა. ადამიანი ბუნებით აგრესიული არსებაა და ასეთი მცნებები მხოლოდ კონტრაპროდუქტიულ შედეგებს იძლევა! საკვირველია, ნეტავი რა უნდა ეთქვა ჩვენთვის საცოდავ პავლეს, ყოფილ სავლეს? საკუთარი თავის გარდა ყველა გძულდეთო? ამას ხომ ყველანი უპაველოდაც, პავლესაგან დაუმოდღრავადაც კარგად ვიქმთ!

ზემოთ ვთქვით, ღმერთი "ღმერთი" არაა-მეთქი. ის განუზომელია, ტაბუა, ამოუცნობია... მაგრამ ფროიდმა არ იცის, რომ ღმერთი "ღმერთი" არაა, მას ღმერთი "ღმერთი" ჰგონია.

(მან რომ არ იცის) ჩვენ საიდან ვიცით? დამაცადეთ!

ფროიდს რომენ როლანმა წერილი მოსწერა, რომელშიაც ის რელიგიურ განცდას "რალაც ოკეანურს" უწოდებს. ფროიდი სწუხს, ეს ოკეანური განცდა ჩემში ვერ აღმოვაჩინეო. თანაცო, — აღნიშნავს, — გრძნობების მეცნიერული აღწერა არცთუ ისე იოლიაო.

<sup>8</sup> ეს ადგილი ორაზროვანი თავისით გამოვიდა, რაც ძალიან კარგია. Sic! — შიო მღვიმელი!



საოცარია, მეგონა როლანის შემოქმედებაზე წერდა, თურმე დოსტოვესკი ყოფილა.

რუსულ რელიგიურობასაც აცამტვერებს! სინანული რუსული, "ღრმა" რელიგიურობის ის ტექნიკაა, რომელიც ცოდვის ჩასადენადაა მოგონილი! სინანული კვლის ტექნიკააო; მაგალითად, ეკლესიური (მორწმუნე) ივანე მრისხანე კლავს და ინანიებს, მერე ისევ კლავს და ისევ ინანიებს და ასე დაუსრულებლად...

ჰო, ის ადგილი "დოსტოვესკისთან" ყოფილა, აი ვიპოვე კიდეც: "დოსტოვესკი და მამის კელა".

ჩვენ სიტყვებით ვამბობთ ღმერთს, მაგრამ ღმერთიც სიტყვაა. სწერია კიდეც — არა მხოლოდ იოანეს სახარებაში; ყველა რელიგიებში ეს მეორდება. მაგრამ სიტყვებითაც კი, ე. ი. "ღმერთიც" კი ვერ ვამბობთ ღმერთს. ღმერთი თუ გვინდა ვთქვათ, უნდა გავჩუმდეთ!

მაგრამ ფროიდი რომ არ ჩუმდება!.. არასოდეს. ჩჩვილისმიერი ძუძუსნოვიდან — ოიდიპოსამდე, ოიდიპოსიდან — მოსემდე, მოსედან — დოსტოვესკიმდე ის არასოდეს, არაფერს, არაფრის გულისთვის არ ეპუება, ყველაფერს სექსუალურად ანალიზებს, აცამტვერებს, "არალმერთებს". მისთვის არაფერია გაუნალიზებული, მიუკარებელი, *Mysterium tremendum et fascinatum*...

მაგრამ აი, ვიპოვე ის ადგილიც, დოსტოვესკის მამისმკველელობაზე რომ საუბრობს:

"სამწუხაროდ, თუ კი დოსტოვესკის, როგორც შემოქმედის ანალიზზე მიდგება საქმე, მე ხმალი ქარქაშში უნდა ჩაევაგო". *sic!*

"აი, ნახე, თურმე სად ყოფილა! ბუას ისევ მოუტანია შენი "საგანი", ნახე, სად დაუდევეს!" — შემოქმედებაში.

29. 03. 2003. თუბინგენი

## “ლმერთის ნება გამოუცნობია”

(დაკვირება)

ცხოველებს აქვთ რელიგია და ჰყავთ ლმერთი, განსაკუთრებით კი — შინაურ ცხოველებს. როგორც წესი, ისინი პოლითეისტები არიან, მხოლოდ ზოგიერთები ცოტათი წაიმონოთეისტებენ. შიგადაშიგ დუალისტებიც გამოერევიან, ხოლო ძაღლები, ყველასაგან განსხვავებით, პენოთეისტები არიან. ჰო, მართლა, სულ დამაფიქცა: ცხოველების ლმერთები ვართ ჩვენ, ადამიანები, მათთან შედარებით ამოუცნობი არსებები; მართლაც რომ *Mysterium tremendum et fascinans*: საშინელი და დიდებული საიდუმლოთი აღსავსენი. ცხოველების ჩვენთან დამოკიდებულებას ანუ კავშირს ჰქვია რელიგია. ეს დამოკიდებულება თუ კავშირი აღსავსეა სიფრთხილითა და შიშით, სიყვარულითა და თაყვანისცემით, ერთი სიტყვით, “რე-ლეგერე“-თი. ზოგჯერ გამოერევიან ხოლმე ათეისტი ცხოველებიც, — მაგალითად, რქენია ძროხები, — რომელნიც ჩვენ, ე. ი. “ლმერთებს” პატივს არ გვცემენ.

მაღალგანვითარებული ცხოველები, — მაგალითად, მაიმუნები, — თანთან მონოთეისტურ დასკვნებამდე მიდიან; “სადღაც უნდა არსებობდეს ერთი მთავარი Superman რომელიც ყველა ლმერთის მამაა” — ფიქრობენ ისინი.

ბოლო ხანებში ცხოველთა შორის ერთობ აქტიური შეიქნა თეოდიციის პრობლემა, იმართება დისკუსიები: “თუ ჩვენ მართლაც ისეთი ყოვლადსათნო, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლენი ვართ, ლმერთს რომ შეეფერება, მაშ რატომ არ შეგვიძლია ან რატომ არ გვსურს ვიხსნათ ისინი წამებისა და ავადმყოფობისაგან? მაშ რატომ არიან ამდენი გაუბედურებული, მანანნალა ძაღლები და კატები? წამოუვლის ქორი პატარა, უცოდველ წინილას და “ნია-ნია“-სძახილით ტყისკენ გააფარებს, განა ეს სამართალი?”

ჩვენდა ბედად, ღვთისმოსავი ცხოველები ცოტა არ იყოს რწმენაშერყეულებს აწყნარებენ, შთააგონებენ: "ჩვენ, ცხოველები რალაც ძველი, მემკვიდრეობითი ცოდვის გამო ვიტანჯებით". გარდა ამისა, "ღმერთებმა", ე. ი. ჩვენ, "განა უკეთ არ ვიცით რა სჯობია მათთვის, ვიდრე თვითონ მათ?" "ღმერთის ნება გამოუცნობია" — მორჩილად ფიქრობენ მანანნალა ძაღლები და მშიერნი, მაგრამ მაინც რალაცის მოიმედენი დანანნალებენ.

ძალღი უპატრონოდ, ქალი უსიყვარულოდ და სამყარო უღმერთოდ? — სამივე ძალიან ცოდოა. მაგრამ ყველაზე უფრო ცოდო ამ სამეულიდან მაინც ძაღლია.

02(19). 04. 2003 თუბინგენი

## ს ი მ ლ ე რ ა

ღმერთს ჩვენგან არაფერი სჭირდება. — "ესაც ახალი ამბავი!" სულიც კი არა. თვითონ სული ჩვენს სულს "ვერარად იხმარს თავისად". კიდევ კარგი, ეს ადგილი გამახსენდა ვაჟას ლაშარობიდან, თორემ ნამომცდებოდა: "ჩვენს სულს რალა თავში იხლისო!" ღმერთის გადაკიდებალა მაკლდა, ქვეყანა ხომ სულ ჩემ მზესა ფიცულობს!

"ვერც ფშავი, ვერც ხევსური, უკეთუ იშოვნოს ოქრო ან ვერცხლი, ვერარაიდ იხმარებენ თავისად, არამედ მიუძღვნის ლაშას ჯვარს".

ვახუშტიზე ცოტა უკეთესი ფშავ-ხევსუროლოგის, ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით კი ოქრო-ვერცხლის მოხმარება ფშავ-ხევსურს თავადაც კარგად მაუღის ჯიშად.

ერთი სიტყვით, — სათქმელი უფრო შორს რომ არ გაგვექცეს, — უგულოდ არც სულია სული, არც ღმერთია ღმერთი და, თქვენ წარმოიდგინეთ, უგულოდ, უგულისხმოდ წაკითხული ვაჟა-ფშაველაც

კი მუნჯია.

ადრე სულ-ყველანი სულ სულ-ღმერთსა ლანძღავდნენ, — მიმხელს თავის ფიქრებს ერთი კანატიელი ფშაველი, — ახლა სულ სულ-ცხონებას გაიძახიან; რალაც ბევრი სულები დაუგროვდა იმ დალოცვილს; მე ამ პირფერებს იქ ვერ მოვჭდები (ე. ი. ვერ დავუზავდებიო), ამიტომაც ვთხოვ იმ მაღალ ღმერთს, იქნებ დაუსწრებლად მაცხონოს... "ეგ როგორაო?" როგორა და, — უმაღლესიც დაუსწრებლად დავამთავრე, — აე კანატიაში, კანატია მამცას სამოთხედ; ეს მაინც აღარავის უნდა, გამისამოთხოს, გამიმუდმოს, ვითომ იქა ვყოფილვარ; ვხნავ, ვთესავ, ვთიბ, ვხვეტ, აექ ვიკონინებ, ვიჩუჩუნებ, არას შავცოდავ არც ღმერთს, არც კაცს, არც ბუნებას... ბალღობაში რო ჩიტებსა ვხოცდი, სუ იმის ნანობაში ვიქნები. გაზაფხულს ია ამუა, იმის ამოსვლას მივაყურადებ; სთველჩი ირემ იყვირებს, წავიყვან ჩემ ნიშა-ნიკორათ, მთას თივას დავიგულებ. ზამთარში სიპის ქოხჩიით (მთაა) თივებს დავთრი, თანაც შავმღერნებ მალ-მალა:

"ოხერო კანატიაო,  
შენგან გული მაქვ მტკივანი,  
რა ბევრჯელ დამქანებთან  
სიპის ქოხჩიით თივანი;  
დაქანდის, დაუჭირნოდი  
შინტლიკასავით ნეივანი"

05. 04. 2003

### ისინი "მიმღინარეობს"

როდესაც რელიგია საუბრობს, "ესაა თვითონ რელიგიური ქმედებების შემადგენელი ნაწილი და არა რაიმე თეორია... სულაც არა აქვს მნიშვნელობა სიტყვები ჭეშმარიტი ან მცდარი თუ უაზროა".

რაზე საუბრობს აქ ვითგენშტაინი? რელიგიურ უწყებებში, უწყება-ჭეშმარიტებებში მიზანდასახულებაა მთავარი და არა "კონკრეტულად" და "ახლა". რელიგიური ჭეშმარიტებები პროცესში, დროის ქმედებაში, მოძრაობაშია გამოთქმული. რელიგიური ჭეშმარიტებები არსებობენ არა დგომაში, არამედ მიმდინარეობაში.

რელიგიური ჭეშმარიტებებისათვის "კონკრეტულად" და "ახლა" ანუ "სალი განსჯა" სულ ერთია. და რელიგიური ჭეშმარიტებები თავისი ბუნებით სულ ერთია, ერთი და იგივენი არიან; ისინი დგომაში, სიმუდმივეში გამყარებულან. როგორც მდინარე, რომელიც მიდის და ამ სვლით "დგას", ერთდაიგივეობს.

21. 04. 2003

სამყარო ჯერ არ შექმნილა.  
ის, რაც ბიბლიაში სწერია,  
ჯერ არ დაწერილა;  
არ არსებობს დრო  
და  
არ არსებობს სივრცე.

მე არა ვარ ერთადერთი,  
ვინაც ეს იცის,  
ეს ყველგან სწერია.

22/23. 04. 2003

## მიხვდებარამის?

ვაჟას ეთნოგრაფიული წერილი 1888 წლითაა დასახელებული, ნიცშეს (Nietzsche) ცნობილ ქმნილებას კი 1885 აზის თარიღად.

ვაჟა სწერს: "კახური ჭაჭანაური სარწმუნოებისაგან აშენებულს ციხეში დაპატიმრებულ გონებას დაიხსნის ხოლმე, მაშინ ფშაველი იმღერებს:

“ფშაველთა ლაშარის ჯვარი  
ნეტარ არ დაუბერდა,  
ამბობენ დაბერებასა,  
ნეტარ არ მაუკვდებაა”.

1885 წლის ზაფხულში, გაელვარებული ნიციშე რომ თვისსა Werk-სა ჰქმნიდა, ფშავლები ლაშარის გორზე ისხდნენ, ღრეობდნენ, ლაშარობდნენ და თან თავიანთ პატარა ლაშა-ღმერთს ეხუმრებოდნენ: “ამბოო-ბეეენ დაა-ბე-რეეე-ბა-საააა”. ნიციშემ შორიდან მოჰკრა ყური თუ რა იყო, მაშინვე შამაუმღერნა: Gott ist tot-ო, ღმერთი მოკვდაო; ფშავლების ხუმრობა გულით გაიგო, “გულისა გამაურია”.

რას ნიშნავს ღმერთის სიკვდილი? არცარასოდესარსებობას მისას თუ “ღმერთის” ცნების ადამიანურ ღირებულებად გადაქცევას? თუ კიდევ სხვა რამეს? დღესაც ბევრნი ფილოსოფოსობენ ამაზე, ბჭობენ, კამათობენ. გენიოსი რის გენიოსია თუ პუჭურ-პუჭურა მოაზროვნეებს პური არ აჭამა, არ შაინახა, დღის ლუკმა თუ დაამადლა.

ნიციშეს თქმა გაფრენილი რაშია; სიკვდილი შეუცნობლობის მეტაფორაა, სიტყვაა, რომელიც ელავს. ადამიანური ცნებები: “სიკვდილი” და “სიცოცხლე” ღმერთის არსებობას ვერ შესწვდება, რადგან ის სიკვდილ სიცოცხლის მიღმა არსებობს; უნდოდა თუ არა ნიციშეს ამის თქმა, ძნელი სათქმელია. სიტყვა ელვაა. სიტყვა სიტყვის მწყემსის მონა არასოდესაა. “სიტყვები ოკეანის ნაპირზე რჩებიან” — ამბობდნენ ისლამ-სუფისტები. Мысль изреченная есть ложь — საკმაოდ ჭკვიანურად შეეხმიანა მათ მოგვიანებით ტიუტჩევი.

ძე კაცისა დგას ოკეანის პირას და სილაზე სწერს: “ღმერთი მოკვდა”. მოვარდება უცებ ზღვის ტალღა და გადაშლის.

ძე კაცისა ისევ ოკეანის პირას დგას და წერს: “ღმერთი უკვდავია”.

თუ უკუქცევა დიდხანს გაგრძელდა, მაშინ მოასწრებს, ავესტას,

თორას, სახარებას, ყურანს, დანარჩენ რელიგიურ წიგნებსაც ზედ მიანერს.

მოზღვავდება ბოლოს ოკეანის ტალღა და ყველაფერს ნაშლის, ნალეკავს.

აღბათ ძნელად ვინმე თუ არ დამეთანხმება: იმ ყოველივედან, რაც კი ადამიანურ რაიო-ს მეტაფიზიკურ სფეროში შეუქმნია, ანუ ოკეანის პირას დაუნერია, პლატონიზმი და, შესაბამისად, ნეოპლატონიზმი საუკეთესოა, თუნდაც თავისი ზომიერი მეტაფიზიკურობით. ისლამური მისტიკის ერთი ფრთა — მუთაცელიტობაც, ინდურ ფილოსოფიასავეთ მეტისმეტად მეტაფიზიკურობს. ნეოპლატონიკური მეტაფიზიკა ქრისტიანულ-ისლამური მისტიკა-ფილოსოფიის მარილია, მეტ-ნაკლები დოზით. Corpus Dionisiacum-ის მისტიკა გასაძლები მისტიკაა, ტვირთი განწესებული, რომელიც ადამიანური გონების ზღვრულ ნავს დანთქვით არ ემუქრება.

არც სოკრატე, არც ამმონიოს საკკასი არაფერს წერდნენ, მათ ერთი სიტყვაც კი არ გადაუტანიათ ეტრატზე. მათ ის იცოდნენ, რაც მერმინდელმა რელიგიურ-ფილოსოფიურმა გამოცდილებამ დაადასტურა: ნიგნი ანუ წერილი მოჰკლავს, ხოლო სული აცხოვნებს ანუ აცოცხლებს (რასაკვირველია, აქ მხოლოდ ნიგნების ყურ-მოჭრილ მონობაზეა საუბარი, ნიგნების უსულოდ კითხვაზე). ფიქრი პროცესია, დაწერილი ფიქრი გაყინული პროცესია.

ნიცშეს ერთი ფშაური დევი მეტაფიზიკურად დააჭკვიანებდა! სადმე მოსადევრიან ადგილზე, — მაგალითად, გაუთლელთ გორზე, — უნდა დაგვესვა, და შორიდან სეირისთვის გვეყურებინა. თუმცა, დევი ნიცშეს აღბათ არას ავნებდა. ინდოევროპელთათვის ის ღმერთია, Deus. ლათინურენოვან წირვას რომ დაესწროთ, მოისმენთ: "დიდება შენდა დევო ჩვენოო". ქართულად იქნება: დიდება შენდა ღმერთო ჩვენოო.

შუასაუკუნეების ევროპულ ფილოსოფიას ორი დევი ჰყავდა გამოსული, ორი დევი ჯიჯგნიდა: 1. Deus absconditus ანუ დაფარული, დაბმული დევი და 2. Deus revelata ანუ ზეზი, გამოცხადების დევი. დევი თუ დაზეზდა და გამოგეცხადა, მტრისას, ახალი რელიგიის მამობა არ აცდება; ახალი რელიგიის, ახალი ჭემმარიტების გაგება ყველას ეზარება, გტანჯვენ, განამებენ, ან ძელზე გაგაკრავენ, ან ცეცხლში ჩაგადებენ, ან ტყავს გაგადრობენ.

ფშაველი დევი ირან-ინდო-ევროპელების დევთან შედარებით უცოდველია. ცოტა ავტორიტეტშელანძულია, თორემ იმდენსაც არაფერს აშავებს, იმის შაჭმული ან მოტაცებული ჯერ არავინ გამიგია. თავისი ზუსტი დრო და ადგილი იცის, პუნქტუალურია. იმის დროს, ე. ი. "უდროო დროს" იმის ზონაში, ე. ი. "მოსადევრიანში" არ უნდა გაიარო, მით უფრო მთვრალმა. მაგალითად: ღურღურათ ხეზე, ღამის ორ საათზე, ოთხ წუთსა და ექვს წამზე. თუ ამ დროს შეეფეთე, — ეს ქრონოგრაფიული დაზუსტება ხუმრობა არ გეგონოთ, — დაგიპყრობს, გავლევს თავის ჭკვაზე, მთელ სადევეთს შემოგატარებს, ქაჯების ქალებთან გაცეკვებს. სოფ. ხილიანაში, რომელსაც ღურღურათ ხევი შორიახლოს ჩამოუდის, დღესაც იტყვიან ვინმე "ბებერ ვაჟას",

რომელმაც თავისი ვაჟკაცობის ჟამს დევის სტუმართმოყვარეობა საკუთარ თავზე გამოსცადაო. ამბობენ, მას მერე "ბებერ ვაჟას" ღვინისთვის პირი არ დაუკარებია, და მზე როგორც კი ჩავა, — სადაც არ უნდა იყოს, ტყეში, სათიბში თუ მეზობელ სოფელში, — მაშინვე სახლისკენ მოკურცხლავსო.

იმ დროს თურმე დევის ჭკვაზე ხარ გადასული და დევურად თავისთავად ერთობი. დაძალება, იძულება და ასეთები დევის მორალში არ შედის. დევი ევროპული დემოკრატიისა და თეოლოგიის ანუ დევოლოგიის საზღვრებში მოღვაწეობს: ადამიანურ ნებას არ



ზღუდავს, კაცის თავისუფლებას არას ერჩის. გათენებისას, ცნობაზე რომ მოდიხარ, ყველაფერი გახსოვს, მაგრამ ვერ გაგიგია მხოლოდ სულიერი, მოჩვენებითი იყო თუ ფიზიკურადაც ნამდვილი, ის რაც თავს გადაგხდა. როგორც “ბებერი ვაჟას” მონაყოლიდან მტკიცდება, ორივე, სულიერი და ფიზიკური მოგზაურობაც დევების სამყაროში ნამდვილი და ერთდროულია.

ნიცშეს რომ არ გამოუცდია ეს ყველაფერი, იმიტომ ამბობს, ღმერთი ანუ დევი მოკვდაო. გამოუცდელობის ჭაჭანაურმა დაიხსნა მისი დაპატიმრებული გონება და აამლერა.

ნიცშეც რომ სოკრატეს დარად ან ამმონიოს საკვასივით მეტაფიზიკური არწერის ტყვეობაში დარჩენილიყო, მაშინ? მონაფეები, მოციქულები და დევოლოგები იმისთვის არსებობენ, რომ წერონ, წერონ, წერონ; იქადაგონ, იქადაგონ, იქადაგონ

სარწმუნოებისაგან აშენებული ციხეები რელიგიათა მორალურ-ეთიკური მოძღვრებებია, დღეს რომ უუსახელმომხვეჭილესი ჰანს ქუნგი მთელი მსოფლიო მაშტაბით იკვლევს. კიუნგი, კათოლიკე თეოლოგი, ქრისტეს მონაფის — პეტრეს მონაფეა. ის წერს, წერს და წერს. მსოფლიო კულტურათა დაზავებას რელიგიათა დაზავების ბაზაზე ამზადებს. ნეტა ლაშარის გორზე რომ ნავიყვანოთ და იქ ვამლეროთ, მიხვდება რამეს? მიხვდება, რომ სამყაროს გაჩენა ღმერთის ერთი დიდი ხუმრობა იყო?

24. 04. 2003. თუბინგენი

## თეოდიცეა, იაკოვ ბოივე და რომანო ბუარდინი — ერთი სიტყვით

თეოდიცეა, როგორც Terminus technicus, ლაიბნიცის ყრმა, “ღვთის გამართლება”, არის ენის დიდი ტარტარაშვილი, დიდი ბლაბლაძე, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ერთი დიდი გაოცებალა

სამელნის ძირში: "სამყარო უღმერთოდ?"

თუკი მაღალი სამართლიან-ყოველისშემძლეობს, რატომღა მაშინ ამდენი უაზრო ტანჯვა-ნამებანი, კვდომა-აღზოცანი, სენ-სამსალანი, უსამართლობანი და უსამართლოდ უსამართლობანი?

"ღმერთო ნუ მოჰკლავ პატარას, ნუ აუტირებ მშობელსა!"

თეოდიცეა მიზეზია "სამოთხის ბილეთის" უკან მიმგდების, ივან კარამაზოვის ცრემლის და ურვის; კომპლექსური კითხვები; უდროდ საფლავში ჩალალულთა გოდება; "შესაქმის გრძივი ნაპრალი", "ათეიზმის კლდე" (გეორგ ბუხნერი).

თეოდიცეა დიდი ეჭვია ეპიკურედან დღემდე: "გულგაყინული მსაჯული".

თეოდიცეა მარადიული და მარადიულად უპასუხო კითხვა-გაუგებრობაა.

რელიგიის ფილოსოფოსთ ფანდ იხუმეის: თეოდიცეა ანუ იობის ტანჯვა "დაშალეს": კოსმოდიცეა, ანთროპოდიცეა, სოციოდიცეა... მაგრამ ამაოდ დაშვრნენ: თეოდიცეას რეგენერაციის უსაშველო უნარი აღმოაჩნდა. თეოდიცეას არ ნაადგა არც თეოლოგიური სპეკულაცია ("მემკვიდრეობითი ცოდვილიანობა"), არც საკრალური პროსტიტუცია; ვერც კამა სუტრა, ვერც სასუფეველის გულისათვის თავისა და თავ-გონების გამოსაჭურისება გამოეხარჩლა...

თეოდიცეა ჰგიეს!

ახლა კი სსსუუუ! — იაკობ ბოემე მოგვითხრობს, თუ როგორ დაჰკრა მას თეოდიცეის მეხმა:

"გარნალა მე ვცან რომ ყოველ საგანში კეთილი და ბოროტი იყო დასადგურებული, ელემენტებში და ქმნილებებშიც, და ამქვეყნად უღმერთო უფრო ლალობს, ვიდრე ღვთისმოსავი, და ბარბაროსი ხალხები საუკეთესო ხმელეთს ჰფლობენ...ამად შევიქვენ სავსებით მელანქოლიური და დიდად მნუხარე, და არავითარი წერილი მე

აღარ მანყნარებდა. შემდგომად ამისა ეშმაკი მე წარმართულ აზრებს უხვად ჩამჩიჩინებდა, არამედ მე სრულიად ვდუმებ”.

სულიერი მდგომარეობა, რომელსაც იაკობ ბოემე აღწერს, დიდი ბავშვის, ღვთისმოსავის მისტიკური თავგადასავალია. იაკობ ბოემეს სთანგავს და უსასობა-მელანქოლიის უფსკრულში მოისვრის უსამართლობის აღმოჩენა (“დავინთქ მე უყსა უფსკრულისასა და არა არს დათმენა”). ამქვეყნიური ბედი და სიკეთე ადამიანებს მათი ღირსებისდაშესაბამისად არ უნანილდება. “ვიგინდარები და ბოროტმოქმედნი ძალიან ხშირად იმარჯვებენ სათნო და ღირსეულ ადამიანებზე” (გ. ქიქოძე). ესაა ის, რაც ყველამ იცის, რაც ყველას ნორმალურად, ან არანორმალურ ნორმალურობად მიაჩნია, და რასაც ყველა მეტ-ნაკლებად შეჰგუებია. “ცხოვრება კონტინგენ-ტურია”. დიდმა ბავშვმა კი არ იცის, ვერ წარმოუდგენია ასე თუა და აღმოჩენა ამისა მას დიდ სულიერ ტანჯვას მოუტანს.

“ბარბაროსი ხალხები საუკეთესო მიწებს ფლობენ”-ო — ეს კი საქართველოს ლანდშაფტს მოგვაგონებს!

რა შეიძლება ვივარაუდოთ “წარმართულ აზრებად”? ღმერთის ყოვლისშემძლეობის, ყოვლადსამართლიანობის და ყოვლადკეთი-ლობის ეჭვქვეშ დაყენება? თუ კეთილისა და ბოროტის გათანაბარმ-ნიშვნელოვნება? “ეშმაკი” რომ ბოემეს კარგს არაფერს შთააგონებდა, ეს ცხადია.

იაკობ ბოემე კარგავს ღვთის რწმენას. ის მარტო და სასონარკ-ვეთილია, ღვთისგანაც კი მიტოვებული; ღვთის სიტყვა და წერილი მას აღარ აწყნარებს. მაგრამ რწმენის დაკარგვა და სრული მარ-ტობა რწმენის ნაწილია, რწმენასვე ეკუთვნის. რწმენას კარგავს მხოლოდ იგი, ვისაც ის აქვს. ღმერთი სტოვებს მხოლოდ მას, ვის-თანაც ისაა. რა ხდება მერე? წრთობა. როგორ? ეს კი მართლაც დუმილის სფეროა.

ისლა დაგვრჩენია, მკითხველი რომ ბოემეს განცდას უფრო დავაახლოვოთ, თვით ბოემე ავამეტიყველოთ თავისი დროის გერმანულთ, რომელიც დღეისათვის ოდნავ არქაულად (და ძალიან საყვარლად) უღერს:

„Weil ich aber befand, dass in allen Dingen Böses und Gutes war, in den Elementen sowohl als in den Kreaturen, und dass es in dieser Welt dem Gottlosen so wohl ginge als dem Frommen, auch dass die barbarischen Völker die besten Länder innen hätten... ward ich derowegen ganz melancholisch und hochbetrübet und konnte mich keine Schrift trösten... darbei dann... der Teufel... mir oft heidnische Gedanken einbleuete, derer ich allhie verschweigen will“.

რომანო გუარდინი კი შემტევია. ღმერთს ებრძვის იაკობივით. ის ბედავს და ამხელს აზრს კაცობრიობის იმ ღვთისმოსავი, მაგრამ კოგნიტიური ნაწილისა, რომელსაც მოსწყინდა ამდენი თვითგაბეჩავება, საკუთარი თავის გაარარავება ღვთის წინაშე, ამ დიხოტომიური სპეკულაციის ხარჯზე, — „შენ ხარ ყველაფერი, მე — არარა“, — სიარული. არა დიდი რევოლუცია, „პუტჩი“, რომელიც პირველმა ანგელოზმა მოაწყო, არამედ მცირედი ამბოხი — რევოლტე, ნაცვლად გაყინული, ვითომდაც ღრმა მორჩილებისა (უყვარს ღმერთს).

რომანო გუარდინი, რომელსაც, ვფიქრობთ, ისე ვით ბოემეს, წარდგინება არად სჭირდება,ონაერობს! მან სიკვდილის თუ ახალი სიცოცხლის წინ იონაერა და კითხვას, რომელიც მას მთელი ცხოვრების გზაზე სტანჯავდა, სხვა მხრივაც შეხედა. „საჯილდაო ქვა“ თეოდოციისა, რომლის ადგილიდან დაძვრა იშვიათად თუ შეეძლო ვინმეს, მან ასნია და მეორე გვერდზე გადააბრუნა (ზოგნი ოდენ არყევდნენ, სხვანი სულაც ვერ ეკარებოდნენ სიახლოვეს, და თავზე ხელაღებულნი კი თეოდოციის უძრავ ქვას აფეთქებით ემუქრებოდნენ).

მომაკვდავ რომანო გუარდინის უთქვამს, რომ Er werde sich im letzten Gericht nicht nur fragen lassen, sondern auch selber fragen; er hoffe in Zuversicht, dass ihm dann der Engel die wahre Antwort nicht versagen werde auf die Frage, die ihm kein Buch, auch die Schrift selber nicht, die ihm kein Dogma und kein Lehramt, die ihm keine „Theodizee“ und Theologie, auch die eigene nicht, habe beantworten können: Warum Gott, zum Heil die fürchterlichen Umwege, das Leid der Unschuldigen, die Schuld?

და ბოლოს, დაპირებისამებრ, თეოდიცეა, იაკობ ბოემე და რომანო გუარდინი — ერთი სიტყვით: მაღალი ძაბვაა, არის ექსპრესია!

(ფრთხილად!!!)

ამიტომაც ვტოვებთ რომანო გუარდინის განცდას უთარგმნელს. ამ განცდაში დაფარული ღმერთია. სჯობია, ვისაც ძალა არ შესწევს, ღმერთს და თეოდიციის პრობლემას არ შეეჭიდოს. „ღმერთი ღვინოა, ადამიანი — რძე“, თქვა ერთხელ ძალზე უბრალოდ და მრავლისმეტყველად ანგელუს სილეზიუსმა. ღვინის დანურვას ანუ „თარგმნას“ რომანო გუარდინისა ღონე სჭირდება; არ უნდა მოხსნა ჯინიან სურას თავი, თუ იმ ჯინის დასამორჩილებელი სიტყვა არ იცი. (ის) სიტყვა ყველაფერია. და (იმ) სიტყვას ასე იოლად ვერ იპოვი. როგორც ერთ ქართულ, და არა მხოლოდ ქართულ ზღაპარშია, ყველა კარის შეღების უფლება გაქვს, გარდა ერთისა. იმ ერთის მიღმა დევია დამწყვდეული. „დევი“ ძველსპარსულად „სხივოსანს“, ღმერთს ნიშნავს. ახალ რელიგიაში ძველი რელიგიის ღმერთები ზოგჯერ და მეტწილად ახალი ღმერთების აჩრდილებად იქცევიან ანუ ბოროტი ძალების ვაკანტურ ადგილებს იკავებენ. ახალ აზროვნებაში ძველი სახეები იქცევიან გამომწყვდეულ დევებად.

და თუ მაინც გაბედავ და შეაღებ იმ კარს, ესაც შენი ნებაა!

მაის-ივნისი, 2003, თუბინგენი

## სული და ბუნებისმეტყველება ანუ "ლჰალჰ"

ერთხელ მზისავარ თურმანაულმა მიამბო, თუ როგორ დაეძებდა პატარაობისას ეზოს კუთხე-კუნჭულებში ციდან ჩამოცვნილ ვარსკვლავებს. ეს მისთვის მამამისს უსწავლებია, კაი ყმად წოდებულ გიორგი თურმანაულს — ფშავის ხევის მიწიერ ღმერთს. ბავშვის აღზრდის ასეთი მეთოდი მომეწონა და გადმოვიღე, ამიტომაც ჩემი შვილები დილაუთენია, ადგებოდნენ თუ არა, მაშინვე ჩვენი ვრცელი ეზოს ნაპირებს შემოურბენდნენ. კარგა ხანს გაგრძელდა ძებნა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს "ბუნების კარი" მათ ბუნების კარს არ დაუხშობდა. ერთხელაც, სკოლიდან რომ მოვიდნენ, მამიკოს ტყუილის მათ უკვე აღარ სჯეროდათ: "ვარსკვლავები თურმე დიდები ყოფილან!"

მაგრამ საკითხავია, ვინ უფრო ტყუის: ჩვენ, ბუნებისმეტყველება თუ სამყაროს ქაოსი?

ვარსკვლავი რაღაც ზღვრულია, ის ჩანს, მაგრამ მიუწვდომლად შორსაა, ერთდროულად შიგნითაცაა და გარეთაც, ამიტომაც თუ ჩამოვარდება, უსათუოდ ეზოს პირას უნდა დაებერტყოს, ორი სამყაროს — შინაგანის და გარეგანის მიჯნაზე. ისეც მომხდარა, რომ გავარვარებული კომეტის ნატეხი ვილაცას მართლაც ჩამოჰვარდნია ეზოში; კომეტაც ხომ ვარსკვლავია, მოჰქრის უსასრულობიდან, გზაზე ცვდება და დნება და პატარა, ხელისგულისოდენალა აღწევს ჩვენი ეზოს ნაპირამდე.

მნათობების გონიერ არსებებად დასახვა არახალია და ძველ ქრისტიან მწერალ ორიგენესგანაც (III ს. ) გაზიარებული. ძველი გამოცემა Brockhaus გვაუწყებს, თითქოსდა ორიგენეს ეთქვას, ვისაც მნათობთა გონიერების არ სჯერა, ის უგუნურების მწვერვალებს იპყრობსო.

მნათობები, რომელნიც არ ჩანან, ე. ი. ისე შორს არიან, რომ მათ

სინათლეს ჩვენამდე ჯერ ვერ მოუღწევია, ჩვენი სულის გამოუცნობი ზრახვებია. არავითარი განსხვავება გარეგანსა და შინაგან სამყაროებს შორის არ არსებობს. არც ღმერთსა და ადამიანს შორის. მისტიკოსები ღმერთს ასე განიცდიდნენ: "მე ვარ ღმერთი". ეს განცდა შიგნიდან მოდის და აბსოლუტურად ნამდვილია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები — უსათუოდ წინააღმდეგ-მული ნაბიჯები, "ადამიანური შემეცნების ზღვის ახალ-ახალი კუნძულებია" (კ. პოპპერი). მეცნიერება ლოგიკურად აზროვნებს ("ვარსკვლავი დიდია და ეზოში ვერ ჩამოვარდება") და ლოგიკის წესებსაც თვითონ იდგენს. მაგრამ რაა ლოგიკური აზროვნება? თუ არქაული ცნობიერების კაცი იტყვის: "ჩვენი ტომის ბელადი სამყარას თესლისგანაა წარმოშობილი", ანდა პირიქით, ნიშნავს ეს, რომ მას ლოგიკური აზროვნების უნარი არ შესწევს? ის ამბობს: ბუნება, თავის ადამიანიანად ერთი მთლიანობაა, ბუნების ნაწილთა შორის სიმპათეტური დამოკიდებულებაა, ხევი მთას ჰმონებს, მთა ხევსა, და ჩვენი ტომის ბელადი კი, რადგანაც ბელადია, ყველას მონაა, თვით სამყურასიცო, უსამყუროდ სამყარო ვერ ისამყაროებს ანუ ის ის აღარ იქნებაო, რაცაა. არქაულმა ადამიანმა აზროვნების ასეთი წესი მემკვიდრეობით მიიღო, ესაა მისი მემკვიდრეობითი კულტურა, ტრადიცია, ასე ვთქვათ, "კაბალა". "თავის რწმენა-წარმოდგენათა სისტემის ფარგლებში იგი სავსებით გონივრულად აზროვნებს" (E. E. Evans-Pritchard). თუ არქაული ჩვილი ე. წ. ცივილიზებულ სამყაროში გაიზრდება, მაშინ ის მაგიურად და არქაულად კი აღარ იაზროვნებს, არამედ, ჩვენი გაგებით, ჩვეულებრივ.

სულელური კითხვაა: ჩვენი სჯობია თუ არქაული, პრინციპულად მაგიური აზროვნება? არსებობს ასეთი გამოთქმაც: "მისტიციზმის მაგია". ცნობილი ანთროპოლოგი და ეთნოლოგი J. Fraser აღნიშნავს: "არქაულ ადამიანს ადამიანური ფიქრის ყოვლისშემძლეობის

სჯერა". ნუთუ იგი სცდება? ჩვენ ვგულისხმობთ არა ფრეზერს, არამედ არქაულ ძე კაცისას.

\* \* \*

ერთი დანიელი ენათმეცნიერი (Jespersen) აღწერს ძალიან საინტერესო შემთხვევას: ვინმე ყრუ-მუნჯის ხელში, სრული იზოლაციის პირობებში იზრდებოდა ორი ბავშვი, დაახლოებით ექვსი წლის ასაკამდე. ეს ორი საოცრება მოგვიანებით როგორღაც აღმოაჩინეს, საბავშვო ბაღში მიიყვანეს და მათ დანიურის სწავლება დაუწყეს. როგორც აღმოჩნდა, ბავშვებს ამ დროისათვის, ესე იგი ექვსი წლის ასაკამდე უკვე შეუქმნიათ საკუთარი ენა, მათ ჰქონდათ ისეთი ბგერებიც, რომელიც საერთოდ არაა დანიურში; სრულიად სხვაგვარი და უცნაური გრამატიკა, სიტყვათა წყობა, მაგალითად, მრავალგზისი უარყოფა წინადადებაში, როგორც ე. წ. ბანტუენებშია. მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია, რაღაც ელემენტების მათი ენიდან "მოგლეჯა" შესძლო ენათმეცნიერმა, მაგრამ დიდი ნაწილი ენისა დაიკარგა. ბავშვებს შეეძლოთ მხოლოდ ერთმანეთთან საუბარი; ახალ ენას, რასაკვირველია, ახალი აზროვნების წესი და მსოფლმხედველობაც ახლავს თან. იმ ორმა ბავშვმა შეიმუშავა მაგალითად, აბსტრაქტული ცნება "ლჰალჰ", რაც ერთსა და იმავე დროს ნიშნავდა წყალსაც, მდინარესაც, სველსაც.

Jespersen სამწუხაროდ იმ ბავშვების რელიგიური წარმოდგენებით არ დაინტერესებულა; რანაირი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს ღმერთზე ადამიანს, რომელიც არც ერთ კულტურაში არ გაზრდილა? ალბათ ბუნებაზე დაკვირვებით და მასთან ურთიერთობის ნიადაგზე უნდა გაჩნდეს რაღაც წარმოდგენა, რომელიც თვითდაკვირვებასთანაც შეჯერდება.

ძველთაგანვე განსჯის თემაა "რელიგიურ წარმოდგენათა კულტურული დეტერმინაცია". ცნობილია ქსენოფანეს (VI ს. ქ-მდე) ძიებანი ამ მიმართებით: "ეთიოპიელები მათ ღმერთებს ცხვირგაბუშ-



ტულსა და შავტუხას ხატავენ და სახავენ, თრაკიელები კი — ცისფერთვალეობათ და უღალთმიანებს", ყველა ისეთს, როგორიც თვითონაა, " ლომთა და ხართა და რაშთაც რომ ხატვა შეეძლოთ", უქსენოფანოდაც გასაგებია რანაირ ღმერთებსაც დახატავდნენ ისინი. რასაკვირველია, ყველა რელიგიისათვის ეს სადაოა (რელიგია რომ კულტურის, ტრადიციის, კლიმატური გარემოცვის და მსგავსთა ნაწილია). ყოველი რელიგია, თვით ე. ნ. არაგამოცხადებითიც, "გამოცხადებაა". განიცდის გამოცხადებაც კულტურულ, ეთნოსურ ზეგავლენას? თუმცაღა მრავალი საერთო ნიშანი შეიძლება აღმოვაჩინოთ ესაიას, ეზეკიელის, იოანეს გამოცხადებასა და მუჰამედის გამოცხადება-ზეცაში მოგზაურობებს შორის, მაგრამ ამ გამოცხადებებში, მიუხედავად მათი საერთო, აბრაჰამული ფესვებისა, კულტურულ-ეთნოსური მიჯნები ურყევად გვახსენებენ თავს. გამოცხადება არაა ერთსახოვანი ფენომენი. "ხარს რომ ღმერთი გამოეცხადოს" — იტყოდა ქსენოფანე, ის რომ მონოთეისტური რელიგიების ზეობის ჩვენს დროს მოსწრებოდა.

რანაირი შეიძლება იყოს "ღმერთი" კულტურის მიღმა, უშუალოდ, ე. ი. რანაირი შეიძლება იყოს ღმერთზე კულტურულად არაინფიცირებული, პიტალო წარმოდგენა, არქეტიპი?

ვენდოთ საკუთარ გამოცდილებას? მაშინ ვიტყვით: "უზარმაზარი ფრინველი". საიდან გაჩნდა ეს სახე? იმ ორი პატარა დანიელის არ იყოს, აქაც ფიქრის მოქმედება (შედარებითი) იზოლაციის პირობებში, მთის ერთ დაცარიელებულ სოფელში ხდება. რამდენადაც მებსიერება გვეუბნება, "უზარმაზარი ფრინველი" იყო ფიქრი-პასუხი დედის სიტყვაზე: "ღმერთმა დაგვიფაროს!" "ღმერთმა დაგვიფაროს" მოჰყვა ბავშვურ კითხვას: "ახლაც რო მოვიდეს წარღვნა?!" რატომღაც დედა და მისი პატარა, ალბათ ხუთი წლის ყრმა ბუნებრივი კატასტროფების შესახებ საუბრობენ. შესაძლებე-

ლია საუბარი იყო არა მხოლოდ წარღვნაზე, არამედ მინისძვრაზე და ვულკანზე, რომელსაც თითქოს ხევსურეთში უნდა ამოეხეთქა და ჩვენამდეც მოეღწია. თუმცაღა, "ვულკანი" და "მინისძვრა" უფრო გვიანდელი თემები სჩანს, რადგანაც ისინი დღესაც მეხსიერების ზედაპირზე ტივტივებენ. მაშ, საუბრის რეკონსტრუქცია ასეთი იქნება:

დედა — "წარღვნა რომ მოსულა" და მსგ.

ყრმა — "კიდევ რომ მოვიდეს?"

დედა — "ღმერთმა დაგვიფაროს!" —

და ამ დროს (ბავშვის ცნობიერებაში) უცებ მოდის, ზევიდან ჩამოფრინდება უზარმაზარი ფრინველი, რომელსაც ნისკარტი კავკასიონის მთებზე უდევს, ბოლოთი კი თვალსაწიერს სცდება. ფრთებით იგი მთელ სამყაროს, ე. ი. მთელ ხილვად ხეობას დაიფარავს და სულ ბოლოს იგი დედასა და შვილსაც, თითქმის ალპურ ზონაში, ყველაზე ზემოთ მცხოვრებთ, თავისი დიდზე დიდი ფრთის ქვეშ შეიფარებს; ფრთხილად შეიძვრენს, ისევე, როგორც შინაური ფრინველი ჯერაც გარეთ დარჩენილ ორ საცოდავად მონიწინე წინილას. შესაძლებელია ეს ხატება ბუნებაზე, შინაურ ფრინველზე დაკვირვებითაც შეიქმნა, ვინაიდან ეს ორი სახეობა დღესაც როგორღაც გვერდისგვერდაა. — განუშორებელი ორმაგი წარმოდგენა: უცებ უზარმაზარი ფრინველი ჰფარავს ყველაფერს და ორი პატარა წინილაც თავიანთ დედას ფრთის ქვეშ უძვრება.

ახლა დავსვათ ასეთი კითხვა: რა უფრო არსებითია "იმ ყრმისათვის", იუდაურ-ქრისტიანული წარმოდგენები, — თუნდაც ისინი სინამდვილის წარმოდგენები იყოს, — თუ ის პირველი, ბუნებრივი, "მეური"? შეიძლებოდა არწივის სიმბოლიკაც მოგვეხმო და ბუნებრივ-მეური წარმოდგენა ზოგადკულტურულთან გაგვეზავებინა, მაგრამ სხვაა სიმბოლიკა და სხვაა ცოცხალი წარმოდგენა, რო-

მელიც სინამდვილეზე მეტია.

\* \* \*

კულტურულ დეტერმინაციას კარგად ასხივოსნებს შეშლილთა აზროვნებაც; ერთი უბრალო ფაქტი, რომელიც საპატრიარქოს მაშინდელმა მდივანმა ადამმა მიაგმო. მღვდელ ადამს შემოეჩვია ვინმე გიორგი, რომელიც აღმოჩნდა "წმინდა გიორგი". "წმინდა გიორგი" ადამისაგან ითხოვდა რელიგიურ ნივთებსა და ლიტურატურას, მაგალითად, ჯვრებს, ხატებს, საეკლესიო კალენდრებს, და მსგავსთ. ადამი თავიდან, რამდენჯერმე გულმონყალედ მოეკიდა "წმინდა გიორგის" თხოვნებს, მაგრამ ბოლოს, "წმინდა გიორგიმ" რომ თავისი გამუდმებული ვიზიტებითა და თხოვნებით ლამის დაახრჩო, ათლეთური აღნაგობის ადამს უცებ მოთმინების ფიალა აევსო და წამოუფრინდა: "შენ თუ წმინდა გიორგი ხარ, მე მიქაელ მთავარანგელოზი ვარ, ახლავე მოუსევი აქედან, თორემ ნახავ შენს სეირებსო!" ასე დაიფრინა ადამმა წმინდა გიორგი. მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით შევიტყვეთ, რომ მოსკოვის საპატრიარქოშიც დადენილა ვინმე "წმინდა ნიკოლოზი". როგორც ცნობილია, რუსეთში წმინდა ნიკოლოზის კულტი დომინირებს, ჩვენთან — წმინდა გიორგისა. ვატიკანის სამდივნოში წმინდა ფრანცისკ ასიზელი დაედინება. ფაქტობრივად ვერ დავამტკიცებთ, მაგრამ გვჯერა, რომ რელიგიური შეშლილი, რომელიც აზერბაიჯანის, ან სრულიად ირანის იმამატში შეაღწევს, წმინდა გიორგი არ იქნება, იქნება მაგალითად, "მაჰდი" — შიიტური ისლამის ცენტრალური ფიგურა, დაფარული იმამი. საიმამატოს მდივანი მოლა N მაჰდის მანამ ვერ მოიშორებს თავიდან, სანამ იგი მოთმინებადაკარგული უცებ არ წამოუხტება მას და დასცეცხლავს: "შენ თუ მაჰდი ხარ, მე კიდევ ალი ვარ (ე. ი. მუჰამედის სიძე), აქედან დამეკარგე სანამ ლამაზი ხარო!"

## ზოგადი დასკვნა

როგორც ჯანმრთელი, ასევე ავადმყოფური წარმოდგენა რელიგიის სფეროში, კულტურულად დასაზღვრული მოვლენაა.

უსაზღვროა მხოლოდ ნყურვილი უსაზღვროებისა, ძიება სულისა, რასაც ვერანაირი კულტურული ტრადიცია, — იქნება ეს მაგია, მეცნიერება-ბუნებისმეტყველება თუ რელიგია, ეს "წმინდა ავადმყოფობა", — ვერასოდეს დააოკებს.

### 06. 06. 2003 თუბინგენი

#### ამ ესსეის პატარა შვილი ანუ უცნაური ჭიამაია

ფაჯრიდან უცნაურად მოლევფრო ერთი ციციქნა ჭიამაია შემოფრინდა და სანერ მაგიდაზე დამისკუპდა, სწორედ "სულისა და ბუნებისმეტყველების" გადაწერისას; ისეთი პატარაა, ჩვეულებრივი ჭიამაიის ნახევრის ნახევარი თუ იქნება! ცოტალა დაუკლდა ფურცლამდე. ფურცლის კუთხით ფრთხილად ვცდილობ მის თავისუფლებაში დაბრუნებას, ის კი თავს იმკვდარუნებს. თავის მომკვდარუნება სიცოცხლის მხევალია, ზოგადად და ზოგჯერ თავს ვერ გადაირჩენს სულიერი არსება ანუ ბუნების შვილი, თუ თავი არ მოიმკვდარუნა. ადამიანთა სოციალურმა ცხოვრებამაც კარგა ხანია შეითვისა ეს ჭეშმარიტება. სიკვდილი რომ არ იყოს, არც თავის მომკვდარუნების ტექნიკა იარსებებდა. ნუთუ სიკვდილი სიცოცხლის გადარჩენისათვის არსებობს, მხოლოდ იმიტომ, თავის მომკვდარუნება რომ გვასწავლოს?

ახლა ეს ჭიამაია მეორედ აქვე შემომიფრინდა, არ მშორდება, მაგიდაზე წრე შემოფუხაზე, არ გადალახო, იქნებ ვერ დაგინახო და ხელში შემომესრისოო. ამის გამგონემ ერთი კი ააცმაცუნა თავისი უციციქნესი ულვაშები, მაგრამ მაინც არ დამიჯერა, წრე გადალახა და რვეულის ქვეშ შეიმალა. ამ რვეულში მასზედ ვწერ, ის კი წერას აუტანია აი, ვიპოვე, ჯერჯერობით უწებლადაა; გარეთ საშინლად

ქუხს და დელგმა წვიმას აპირებს. ეტყობა ეს ეული ჭიამაია ბუნე-  
ბრივ კატასტროფას, წარღვნას ჩემი რვეულის ფრთის ქვეშ ემალება.

08. 06. 2003 თუბინგენი

## ს ი ე რ თ ე

სალამოს დანთებულმა ცეცხლმა წუხელ გამომალვიდა და ყურში  
ჩამჩურჩულა: "სიყვარული" უნდა შეიცვალოს, რალაც სხვა უნდა  
აღმოჩნდეს და გამოგონილ იქნას

"აჰა, მე ფრთხილად ჩამოუშვებ ამ სიტყვას და სიტყვათა წყე-  
ბას, შუბლზე დაგენვეთება წვიმის წვეთივით და გამოგაფხიზლებს,  
სიტყვაც იქაური იქნება, სადაც მსხემობ: Erwartung. — Jch erwarte die  
Auferstehung der Toten... ეს ანუ "მოლოდება" გულ-გონებაში აგორდა  
და "სიერთეში" გადაიზარდა. გადააზრება სიტყვისა მისი განაზრება  
ანუ აზრისაგან დაცლაცაა.

ახალი რამ პლატონის შემდეგ ვერავინ აღმოაჩინა და ჩვენც ვერ  
აღმოვაჩინთ. Wittgenstein გადინადირა ცოტა რამ ახალი, რადგან  
სულ იმას ცდილობდა, ახალი რამ არ აღმოეჩინა, მისი ფილოსოფია  
პრინციპული თავის არიდებაა ახლებურობისაგან და ამითაა იგი  
ახალი

ჩვენ კი მცირეთ, დაგვრჩა მხოლოდ "სიერთე". "სიერთე" ანუ "მე  
მიერთხარ შენ" ნაცვლად "მე-შენ-მიყვარხარ"-ისა; უფრო პოე-  
ტურად იქნება: "მე მიერთ შენ!". "ჩვენ ერთმანეთი გვიერთს!" "ეკას  
უერთს მალხაზი" და ა. შ.

იდეა ერთსულ-ერთხორცობისა კაცობრიობამ ვერ გაიგო და სი-  
ყვარულმა ჩანისლა, გარკვეულნილად ჩანისლა კიდევაც ყვე-  
ლაფერი. — თეორიითაც, "ტრისტან — იზოლდებით", და პრაქტი-  
კითაც: ცოლ-ქმრობით.

სიერთე დარჩა ობლად და მოლოდებაში ჰპოვა თავშესაფარი. ეს  
რელიგიური იდეაა. იდეათა იდეა: — "მოველი აღდგომასა

მკედრეთით". შენ თუ მე გიერთ, მაშინ ჩემგან მოელი, რომ მე შენ ახალ სამყაროს გაგიხსნი, მე შენ აღგადგენ, ამ ხილული ქვეყნიერების დასაზღვრულობიდან უსაზღვროებაში გაგიტაცებ. ჩვენ ერთმანეთის ტოლნი ვართ. "ტოლი" და არა "ცალი" გადმოსცემს შინა-არსს მოვლენისას. გველს, ამ ბრძენ არსებას ჰყავს ტოლი. ნუმინოზური ძრძნოლით ეტყვიან ხოლმე გველის მკველს: "არ მოჰკლა ბიჭო, ტოლი ეყოლება!"

ჩვენი შეტოლება, ერთსულება, სიერთე გამოსცემს ჰარმონიას, რომელიც ახალი სამყაროა, ყოველშემთხვევაში, ჭვრეტა, კარია ახალი სამყაროსკენ.

რელიგიური თავშესაფარი სიერთისა იყო მოლოდება, ეთნოსური კი — სწორფრობის ჩვეულება. სწორფრობის ანუ ტოლფრობის.

სიერთე დაფარულის შემეცნებაა სიყვარულის გზით, "გაყვანა" ანუ ინიციაცია.

"სიერთე" ახლა თავისუფალია.

"აჰა, მე ფრთხილად ჩამოვუშვებ ამ სიტყვას იდეათა სამყაროდან, წვიმის წვეთივით დაგეცემა შუბლზე და გამოგაფხიზლებს".

11. 06. 2003, თუბინგენი

## საქორწინება რა არის?

(მცირე არაბესკა)

საცოდავი, შეციებული ქიამაია ფოთოლზე ამოცოცებას ცდილობდა, რათა მზეზე გამთბარიყო.

ცდილობდა ამოდ.

მისი საცოდაობის შემყურე სამყაროს სული შეუგუბდა.

ბოლოს როგორც იქნა დასძლია პატარამ ფოთლის კიდე და ზურგი მზეს მიუფიცხა.

გათბა,

პატარა ფრთები გაშალა, ისევ დაკეცა, თითქოს მკლავნი გაიმამაცურნაო; შეამონმა "ფორმაში" თუ იყო.

სამყარომ შვეებით ამოისუნთქა.

\* \* \*

პირველად ნოვალისის სულმა ამოიძახა: ჩვენშიცაა ერთი რამ გარესამყარო, რომელიც ჩვენს შინაგან სამყაროსთან ისეთსავე კავშირშია, როგორც გარესამყარო თვით ამასთან, ე. ი. ამ ჩვენულ გარესამყაროსთან.

ნოვალისმა სულის სულს მიაგნო! ნოვალისის ამ ამო-ლაღადებამ დააყრუა გარესამყარო, ჭკუაზე შეშალა, შეაშფოთა. ნოვალისის ხმამ გულის გული გაისრა და გონების გონებას უნია.

და დღემდე სულს, გულსა და გონებას მარადიულ, მბრუნავ ექოდ მიმოეფინება.

მაგრამ ნოვალისის ხმამ ვერ იპოვა ერთ სულში მგებრი.

ცეცხლს ჩაუდნია ერთმანეთში იმ სულის შინა და გარე სული.

\* \* \*

ცხოველთა მზერა: აპათეა.

ცხადი: ლომმა თვალი თვალში გამიყარა. ორი მუქი მზე. მოღლილი, მწყვედე ლომის მზის ძალა.

დაიბინავე, დადეგ ჩემს არსებაში, ლომო! ჩემი დაფლეთვა გამარჯვება არ იქნება!

სიზმარი: ხიდი არაგვის წყალზე. ამოინია დიდმა გველმა წყლიდან, გამისწორდა, დამიპირდაპირდა, სახე სახის, თვალები თვალების პირისპირ.

ჭრულა, მზისოდენა თვალების და მზერა: Awe.

\* \* \*

"სულის" ცნება პლატონმა მაიგონა. "მაიგონაო": — ცოტა გადაჭარბებაა მაგრამ ხომ გამოკვერა, გამოწიკა, გააფხავა, და ცელად დააჭერინა სიკვდილს. მას შერეა: მიდის სიკვდილი და

მისტიზმს კაცობრიობას, ანყობს საფლავში ჩალაღულთა ნაბთევებს. დროდადრო შაისვენებს, ცელს ანკეპინებს მისტიკოსებს, იდეალისტ ფილოსოფოსებს, საიქიოსმოსავთ...

არქაულ, ე. ნ. ბუნებისმიერ მოდგმათ ადამიანის ორგანზომილებიანობა, ეს დიხოტომიური სამსარა არ ესმით. ცნება "სული" მათთვის უცნობია. ადამიანი განუყოფელი ერთია. რა სული, რის სხეული, რის დაცალცალკეება; რა გაორება; ცოცხლობს ადამიანი? — ადამიანია; კვდება? — ადამიანია. "საორო რა არი?"

გულს თავის საგულე აქვს. ამოვარდება, ეტყვიან: "გულო, ჩადეგ საგულესა!" სულს კი თავისი კერძო ორგანო — სასულე არ გააჩნია. "სულო ჩადეგ სასულესა!"(?). სული დინამიკასთან, სუნთქვასთანაა კავშირში. ამან გააორა როგორც ჩანს ადამიანის არსება.

"კარ-მიდამო მარტო ჩემ უმცროს ძმისად ემეტება დედაჩემს, ამბობს: "აქ საორო რა არიო?!" — შემომჩივლა ერთხელ ერთმა დედაზედ დამდურებულმა ფშავის მგზავრმა.

"საორო რა არი?!" — ამბობს დედა-ბუნება. არქაულსა და მარტივად მოაზროვნეს ესმის დედა-ბუნების ეს განაჩენი, ჩვენ კი — აღარა. იქნებ დედა-ბუნება არ სტყუის?! მოდით, გავაერთიანოთ სულეთი და სხეულეთი. აღარ გვინდა ეს გაორებანი: საიქიო~~ს~~ააქაო; სული~~ს~~სხეული; ეს ორებულნი უბედურებანი. საორო რა არი, იყოს ერთი სამყარო. რა დავარქვათ? გულეთი.

20.06.2003

## მონაირი ძრისტინაობა

რელიგიის კრიტიკოსები (ფრანგი ჰუმანისტები, ფოიერბახი, ნიცშე, ფსიქონალიტიკოსები ფროიდის წინამძღვრობით) ასკეტიზმს, "სხეულის დატერორებას" შურობენ განსაკუთრებით. სხვა არაფერიაო თუ არა ძალაუფლების ჟინის პერვერტაცია, ე. ი. გაუკულმართება. ცოტა შორს რომ გაეხედა მაგალითად, ნიცშეს, —



რომელიც ქრისტიანობას სხეულის "მძორად" გადაქცევას უკი-  
ჟინებს, — და როგორღაც ჩვენი ჯანღონიანი, სიყვარულითა და  
ტკბობით გაჟღენთილი იერარქებისთვისაც მოეკრა თვალი, მაშინ ის  
ქრისტიანობის დაუოკებელ მებოტბედ გადაიქცეოდა; რად ღირს  
თუნდაც უჯარმელი ჭყონდიდელისა და ულუ დავითის ცოლის —  
დედოფალ ესუქანის რომანი...

ნიშანდობლივია: რელიგიის მოყვედრალთ, რომელნიც რე-  
ლიგიას მხოლოდ დასაველური ქრისტიანობის, უპირატესად კი პუ-  
რიტანული პროტესტანტიზმის სახით იცნობდნენ, რელიგიაზე ერთობ  
სტატიკური წარმოდგენა აქვთ; თითქოსდა რელიგია რაღაც ერთ-  
ფეროვანი, უძრავი, ურყევი და გაშეშებული ენთიტეტი იყოს. ალ-  
ბათ საკრიტიკებელი რამ ჯერ ერთად უნდა შეჰკრა, შეაზოგადო,  
მრავალფეროვნება და სიცოცხლე წაართვა, მერე კი მისდგე!

სულსა და სხეულს — ამ დიხოტომიურ სამსარას ვერაფერს  
მოუხერხებ კაცი, ისინი ან უნდა გაანონასწორო ან ერთსხვა უნდა  
დააჩაგვრინო, სხვანაირად ვერ იმსჯელებ, ე. ი. სჯულსა და რე-  
ლიგიას ვერ ააგებ, ვერც იფილოსოფოსებ. რელიგია და ფილოსოფია  
ხომ ერთი და იგივეა (ჰეგელს ასე ჰგონია, ყოველშემთხვევაში).  
გარნა არსებობენ გამონაკლისები, გადახვევები, ბნელი შესახ-  
ვევები, ხორციელი ნუგეში, ღვინონი და ესუქანანი. მადლობა  
ღმერთს.

სულის აბსოლუტური ზეობა კარგადაა "ბალავარიანში" მანი-  
ფესტირებული. "ბალავარიანის" ცნობილ კიდობნებს აქ თავს არ  
ავხდით, მხოლოდ ბალავარს გავაშიშვლებთ:

"და იყო ყოველი გუამი მისი გამხმარ და დამჭნარ, და ტყავი  
ოდენ გარდართხმულ ძუალთა ზედა. ყოველი ასოი აღირაცხოდა".

იოანე მინჩხისეულ თეოდოსის სადიდებელში სულის აბსოლუ-  
ტურობა მინავლებულია, "ხორცის ტერორი" ნელდება:

"აეროვენებაჲ პირისა შენისაჲ  
და სიმჭლე გუამისაჲ  
ნამებდა სულიერთა  
სიმხნით შრომათა შენთა, თევდოსი  
ხოლო სიმდაბლით ქცევაჲ შენი  
უბინოვებასა შინაგანისა გონებისასა!"

გრიგოლ ხანძთელი კი ისევ ანტიკურ იდეალთან გვაბრუნებს, მშვენიერ სხეულში მშვენიერი სულია:

"ხოლო იყო ხილვითა დიდ, / ხორციითა თხელ, / ჰასაკითა სრულ, / ყოვლად კეთილ, / სრულიად გუამითა მრთელ / და სულითა უბინო".

ესაა ქრისტიანობა, და შესაბამისად, რელიგია მოძრაობაში, სულისა და სხეულის მტერმოყვარეობა, მათი დინამიკური კოექსისტენცია. ილიას უნივერსალური გამოთქმა, — "არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა", — აქაც თავის ძალაშია: არც უსულობა ვარგა და არც სულის უზომო გალაღება; არც უესუქანობა ვარგა და არც მარტო "ესუქანთა" დევნა და ა. შ. რა ქნას ჯანმრთელმა ეპისკოპოსმა, რომლის ვიტალური ძალმოსილებაც თორა-ბორას ციხესავით აუღებელი აღმოჩნდა მარხვალოცვათათვის?! თუ იასკეტებს, ჰუმანისტები ჰკბენენ: მძორში სულს ახრჩობსო! თუ იჭყონდიდელებს, მორალისტები ჰყვედრიან: ავხორციაო, "ფრიად აზრზენს ეშმაკი ტრფიალებისა". იტყვი: იზომიეროს, ნურც სულის გალაღებას გადაჰყვება და ხორციც მოთოკოს, ზომიერად მსუქანი ესუქნისაკენ თვალი ნუ გაურბისო! ზომიერება მართლაც დიდი გონებამახვილობაა, სანელთბილო ნაცარქექიათათვის, რომელთაც არც სულის ვნების ნიჭი მომადლებიათ, არც ხორცისა. გარდარეული ასკეტები და მესუქანენი ანუ მექალთანენი რომ არ იყვნენ, როგორღა დავადგენდით სანყაოს, ზომას ზომიერი ღვთისმოსაობისას?

ეჰ, რა გვეესუქანება, ისაც კი ვერ გაგვირკვევია, რად ესმით

რელიგიის კრიტიკოსებს რელიგია ასე ერფერონად, მოსანყენად, ცალსახად, უძრავად, უსიცოცხლოდ? ზუსტად ისევე, რელიგიურ ფანატიკოსს!

ვივარაუდოთ:

აზრზენს მათ ეშმაკი ანტირელიგიურობისა;

რელიგიაში ისინი ხედავენ მხოლოდ რელიგიას, უადამიანოდ;

მათს გარემომცველ რელიგიას თავი არ უჩანდა ფარისევლობისა და სიცრუის ზღვაში;

ასე სურთ სხვადასხვა მიზეზთა გამო: აღზრდა, განსწავლა, ინტენციები;

მათ შურთ რელიგიის ანუ ხელმოცარული თეოლოგები არიან — მელა ვერ შესწვდა ყურძენს;

გულწრფელი არიან: ადამიანური ცნობიერების განწმენდა სურთ მცდარი წარმოდგენებისაგან, რელიგიის ვენახისაკენ მოჩქრიალე უკვდავების რუს მეცნიერების ხეხილის ბაღში გადაგდებას ესწრაფვიან. — ვენახის დრო წავიდა, "შემოსავალს" აღარ იძლევა;

ისინი გაუმხელელი რელიგიური ფანატიკოსები არიან; რელიგიის კრიტიკა მხოლოდ თავდაცვაა, თავის მოტყუება;

შესაძლებელია რამდენიმე რამ ამ სულიერ მდგომარეობათაგან, ჩვენ რომ ვვარაუდობთ, ერთად სჭირდეთ მათ ან მეტ-ნაკლებად ყველაფერი ანდა სულ სხვა რალაცაშია საქმეი.

ასეა თუ ისეა, ერთი რამ ცხადია: რელიგიის კრიტიკოსებს ისევე ცალსახად ესმით რელიგია — ქრისტიანობა, როგორც ამ უკანასკნელმა თავის დროზე ანტიკური აზროვნება გაიგო. ამიტომ რელიგიის კრიტიკა წმინდა წყლის ქრისტიანული საქციელია.

რელიგიის ორგანიზმიც ცოცხალია, ესუქანისასავით: ტფილი, მრავალფეროვანი, მრავალნაწილელი. სული რელიგიისა გამოცხადებაა. სხეული — მინიერი განზომილებანი, ინსტიტუტნი, წეს-

განგებანი, იერარქიანი, მიმოქცევანი, მიმორხევანი, წელთა მიმოტანანი. დიახ, რხევანი და წელთა მიმოტანანი არა მხოლოდ დედოფალთ ანათ და ესუქანათ ახასიათებთ.

12. 06. 2003. თუბინგენი

## საო ანუ ყველაფერი, "მყარს" ბარდა

უნდა ითქვას, რომ 2066 წელს, როდესაც საქართველოში მართლმადიდებლური ტირანია დამყარდა, რასაც ადგილობრივ "ლეთიური სახელმწიფო" ეწოდებოდა, განსაკუთრებულად ამით საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, არ მომხდარა მაგალითად, ენის ინსტრუმენტალიზაცია და დიქტატორულ იარაღად გამოყენება, როგორც George Orwell-ის ცნობილ რომანშია.

ერთადერთი, რაც სახელმწიფომ დააწესა, იყო "სულის ცხონების უმაღლესი კანონის უზენაესობა". იგულისხმებოდა, რომ სულის ცხონება ყოველი მოქალაქისათვის უმაღლესი პრინციპი, მიზანი და მოვალეობა უნდა ყოფილიყო. პიროვნებისა და საზოგადოების ცხოვრება მთლიანად ამ უმაღლესი კანონის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა.

მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, ინდუსტრია კი არ იზღუდებოდა, პირიქით, ვითარდებოდა, რადგანაც მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ეს ყველაფერი ანუ საბოლოო აზრით, ცივილიზაცია, სულის ცხონების სამსახურში იდგა. ასე, მაგალითად, ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე დამტკიცდა, რომ მზის სხივი და ჰაერი, მოქმედებს რა კეთილისმყოფლად ადამიანის კანზე, ადამიანში საღვთო აზრებს აღძრავს. ამიტომ დადგინდა რომ "მანდილოსნებს ნება დაერთოთ ზომიერად მოშიშველებულ მდგომარეობაში ეკლესიაში შესვლისა და იქ ლოცვისა". დღევანდელი აკრძალვები კი ამ მიმართებით (იხ. თუნდაც ქაშუეთის ტაძრის კარიბჭეზე გამოკრული აკრძალვების დაფა) დაგმობილ იქნა,

როგორც "ბნელი წარსული".

თითქმის ყველაფერი დამოკიდებული იყო ადამიანის პიროვნულ-პროფესიონალურ უნარზე და პიროვნება განსაკუთრებულად ფასდებოდა. წარმოვიდგინოთ მაგალითად, რა ხდება სასამართლოში: ასამართლებენ მკვლელ-რეციდივისტს, რომელმაც ერთი ცოლ-ქმარი ფულის გულისათვის ჯერ აწამა, მერე კი დახოცა; თუ მკვლელის ადვოკატი მაღალპროფესიონალურ დონეზე დაამტკიცებდა, რომ ის ცოლ-ქმარი მაინცდამაინც დიდი ღვთისმოსაობით არ გამოირჩეოდა (მარხვის პერიოდშიც კოცნაობდნენ და ა. შ. ) და მათი სამოთხეში მოხვედრის ერთადერთი შანსი მათი დახოცვა იყო, — ე. ი. მონამეობრივი სიკვდილი, თუმცა, არა ღმერთის, არამედ ფულის გულისათვის, — მაშინ მკვლელი მართლდებოდა. მას ციხეში კი აღარ ამწყვედვდნენ, არამედ აჯილდოვებდნენ წოდებით: "ცხონების დასტური". საქართველოს მრავალ ქალაქსა თუ სოფელში მრავალი "ცხონების დასტური" ცხოვრობდა და ისინი ხალხისაგან უზომოდ პატივცემული პიროვნებები იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დღევანდელი "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი "ცხონების დასტურის" ინსტიტუტმა შეცვალა.

სასამართლოს ანალოგიით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დანარჩენი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მუშაობის იდენტური მეთოდებიც.

"ღვთიური სახელმწიფო", მეზობელი ქვეყნები რომ საო-ს ეძახდნენ, საკუთარი თვითგაგებით იყო დემოკრატიის უმაღლესი ფორმა, სადაც ადამიანის პიროვნება მისი ყველა უფლებითა და ერთადერთი მოვალეობით — სულის ცხონებით — ყველაფერზე მაღლა იდგა. "პიროვნება ყველაფერია" — ასე ესალმებოდნენ მოქალაქეები ერთმანეთს. ოფიციალური მიმართვის ფორმა იყო არა

"ამხანაგი" ან "ბატონი", არამედ "პიროვნება"; მაგალითად, "ბატონო პრეზიდენტოს" ნაცვლად ამბობდნენ: "პიროვნება პრეზიდენტო!".

ყოველ წესს, და თვით უზომო დემოკრატიასაც კი თავისი გამონაკლისი აქვს. ამიტომ ის ერთადერთი, რაც ღვთიურ სახელმწიფოში ანუ საო-ში იკრძალებოდა და უსათუოდ სიკვდილით ისჯებოდა, იყო:

გეთქვა, დაგენერა, ან ნამოგცდენოდა ცნება "სამყარო". "სამყაროს" ნაცვლად შემოღებულ იქნა "საო". "სა"- "ო"-იანად შეგეძლო ყველაფერი გეგულისხმა, გაგეფიქრა, დაგენერა, მაგალითად: "სამნათობ-სადედამინო", ან "საადამიანო", "სამზეო", "სასოფლო"... ერთი სიტყვით, უკლებლივ ყველაფერი, გარდა "სამყარო"-სი. თუ "სა"-სა და "ო"-ს შუა

"მყარს" ჩაამატებდი, იგულისხმებდი, დანერდი, ნამოგცდებოდა ან გაგეფიქრებინებოდა, მაშინ სიკვდილით დასჯა არაფრით არ აცდებოდა.

P. S. ცხოვნების დასტურთა და "ცხოვნების მისტერიონის" (ასე ეწოდებოდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს) კოორდინირებული მუშაობის შედეგად ყოველწლიურად გამოვლენილი დაახლ. 10 000 დამრღვევი სასწრაფო ლიკვიდაციას ანუ, ოფიციალური ტერმინოლოგიით, "საცხოვნებელ ფერისცვალებას" ექვემდებარებოდა.

08-10. 06. 2003, თუბინგენი.

## მაგია, რელიგია და მეცნიერება მოკლედ:

მაგია პატარა მეცნიერებაა. და ხელოვნებაც, შემოქმედებაც. რელიგია და მეცნიერება ცნებების მაგიური დატყვევებაა.

(დატყვევება დატუსალებაა, ცნებები კი არიან მაგალითად: "ღმერთი", "სული", "გონება").

უფრო ვრცლად:

რელიგიის გაჩენა ადამიანურ უძლურებას მოწმობს. ადამიანმა რომ დაატყო მტერს — სიკვდილს, წარმავალობასა თუ მონინალმდეგეს საკუთარი ძალებითა და მაგიით ვერ დაამარცხებდა და დაბლა ვერ დაანარცხებდა, ადგა და ძალაუფლება უფრო ძლიერს, "ლმერთს" გადააბარა. მაგია საკუთარი ძალების რწმენას ეყრდნობა, რელიგია — სხვისას. მაგია აქტიურია, რელიგია — პასიური. აფერუმ ადამიანო შენს ჭკუას: სიცოცხლით გაუმადლარმა შენზე ძლიერი რომ მოძებნე და მას შეეკედლე!

მაგრამ "ლმერთი" რელიგიაში მთლად უზრუნველად, მაპატოს, და, მთლად "ქურდად" ვერ ზის. მას მრავალნი ემეტოქებიან და პირველობას ეცილებიან: "წმინდა", "ძალა", ეკლესია, ინკვიზიცია, საცენზურო კომიტეტი არსებობენ ულმერთო რელიგიებიც: (ადრინდელი) ... ბუდიზმი, კომუნიზმი, ჯაინიზმი პრინციპში, ყველა რელიგია ულმერთოა, რელიგიის თავი, შუალედი და ბოლო ადამიანია; ადამიანია ადამიანისთვის ლმერთიც, ეშმაკიც და ანგელოზიც. —

ამბობდა ფოიერბახი.

ერთი ბიოლოგიური თეორის თანახმად კი რელიგია დიაცის ჯიბრზეა გამოგონილი. თავიდან დიაცი ანუ დედაკაცი მეფობდა, მატრიარქის ეპოქა ცნობილია, ქვეყნიერება ოდესღაც სამატრიარქო ყოფილა; პირველადამიანს სიცოცხლე სჩაგრავდა, ხოლო ქალი, — დააკვირდით, ისაც დააკვირდა, — სიცოცხლის წყაროა. უფროდაუფრო აკვირდებოდა ჯოგელი ანუ პირველყოფილი თავის მბრძანებელ ქალს. და მან ელემენტარული ემპირიული (მეცნიერული!) დაკვირვების საფუძველზე დაადგინა, რომ ქალის ძლიერების ანუ სიცოცხლის საიდუმლოება სისხლშია. სისხლში, რომელიც ქალს დროდარო ემართება და სჭირს. ამიტომაც მამაკაცმა სისხლი თვითონაც დაიჭირვა, წინა დაიცვითა. წინადაცვეთით ძალაუფლების

რეგალიებს ართმევს კაცი ქალს, რელიგიას ანებსებს და რელიგიაც ესაა: ქალის დამარცხება. ავსტრალიელი აბორიგენები თავიანთ სამამაკაცო ასოებს ანუ საოხრეებს ისე იცვეთენ, რომ ჭრილობა, რომელიც თითქოსდა შეხორცებულია, დროდადრო თავისით იხსნება და კაცებსაც სისხლი სდით, ქალებივით. რელიგიის დერიტა ქალობის წყურვილშია. პირველყოფილმა ეტყობა ყველაფერი გამო-სცადა და ქალადქცევის უკეთეს ხერხს ვერ მიაგნო, თავი სხვა-ნაირად ვერ გაიქალა თუ არა ისევ სისხლდენით ანუ რელიგიით.

რელიგიური "განვითარების" ზენიტია ჰომოსექსუალიზმი, ე. ი. კაცის დაუფარავი ქალობა. — დასავლეთის ახალი აღიარებული რელიგია. თუ გაჰბედე და ეს ახალი რელიგია დაჰგმე, ჩაგქოლავენ: უკულტუროდ, ტირანად, ქაჯად და ეშმაკად გამოგაცხადებენ! არაა შემთხვევითი, რომ ჰომოსექსუალიზმი ანუ სოდომია ყველა რე-ლიგიის თუ ღვთისმსახურთა მწვავე ვნებაა. ეს ყოველთვის ასე იყო (გავიხსენოთ თუნდაც რუის-ურბნისის კრების აქტები) და სამუდამოდ ასე დარჩება. რელიგიები თითქოს ებრძვიან სოდომიას, ქალობას, მაგრამ რელიგია თვითონ ქალობაა. ქალობისაგან თუ ხელს აიღებს, ის რელიგია აღარ იქნება. "მეუფება, რომელი თავს განელტვის, მოოხრდება". ჰოდა, ამას რომ მიხვდნენ ზოგ-ზოგები, აღარც ებრძვიან ქალადყოფნის ვნებას: პროტესტანტ მღვდლებს ნება აქვთ მათი ახმახი პარტნიორები იქვე, ეკლესიასმიდგმულ სამ-ღვდლო სახლში იყოლიონ! მრევლი, ჰეტეროა თუ ჰომო, ამას გაგე-ბით ეკიდება. მეტი რა დარჩენიათ!

რელიგია, ეს ბიოლოგიური გადახრა სიცოცხლეს ეპატრონება; სიცოცხლის მაცოცხლებელთ: ქალს, სექსსა და ჭამას მბრძანე-ბლობს. "ნაკლები ქალი, ნაკლები სექსი და ნაკლები ჭამა" — ესაა რელიგია. რელიგია სიცოცხლის პარაზიტია, ადგენს ბიოლოგია.

.

მთაში რიტუალური "სახელის შადება" დღესაც დიასახლისის



პრეროგატივაა. ეს მონმობს, რომ პირველი ქურუმი ქალი იყო, თავდაპირველი რწმენა-წარმოდგენაც ანუ პროტორელიგია ქალის ხელში იყო, სიცოცხლეს, სისხლიც და შესაბამისად, ძალაუფლებაც.

განთავისუფლდი ადამიანო, ნუ გშურს ქალის და მისი სისხლის! დაე თავისუფლება იყოს შენი რელიგია! იყავი თუნდაც რელიგიური, მაგრამ რელიგიისგან თავისუფალი! იყავი ის, რაც ხარ — იყავი კაცი! თუნდაც ცოლოსანი იერარქი! —

მოგეინოდებს რელიგიის ბიოლოგია.

მაგია, რელიგია და მეცნიერება — რეცა მეცნიერულად:

მაგიის, რელიგიის და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების ეთნოლოგიური კვლევით დაუღლევილი ორი არქეხარია James Fraser (1854-1941) და Bronislaw Malinowski (1884-1942); ფრეზერის თეორიაში ლინიარულ-ევოლუციონურად ენაცვლებიან ერთმანეთს ეს სამი ფენომენი ადამიანის სულიერი ღწვისა: მაგია რელიგიამ აღგავა, რელიგია — მეცნიერებამ. მაგია სუსტი აზრით მეცნიერებაა (ვრცლად იხ. მისი The Golden Bough). მალინოვსკის აზრით, სამნი კოექსისტენციალურობენ; სამივე თანაბრად გონივრული პასუხებია ადამიანურ საჭიროებაზე (შეად. მისი ესსეი Magic, Science and Religion; მალინოვსკის დამსახურება რელიგიის ეთნოლოგიის და ზოგადად ეთნოლოგიის წინაშე როგორც "თანამონაწილე დამკვირვებლის" მეთოდისა და ფუნქციონალური თეორიის დამამკვიდრებელისა, უდიდესია). ველურები მაგიას მიმართავენ იქ, სადაც განსაკუთრებულად უჭირთ, სადაც თევზის დაჭერა ძნელია; მაგია სათამამოდ სჭირდებათ. თუ მაგიამ არ გასჭრა, რწმენა მაგიისა არ შეირყევა, პირიქით განმტკიცდება: "წარუმატებლობა მონინალმდეგე, უფრო ძლიერი ჯადოქრის, ე. ი. ისევ მაგიის დამსახურებაა".

როგორც აღიარებულა, მაგია თავისებური მეცნიერებაა

ლოგიკით: მსგავსი მსგავსს შობს. კონტაგენოზური ანუ შეხების მაგია, — მაგალითად, ფურთხით ან სხვანაირი შეხებით წამლობა, — თავისთავად უკვე ძალაა. ჰომოეპატიურ-სიმპათეტური ანუ იმიტაციის მაგია ზეგავლენაა. მსგავსი მოქმედებით მსგავს შედეგს ვაღწევთ, თოჯინის დანვა = მტრის განადგურებას.

მაგიით არქაული ცნობიერების კაცი გარესამყაროს იმორჩილებდა. თავის ჭკვაზე ავლევდა. რახან შეატყო, რომ ეს ზოგჯერ მის ძალებს აღემატებოდა, ამიტომაც მიმართა სამყაროს დამორჩილების პასიურ ხერხს. ეს ხერხი რელიგიაა. დაე ღმერთებმა უზრუნველყონ ყველაფერი, ისინი ხომ უფრო ძლიერნი, გონიერნი და მოხერხებულნი, ვიდრე ჩვენ. რა საჭიროა ძალების დაძაბვა, ჭინტვა და ჩხიბვა, თავს მოვუქონავ ჩემზე ძლიერს და დავაჭიდებ ჩემს მტერს: სიკვდილს, მეტოქესა თუ უბედურებას! ბარაქელა ადამიანო, შენს მიხვედრილობას!

ფრეზერისა და მალინოვსკის მემკვიდრენი, როგორც ნესი, ორგვარიანები არიან, მაგალითად: E. E. Evans-Pritchard, A. R. Radcliffe-Brown, C. Lévi-Strauss, L. Lévi-Bruhl; ზოგჯერ ორნი ერთად იკვლევენ, მაგალითად, I. C. Jarvie და Joseph Agassi (შეად. კრებულში Magic, გამომცემელი Kippenberg, 1987). თვით რუსეთშიც კი მაგია-რელიგის კორელაციას ნონრიცhev-Пушкин, Бонч-Бруевич და მსგავსნი იკვლევენ.

რალაცამია საქმე, ეტყობა ტყუპა გვარი მაგიურად მოქმედებს მაგიის კვლევაში. რამდენიმე ასეთი გვარი საქართველოშიც მეგულება. იქნებ ვინმე ორგვარიანს, დავუშვათ ფანჯიკიძე-პაპუაშვილს, ჩვენთვის მაგია-რელიგიის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია მოეწოდებინა. ზემოთ დასახელებული კრებული ამ საქმეში კარგი დამკვალიანებლის უღელს უსათუოდ გასწევს. ინფორმაცია მოგვანოდონ, თორემ ჩვენთან ინტერპრეტაციის ნაკლებობას არავინ განიცდის, რადგანაც, რაც

არ იცი, არ გესმის, არასოდეს გისწავლია და ვერასოდეს შეგიმეცვ-  
ნია, იოლი საინტერპრეტაციებელია; ზემოხსენებული E. E. Evans-  
Pritchard-ის თანახმად, უცხო რელიგიური სისტემები ჩვენებურად კი  
არა, მათივე ლოგიკითა და წინაპირობებით უნდა იქნას რეკონ-  
სტრუირებულიც, ინტერპრეტირებულიც და გაგებულაც (იხ. მისი  
Witchcraft, Oracles and Magic...).

რელიგიური მარლი მეცნიერებაშიც მრავლადაა, მეცნიერების  
ღმერთებია: ემპირია, დესკრიპტივიზმი, კანონზომიერება, Ratio,  
Common sense და, ჩვენთან ყველაზე მეტად — "მისაღები გა-  
მოცდები".

P. S. Ludwig Wittgenstein სამართლიანად შფოთავს: ისე აკ-  
რიტიკებს, ლოგიკურ ჭკუას თხოვს ფრეზერი მაგიურ-რელიგიურ  
რწმენა-წარმოდგენებს, თითქოსდა ისინი მეცნიერული თეორიები  
იყოსო!

### პირადი შთაბეჭდილება:

მიუხედავად ნაჩხუბრობისა, რელიგია და მეცნიერება, — ყოველ-  
ღმერთებში, დღევანდელ დასავლეთში, — ერთი გაცვეთილი  
გამოთქმა რომ ვიხმართ, მშვიდობიანად თანაარსებობენ. ეს ზავი  
მათ შორის მოჩვენებითი და დროებითია თუ ნამდვილი, ძნელი  
სათქმელია. მაგია განდევნილია, განაპირებული, მეცნიერება-  
რელიგიის უნიისა თუ შეთქმულების მსხვერპლია. მაგიას შეუძლია  
მხოლოდ არალეგიტიმურად იარსებოს: "შავი კატების", "ავი  
თვლების", "ოთხშაბათების" სახით; ოთხშაბათი სექსის მაგიური  
დღე და მასულდგმულებელია; ისევე, როგორც ჩვენთან ორშაბა-  
თისა და ხუთშაბათის თავდაუბანლობა უსაყვარლეს ადამიანთა  
დღეგრძელობას ასულდგმულებს:

ქალო, ნუ იბან თავსაო  
ორშაბათ — ხუთშაბათსაო,

ან მოგიკლვენ ძმასაო

ან ნაფერებ ქმარსაო.

21. 06. 2003, თუბინგენი

## თანაბრძნობა ანუ ესსეი ძილში

23-სა და 24-ს შორის, ივნისში, ორიათასსამწელს, ღამეა. გაუ-  
თენებელი ღამე. ამ ღამემ დაღამება ვერ მოასწრო, ვერ მოსრულდა  
თავის სიღამეში, ამიტომაც აღარ თენდება

დროდადრო ჩამეძინება, ვნერ ესსეის. გამელვიძება, ვი-  
მახსოვრებ, თითქოსდა რა უბრალოა, "ამას რა დამავინწყებს".

უსასრულო ესსეია, დროის, აზრების დიდი ინტერვალით. რაზე  
ინერება? თითქოსდა მოსჩანს რაღაც დაგრაგნილი, ალბათ ეტრატი.

ვინ იყო მოქმედი გმირი? ნუთისოფელი, რომელსაც დროის  
ჯაგლაგი ცხენი შევარქვი.

დროის ჯაგლაგმა, — ისედაც არ მწყალობდა, — ბოლო დღეებში  
სულ გადაირია თავი; მდღევრისა საზრდელისა მორენაზე ფიქრმა  
ნაღეკა ყოველი ფიქრი და იდეა, და ასე ჩამეძინა: — მშრალს, მწუხ-  
არედ.

სიზმარი იყო ალბათ გაქცევა არარადან, ამაოებიდან, ნუთის-  
სოფლის უმონყალობიდან.

ჩემი მყარი მეგობარი მეხმარებოდა. ის კი არა და, — სიზმარი  
ხომ უცნაური რამაა, — თითქოსდა სამნი ვწერდით: თვითონ ესსეიც  
ჩემთან ერთად, თიქოსდა ის იყო თბილი ღამეული მშვინვარება,  
თავდაპირველი თბილი ძილიდან ინერციით გამოსხლეტილი და  
ორივენი მესამესთან ერთად ვწერდით, სამაზროვნად ვწნავდით.

იმ ესსეიდან თითქმის არაფერი მახსოვს, მახსოვს მხოლოდ  
დასკვნას როგორ ვწერდით, თითომუხლობით, რიგრიგობით.

დავწერდი ერთ მუხლს, დასწერდა მომდევნოს თვითონ ესსეი,

თუ ის ღამეული მშენებარება, თუ ის უძველესი ინერცია; ერთი სიტყვით, უცნაური სიზმრის ამოუცნობი კომპონენტი.

ერთადერთი, რაც იმ სიზმრიდან კარგად მახსოვს, როდესაც ჩემი მყარი მეგობარი ანუ სამყარო ორ მუხლს მესამესაც მიამატებდა (რომელიც ჩვენთ აზრთ ისევე მოიცავდა, როგორც სული სხეულს)...

მუხლებად ჩამოქნილი ის აზრები ანუ ფიქრი აღარ მახსოვს და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიხსენებ (ყველაფერი ვიცოდი მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ იმ წამს).

მახსოვს მხოლოდ წერტილი, რომელსაც სამყარო თავისი წილი წინადადების ბოლოში სვამდა. და ეს წერტილი იყო ყვავილის ფურცელი, იმ დიდი ველური ყვავილის ფურცელი, რომელიც მთაში, ჩემი მამულის ბოლოში იზრდება, იზრდება ხესავით დიდად, მყარი ღეროებით, — ცელით მისი მოჭრა შეუძლებელია, — და ყვითლად, თხელფურცლოვნად ჰყვავის...

P. S. და ესაა სიზმარი, რამდენადაც მისი გაცხადება შევიძელ და ამ სიზმარს, რომელსაც მეორე დღეს ანუ გუშინ ამაოდ ვიხსენებდი, დავარქვი "ესსეი ძილში".

25. 06. 2003, თუბინგენი

## შ ე რ ვ ე ნ ე ბ ა

ლირბი, ხარბი, ჩლუნგი კლერიკალობა; ლირნი, მექრთამე, გახრწნილი მმართველობა ("ხელისუფლებას" ან "მთავრობას" — ამ საკრალური წარმომოხების სიტყვებს მისთვის ვერ გავიმეტებთ); წუნტი, შავბნელი ქვეყანა (ანუ ყველაფერი სამყაროს გარდა). — საბოლოო ჯამში, იმათ ჯამში "სამება" გამოდის. ბუნებრივია, არა ზეციური, არამედ ჯოჯოხეთური. ჯოჯოხეთური, რომელმაც ჯოჯოხეთში მოიწყინა და ამქვეყნად გამოიგულავა.

სამშობლოს მომავალი — ესაა ის წმინდა სისხლი, რითაც სამთა-

ვიანი ურჩხული ანუ ეშმაკეული სამება იკვებება. ეშმაკეული სამება განუყოფელი კია, მაგრამ შერეულია, რადგანაც, — მაგალითისათვის, — პარლამენტარი შეიძლება ერთდროულად მმართველიც იყოს და ქურდიც.

ეშმაკის განდევნის, — პირისაგან მიწისა აღგვის, — ცნობილი ხერხი მისი შეჩვენებაა: ფუი ეშმაკს! ფუი ჯოჯოხეთს! ფუი მათ სამივეს! ამინ.

07. 07. 2003, თუბინგენი

## ჩრდილის დევნა ანუ თვითდადგენა

დალესტნური აულის მსგავსი სოფლის ხუთი ბავშვიდან მარტო, მარტო მე ვიყავი. ორ დასა და ორ ძმას ერთმანეთი ჰყავდათ და ერთმანეთთან ორ-ორობით თამაშობდნენ, ხანაც ოთხდებოდნენ, რადგანაც ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ; მე კი — ცოტა მოშორებით, სოფლის თავზე. ჩვენზე ზემოთ აღარავინ ცხოვრობდა. იწყებოდა ტყე, მერე ალპური ზონა და ცის ტატნობი, სადაც მზე ჩადიოდა. ერთი მსჯელობა მახსოვს, იმ ორ ძმათაგან ერთ-ერთის: მთის წვერზე რომ დადგე, მზეს მისწვდებიო; ერთიც იმ ორ დათაგან ერთ-ერთის: დედაჩემი ქვას მზემდე უწევსო...

სოფელზე გამავალ სამარხილე გზას "დიდ გზას" ვეძახდით; მხოლოდ "გზას" — ჩვეულებრივ ბილიკს, მთაზედ ამავალს. ეტყობა, მარტოობამ მომაფიქრა თამაში ამ დიდ გზაზე — საკუთარი ჩრდილის დევნა. დავდევდი, რომ გამეხსნრო, ის კი ყოველთვის ჩემზე წინ გარბოდა; ხან მალლა ავხტებოდი, დავახტებოდი ჩრდილს, რომ ერთი წამით გზისთვის დამენებებინა და უცებ გამეხსნრო, მაგრამ ის მაინც მისწვებდა. თუ ჩრდილი უკან მომდევდა, მაშინ უცებ უკან ვხტებოდი, რომ ის წინ გამეგდო...

აზროვნება საკუთარი ჩრდილის დევნაა. აზროვნება ანუ ფიქრი. ფიქრი შეთანხმებაა. შეთანხმება ანუ ხელშეკრულება. ხელშეკ-

რულება "იდება" წინამავალ და მომავალ მოაზროვნეებს შორის. აგრეთვე მკითხველთან. მოაზროვნე ისაა, ვისაც ჰგონია, რომ ვი-  
ლაც, და ოდესმე, თვითონაც ქვას მზემდე მიანევს. ან ის, ვინც  
ფიქრობს, მთაზე რომ ავიდე, ჩამავალ მზეს მივწვდებიო...

ახალი არაფერია... ვინ დაინყო პირველმა ფიქრი? ყველა ერთ-  
მანეთის ნაფიქრს ფიქრობს და იფიქრებს. ვინც პირველმა დაინყო  
ფიქრი, იმასაც ვილაცის ნაფიქრი უნდა ეფიქრა. და ვინ უნდა ყო-  
ფილიყო ის სულ პირველი თუ არა თვითონ ფიქრი ანუ ღმერთი?

მაგრამ ვინაა ის, ვინც მზემდე ქვას უწევს, ჩრდილს იპყრობს  
ანდა ჩამავალ მზეს თითებით სწვდება?!

30. 06. 2003, თუბინგენი

## შკან, მსახურებრისაკენ

ერთი ინდური გამომადიფერენცირებელი სიბრძნის თანახმად,  
ორნაირი ჯურის მოკვდავი ცხოვლობს, ცხოვრობს, სულდგმულობს  
და იბრძვის ადგილისათვის მზისქვეშეთში.

პირველია ის, ვინც პანია მაიმუნს ჰგავს, მაიმუნიკოს, მაიმუნის  
— არც კი ვიცი რას ეძახიან — ალბათ ბაღს: დამოუკიდებელი,  
თავის გამტანი, ყველაფრის მომბლაუჭებელი, თვითმკმარი, ერთი  
სიტყვით, "თავისია", "თავისწვერა", როგორც ჯიუტს ეძახიან;  
ღმერთის არშემანუხებელი, არა მაინცდამაინც ურწმუნო, მაგრამ  
"ოჰღმერთოღმერთო"-ს არმჭირვებელი.

მეორენაირი ჯურის კაცი კატის კნუტს ჰგავს, უსუსური, კნა-  
ვილა, შიშით, კანკალით მცხოვრები; საბრალო, სანყალო, თვალაუხ-  
ელელი, სულ ღმერთით, სულ მამით, სულ დედით! ღმერთის მონა-  
ტრული, ღმერთით მცხოვრები, ღმერთის მშიერ-მწყურვალი, "ოჰღ-  
მერთოღმერთო"...

ასეთია ორი მკვეთრი სული ადამიანობისა ანუ ორი იდეალური  
ტიპი...

საახლო-მახლო ლიტერატურული მაგალითები თუ გნებავთ, პირველისაა: ოთარაანთ ქვრივი, ფშაველი დარეჯანი; მეორისაა: გეგენა, ელიოზი...

პროკრუსტული ძალადობა ხომ არ იქნება, აზროვნების ისტორია ინდურ, ზემორე მაორებელ სიბრძნეს რომ მოვარგოთ?!

მაშინ სოლომონ ბრძენი, ნეტარი აგვუსტინე, თომა აქვინელი, ბლეზ პასკალი და შოპენჰაუერ — კიირკეგორანი, კატის კნუტნი, პატარა უსუსური ფისუნები გამოდიან!

მეორე, მაიმუნური ხაზის დამწყებნი ქსენოფანე და ლუკრეციუსია, დამავირგვინებელი — მარქსი და ნეომარქსისტი — უტოპისტი ერნსტ ბლოხი.

მარქსი არ იყო პირველი, ვინც ღმერთი და რელიგია "ჩაუშვა". ლუკრეციუსი, ეს "ანტიკური მარქსი" ლაღადებს:

"რამდენი ბოროტება მოიტანა რელიგიამ, რელიგიამ უზნეო და კრიმინალური საქმეები წარმოშვა".

აზროვნების ორი ხაზი, კნუტურ-მაიმუნური, ზოგჯერ ერთმანეთს ერწყმის, გადაჰკვეთს ან უახლოვდება; მაიმუნიკო კი სამნაირია: ათეისტური, აგნოსტიკური და ე. წ. "თავისუფალი სულის".

მაიმუნიკოს უღვთობა არ ნიშნავს, რომ ის არარელიგიურია. თუ ერის ფრომს დავუჯერებთ, მარქსი შინაგანად იმდენად რელიგიური იყო (ე. ფრომი "ბოლშევიკურ მარქსს" არ გულისხმობს), რომ ის საბოლოოდ ყველა რელიგიას გადაემტერა.

სარტრის, კამიუსა და კოკტოს — ათეისტურ-მაიმუნური აზროვნების ამ ბასტიონთა შემდეგ კნუტებმა მთელი ძალით უნდა იჩხავლონ, რათა ღმერთს, დედალ ციცას ან მონყალე სამარიტელს გული შეუძრან და რძე და პატრონობა გამოსტყუონ. ყველანი კი, ერთად აღებულნი, კნუტნი და მაიმუნიკონი (მათ შორის კნუტ ჰამსუნი და მოსე მაიმუნიდიც) აზროვნების მსახურნი ანუ დიაკვანნი



არიან; აზროვნების ღმერთის წინაშე ყველანი *pari-*"ელ"-ები, *pariter*, ლეკვი ლომისა სწორია: გენიოსები, ნახევრადგენიოსები, ზეგენიოსები, ნახევრადმაიმუნები, ნახევრადფისოები.

ფროიდისათვის, — რომელიც რასაკვირველია, მაიმუნიკოთა რიცხვს მიეკუთვნება, — "არ არსებობს ინსტანცია გონების ზევით".

"ნეტავ რომელი აბსურდი უნდა ინამოს კაცმა", — ანვდის ბურთს ფროიდი ტერტულიანეს საჯარიმოზე, — "ესა, ისა თუ ყველა ერთად აღებული?" მართლაც, ძია ზიგმუნდ, განა ისლამს უფრო ყინჩი აბსურდები არ მოეძეება? ის უფრო ტერტულიანურია. იქნებ ვიშნუიზმის ერთი აბსოლუტური აბსურდი ვინამოთ: " რომელი ღმერთიც გინდა ილოცო, მაინც ვიშნუს ლოცულობი!"

ყოველი კაცის გულში ერთი კერიის ცეცხლის ადგილია; ეს ცეცხლი ინთება, ქრება, ქრება, ინთება... ამ ცეცხლს გარშემო ღმერთნი, ეშმაკნი (რომელნიც ხშირად გაუქმებული რელიგიის ღმერთებია), კაცნი შემოუსხდებიან, გამხმარ, გათოშილ, ნაჯაფარ მუხლებსა და დაკრუნჩხულ თითებს მიუშვერენ, შეითბობენ; ისტორიითა და ისტორიული ბრალდებებით დაღლილ გულ-მკერდს იალე-ბენ...

ცეცხლი კი მაინც ყოველთვის წმინდაა, ვინც არ უნდა გაათბოს მან. ასეთია ცეცხლის ბუნება, ფსიქოლოგია, სული...

ვაითჰედი, კატუნია, რომელსაც მაიმუნობაც არ აკლია, ასკენის: "ყოველი ფსიქოლოგია ჯოგის ფსიქოლოგიაა". გერმანულად იქნება: *Herdenpsychologie*. ეს სიტყვა რომ ავაგოროთ, როგორც პლატონი აგორაზე აზრებს აგორავებდა (მამარდაშვილისეული ასოციაცია), მაშინ მივიღებთ: ყოველი ფსიქოლოგია კერიის ფსიქოლოგიაა, *Herdpsychologie*. ვგულისხმობთ ფსიქოლოგიას ფართო ცნებით: ღმერთიც, ფიქრიც და არსებობაც ფსიქოლოგიაა. —

კერიის ფსიქოლოგია, კერიის დიაკონია და მსახურება.

ჟან კოკტო, მამაცი მოაზროვნე, პატარა მაიმუნი, რომელიც უდ-  
ედმამოდ, ე. ი. უღმერთოდაც ახერხებს ფონს გავიდეს, პარადო-  
ქსულ-ირონიულად შენიშნავს: “ნამდვილად არსებობს მხოლოდ  
ერთი ღმერთი, კერძოდ, ეშმაკი”.

ეს ნიშნავს: ადამიანური ექსისტენცია ღიაა, უკაროა.

ის, რაც ჟან კოკტოს აღარ დაუმატებია, მაგრამ მისი მაიმუნური  
ნააზრევიდან თავისთავად გამომდინარეობს:

ნამდვილად არსებობს მხოლოდ ერთი ღვთისმსახური, კერძოდ  
— დიაკვანი (როგორც იყო მაგალითად, ეფრემ ასური, ქალ-  
დეველი). რელიგია გაიბერა, გაიბერა და გასკდა! ასე წარმოიშვა  
ყველა რელიგიური პროფესია, თანამდებობა, ხარისხი, იერარქია,  
მეტ-ნაკლებობა და შაჰა. მაშ, ასე:

უკან, მსახურებისაკენ!

ყველაფერს სჯობია

ყველაფერს სჯობია დაიბადო, და: დაიბადო.

21. 07. 2003, თუბინგენი

## “სექტა”, “სეკარე” და სექსტანტების ეკლესია (სექტის ფენომენის მეცნიერული განჩხრეკის მცდელობა)

### თავი I

დავინწყოთ ცოტა არამეცნიერულად. მაგრამ არცთუ ისე ფან-  
ტასტიკურად: ერთმა მაღალგანვითარებულმა პლანეტამ დედამიწას  
ომი გამოუცხადა. ესაა რწმენითი ომი. იმ პლანეტელთათვის  
დედამიწელთა რელიგიურობა იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ  
აღშფოთებისაგან, სხვა ველარაფერი მოიფიქრეს, ადგნენ და ომი  
გამოგვიცხადეს. ომის მიზეზი რელიგიური მსგავსება-განსხვავებაა.  
ესაც ახალი პარადოქსი, არა? მსგავსება ჩვენს განსხვავებულ და  
განსხვავებულობაზე დაფუძნებულ რელიგიებს შორის და

განსხვავება მთლიანობაში აღებულ დედამიწიურ რელიგიურ მოცემულობასა და რელიგიის უცხოპლანეტურ გაგებას შორის. საერთო ჯამში უცხოპლანეტელთა რელიგიურობა იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა დედამიწელთაგან, რომ მათ დედამიწელთა ურთიერთ-განსხვავებული რწმენა-წარმოდგენები ერთ მთლიანობაში აღიქვეს! "ჰმ!" დედამიწელები იწყებენ ფიქრს: რატომ აღიქვეს უცხოპლანეტელებმა ჩვენი ერთმანეთისგან აშკარად განსხვავებული რწმენები ერთ მთლიანობად? რა გვაქვს საერთო ჩვენ ერთმანეთთან? ყველა რწმენა ჩვენი ადამიანური სარკეა ალბათ; ალ-მუ'მინ მირ ათ ალ-მუ'მინ (არაბ. : "მორწმუნე მორწმუნის სარკეა"). რატომ არ მოსწონთ უცხოპლანეტელებს ჩვენი რელიგია?! იქნებ ჩვენი რელიგია ძალიან ირაციონალურია? მაგრამ როგორი უნდა იყოს რელიგია თუ არა ირაციონალური? სადაა გადარჩენა და გამოსავალი? ... არა მხოლოდ ჩვეულებრივი "სპეციალისტები", არამედ "ვირტუოზებიც" კი, ისლამურ-ქრისტიანული რადიკალებიც კი ერთად შეგროვდნენ და ხსნის გზას ეძებენ! რელიგიის მიზეზით იღუპება დედამიწა, ცივილიზაცია, სიცოცხლე! იმ პლანეტის შეიარაღებას თუნდაც ამერიკისა ისე ჩამორჩება, როგორც ჩვენი "რაგატკები" რუსეთის ავიაციას. დედამიწელი ღვთისმსახურები და მორწმუნეები ისე შეფუცხუნდნენ, რომ ძველი ხინჯები და ანგარიშები ერთმანეთთან სულ გადაივიწყეს, ერთმანეთს ძმობა-სიყვარულსა და ადამიანობას ეფიცებიან: მაგალითად იელოველები და (ანტი)იელოველები ერთმანეთს სულ ფეხებს უკოცნიან! ეკლესიის აქტივისტები, პაპი რომისა საკურთხეველშიც რომ არ შეუშვებს, ახლა ლამისაა რომში ფეხით გაიქცნენ და "წმინდა მამას" ფეხებში ჩაუცივდნენ. ვერ მოასწრებენ, თორემ — კი. ხვალ თუ არა, ზეგ მაინც, ომი იწყება! "აირზენა"-ს ბილეთებს ისედაც ცეცხლი უკიდია, თანაც რომისკენ დაფრინავენ თუ არა, ეგაც საკითხავია მოკლედ,

თხამ და მგელმა ერთად მოძოვა, საქართველოში ასეა და სხვაგან როგორი ამბებია, ამისა რა მოგახსენოთ! დგას ერთი თამადობა და ალავერდები, "შენი ჭირიმე" და "შენ გენაცვალე"...

და ჰოი საოცრებაე! უცხოპლანეტლებმა ომი გადაიფიქრეს! რატომ? ჩვენს შორის რომ სიყვარული დაინახეს! თურმე ისინი ომს იმ სიძულვილისაგან შეძრწუნებულნი იწყებდნენ, რომელსაც ჩვენ ერთმანეთის მიმართ ჩვენი რელიგიური ურთიერთგანსხვავებულობის გამო ვაფრქვევთ!

ახლა ვიკითხოთ: რა არის ამ ფუტურისტულ პასაჟში ფანტასტიკური? ზოგადად უცხოპლანეტელთა არსებობა? რალაცა ალბათობა მათი არსებობისა არის. იქნებ მათი ომია უფრო ფანტასტიკური? ამის ალბათობაცაა. მაშინ ასე ვიკითხოთ: რა არის ამ ფუტურისტულ კაში უფრო უფრო ფანტასტიკური? ჭკვიან მკითხველს ამ კითხვაზე ელიმება და იგი პასუხს არც საჭიროებს. პასუხი ამიტომ ბოლოსთვის გადავდოთ, იქნებ მანამდე ყველანი დაეჭკვიანდეთ! ახლა კი დაეტოვოთ ის ერთმანეთს ჩახუტებული იელოველები და ორთოდოქსები და "საგნის" განმარტებას შევეუდგეთ.

"უცხოპლანეტელთა" გეგმის კოდური სახელწოდება იყო "სექტა". თუ ამ წინადადებას თავის ექოიანად გავიმეორებთ, იქნება:

"სექტა", სიტყვა, რომელიც საქართველოში ფაქტობრივად "ომის გამოცხადება"-სავით უღერს, თავისი ეტიმოლოგიური წარმომადგობით სრულიად უწყინარი სიტყვაა (ისევე როგორც "სექცია" ან "სექტორი").

Secta მომდინაებს seque-დან, რაც ნიშნავს "მივსდევ", "მივყვები". "სექტაში" იგულისხმებოდა ესა თუ ის ფილოსოფიური თუ პოლიტიკური მიმართულება, ბერძნ. "აირესის", ἀίρεσις, დღევანდელი ენით, პარტია. რასაკვირველია, აქ საუბარია ძველ რომზე. თავისთავად ცხადია, რომ არავითარი ნეგატიური დატვირთვა თავიდან "სექტას"

არ ახლდა. ეს შეუძლებელი იყო იმ უბრალო მიზეზის გამოც, რომ რომაული რელიგია იყო არა ორთოდოქსულად, არამედ ორთოდოქსულად ორიენტირებული: რწმენის "სისწორე" კი არ მოეთხოვებოდა რომის მოქალაქეს, არამედ ღვთისმსახურების კორექტული პრაქტიკა: თავის დროს, ზომიერებით, კრძალვითა და სახელმწიფო კანონების შესაბამისად აღსრულებული კულტმსახურება. "დრომ თან ნაილო ნარმართული თავისუფლება" და მოიტანა ქრისტიანული "vera religio". vera religio-ს ძალაში შესვლის, გასახელმწიფოებრიობის და სტაბილური დოგმატიკის ჩამოყალიბების პროცესმა შეინირა seque-ს უწყინარობაც. როგორც ირკვევა, სექუე აირია თუ აურიეს secare-ში. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს გაყოფას, გაკვეთას, ბერძნ. "სქიზმა", σχιζμα, ძველი ქართულით: ნვალება, განწვალება: "და განწვალა ღმერთმან შორის ცისა და ქუეყანისა". ერთი სიტყვით, ყველაფერი "სექტის" "სექუესგან" განწვალებითა და "სეკარესთან" მიერთებით დაიწყო, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! [არ გვინდა რა, ეგ "ბნელი შუასაუკუნეები!"]

... რწმენა პერსონალური ფენომენია: ყველა ადამიანს საკუთარი ღვთის ხატი უყალიბდება. ეს ხატი ყალიბდება ცნობიერად და არაცნობიერად, ბავშვობაშივე, მშობლებთან, განსაკუთრებით მამასთან დამოკიდებულებაში. ამას ეწოდება "ჰორიზონტალური რელიგია". დიდობისას კი ეს "ჰორიზონტალური რელიგია" შესაბამისობაში მოდის "ვერტიკალურ რელიგიასთან". — იგულისხმება ინსტიტუციონირებულად ფორმირებულ-დეკლარირებულ რწმენაში ინტეგრირება. ბავშვობისდროინდელი ტრამეები, სულიერი თავგადასავლები და გამოცდილება-შთაბეჭდილებები, — რელიგიის ფსიქოლოგიის თანახმად, — მორწმუნის ის საგზალია, რომელიც მას მთელი ცხოვრება, სამარის კარამდე, დამლასავით თან დააქვს... რელიგიის ფსიქოლოგიას და რელიგიურ ფსიქოლოგიას სულაც რომ

თავი გავანებოთ, სამყარო, უნივერსუმი, კულტურა, ადამიანთა ეთნოგრაფიულად თუ გეოგრაფიულად გამოთეგილი ყოფა-ცხოვრება, რელიგიურ მრავალფეროვნებაშიც აისახება. ერთი რელიგია მეორესათვის (თითქმის) ყოველთვის "სექტაა", გაუგებარი მიმართულებაჲ. თვით ერთსა და იმავე რელიგიაში რელიგიის გამოხატვის (რელიგიის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფორმირების) უამრავი ფორმა-შესაძლებლობებია; დანყებული მისტიკით და დამთავრებული "ხალხური ღვთისმოსაობით", ეკლექტიკური თუ სიმბიოზური რელიგიურობით. მოკლედ, "ბუნების ძალა" (სადღეგრძელო, რომელიც ათეისტური ეპოქის ერთ-ერთი კლიშე იყო) რელიგიურ ცხოვრებაშიც ბუნებრივად აისახება: ყველა რელიგიური ჩიტი ერთნაირ ხმაზე ვერ იჭიკჭიკებს... ერთი ირანელი რელიგიის ფილოსოფოსის აზრით, ღვთის დიდი მაღლი სწორედ რელიგიურ მრავალფეროვნებაში იჩენს თავს. დავეთანხმოთ მას? მაშინ სექტების, დენომინაციების, სქიზმატიკოსების ჩვენში მომრავლება უნდა გვიხაროდეს და ამ მოვლენას "საქართველოს მომავალი გაბრწყინების" მაუწყებელ სიგნალად უნდა აღვიქვამდეთ!

ახლა ერთი ნუთით თვალი შევაგლოთ "პირველწყაროს". იყო დრო, როდესაც ქრისტიანობა სექტა იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე გაიგებოდა:<sup>9</sup> "რამეთუ გზისა მისთვის, რომელსა იგი იტყვიან წვალებად, ესრეთ ვმსახურებ მამასა ღმერთსა..." (საქმე, 24,14). მოციქულთა დამოკიდებულება განსხვავებულ სწავლებათა მიმართ საკმაოდ მკაცრი და კრიტიკულია: "იყენენ ცრუ-

<sup>9</sup> როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, თავდაპირველად ქრისტიანებიც თავს სექტას, ე. ი. მიმდევრებს უწოდებდნენ და ეს ტერმინი იხმარებოდა რელიგიის პარალელურად. მაგალითად, ტერტულიანე იყენებს ტერმინს *christiana factio* და *secta*. ასევე მეორე ქრისტიანი მწერალი, მინუციუს ფელიქსი, თავის დიალოგში "ოქტავიანე" ამბობს: "სინმინდე სექტისა, რომელიც ჩვენია...". ამრიგად, ტერმინი "სექტა" I-III საუკუნეებში პოზიტირი მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

წინააღმართმეტყველნიცა ერსა შორის, ვითარცა იგი თქუნეს შორის  
და ყოფად არიან ცრუ-მოძღუარნი, რომელთა შემოიღიან ნვალებაჲ  
წარწყმედისაჲ" (2 პეტრე 2,1). მოციქულები პირველ ქრისტიანულ  
თემებს სიფრთხილისა და გამიჯნულობისაკენ მოუწოდებენ:  
"ეკრძალებოდეთ მათგან, რომელნი იგი ნვალებასა და საცდურსა  
იქმან, გარეშე მის მოძღურებისასა, რომელ თქუნენ გისწავიეს და  
განეშორებით მათგან" (რომ. 16,17); ციტატების გამრავლება  
შეიძლება, მაგრამ ჩვენი მიზანი არაა საკითხის თეოლოგიური განხ-  
ილვა. სექტის თეოლოგიურ გაგებაში მეტ-ნაკლებად სუბიექტური  
და ამდენად ნეგატიური მუხტია შეფარული. თუნდაც ზემოთ და-  
მონშებული ციტატები საკმაო საფუძველს აძლევდა პოლიკარპე  
სმირნელს, მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა: როდესაც მარკიონ  
გნოსტიკოსმა, საეკლესიო გადმოცემის თანახმად, მას ჰკითხა,  
ნუთუ ველარ მიცანი, მე მარკიონი ვარ, შენი სიყრმის მეგობარი,  
რამდენი გვითევზავია ერთად, გახსოვს, ერთხელ დახრჩობასაც კი  
გადა... პოლიკარპემ მას სიტყვის დასრულებაც კი არ აცალა, უცებ  
ზურგი შეაქცია და მიახალა: "როგორ არა, მე (შენში?) ვიცანი ეშ-  
მაკის პირმშოო". თავისთავად ცხადია, რომ წმინდა ნიგნი სექტების  
დევნისკენ არ მოგვიწოდებს (კიდევ კარგი!), პარიჟით: "მწვალე-  
ბელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლებისა განეშორე"  
(ტიტ. 3,10). საფრთხე არა მხოლოდ გარეშე სწავლებაშია, შინაური  
"ლალვანიც" ანუ კამათები ქრისტიანულ თემს კარგს არაფერს  
უქადის: "ხოლო... ლალვათა შჯულისათა განეშორე, რამეთუ არიან  
ურგებ და ამაო" (ტიტ. 3,9), "ხოლო უკუეთუ ურთიერთას იკბინე-  
ბოდეთ და შეეჭამებოდეთ, იხილეთ, ნუუკუე ურთიერთას განი-  
ლინეთ" (გალატ. 5,15). თუ არ ვცდებით, მოციქული პაულე ტიტეს  
მიმართ ეპისტოლეში განასხვავებს სექტანტის ორნაირ ტიპს: 1.  
სექტანტი, რომელიც სექტანტია, რადგანაც მან უბრალოდ არ იცის,

რა არის "სწორი სწავლება", ამიტომ "ერთისა და ორისა სწავლების" გზით შეიძლება მას რაიმე შეასმინო. 2. სექტანტი, რომელიც სექტანტია, რადგანაც მას, უბრალოდ, ასე უნდა; ამ უკანასკნელის უდრეკი და მუდრეგი ბუნების ამოცნობა მოციქულ პავლეს გამჭრიახ გონებას არ უჭირს: "გარდაგულარდნილ არს ეგევითარი და არს იგი თვით დასჯილ" (ტიტ. 3,11). ჩვენც აქ დავემშვიდობოთ ნმინდა წერილს და თან ეს ერთი ექსისტენციალური სიბრძნეც დავისაგზლით: "თვითდასჯა!" საბოლოოდ ყველა თვითდასჯილ-თვითგამართლებულია, სექტების, რელიგია-კონფესიებისა და რწმენა-დენომინაციების ოკეანეში საკუთარი ნავსაყუდელის თავად მპოვნელია.

## თავი II

სექტის ფენომენის მეცნიერულად ობიექტური, თეოლოგიური ბრალდებებისაგან თავისუფალი და, ამდენად ნეიტრალური განხილვა პირველად ცნობილი გერმანელი მეცნიერების: მაქს ვებერისა (1864-1920) და ერნსტ ტროელჩის (1865-1923) სოციოლოგიური გამოკვლევებით დაიწყო. მაქს ვებერის თანახმად, ქარიზმატული ინდივიდები, როგორცაა მაგალითად ბუდა, ქრისტე ან მუჰამედი, ტრადიციულ რელიგიას უპირისპირდებიან, რასაც შედეგად ტრადიციიდან ასხლეტილი რელიგიური დაჯგუფების ანუ სექტის ჩამოყალიბება მოჰყვება. დროთა განმავლობაში ეს ჩანასახოვანი რელიგიური ერთეულები რელიგიურ მიმართულებაში გადაიზრდებიან. აქვე დავძენთ, რომ შესაძლებელია სექტა ჩანასახშივე გაქრეს არენიდან, მაგალითად ქრისტეს დროს ცნობილი ესეველთა სექტა, თვითწოდებით "ძენი ნათლისანი". შესაძლებელია თავისი რელიგიური მედეგობით საუკუნეებს გაუძლოს, მაგალითად მანიქეური რელიგია; შეიძლება მარადისობას ეზიაროს, მაგალითად ქრისტიანული ან მაჰმადიანური რელიგია. ერნსტ ტროელჩმა განავი-



თარა სექტის სპეციალური "ხარაკტერისტიკა", რომლის მიხედვითაც სექტები ხასიათდებიან ეგალიტური ტენდენციებით, სარწმუნოებრივი სიმტკიცით, ალტერნატიული ღვთისმოსაობისაკენ მიდრეკილებით, მჭიდრო ჯგუფური სოციალიზაციით და ა. შ.

XIX საუკუნის ბოლოდან დაწყებული სოციალური კატაკლიზმების, ინდუსტრიალიზაცია-პროფესიონალიზაციის, ურბანიზაციის შედეგია ფეთქებადი სექტანტურობა; ე. ი. ახალ-ახალი რელიგიური საზოგადოებების წარმოშობა. დისტომიას: ეკლესია — სექტა, რომელთა შორის ხშირად საზღვრები ნაშლილია, დაემატა ახალი, გამანეიტრალეული ცნება — დენომინაცია. ამერიკელი თეოლოგი რიჩარდ ნიბური (1894-1962) "დენომინაციაში" ხედავდა ამერიკული რელიგიურობისათვის ტიპიურ ფორმას, რასაც მან "მეორე თაობის სექტა" უწოდა. "დენომინაცია" ფაქტობრივად გასასვლელი გზაა, გარდამავალი საფეხურია სექტიდან ეკლესიისაკენ ("The Social Sources of Denomination").

თანამედროვე სოციოლოგიური გამოკვლევები შესაბამისად ასახავენ სექტის გამრავალფეროვნებულ (New Age, Patchwork-Religion, ეზოთერიკა, ახალპაგანიზმი და სხვ.) ფენომენს, რადგანაც "სექტა" და "კულტი" ჯერაც ნეგატიური დატვირთვის მატარებელ ტერმინებად რჩებიან, შემოტანილ იქნა ახალი ცნება "ახალრელიგიური მიმდინარეობა" (New Religious Movement). ჭეშმარიტებასთან მიახლოების ხარისხის კვლევით, რასაკვირველია, სოციოლოგია დაინტერესებული არაა და იგი აბსოლუტურად ნეიტრალურია ყველა რელიგიური მიმართულების მიმართ. მაგრამ თუკი რომელიმე მიმართულება ანუ სექტა აშკარად გამოხატული კრიმინალური ნიშნებით გამოირჩევა, მაშინ ხმარებაშია ტერმინი Destructive Cult. ცივილურ ქვეყნებში სექტის ცხოვრება მეტ-ნაკლებად კონტროლირებადი და ადამიანური სინდისის თავისუფლების დასავლურ ნორმებთან შესა-

ბამისობაშია მოყვანილი. თუმცაღა შეინიშნება დიფერენცირება ამერიკასა და ბებერ ევროპას შორის. მაგალითად Scientologic Church, ამერიკაში იურიდიულად აღიარებული სექტა, გერმანიაში ასეთ ფუფუნებას მოკლებულია (ეს, რა თქმა უნდა, სექტის აკრძალვას არ ნიშნავს), რადგან "გერმანული კანონი" ასაბუთებს, რომ სიენტოლოგია გერმანული სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ცნების იურიდიული ლეგიტიმაცია, რა თქმა უნდა, ნონსენსია, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, "სექტა" მხოლოდ ეკლესიურ—თეოლოგიური ტერმინია და ამ სიტყვას არავითარი იურიდიული რელევანტურობა არ გააჩნია.

მეცნიერული კვლევის საგანია არა მხოლოდ სექტის სოციოლოგია, არამედ მისი ფსიქოლოგიაც. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ამ მიმართებით, ის, რომ არც ერთი სექტა, არც სექტის და არც დენომინაციის ეტაპზე მყოფი, — თავს სექტას არ ეძახის. სექტის თვითგაგება ისეთივეა, როგორც ეკლესიის: "ჭეშმარიტი რწმენის მატარებელი, მართლმადიდებელი". დანარჩენი უკვე ორატორული ან დემაგოგიური ხელოვნების — თეოლოგიური სპეკულაციის საქმეა. რაოდენობრიობის, ანუ კუანტიტეტურობის მიხედვით "დიხოტომიური განაჩენის" გამოტანა შეუძლებელია (ე. ი. "რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, ეკლესიასთან, თუ სექტასთან?"). ასე, მაგალითად ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესია ძალზე მცირერიცხოვანია, თუმცაღა მას "სექტას" არავინ უწოდებს. მორმონული, ისევე, როგორც ზემოხსენებული სიენტოლოგიური მიმართულება მრავალმილიონიანია, თუმცაღა მათ "ეკლესიას" არავინ, ან ძნელად თუ ვინმე, უწოდებს, გარდა თვითონ მორმონისა ან სიენტოლოგისა.

საღვთო წერილით სპეკულაცია საუკეთესო საშუალებაა ახალგამოცხვარი რელიგიის თვითდამკვიდრებისათვის. მაგალითად თუ ორი ან სამი კაცი თავს ჭეშმარიტი რწმენის აღმომჩენებად და მიმ-

დეკრებად გამოაცხადებენ, მიუთითებენ სახარების შეასაბამის ადგილს ("სადაც ერთი და ორი ჩემი სახელისათვის, იქაც მეო"), საქმე გათავებულია, "ახალი ეკლესია" სახეზეა. ერთი სიტყვით, საქმე როდესაც სარწმუნოებრივ სიჯიუტესთან გვაქვს, ფარ-ხმალი უნდა დავეყაროთ და პრობლემის მოგვარებას ცივილიზებული სამართლის ნორმების შესაბამისობაში ვეცადოთ. შესაძლებელია არ მოგვწონდეს ესა თუ ის მსოფლმხედველობა და სექტანტური სიჯიუტე, მართლაც, უნდა ვალიაროთ, რომ შემზარავია, მაგრამ დევნა-აკრძალვას, თუნდაც ფარულს, მოაქვს ორმაგი უბედურება: სექტაც ძლიერდება და მდევნელიც სექტანტდება. დევნა-აკრძალვა რომ სექტას აძლიერებს, ეს ზოგადად რელიგიის და მით უფრო, ქრისტიანობის ისტორიამაც დაადასტურა. მომჩვენარულ სახელმწიფოში, სადაც სამართლებრივი ორგანოები კანონის ქმნა-აღსრულებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ რელიგიურ სამწყსოებს კატა-თაგვობანას ეთამაშებიან, შესაძლებელია ერთმა სექტამ დრო იხელთოს და მართალი რწმენის სახელით მეორე სექტის აშკარად კრიმინალური მეთოდებით დევნა დაიწყოს (sic!).

თანამედროვე გერმანელი სოციოლოგი გ. კერერი, რომელმაც "რელიგიური ორგანიზაციის" ფენომენს ცნობილი მონოგრაფია მიუძღვნა, ერთმანეთს ადარებს ეკლესიასა და სექტას და გამოყოფს მათ რამდენიმე ურთიერთგანმასხვავებელ ნიშანს: 1. რელიგიური უნივერსალურობისკენ სექტა ნაკლებად მიისწრაფვის, ვიდრე ეკლესია; სექტაში უნივერსალურობა განვეერიანების დონეზეა. 2. ნევროზობა: ეკლესიის ნევრი პოტენციურად ყველაა, სექტისა მხოლოდ კვლიფიციურები (კერერი გულისხმობს კატეხიზირებულს); 3. მმართველობა: ეკლესიაში თუ პიეროკრატიულია, სექტაში განსაკუთრებულად კვალიფიცირებულთა ხელშია. 4. გარესამყაროსთან, სხვებთან დამოკიდებულება: ეკლესიისა შემწყნარებლურია,

სექტისა — უარყოფითი ან დაპირისპირებული (სამხედრო სამსახურისა და სხვა სამოქალაქო ვალდებულებების უარყოფა). 5. რელიგიური ყოფა-ქცევა: ეკლესიაში ზომიერების ფარგლებშია, სექტაკი თავის წევრებს მკაცრად წვრთნის. 6. ორგანიზაცია: ეკლესიისა ბიუროკრატიულია, სექტისა — ქარიზმატული და ა. შ. ეს სქემა, როგორც მისი ავტორი აღნიშნავს, სექტისა და ეკლესიის "იდეალურ ტიპებს" მიესადაგება. კერერის აზრით, გარესამყაროს რედუცირება გამოწვეულია არა სექტების ლიდერთა "ბნელი იდეებით", არამედ სექტის ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვით.

ამერიკელი სოციოლოგი ბ. ვილსონი, როგორც ჩანს, ამერიკის რელიგიური ლანდშაფტის შემხედვარე, — განასხვავებს სექტების ოთხ ტიპს: 1. ევანგელურ-მისიონერული; 2. გარესამყაროსადმი მტრული — ინტროვერსული; 3. ადვენტისტურ-აქტივისტური; 4. გარესამყაროსადმი მეგობრული — გნოსტიკური. ვილსონი თავის გამოკვლევაში Patterns of Sectarianism საუბრობს სექტანტების სხვა სოციალურ როლებზეც, მაგალითად როლი ოჯახში. ვილსონის თანახმად, დასაწყისში ყველა სექტა თავისი წევრებისაგან ფიცხელ ინტეგრაციას, ანგაჟემენტს (Engagement) მოითხოვს. დროთა ვითარებაში, ყველა სექტა რელიგიურ რეჟიმს არბილებს, აკრძალვებს ამცირებს და ა. შ.

სექტანტები პიროვნულად ლაბილური, მგრძნობიარე ადამიანები არიან, მოქმედებენ საკუთარი გულის კარნახით, ხშირად რადიკალურად. ისინი გამოთქვამენ პროტესტს ოფიციალური ეკლესიის ბიუროკრატიულ-ფორმალური "ლეთისმოსაობის" მიმართ, სექტანტები ზოგჯერ წინასწარმეტყველებენ სამყაროს აღსასრულს, ასახელებენ აღსასრულის ზუსტ თარიღებს, საღვთო წერილს განმარტავენ ტენდენციურად და ა. შ. ასეთი დაკვირვებები, რომელიც ცოცხალ სექტანტებთან შეხვედრით მიღებული გამოცდილების

შედგება, შეიძლება ყოველმა ჩვენთაგანმა აწარმოოს; და რაც განსაკუთრებულად ნიშანდობლივია; — თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, — სექტანტების ინტელექტი მათსავე მგრძნობიარობას სამნუხ-აროდ საგრძნობლად ჩამორჩება.

სექტების მიმზიდველობა: სექტები მკაფიოდ ფორმირებულ სწავლებას გვთავაზობენ, ყველა ექსისტენციალურ კითხვაზე მზა პასუხი აქვთ, განსაკუთრებით ფემინისტურ კითხვებზე; სექტები თავის წევრებს ცხოვრების სფეროებს ურეგულირებენ, ტრანსცედენტურ რეალობასთან დაკავშირებას ჰპირდებიან, და ალბათ, რაც ფსიქოლოგიურად ყველაზე ეფექტურია, სექტის წევრი "რჩეულია". რჩეულობა *a priori*; უშრომელ-უნვალებლად? მართლაც მიმზიდველია. ერთი სიტყვით, სულიერი გზის იოლი დაძლევა და სულიერი კომფორტის სწრაფად მოპოვება, — ისევე, როგორც იოლ გამდიდრებაზე ოცნება, ჩვენი აზრით, ის "გადაცემათა კოლოფია", რასაც მოქმედებაში მოჰყავს სექტანტური ცნობიერების მთელი მანქანა. სექტანტურობას, ანუ, უარყოფითი გაგებით, სექტანტურ სულს, ანუ იოლი გზით სულიერი საუნჯის მოპოვების ყინს იგივე ჭია ღრღნის, რაც იოლი გზით სარჩო-საბადებლის მოპოვების წყურვილს: დარღვეული პიროვნული იდენტიტეტი.

ტიპიურ სექტებს ბრალად ედებათ, რომ ისინი თავიანთ წევრებს ფსიქიკურად ანადგურებენ, ფინანსურად ძარცვავენ, სოციალურ ვალდებულებებსა და კავშირებს აწყვეტინებენ, სამყაროს შავ-თეთრად, მტერ-მოყვარედ უსახავენ, ანტიისტორიული მსოფლმხედველობის გზით, ზოგადად ლოგიკური აზროვნების უნარს აკარგვინებენ, ბავშვის აღზრდის ტირანულ მეთოდებს ნერგავენ და ა. შ. სექტიდან გასვლა ძნელია. გასვლას აფერხებს შიში ნარწყმედის წინაშე და ალბათ ზოგჯერ რეალური, ფიზიკური საფრთხეც მთლიანად ვერ გამოირიცხება.

სად შეიძლება შეგვხვდეს სექტა კიდევ, გარდა უშუალოდ სექტისა? ეკლესიაში. ასე მაგალითად, ვატიკანის 1986 წლის მოხსენებაში აღიარებულია: "სიბეცემ და ფანატიზმმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ეკლესიაში მოღვაწე ზოგიერთი ჯგუფი და პერსონა, საზოგადოების დაპირისპირების ფონზე სექტანტურად იქნენ შეფასებული". ეს არ უნდა იყოს დამახასიათებელი მხოლოდ კათოლიკე ეკლესიისათვის, რომლის ორდენული სისტემა ეკლესიის სექტებად დაშლის შემაკავებელი ისტორიულად აპრობირებული წამალი იყო. ჩვენს თავისუფალ პრესაში დროდადრო ქვეყნდება წერილები, რომლებიც საკმაო ეჭვს აღძრავენ ჩვენს ეკლესიაში სექტანტური სულისკვეთების მომძღაერების თვალსაზრისით. ასე მაგალითად: "ანტიეკუმენისტურ-სექტანტური იზოლაციონიზმი და აგრესიულ-ფუნდამენტალისტური პერვერსიები, ანუ უკუღმართობები ოფიციალური სამღვდელოების მიერ წლების განმავლობაში დაჟინებითა და გამძვინვარებით ჭეშმარიტ ქრისტიანობად ცხადდება და ამ გზით კანონდება ქვეყანაში რელიგიური ქაჯობა-ბარბაროსობა. ეკლესია თვალსა და ხელს შუა კარგავს თავის ეკლესიურ სახეს და თავისი ყოვლად გაუმართლებელი ცენზურომანიის წყალობით მაკონტროლირებელ-ძალოვან სტრუქტურად მუტირდება..." ("რეზონანსი" 26. 09. 2002). ამავე სტატიაშია ჩამოთვლილი სექტანტისათვის დამახასიათებელი ტიპიური ქმედებები: "საქართველოს ეკლესიისათვის დამახასიათებელი თვითიზოლაცია, მის მიერ მთელი რიგი გაუმართლებელი ქმედებებით (მაგალითად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლა, ახალი სტილის სინოდალური დაგმობა და სხვ. ) დასავლური, ქრისტიანული ცივილიზაციისათვის ზურგის შექცევა" და ა. შ. დამონმებულ სტატიას მაღალკვალიფიციური ავტორის ხელი და ეკლესიის გულშემატკივრის გულწრფელი ნუხილი ეტყობა. ამ გულწრფელ ნუხილს ჩვენც ვუერთდებით: თუმ-

ცალა, ეკლესიის დაღმასვლას სექტისაკენ უკვე ველარაფერი შეაკავებს.

“უკან, “სექტისაკენ”: “სექტის” ფართო ე. ი. რელიგიის მნიშვნელობით გამოყენება ტიპიურია შუა საუკუნეების ევროპისათვის. ამას ერთი ძალიან მრავლისმეტყველი მიზეზიც აქვს. შუასაუკუნეებში ცნება “რელიგია” საერთოდ გაქრა არენიდან, შეიცვალა იგი Fides-ით, “რწმენით”. განმანათლებლობის დროიდან “რელიგია” ნელ-ნელა “რეაბილიტირდა”. Fides-ის პარალელურად შუასაუკუნეებში იხმარებოდა Lex, doctrina, secta; როგორც წესი “სხვათა”, რელიგიები Fides-ად არ მოიხსენიებოდა, ასე მაგალითად, ესპანეთის ინკვიზიციის აქტებში საუბარია secta de mahoma-ს შესახებ. სექტად იწოდებოდნენ, აგრეთვე, “გარექრისტიანები”, მაგალითად კათარები.

მეცნიერულად შესწავლილია მხოლოდ ქრისტიანული სექტები. ისლამის 70-მდე ან ბუდიზმის უამრავი მიმართულება მეცნიერთათვის ჯერჯერობით “მტილი დახშული, წყარო დაბეჭდილია”. რა შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენს შუასაუკუნეობრივ სიტყვათხმარებაზე; რასაკვირველია “ფიდესისა” და “სექტის” როლს “შჯული” და “წვალება” იწინააღმდეგებენ. რამდენადაც, — დღევანდელი ეკლესიისაგან განსხვავებით, — ჩვენი ქრისტიანული თვითშეგნებით ოდითგანვე, თავს მთელი ქრისტიანული სამყაროს, ანუ ბოლომდე შემონახული ტერმინით, “რჯულ-საქრისტიანოს” ნაწილად აღვიქვამდით,<sup>10</sup> იყო “რჯულიანისა” და “ურჯულოს” გაყოფაც. ისევე როგორც ჩვენი გაგებით “ურჯულოებისათვის”, ჩვენც ასეთივე, ანუ “გიაურები” ვიყავით. აქვე, ალბათ უადგილო არ იქნება, ტოლერანტული და ფანატიკური რელიგიურობის ჭიდილის საილუსტრაციოდ

<sup>10</sup> ეს რომ ასე იყო, ჩანს თუნდაც ვაჟა-ფშაველას ერთი პუბლიცისტური ნერილიდან.

ერთი ცნობილი ადგილიც დავესესხოთ "მარგალიტების მფლობელს":

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,  
მარტო ჩვენ გეზრდიან დედანი,  
ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ  
კუპრში მოელის ქმენანი,  
ამის თქმით ვნარა-მარაობთ  
ლთიშვილთ უკეთეს იციან,  
სუყველა მართალს ამბობენ  
განა ვინაცა ჰფიციან?"

ეს პოეზიის მარგალიტი ალბათ კარგი დასასრული იქნებოდა ჩვენი წერილისათვის მაგრამ "ზოგჯერ თქმა სჯობს"...

ჩვენი მიზანი არაა სექტის ფენომენის დანვრილებით გაშუქება ან თუნდაც "ნამყვანი" სექტების დახასიათება. ვიფარგლებით მხოლოდ "სექტის" ცნების გაგებით. თუ "სექტის" გაგების ზოგადი სურათის მოხაზვა უკვე შევძელით, მაშინ დროა "რუსეთის გავლით" ჩვენ "ძველ სახლს" დაუბრუნდეთ. დაინტერესებულ, მაგრამ ამ სტატიით დაუკმაყოფილებელ მკითხველს შეუძლია ზემოთ დამონ-მებულ გერმანულ-ინგლისურენოვან ავტორებს (Weber, Troeltsch, Niebuhr, Kehrer, Wilson) ჩაუდგეს კვალში და უფრო ამომწურავი ინფორმაცია და ინტერპრეტაცია სექტის შესახებ მათგან მიიღოს.

### თავი III

რუსეთი სექტებით (ისევე, როგორც წიაღისეულით) არაჩვეულებრივად მდიდარი ქვეყანაა. რუსული სექტანტობის ერთ-ერთ პოზიტიურ შედეგად შეიძლება იხიცი მკვიჩნიოთ, რომ რუსეთში სექტების მეცნიერულ-კრიტიკული რეფლექსია, ე. წ. сектоведение განვითარდა. რუსული სექტანტობის რევოლუციამდელ მკვლევართა შორის განსაკუთრებულად ცნობილია Бобринцев-Пушкин



(თავისი წიგნით: Суд и раскольники-сектанты, СПб, 1902), რომლისთვისაც сектанты-раскольники ერთი განუყოფელი ცნებაა. შედარებით თანამედროვე რუსი ისტორიკოსის, კლიბანოვის ცნობით, К 1917 г. библиография религиозного сектанство насчитывала несколько тысяч статей, брошюр и книг (А. И. Клибанов, История религиозного сектанства, Наука).

რუსული სექტა-მიმართულებებიდან ეკლესიური ხარისხის მფლობელია ე. წ. სტაროვერულ-ძველმორწმუნული "რასკოლი", რომელმაც ფესვები ჩვენთანაც გაიდგა. ქართველი "სტაროვერები", გარდა იმ набожности-ისა, რასაც მათ მათივე რწმენა ავალებს, გამოირჩევიან თავიანთი მწერლური მოღვაწეობითაც. აღნიშვნის ღირსია ჩვენს სტაროვერებზე ალბათ ცოტა დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის მიმართულებაც, საზღვარგარეთ ცნობილი, როგორც "ტოლსტოის იმამენტური რელიგია". «Духовное Единство»-მ ანუ "ტოლსტოის ეკლესიამ", — თვითნოდებათა თანახმად, — გაუძლო დროის გამოცდას და იგი დღესაც რამდენიმე სამწყსოს მფლობელია. მათ აქვთ სასულიერო აკადემიაც, რომელიც მონოდებულია ტოლსტოის რელიგიურ იდეებს საკადრისი პოპულარიზაცია გაუწიოს და ამასთან, პრაქტიკულად საჭირო სასულიერო მოღვაწეები მოამზადოს. ტოლსტოის რელიგიის ძირითადი იდეაა თვითსრულყოფა, самосовершенствование, რომლის დროსაც ძალიან მნიშვნელოვანია ბუნების ნიაღში ფიზიკური შრომა. ერთი ქართული ლეგენდა გენიალური მთარგმნელის — ივანე მაჩაბლის იდუმალეობით მოცულ გაუჩინარებას ტოლსტოელებთან აკავშირებს. რუსული სექტანტების ერთი ნაწილი, მათ შორის ტოლსტოელებიც, 1900-იან წლებში მართლაც გაუჩინარდნენ, კანადაში გადასახლდნენ.

რუსი სექტანტები გამოირჩეოდნენ სოციალისტური იდეებით: "ცარიზმისა" და "ობერ-პროკურორისაგან" დევნილ-შევიწროვებულნი სოციალ-დემოკრატიებთან (ე. ი. ბოლშევიკებთან)

თანამშრომლობდნენ. რევოლუციის შემდეგ ეს თანამშრომლობა შეწყდა, ბოლშევიზმის მზარდი ანტირელიგიურობისა და ოფიციალური ეკლესიის მიმართ მისი მზარდი ლოიალურობის მიზეზით. უნდა აღინიშნოს ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოში მოღვაწე ზოგიერთი რუსული სექტის, მაგალითად "დუხობორების", "მალაკნების" მოღვაწეობა, რომლებიც რუსეთიდან იძულებით გადმოსახლებულნი აქ კომპაქტურად ცხოვრობდნენ, მუყაითობით გამოირჩეოდნენ და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში დადებით როლს ასრულებდნენ. ბოლოდროინდელ ქართულ პრესაში სამართლიანად გამოითქვა სინანული "დუხობორების" უკან, რუსეთისაკენ გამგზავრების გამო.

რუსული сектантство-раскольничество ძირითადად ჩაგრული გლეხობის<sup>11</sup> სოციალური პროტესტის რელიგიური გამოხატვის ფორმა იყო და იგი შეიძლება აღქმულ იქნას რუსული კულტურისათვის ზოგადად დამახასიათებელი ნიშნის — სოციალისტური უტოპიისა და ქრისტიანული სოციალიზმის ურთიერთშერწყმის, — ქვეშ.

რუსეთში სექტანტობა არა მხოლოდ დევნა-შევიწროების, აღფრთოვანების ობიექტიც გახლდათ, როგორც ღრმა რუსული ღვთისმოსაობის გამომხატველი ფენომენი (იხ. П. Н. Милюков, Очерки о истории русской культуры, 1994).<sup>12</sup> რუსული სექტანტობა არა მხოლოდ რუსეთში, საზღვარგარეთაც იმსახურებს შესაბამის მეცნიერულ ინტერესს. მაგალითისათვის: Karl Konrad Grass-ის ორტომეულის, Die Russische Sekten (ლაიფციგი, 1914)-ის დასახელებაც

<sup>11</sup> მაქს ვებერი მათ ნააზრევს "პარიანტელექტუალურს" უწოდებს.

<sup>12</sup> N. Tsaki-ის თანახმად (La Russie sectaire, 1888, ჰარიზ) რუსული სექტები რუსეთის მოსახლეობის ყველაზე ინტელექტუალური და ენერგიული ნაწილია.

იკმარებს. უფრო თანამედროვე გამოკვლევებიდან ერთ-ერთი აღიარებული მონოგრაფიაა H. Gomez-ის *Las sectas rusas*, მადრიდი, 1949.

რუსული სექტების ზღვა ისტორია და მათი შესწავლის ისტორია ჩვენ საგანგებოდ (ჯერ) არ შეგვისწავლია და სამწუხაროდ მხოლოდ ამ მცირე ექსკურსს უნდა დავეჯერდეთ. უნდა ვაღიაროთ, რომ რუსული რელიგიურობის, — სულ ერთია რას დავარქმევთ მას: ოფიციალურს, ნახევრადოფიციალურ-სტარეცულს, სექტანტურ-რასკოლნიკურს, ერეტიკულს, თუ "პრავდოისკატელურს", — უბრალო დაზვერვაც კი ცხადყოფს, რომ იმ დიდ რელიგიურ მადანთან გვაქვს საქმე, რომლის ათვისება და მოპოვება რელიგიის ისტორიკოსთა თუ რელიგიის თეორეტიკოსთა პროფესიონალური ოცნებაა. ჩვენი ფრთხილი ვარაუდის თანახმად, Правдоискательство რუსეთის უჩვეულოდ მრავალფეროვანი სექტანტობის ძირითადი მასულდგმულებელი იყო.

რუსული სექტანტობის ნეგატიურ მხარებზე აქ აღარ ვისაუბრებთ, რადგან ქართველი მკითხველისა თუ ფილმის მაყურებლისათვის ხლისტური სინდრომისაგან მიღებული შთაბეჭდილება უკვდავია.<sup>13</sup>

სამწუხაროდ, რუსული სექტანტობის ფესვების ძიებას ერთი არაჯანსაღი ტრადიციაც აქვს: დასავლეთისკენ თითის გაშვების ტრადიცია. მაგალითად ობერ-პროკურორის 1907 წლის მოხსენებაში აღნიშნულია: "წმინდა რუსეთი არ იცნობდა სექტანტობას, რუსულმა სულმა მართლმადიდებლობაში ჰპოვა თავისი სამშობლო... სექტანტობა დასავლეთევეროპული კულტურის პროდუ-

<sup>13</sup> თუმცაღა ხლისტების უმთავრესი რელიგიური იდეა — სიყვარულის გზით სულის განთავისუფლება, აგრეთვე ექსტაზური ცეკვა — Радение არცთუ მთლად უინტერესო და "ხლისტური" მოჩანს.

ქტია — ხიდი ურწმუნობისაკენ".<sup>14</sup> ასევე და უფრო "უკეთესადაც" ფიქრობს რუსული ეკლესიის დღევანდელი მამამთავარი, რომელმაც რუსეთში სექტანტობის "შემოგდების" ბრალდებას მიამატა "პროსტიტუციის, ალკოჰოლის, ნარკოტიკების და პორნოგრაფიის სახით, დასავლეთის მიერ წარმოებული უსისხლო ომის" ბრალდებაც. რუსეთის პატრიარქმა ამისათვის გონიერებაში, ცნობილი გერმანული გაზეთ "Welt"-ისაგან მიიღო ნიშანი "5", ე. ი. ჩვენებურად "2" (16. 12. 2002). "Welt"-ის აზრით, "რუსეთის უბედურებათა მიზეზები ისევ რუსეთშია საძიებელი". სხვათაშორის, ერთი რუსული სექტა ე. წ. "შტუნდისტებისა — ყოველ "Stunde"-საათში მლოცველებისა, როგორც ჩანს, მართლაც გერმანული პურიტანულ-პროტესტანტული ღვთისმოსაობის გავლენითაა ჩასახული. ახლა კი ჩვენი Stunde-ც მოვიდა.

ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩაგვაგდო ერთმა გარემოებამ: სექტანტობის ბრალდება, როგორც ჩანს, საომარი ცნებაა არა მხოლოდ განსხვავებულ მიმართულებებს შორის.

ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების მწლალეობა, ე. ი. მართლმადიდებლობისაგან განდგომილება? (!)

"და თვითოეულად არცა თუ შესაძლებელ არს ყოველსავე წარმოთქუმაჲ, რავდენნი გინებანი, რავდენნი შეურაცხებანი და ყუედრებანი მოინეოდეს მათ მიერ ჩუენ ზედა დლითი—დღე და ცემითა და გუემითა და მწვალეებლად ხადითა შეინრებულნი დიდსა ურვასა შინა ვიყვენით" (გიორგი ხუცესმონაზონი, ციტატა დამონმებულია "ჩვენი საუნჯიდან", გვ. 333).

ბერძნების ბრალდების არსი რომ შევიცნოთ, ალბათ "მწვალეობის", "სექტის" ცნების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა გვმართებს. ქართული ენა როგორღაც გამათანაბარმ-

<sup>14</sup> ციტატა დამონმებულია ზემოხსენებულ კლიბანოვთან; გვ. 15-16

ნიშვნელოვანებელია: "ერესსა" და "სქიზმას", "სექტასა" და "სეკარეს" ათანაბრებს "უნივერსალური" "მწვალებლობის" ქვეშ. მიუხედავად მათ შორის საზღვრების გარდამავლობისა, შეიძლება გამოვყოთ სექტის, ანუ წვალების ორი სახეობა: 1. რამდენადმე ახალი მიმართულება-სწავლების ანუ ერესის შემომტანი და მიმდევარი, ერეტიკოსი; 2. ეკლესიის იურისდიქციიდან, — ზოგჯერ რალაც უმნიშვნელო, არადოგმატური სხვაობის გამო, — გასული ან განკვეთილი: ერთი სიტყვით, სქიზმატიკოსი, რომელიც ზოგჯერ ძველი მოძღვრების დამცველი უფროა, ვიდრე რაიმე ახლის შემომტანი. რასაკვირველია, ჩვენი ბერების სექტანტობას ანუ სქიზმატიკოსობა-ერეტიკოსობის, თუნდაც რაიმე ნატამალს, სალი აზრი თავიდანვე გამორიცხავს. მიზანდასახულება ბერძნებისა სავსებით აშკარაა: მონასტრებისა და სამონასტრო ქონების სახით, მატერიალური ქონების ხელში ჩაგდება. მაგრამ ბერძნები ხომ არც ისე გულუბრყვილონი იყვნენ: ქართველი თანამორწმუნე, ღვთისმოსავი ბერებისათვის მწვალებლობის, — ეკლესიური გაგებით ეშმაკთან ნილნაყარობის, — ბრალდება + ცემა-ტყეპა, რაიმე გარკვეული საბაბის, "შარის" გარეშე? — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, — უსინდისობას, სულმოკლეობას, სიხარბეს, — ეს მეტისმეტი სიბრყვეცაა. თუ გვეცოდინება ორი მოსალოდნელი სიტყვიდან რას გვაკერებენ, — "სქიზმატიკოსს" თუ "ერეტიკოსს", — მაშინ შეიძლება ჩავენდეთ ბერძენი ბერების თეოლოგიური არგუმენტაციის სიღრმეს. "სქიზმატიკოსით" ბერძნებს უნდა მოხსენებიათ ჩვენი იურისდიქციული ურჩობა, ანუ უშუალოდ კონსტანტინეპოლური ტახტის მორჩილებაში ქართული ეკლესიის (და შესაბამისად ივირონის) არყოფნა; თუ ბერძნები "ერეტიკოსს" გვეძახდნენ, რაც ეკლესიური ხედვით უფრო დიდი ბრალდებაა, მაშინ ისინი ჩვენს მონოფიზიტურ თუ ნაწილობრივ მონოფიზიტურ წარსულს იხვევდნენ ხელზე და

იყენებდნენ შესაბამისად. რაც არ უნდა ტენდენციურად ვწეროთ და წარმოვიდგინოთ ჩვენი ეკლესიის ისტორია, რელიგიის გეოგრაფიას ვერაფერს მოვუხერხებთ: საქართველოში ქრისტიანობა რამდენიმე მხრიდან, მათ შორის სომხეთიდანაც, ვრცელდებოდა...<sup>15</sup> თუმცაღა ტენდენციურობა და გაზვიადება არა მხოლოდ ქართველ, სომეხ მეცნიერებსაც ახასიათებთ, რის გამოც უცხოელ მკვლევართა ზოგად უნდობლობას იმსახურებენ, როგორც ერთნი, ისე მეორენი. სხვათაშორის, სომეხ-ქართველთა გაყოფა-ურთიერთბრალდებებიც მონაწილეობს, თუ რამდენად ზედაპირულია სხვისი სარწმუნოებრივი მიმართულებების შეფასება. თავისი რელიგია ყოველთვის "მართლმადიდებლურია", სხვისი — "ერეტიკული". იქნებ ბერძნები იმდენად გულუხვი იყვნენ, რომ ჩვენთვის ორივე საბრალდებო სახელს იმეტებდნენ, და, უბრალოდ, კომბინაციურად გვეძახდნენ: "შე სქიზმატიკოს-ერეტიკოსო!" იქნებ სხვა მიზეზებიც იპოვეს... სამწუხაროდ, ამ ძიებისას შორს წასასვლელი საგზალი ანუ კომპეტენცია არ გვეყოფნის.

არა მხოლოდ გიორგი ხუცესმონაზონის სამწუხარო გამოცდილება, "ბედი ქართული ეკლესიისაც", თითქმის რვა საუკუნის შემდეგ იმავეს ღაღადებს: "ერთმორწმუნისაგანაც" შეიძლება გაგებულ იქნე. როგორც ერეტიკოსი, ერეტიკული ჩუქურთმებით, ფრესკებით, ღვთისმოსაობით და ამდენად განადგურებისა და მოსპობის განაჩენით, "რაითაცა სახელიცა აღმოჰხოცესო". რა საბაბი შეიძლება ასაზრდოებდეს, თუ არა ერეტიკოსების ბრალდება, რაც რუსმა ერთმორწმუნე ღვთისმოსავეებმა ჩაიდინეს და რისი შეხსენებაც ჩვენს ზოგიერთ კოსმოპოლიტ-რუსეთთუმი კლერიკალს არ აწყენს:

"... უსახელო და ბოროტმა ადამიანებმა, რომელთა რიცხვიც ლე-

<sup>15</sup> თუ შემოიჭრა.

გიონია, ფრესკები დაჯღაბნეს ან შეათეთრეს, როგორც მაგალითად სვეტიცხოველში, ჩუქურთმებიანი კედლები შელესეს, როგორც კაბენის ეკლესიაში, ქართული სტილის ტაძრებს ხახვისთავიანი გუმბათები დაადგეს, როგორც საფარის მონასტერში. შემდეგ უკულტურო ხალხად გამოგვაცხადეს.

მართლაც ჩვენი უკულტურობა იმაში გამოჩნდა, რომ ჩვენმა ბუნებამ სათანადო წინააღმდეგობა არ გაუნია ასეთ ძალმომრეობას, იმდენად მოდრეკილი და მოდუნებული იყო ჩვენი შინაგანი ძალა" (გ. ქიქოძე). ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი რუსეთი კი არაა, — რომელიც მის უბედურებებს, თავის მხრივ, დასავლეთს აბრალებს, არამედ ჩვენი დადამბლავებული შინაგანი ძალაა. სწორედ ამ დადამბლავებულობის ბრალია, რომ უმტიკივნეულოდ შევცქერით ჩვენი ეკლესიის ანტიეკუმენურ სექტად გადაქცევას. საჭოჭმანო, ტრივიალურ თემად იქცა ეკლესიის კრიტიკა. უაზრობადაც, რადგანაც ეკლესიურმა ორგანომ სამართლიანი თუ უსამართლო კრიტიკის მიმართ უჩვეულო მედგრობა, იმუნიტეტი შეიმუშავა. ამიტომაც, მოვლენის, სენის, კრიტიკას კი არა, მისი მიზეზების ძიებას შევეცდებით.

სენი არახალია, ძველია და ადრევე დიაგნოსტირებულია. 1990 წელს, "საქართველოს რესპუბლიკაში" ვინმე ვალერიან ქარქუსაშვილი წერდა: "საქართველოს ეკლესია ერთ დიდ სექტად გადაიქცა, სადაც პროტესტანტი-კათოლიკეთა გამუდმებული ლანძღვაა, მაგრამ ნაკლებადაა სიყვარული, ცოცხალი რწმენა, სახარების სული". "ცოტა რამ ეკუმენიზმზე" (18. 12. 90) ფანატიზმის შავი ჭირის მათე-წყებელი პირველი "მერცხალი" იყო, მას მერე არაერთი გულისტ-კივილიანი, სამწუხაროდ უფრო ემოციური, ვიდრე ანალიტიკური ხასიათის წერილი გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში, განსაკუთრებით გაზეთ "რეზონანსში".

საქართველოს რელიგიური ლანდშაფტი საჭიროებს რელიგიის პროფესიონალი მცოდნის ანალიზს. რელიგიის შემსწავლელი მეცნიერება, — მიუხედავად ზოგიერთი თვითმარქვია "რელიგიათმცოდნის" გამოჩენისა, ჩვენთან ჯერ არ დანერგილა და, ალბათ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ვერც დაინერგება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შემდეგი: სენი, რომელიც არა მხოლოდ ეკლესიას სჭირს, არა მხოლოდ სექტანტობა, არამედ მილიტარულ-სექტანტური ფანატიზმია. რელიგიის ისტორიას უარესებიც ახსოვს, ახალი არაფერი ხდება და ეს რომ ასე არ იყოს, გასაკვირიც კი იქნებოდა. საქართველო რელიგიურ-ფანატიური ეპიდემიის ზონაშია, ყველანაირი გაგებით, თვით გეოგრაფიული მდებარეობითაც კი. "უმეორეს ყოვლისა", უაზრობაა არწმუნო ინდუსი, რომ განგი, ეს საშინლად დაბინძურებული, ადამიანებისა და ძროხების გვამებით სავსე მდინარე, ეპიდემიის ბუდე, არ შეიძლება წმინდა და მაცხოვრებელი, განმკურნებელი და სიცოცხლის მომნიჭებელი იყოს. განგი წმიდაა. მორჩა და გათავდა. რისი თქმა გვინდა ამით: რელიგია არის სოციო-ბიოლოგიური ფენომენი — სოციალურ ქცევათა ევოლუციის, ფართო გაგებით ბუნების, ე. ი. აგრეთვე ადამიანური ბუნება-გენეტიკისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულებათა, ურთიერთდამიზეზებულთა შედეგი. რელიგიის წარმოშობა, — რაც არ უნდა კეთილი მიზნით გავწელოთ, — 100 000 წელს ვერ გასცდება, ვინაიდან ადამიანური მეტყველებაც ამდენივე ხნისაა. რელიგიის წარმოშობა ისევე ფენომენალური და ბუნებრივია, როგორც ენობრივი. ენა მრავალია, მაგრამ პრინციპში ენა ერთია — ადამიანური. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიაზეც, რელიგია მრავალნაირია, მაგრამ რელიგია ერთია — ადამიანური. შეიძლება არსებობდეს მაიმუნური რელიგია (ზოგიერთი გაგებით)? რელიგია სოციალური, ჯგუფური მოვლენაა, "კოლექტიური ინტერაქციის



ფორმა" (Walter Burkert), ამიტომაც ერთი რელიგიური დაჯგუფების აგრესიულობა მეორეს მიმართ ისევე ბუნებრივია, როგორც, მაგალითად, გორილათა ერთი ჯგუფის აგრესიულობა მეორეს მიმართ (ეს რომ არავის შეურაცხყოფა არაა, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მაიმუნის მსგავს ადამიანს ადამიანის მსგავსი მაიმუნისაგან გენეტიკის მხოლოდ 1-2% განასხვავებს. დანარჩენი 98% აბსოლუტურად იდენტურია). ნეირობიოლოგიურად მტკიცდება, რომ ადამიანის ტვინში, მიუხედავად იმისა, მორწმუნეობს ის თუ ათეისტობს, ერთი რამ განსაკუთრებული უბანია, რომელსაც რელიგიური ფუნქცია ეკისრება; აქედან ჩანს, რომ რელიგია "დარვინისტული" გადარჩევა-გადარჩენისა და მუტაციის საქმეს ემსახურება. ტვინის ეს უბანი ჩვენთან განსაკუთრებულად გაღიზიანებულია, ასე ვთქვათ, "გამკალავიშვილებული" და "გორილათა" ქმედებაც შესაბამისად აგრესიული. "გორილათა" გააგრესიულების გამომწვევი უჯრედების ალგზნებას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: კლიმატური ("გარდატეხის ეპოქა"), ეპიდემიური, სომატური (საკვების შემცირება) და ა. შ. ამ მიზეზების ერთობლიობაა ყველაფრის თავი და ბოლო... ამ მიზეზების კვლევაა საჭირო და არა ცარიელი ემოციები. სრულიადაც არ ვაპირებთ, რელიგიის, როგორც ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის დამცირებას; პირიქით, შეიძლება სანაძლეოც კი დავდეთ, რომ საქართველოს "ნამყვან" ფანატიკოსებს, — ეკლესიას გაყრილს, თუ განუყრელს, — საკუთარ მამებთან დარღვეული აქვთ ურთიერთობა, ისინი ტირანი მამების ხელში გაიზარდნენ, მათ ოიდიპოს კომპლექსი სტანჯავთ და ა. შ. არ გჯერათ? გამოჰკითხეთ მათ. სიურპრიზები გელით.

რაც შეეხება მაიმუნურ რელიგიას. თავისი მხარდამჭერები ამ თეორიასაც ჰყავს. მათი ძირითადი დასაყრდენი ქალბატონი ჩეგოა. ქალბატონი ჩეგო, — ცდის ობიექტი, — სხვაფრივ

არაჩვეულებრივად ქვიანი შიმპანზე, რატომღაც ხელიდან არ უშვებდა ერთ გლუვ სიჰს, სულ ამ მომცრო სიპთან ეძინა, ჭამდა, სვამდა და ა. შ. თუ როგორმე მოახერხებდნენ და მოჰპარავდნენ, დაუმალავდნენ ან ნართმევას დაუპირებდნენ, მაშინ ისეთ დღეში ჩავარდებოდა, რომ იმ ქოთის, მანჭვა-გრეხვის, ფანატიკური ვიშვიშისა და შეცხადების აღწერაც კი შეუძლებელია! ერთი სიტყვით, ჩეგოს ჩანასახოვანი ფორმის რელიგია, ფეტიში დაუდგინდა... რასაკვირველია, გარკვეული რიტუალები ცხოველთა სამყაროშიც შეინიშნება, მაგრამ რელიგიას სავსებაში, — როგორც მრავალდემენსიონალურ მოვლენას, — ადამიანს ვერავინ შეეცილება (თუ, რასაკვირველია, საყვარელ მურას პატრონისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება რელიგიაში არ ჩავუთვალეთ).

გავაგდებინოთ ქვა ჩეგოს? ვარწმუნოთ ინდუსი რომ განგი... ვარწმუნოთ სექტანტი, რომ "მართლმადიდებლობა", "ძველი სტილი და მსგ. უბრალოდ ისტორიული, კულტურულ-გეოგრაფიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვა შემთხვევითობებისა თუ კანონზომიერებების ერთობლიობა და შედეგია? — უაზრობაა. პირიქით, ვფიქრობ, რომ განგი ნაკადულია, მართლმადიდებლობა და ძველი სტილი ცხონების ნყარო და ნაკადულია და ა. შ. რელიგიის ნამალი რელიგიაშივია. "უგუნური რისხვამან მოკლის," — გვასწავლის ჩვენი ძველი მწერლობა. ასე რომ, დაეანებოთ ის ქვა ჩეგოს, მნიშვნელობა არა აქვს ჭეშმარიტია, მცდარია, უაზრობაა თუ რაა. იმ ქვის ტარება ჩეგოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, მორჩა და გათავდა. როდესაც ეკლესია ამბობს, რომ "მართლმადიდებლობამ გადაგვარჩინა", — რაც, ერთი შეხედვით, დიდი უაზრობაა, ბიოლოგიურად სწორია: მართლმადიდებლობის ამოჩემებამ, (რომელსაც ადრე ქრისტიანობა ერქვა) გადაარჩინა საქართველო, ისევე როგორც შიიტური ისლამის ამოჩემებამ ირანი, შინტოიზმისამ —

იაპონია და ა. შ., ერთი სიტყვით, რელიგია ბიოლოგიურად "მანი-ფესტირებს". სულაც რომ დავაშროთ განგი, ნავა ის ინდუსი და ახალ განგს იპოვის, ან ხეს გააღმერთებს, ან ჩეგოს ნაართმევს ქვას და იმას გააღმერთებს, იმით "განინმინდება".

ამ ჩვენი პატარა სოციო-ბიოლოგიური გადახვევის გამო რელიგიის კრიტიკოსობა რომ არ დაგვბრალდეს (საქართველო ხომ ბრალდება-ცილისწამებათა ქვეყანაა), აღვნიშნავთ, რომ რელიგიის ბოლოგია, — მიუხედავად მისი ექსპერიმენტულობისა, — არაა უსათუოდ ათეისტური თუ ათეისტურად ორიენტირებული: ამას მონმობს ამერიკელი ბიოლოგების (Newberg, 'Aquili, Rause) 2001 წელს გამოსული წიგნი "ნაფიქრი ღმერთი", სადაც ის ზემოხსენებული უბნები მიკროსკოპიული ფოტოგრაფიის გზითაა ნაჩვენები და სადაც, სხვათაშორის, ვკითხულობთ: "თითქმის ეჭვგარეშეა, რომ ტრანსცენდენტალური მდგომარეობა, სადაც რელიგია განვითარდა, ნევროლოგიურად რეალურია... ერთეული გამოცდილებანი მხოლოდ ნევროლოგიური ფუნქციებია, სადაც მისტიკური გამოცდილება ნერვიულ იმპულსებზე და სიგნალებზე დაიყვანება, თუ ისინი ჭეშმარიტი გამოცდილებანია? — ეს ღრმა კითხვაა. შეიძლება ბოდა, რომ ტვინს გამოემუშავებინა უნარი მატერიალური სინამდვილის გადალახვისა და ყოფიერების იმ მაღალი დონეების აღქმისა, რომელნიც მართლაც არსებობენ?"<sup>16</sup> ვინ იცის!

ახლა კი დროა ისევ დასაწყისს დაუვბრუნდეთ და განვიხილოთ თუ რა იყო იმ ფანტასტიკურ პასაჟში მართლაც დაუჯერებელი: უცხოპლანეტელების არსებობა? დედამიწურ რელიგიასთან მათი ომი? უფრო, უფრო?

თუ მკითხველს ჯერაც ახსოვს, ჩვენ იქ ერთმანეთთან მჭიდროდ ჩახუტებული იელოველები და (ანტი)იელოველები, ანუ მართლ-

მადიდებლები დავტოვეთ. აი, ეს იყო, რა თქმა უნდა, "უფრო, უფრო". მართლმადიდებლები თუ ე. წ. მართლმადიდებლები, — მნიშვნელობა არა აქვს სიტყვას, — არასოდეს, არავის, არაფრის გულისთვის არ ჩაეხუტებიან. არ ვამბობთ ეს ცუდია თუ კარგი, მაგრამ ვიმეორებთ, ბიოლოგიურად აუცილებელია და სექტანტობის საიდუმლოც, ანუ წარწყმედის წინაშე შიშის საიდუმლოც სწორედ ამაშია, ბიოლოგიაშია.

ყველა რელიგიას, რელიგიურ კონფესიას, დენომინაციასა თუ სექტა-ეკლესიას თავისი ცხოვნების თეორია აქვს, მეტნაკლებად ურთიერთგამომრიცხავი, მეტნაკლებად აბსოლუტური. აბსოლუტურობა სექტისათვის, — კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, — ჯგუფური კუთნილების დონეზეა დაყვანილი. თუ ამ ჯგუფის, ანუ მათი აზრით, "ეკლესიის" წევრი ხარ, ე. ი. კონკრეტულ შემთხვევაში, იელოველი, მართლმადიდებელი, მორმონი, თუ მუნისტი, მაშინ ცხოვნები, სხვაგვარად ვერაფერი გიშველის... რელიგიათა ცხოვნების თეორიები სექტებთან შედარებით რაციონალურობენ. ვიშნუიზმის მიხედვით, მაგალითად, შეგიძლია ნებისმიერი ღმერთი იწამო, ილოცო, მაგრამ შენ "სინამდვილეში" "საბოლოოდ" მაინც ვიშნუს ლოცულობ; ე. ი. ისე რომ არც იცი, "ფარულად" ვიშნუისტი ხარ. რაღაც მსგავს თეორიას, ყოველ შემთხვევაში ზეპირი ვარიანტით, კათოლიკური ელესიაც იუნჯებს: ნებისმიერი ეკლესიის წევრი, თუ ის მართლაც ღვთისმოსავი ქრისტიანია, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან, უნდა თუ არა მას, ის მაინც კათოლიკე ქრისტიანი-მსოფლიო ქრისტიანი, საბოლოო ჯამში კი რომის კათოლიკე ეკლესიის წევრია. იქნებ ჩვენც გვეფიქრა ჩვენი საცხოვნებელი თეორიის გადაფასებაზე, მის დახვეწა-განვითარებაზე და განალმევაზე (გამოვაცხადოთ მთელი მსოფლიო მართლმადიდებლად) საპა-

---

<sup>16</sup> "სარკმელი ღვთისაკენ", გვ. 192

ტრიარქოში სსკ — საცენზურო-სასწავლო კომიტეტი კი არა, რწმენის კონგრეგაცია (რკ გამოდის) უნდა არსებობდეს, რომელიც კვალიფიციური თეოლოგის (ე. ი. ედიშერ ჭელიძის) პირით ოფიციალურად განმარტავს, თუ რა არის მართლმადიდებლობა, მართლმადიდებლური რწმენა და რა არა. მაგრამ ეს, — ერთი შეხედვით, უბრალო რამ, — რომ გააკეთო მართლაც ეკლესია უნდა იყო.

\*\*\*

მაინც რა არის უფრო უფრო დაუჯერებელი? ჩვენ ამ ბავშვური ენით უფრო არსებითის თქმა გვინდა, ვიდრე ყველა სექტარელიგიების საცხონებელი თეორიებია (ომების, ცრემლების მიზეზნი!) ყველანი ერთად აღებულნი და რომელნიც ყველანი ერთად აღებულნი, — ერთი ბავშვის ერთ ცემლადაც კი არ ღირან.

თუ კაცს ყველაფერზე უფრო, ე. ი. “უფრო, უფრო” ღმერთი უყვარს, მაშინ ის მარტოა და თვითონაა სექტაცა და რელიგიაც: “რელიგია არის ის, რასაც კაცი თავისი მარტოობისაგან შექმნის” (უაითჰედი).

\*\*\*

და ბოლოს, იქნებ ჩეგოს ამბავიც გვეკითხა. უამთასვლამ ჩეგოც დააბერაო, მაგრამ ის თავის “ძველი სტილის” ქვას ჯერაც ზედ დაჰკანკალებს, იგი ჩეგოსთვის ყველაფერია: ღმერთიც, ცხონებაც, სასუფეველიც...

მინანერი:

გვიანლა შევიტყვეთ: ქალბატონი ჩეგო მომკვდარა, ბიოლოგიური ლაბორატორიის ეზოში დაუკრძალავთ პროფესორებს და, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი განუშორებელი სიპიც თან ჩაუყოლებიათ. ცხონებისა და მარადიული სიცოცხლისა რა მოგახსენოთ, — ეს მხოლოდ ღმერთის პრეროგატივაა, — მაგრამ ის გლუვი საგანი — სიპი, ანუ “ცხონების თეორია” ხომ მარადიულად დაჰრჩა “ჩე-

## პლოტინის უკანასკნელი ხილვა

### I. ცხოვრება

პლოტინის ვრცელ ბიოგრაფიას ვუმადლით მის მოწაფეთაგან უნიჭიერესს, რომლის სახელიც ჩვენთვის არცთუ ისე შორეულად უღერს: პორფირიოსი. მხატვარი და მოქანდაკე პლოტინმა სიცოცხლეში ახლოს არ გაიკარა, არ უნდოდა, "კიდევ ერთ სახეს სახისას" დაეჩრდილა ანაბეჭდებით ისედაც ჩაჩრდილული მზისქვეშეთი. როგორც ჩანს, პლოტინის სახება მხატვარ-მოქანდაკეთ საგანგებოდ დაიმახსოვრეს, მისი სიკვდილის მერე კი ქვაში გარდასახეს: პლოტინის "სახე სახისა" ჯერაც სახეზეა: მოგრძო პროფილით, წინ წამოწეული, გამოკვეთილი შუბლითა და ყვრიმალეებით; დაძაბულ, მკვეთრ და ფიქრისაგან დაღარულ პირისახეს, გარდა ტიპიური ანტიკური ჰარმონიისა, თითქოსდა სულ სხვა რამ ნაწილიც მისი არსებისა თან ახლავს: "სწრაფვა მარტოსულისა მარტოსულისაკენ", პლოტინის ფილოსოფიის ფუძე-იდეა — ერთი.

სწავლის წყურვილი ჰკლავდა პლოტინს; ოცდარვა წლისამ, და ეს იყო 232 წელს, "იპოვა იგი, ვისაც ეძებდა", ალექსანდრიაში მოძღვარს თვისას, ამმონიოს საკვასს მიაგნო. იყო თუ არა პლოტინი თვითონაც წარმოშობით ეგვიპტელი, ზუსტად არავინ უწყის, მაგრამ მას რომ "ეგვიპტელს" უწოდებენ, ეს კი სამართლიანია, რადგანაც მისი სიბრძნე ეგვიპტეში ჩაისახა. თერთმეტი წელიწადი დაჰყო პლოტინ ერენიოსმა თავის ქარიზმატულ მასწავლებელთან, რომელსაც, მსგავსად სოკრატესი, წერილობით არაფერი დაუტოვებია; ამმონიოსი დანერჩლ ფიქრს გამოთქმულ ფიქრს ამჯობინებდა.

გარდა პლოტინისა, ამმონიოსის მოწაფეთაგან ცნობილია:

ორიგენე ნეოპლატონიკოსი,  
ლონგინოზი,  
ოლიმპიოსი,  
თეოდოსიოსი,  
და კიდევ ერთი -

ანტონიოსი, ესეც მეტ-ნაკლებად ცნობილი "მარადიოსი".

გაქრისტიანებულნიც:

ორიგენე და ჰერაკლასი ერთხანს ამმონიოსს ემონაფებოდნენ; ბოლომდე შერჩნენ თუ არა, საკითხავია.

242 თუ 243 წელს, ამმონიოს საკვასი სიკვდილმა გაიხმო, პლოტინ ერენნიოსი კი იმპერატორ გორდიან III, სპარსეთის დამლაშქვრელს აემგზავრა... პლოტინს ჰინდოთა და სპარსთა სიბრძნის ნაყოფის მოწყვეტა და შეტკობა ენადა; გორდიან ლაღათით მოიკლა 244-ს, ამიტომ ჰინდო-სპარსთა ფილოსოფიისათვის თავი დიდად აღარ იტკია პლოტინ ერენნიოსმა და რომისაკენ მიმავალ ერთ-ერთ გზას გაუყვა.

სავარაუდოდ, გორდიანთან ერთად მოლაშქრე რომაელმა სენატორებმა უმფარველეს პლოტინს და ეს ყველა დროის უდიდესი ფილოსოფოსი კეთილშობილ რომაელ ბანოვანს — გემინას ჩააბარეს. — შეჰვედრეს, როგორც ლოცვა მფარველ მნგელოზს.

უმონყალოდ ლამაზი ქალი იყო გემინა. რას შევადაროთ, შეუდარებელი? თეთრეულს: მნიფე, ბალზაკოვან ასაკში განფენილი, რომის მცხუნვარე მზით შემშრალი და ჩამთბარი, მერე კი, ბინდისას, შინ, ხავერდოვან ლოგინზე გადაჭიმულხ თუ ჩაკეცილი; განსაკუთრებულად მოეფერა და მოესათუთა ის პლოტინს, შორეული ლაშქრობით დაღლილს; პლოტინის უღლელ გენიას კი, რომელიც მან მყისვე შეიცნო, ახალი აღმაფრენა შთაბერა.

გემინას პატარა ქალიშვილსაც გემინა ერქვა.

დილის სისხამზე ადგომა უყვარდა პლოტინს, მონაფეების მოსვლამდე გემინას ვრცელი ბალის ბოლოში იჯდა, დიდი ლელვის ქვეშ, ბამბუკის სავარძელში. მიეპარებოდა ფიქრებში ჩაძირულ პლოტინს ქალთაგანი, უცებ თვალეზზე ხელებს ააფარებდა: "აბა ვინა ვარ?" პლოტინს უნდოდა გამოეცნო, ვინ იყო ეს, დიდი თუ მცირე გემონა.. .

გემინას ქმარი, მოხუცი და დიდად დაუცხრომელი სენატორი (მისი სახელი დროს არ შემოუნახავს), მისდღემში მოუცლელი, სენატის საქმეებს გადაგებული, თავის სრა-სასახლეში ათასში ერთხელ თუ შემოიხედავდა.

პლოტინის ცდა — დაეარსებინა პლატონური სახელმწიფო, მარცხით დამთავრდა. პლოტინი იმპერატორისაგან ითხოვდა თავის მეგობართა კუთვნილ კამპანელაში ერთ, კარგა ხნის დანგრეულ ქალაქს, სადაც იგი და მისი მონაფენი დასახლდებოდნენ და "პლატონოპოლისს" ანუ "იდეალურ სახელმწიფოს" ხორცს შეასხამდნენ. იმპერატორმა გალლენიუსმა, ელინოფილმა: "ჰოო", მაგრამ "კამარილიამ" ანუ კარისკაცობამ "უტოპიური სახელმწიფოს" იმპერატორულ დასტურს ხელ-ფეხი გაუკოჭა. იმპერატორის ცოლი, ერუდირებული დედოფალი სალონინაც პლოტინის ფილოსოფიას ჰყვარობდა. ზოგჯერ ქალაქგარეთ, "ზედაზნად" ნოდებული ტყიანი გორებისკენ მიჰქროდა დედოფლის ეტლი სამეულითურთ, ველურ ბუნების ნიაღში ენაფებოდნენ სალონინა და გემინა (ორი უმშვენიერესი ქალბატონი, ორი უჰაეროვანესი არსება) პლოტინურ მჭერმეტყველებას.

ოცდაექვსი წლის აკადემიური მოღვაწეობის შემდეგ პლოტინი თავისი მეგობრისა და მონაფის — ზეტოსის მამულში გადასახლდა. რაღაც გამოუცნობმა სნეულებამ ის სიკვდილს მიაახლოვა. ექიმი, პლოტინის მონაფე ევსტეხიოსი, სამოცდაათი კილომეტრის



დაშორებით, მაშინდელ პოტილში, დღევანდელ პოცეულში ცხოვრობდა. ევსტეხიოსს გუმანმა არ უმტყუნა, გუშინ საღამოსვე გამოემგზავრა მოძღვრისაკენ, მთელი ღამე იარა და ამ დილას სულთმობრძავ მოძღვარს მოუსწრო. ეს მოხდა 270 წლის 3 ივნისის წილიან დილას, ნეაპოლის ჩრდილოეთით, დღევანდელ სანაპირო ქალაქ ლირის მინტურაეს მახლობლად. დიდი მოძღვრის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: "შეეცადეთ ღმერთი ჩვენში (რომაა. — მთარგმნ.) აღუვლინოთ ღმერთს ზეცაში".

ზემოთ დასახელებული

პორფირიოსის (ასურელის, ბეთანაედან, — ათენს, ლონგინოზთან განსწავლული მალქოზის, ქართულად: "მალხაზისა" და "პორფირის"),

ზეტოსის,

ევსტეხიოსის გარდა, პლოტინის მონაფეთაგან იხსენიებენ:

გენტილიანუს ამელიუსს, იტალიკერად წოდებულს, რომელმაც პლოტინის აკადემიაში 24 წელი დაჰყო, და

კასტრაკიუსს.. .

მხოლოდ ორმოცხადცხრა თუ ორმოცდაათი წლისამ დაიწყო წერა პლოტინმა. მისი მწერლური დრო-სივრცე სულ რაღაც თხუთმეტ-თექვსმეტ წელიწადს მოიცავს.

## II. შემოქმედება

ორმაგი ხედი პლოტინური ფილოსოფიისა, ორმაგი წვლილვა, ძიება ითქმის პლოტინოლოგთაგან (მაგალითად, E. Zeller). პირველი რელიგიურ-ეთიკური, სუბიექტური, აქტუალური სანყისია, და ამოსავალი პუნქტია პლოტინური აზროვნებისა. მეორე — ობიექტური, საკუთრივ ფილოსოფიური, მეტაფიზიკურ-კოსმოლოგიური ანუ საგნობრივი სანყისია.. .

რათა სულში გაიღვიძოს სწრაფვამ მასშივე ფარულად დაუნჯე-

ბული დასაბამისაკენ, სულმა უნდა "შეიაროს" თავის თავში, — ეს სუბიექტურ-აქტუალური ათვლის ნერტილია, — და სულმა თავის თავშივე უნდა აღმოაჩინოს დაუსაბამო დასაბამი. ასეთია პლოტინის ფუნდამენტური და კარგად არგუმენტირებულ-დასიძრკველებული გზა. გზა მრავლობისაგან (მრავალსახეობისაგან) სრულიად გამიჯნული ერთისკენ, პლოტინური ღმერთისკენ.

ობიექტურ-საგნობრივი ამოსავალი პლოტინური ფილოსოფიისა კი პლატონური დასაზღვრულობაა გრძნობათა და ინტელლიგებლურ გონით სამყაროთა შორის, რაც ზოგადად გულისხმობს გონისა და სულის პიპოსტაზების (და მათთან ერთად ყოველივეს) დასაბამიდან გამომავლობას და, ამავე დროს, დასაბამისაგან ანუ ერთისაგან მათ (და ყოველივეს) განსხვავებულობას.

ონტოლოგიურად სუბიექტურ-აქტუალური ხედი (ხედვის არე) ობიექტურ-საგნობრივს ითვალისწინებს, "აპირველმყოფებს"; სულს შეუძლია დასაბამს შეუერთდეს, რადგან იგი მისეულია, დასაბამიერია. პლოტინური გზა ადამიანური ყოფისა, და, საერთოდ, არსებობის წინაუკმობის დაძლევაა. — გზა მრავლობიდან ერთებისაკენ. "ყოველი მყოფი მხოლოდ ერთის გზითაა მყოფი რამ" და რა უნდა იყოს მყოფი, თუ არა ერთი რამ? ჯარი ან ფარა უერთოდ, ისე, თუ ის ერთი რამ არაა, არაა ჯარი ან ფარა. მაგრამ ვინაა ის, ვინც ყოველივეს აერთებს და აერთიანებს? სული? გონი? იქნებ უფრო ტრანსცენდენტური? იქნებ — გვპასუხობს პლოტინი და მიგვითითებს გზას ზევითკენ, რომელიც ამავე დროს არის გზა შინისკენ. დასაბამი ჩვენშივეა — ამის აღმოჩენა ასაბამებს სწრაფვას მრავლისას, მრავლობისას ერთისაკენ, ერთებისაკენ. სიცოცხლის აზრი ამ სწრაფვაშია. — "ალსელამი დასაბამად, რომელიც ჩვენშივეა, და მრავლობიდან ერთებად ქმნაში".

პლოტინის გზას ჩვენ ვუნოდებდით "აქტიურ ესქატოლოგიას".

ერთი, ღმერთი, დასაბამიერი უსასრულოდ შორსაა, მაგრამ ის ჩვენში, ჩვენს სულშივეა, აქვეა და აწვე არს. მაგრამ აღმოჩენა ამისა ძნელია, თითქმის ბედისწერულად ძნელი. სულში ძიება, სულის სიღრმეში სულიერი მოგზაურობა ბედისწერაა, უსასრულობის ზღვართან მისვლა; უსასრულობის ზღვართან იწყება "ზევით" და სწრაფვა ზევითკენ. სწრაფვა ზევითკენ კი აქტიური მოლოდინია, აქტიური ესქატოლოგია. რბიოდე! ანუ "იქმოდე ყოველივეს წინ" — უკეთესად ვერ გამოითქმის ეს პროცესი.

\* \* \*

გრძნობადი სამყარო, ხილული ქვეყნიერება სინამდვილის ქვესაფეხურია და აქტუალური ხედვით ის გონითი სამყაროს მიმართ არა სინონიმურ, არამედ პომონიმურ რანგში იმყოფება. გრძნობადი სამყარო მოიცავს საგნებს, "რომელთაც არსებობა მიენერება, მაგრამ ისინი, როგორც წესი, არარსებობას ფლობენ". აქ პლოტინი გნოსტიკურ დუალიზმსა და ბუდისტური "მაიას" ("ხილული ქვეყნიერება მოჩვენებაა") მოძღვრებას უახლოვდება; მაგრამ პლოტინურ აზრთა წყება აქ არ წყდება. მართალია მრავლება (სიმრავლე) ნაკლულევანებაა და თითქოსდა არსებობაცაა, მაგრამ თუ ხილულ სამყაროს ობიექტურად განვიხილავთ, აღმოვაჩინთ, რომ ის მაინც მშვენიერია, რადგანაც ის ღმერთის განსახოვნებაა ("უთვალავი ფერთა"?). განსახოვნება, ანაბექდი კი უბრალოდ ვერასოდეს იქნება ორიგინალი, ნამდვილი ფუძე-სახე.

\* \* \*

სული თუმცაღა ერთი, მრავლობითიცაა, რადგანაც მრავალუნარებს: ფიქრს, ლტოლევას და აღქმას მოიცავს. სული, რომელიც არის ერთი "ერთი და მრავალი რამ", მასზედ აღმატებულ გონსა (Nus) და ერთს (Hen) ექვემდებარება, და ინტელლიგიბლური სამყაროს ქვესაფეხურია. საკუთრივ ინტელლიგიბლური სამყარო გონია. სულის, გონისა და ერთის ჰიპოსტაზურ ტრიადაში პლა-

ტონური პარმენიდეს კვალი სჩანს. სულს რაღაც გამასაშუალებელი მდგომარეობა უკავია ორ სამყაროს შორის. პრინციპულად სული ინტელლიგიბლურ (გონით) სამყაროს ეკუთვნის, მაგრამ ის აქ ზღვარზეა. და ამიტომაც ამ გონისეულ სამყაროულ ყოფას გრძნობად სამყაროსაც უნანილებს. სული "ამფიბიობს"; "სასაზღვრო მახვილია", "მთარგმნელია". სულის რაღაც ნანილი, — მიუხედავად იმისა, ვამჩნევთ თუ არა, — მის დასაბამში, ე. ი. გონშიაც რჩება. რა უნდა იყოს გონში ჩარჩენილი სულის ნანილი? გვევლინება ამის განმჭვრეტი პლოტინი არაცნობიერის ლაიბნიცსა და ფროიდზე უწინარეს აღმომჩენად? ერთი პლოტინოლოგის (K. Kremer) მოსაზრებით, უდავოდ. "პლოტინს სრული უფლება აქვს არაცნობიერზე უფლება განაცხადოს". (იხ. უფრო ვრცლად: Les Sources, გვ. 320).

სულის მიზანია თვითნვდომის + სათნოებათა გზით მინიერი მყოფობის ჟამსავე განშორდეს სხეულს და დასაბამს მიაშუროს. პლატონის მსგავსად, პლოტინიც სამყაროულ, კოსმიურ სულზეც საუბრობს. ორივე სული ერთნაირი არის, მოდე — მოძმე სულნია და დასაბამს სულის ჰიპოსტაზისაგან იღებენ..

\* \* \*

გონი, ანუ Nus, რაც ჩვენ "გონად" ვთარგმნეთ, — რათა ქართული ენის გამაიგივებელ სტიქიას გავქცეოდით, — სულივით "ერთი და მრავალი რამ" კი არაა, არამედ "ერთი მრავალი რამ". როგორც ვხედავთ, გონიც მრავლებაა, რადგანაც მასში იდეათა სავსებაა დავანებული.

ფიქრის, მოფიქრალისა და ნაფიქრალის განსხვავება გონში ჯერაც შესაძლებელია, თუმცაღა, ის მხოლოდ თავის თავს ფიქრობს. ეს თვით-ფიქრიც კი მოიცავს თვითებისა და სხვაების, ურყევობისა და მოძრაობის ელემენტებს.

გონი სულის აღმატებული ერთიანობაა, რამდენადაც იდეათა მრავალფეროვნება "განუყოფლად განუყოფელი და ამავე დროს

მინც განყოფილია". ნუს ანუ "გონი"(ბერძნულად ὁ νοῦς) ფიქრობს ფიქრის გზით, რაც ის თვითონაა და ფიქრობს (გაიაზრებს — მთარგმნ.) ნაფიქრს, რაც ისევ თვითონაა". როგორც ჩანს, პლოტინური ნუს პლატონური "იდეათა სამყაროს" იდენტურია, ნუს ყოფნაა, ყოფნა — იდეაა. პარმენიდესეული ტრადიციის ნაკადიც მოსჩანს; "ფიქრი და ყოფნა ერთი და იგივეა"; არისტოტელეს "უძრავი მამოძრავებლის" ფეთქვაც იგრძნობა. პლოტინის პიროვნულ სულში, ანტიკური აზროვნება ორგანულად ჯამდება, მკვრივდება ნუს სიცოცხლის, ფიქრის (აზროვნების) და ყოფნის (ყოფიერების) შეჯამებაა, სავსებაა.

\* \* \*

ერთი (ბერძნულად τὸ εἶν) პლოტინური ტრიადის (ბერძნ. მწვერვალია. "ერთი" მთავარი კითხვაა, რომელიც პლოტინს ქენჯნის. ერთი პლოტინის ფილოსოფიის, და, შესაბამისად, მისი სიცოცხლის მწვერვალიცაა. და თავისთავად ცხადია (აქ "მწვერვალის" ნაცვლად "მიზანი" უნდა დაგვეწერა, მაგრამ "შეცდომას" ვტოვებთ, რადგანაც ის სწორია), მიზანიცაა. ერთი გამოუთქმელია. "ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რაც ის არაა, მაგრამ არა ის, რაც ისაა". პლატონისაგან შთაგონებული ნეგატიური თეოლოგიის გზა. თვით ცნებები: "ერთი" და "კარგი" ("კეთილი") ნეგატიური თეოლოგიის მსხვერპლანია. — ერთისაკენ მიმავალი გზის სიძნელეს ეწირებიან. "ერთი" მხოლოდ "მრავლის" გაუქმების მაუწყებელია და ა. შ.

ერთი ყოველივეს — სიცოცხლის, ფიქრისა და ყოფნის დასაბამია. მაგრამ იგი არ შეიძლება თვითონ იყოს რალაც მყოფი; ასე ვთქვათ, ყოფნით "არაინფიცირებულია". მაგრამ ყოფნის, უარყოფით ერთი ნამდვილობას არ ჰკარგავს. ის "ზეფიქრია" მას აქვს ნება და სიყვარული. იგი თვით სიყვარული და "თვითსიყვარულია". და აქ ამბობს, — როგორც პლოტინოლოგნი ლალადებენ, — იმ არსებითს, რითაც პლოტინი პლატონურ-არისტოტელურ აზროვნებას შორ-

დება და აღემატება, დროც, ექვსი საუკუნე, საკმარისი მიეცა დასაშორებლად, (იგივე დროა ვეფხისტყაოსნიდან დავითიანამდე) "ერთით" აღნიშნულია არა მხოლოდ კატეგორია, ჩვეულებრივ, გრამატიკულად. საშუალო სქესით, არამედ "ერთი" გვევლინება მასკულინარულად, მამრობითად, (ბერძნულად  $\sigma \epsilon \iota \varsigma$ ) და, მაშასადამე, როგორც პიროვნული ღმერთი. სწორედ ამიტომაც, რომ მონოთეისტურმა ქრისტიანობამ თუ ისლამმა საკმაო (მისტიკური) საძოვარი ჰპოვა პლოტინის მოძღვრებაში. სწორედ ამიტომაც შესაძლებელი ექსტატური შეერთება ძე კაცისას სულისა პერსონალურ, უმაღლეს ერთთან. და ეს საიდუმლო შეერთება, — unio mystica, — არ ნიშნავს კაცური სულის უსასრულო ერთში ჩანთქლევას და გაქრობას, რადგანაც თუკი სული ერთამდე მიაღწევს, მიაღწევს ის არა სხვაგან სადმე, არამედ საკუთარ თავამდე, თვითებამდე. Unio mystica პლოტინური ფილოსოფიის უმწვერვალესი მიზანი და გოლგოთაა, და ამ მიზანში, ამ სავსებაში ფილოსოფია და რელიგია იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ისინი ერთმანეთს გადაფარავენ, ერთ — სხვას (ეს ხევსურული დიალექტის თავისებურება კარგად გადმოსცემს "ერთმანეთს", და გერმანული einander იდენტურია) უიგივდებიან.

ქრისტიანული თეოლოგიისაგან განსხვავებით, პლოტინი ერთისაგან მრავლის მხოლოდ საფეხურებრივ გამომავლობაზე საუბრობს. ერთს არა მხოლოდ ნება აქვს, ე. ი. ნების-მიერია, არამედ იგი ქმნის, ქმნის თავისუფლების საფუძველზე. მატერია თუ ბოროტება "ბოლო ფორმის სახეობაა". პლოტინი არაა დუალისტი; მისი აზრით მატერია მხოლოდ "აჩრდილებრი ანაბექტდია განსჯისა" ანუ გონებისა.

ყოველ არსებაში სიკვდილია წინასწარ დაბუდებული — ბოლოს მომღები, და ყოველი თავის დასაბამსა და შემოქმედს უბრუნდება,

რათა მისგან საკუთარი სრულება მიიღოს... .

პლოტინის აზროვნებას არც ისე ვიუცხოვებთ, თუკი საკუთარი გამოცდილებით "თითქოსდა" უკვე გვეცოდინება ზოგი რამ, რასაც ის გვეუბნება. მაგალითად, სხეული კი არ მოიცავს სულს, არამედ პირიქით, სული — სხეულს. სამყარო კი არ მოიცავს სამყაროულ სულს, არამედ, პირიქით, სამყაროული სული — სამყაროს. გონი სამყაროულ სულს იუნჯებს, ერთი კიდეც — გონს. და ერთს კი აღარაფერი ჰრჩება, "თავი რომ მიიდრიკოს", ამიტომაც ის არსადაა, არსად და ყველგან.

\* \* \*

ადამიანი — ერთისკენ მსწრაფი, პლოტინთან მორალური არსებაა. განსხვავებით ზოგიერთი მისდროინდელი გნოსტიკოსებისაგან, რომელნიც კაცს, ღვთის შემმეცნებელს, ქველმოქმედებას არ ავალდებულებდნენ. პლოტინი თავისი ცხოვრებითაც ამტკიცებდა, რასაც ამბობდა: ობოლ ბავშვებს ჰპატრონობდა. "როდესაც ჭემ-მარიტი სათნოების გარეშე ღმერთზე საუბრობენ, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია". ასკეტიზმი, ლტოლვა ერთისაკენ პლოტინისათვის არ ნიშნავს. ცხოვრებისაგან ფიზიკურ, ფორმალურ განდეგილობას.

"დაბრუნდი საკუთარ თავში და განიხილე თავი თვისი". საკუთარ თავში დაბრუნებით კაცი არა მხოლოდ სულს უბრუნდება და ჭვრეტს, არამედ ამავდროულად, გონსა და ერთსაც. დაბრუნებისათვის საჭიროა არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ აზრობრივი "ფეხიც" — ფიქრი, რომელიც ჩვენი გონისეული წარმოშობის წყალობით დისკურსიული სჯიდან ნოეტიურში, ანუ გონითში, ნოეტიურად სჯა-ფიქრიდან კი ერთთან "მიახლებულ" და "შეერთებულ" ფიქრში გადადის. მსგავსი მსგავსსავე უბრუნდება და უერთდება.

## ლირიკული გადახვევა.

რაკილა პლოტინის მოძღვრების ფორმალურ გარდამოცემას მოვრჩით, იქნებ ორიოდ სიტყვით ამ მოძღვრების არსში ნედომაც გვეცადა. ამ პატარა ესკიზის შექმნისას, გარდა ბერძნული დედნისა, გერმანულ თარგმანსაც ვეყრდნობოდით (აღბათ დიდ ცოდვასაც არ ჩავდივართ, თუ ზოგჯერ პლოტინი ჩვენებურად უფრო გვესმის, ვიდრე პლოტინურად). პლატონსა და პლოტინს ერთმანეთისაგან ექვსი საუკუნე ამორებთ. ჩვენგან ნაკითხულთ კი — მხოლოდ მეოთხედი საუკუნე. მაშინ, 25 წლის წინათ, პირველკურსელმა ფილოლოგმა ბაჩანა ბრეგვაძის პლატონს მივაგენი. ახლა კი, 25 წლის შემდეგ — რიჰარდ ჰარდერის პლოტინს. ზემოქმედების ძალა ორივე შემთხვევაში იმდენია, რამდენის ატანაც ჩვენგან შესაძლებელია. პლოტინის გერმანულ თარგმანში რიჰარდ ჰარდერის კონგენიალური ენერჯიაა ჩაქსოვილი. მკითხველი შეამჩნევდა: ჩვენ საგანგებოდ ვირიდებდით გამოთქმას "ნეოპლატონიზმი". რიჰარდ ჰარდერი "ნეოპლატონიზმს" "გაუგებრობას" (Unordn) უწოდებს. იქნებ არც სცდებთ: პლატონიზმი უფროა ძველპლოტინიზმი, თუ პირიქით, პლოტინიზმი — ახალპლატონიზმი? მაგრამ ეს არაა არსებითი; ანტიკური აზროვნება ერთია, ერთი განუყოფელი მთლიანობაა. გვინდოდა სულ სხვა რამ გვეთქვა: ჰარდერისეული კომენტარის კითხვისას რატომღაც გაგვიჩნდა ორი იდეა თუ ორი მოჩვენება: ერთი ძალიან უბრალო, ხილული სამყაროდან; მეორე კი უხილავი, "არქეტიპული მოგონების" მსგავსი. ამ ორი სუბიექტური მოჩვენების მოსაზრებად ქცევას, ანუ გამომზეურებას ისე ვერც შევძლებთ, თუ მათი წარმომშობი მიზეზი ანუ ციტატები არ მოვიხმეთ. როდესაც რ. ჰარდერი პლოტინის ადგილზე ფილოსოფიაში, პლოტინურ გავლენა-ზემოქმედებაზე საუბრობს, ის, როგორც სახეს, გამოიხმობს (ნიადაგქვეშა) წყლის სტიქიას: Die von Plato und seinem Schülern



(einschließlich des Aristoteles) ausgehende Bewegung darf man als eine der drei oder vier Grundkräfte des europäischen Geistes ansehen. Wie ein Grundwasser zieht sie sich unter den Formationen unserer Kultur hin, aus dem nur ab und an ein sichtbarer Quelle hervorspringt, das aber unsichtbar und unvermerkt unsere Tradition allgegenwärtig durchtränkt und färbt bis hinein in das Denken, Handeln und Empfinden jedes einzelnen Europäers. Und diesem mächtigen für Jedermann unausweichlichen Faktor unseres Daseins, dem Platonismus, hat Plotin durch die Eigenart seines Geistes entscheidende Impulse mit gegeben.

ამ ადგილმა, მინისქვეშა "ძირწყალმა" ამომიტივტივა მეხსიერების ერთი "მინისზედა" ანაბეჭდი: ფშავის ხევის სიღრმეში (სადაც მინა-წყალი ჯერაც მითოსურ ოხშივარშია გახვეული) არაგვს ერთი გიჟმაჟი ხევი ჩამოუდის, სახელად წანადა. წანადამდე არაგვიც ხევი, მაგრამ წანადასთან შედარებით, მდორედ მდინარი. წანადა თუ არ აღემატება არაგვს თავისი ხეუური ხაფითა და წყალუხვობით, ბევრად არც ჩამოუვარდება. არაგვი მერელა არაგვდება და მთავარმდინარდება, წანადას რომ იერთებს თუ უერთდება. წანადა "გადამწყვეტ იმპულსს" აძლევს არაგვს. ანტიკური ფილოსოფიის მთავარმდინარეც — პლატონიზმი, არაგვივით ჩამოჰყრის სახელს "წანადას".

სხვა ადგილას, რომელსაც აქვე ვიმონმებთ, გერმანელი მთარგმნელი პლოტინური ფილოსოფიის ხასიათის განსაზღვრისას, ჰაერის სტიქიას, თვისებრივად სითბოს გამოიხმობს: Aber es ist schöpferische Interpretation was er treibt; er ergreift frei die Grundmotive, arbeitet energischer die Hierarchie der Wirklichkeitsstufen heraus, lässt die Einheit der Welt enger, lebendiger, organischer Zusammenwachsen; die klare Gegenständlichkeit der Klassischen Philosophie wird blasser, "das Ich" (dieser Begriff taucht bei Plotin zuerst auf) wird zum Hauptträger der Wirklichkeit. Die Schilderung des Kosmos und der geistigen Bereiche ist oft getragen von einer eigentümlich stillen Wärme, einen Fluidum gefühlter Geistesefahrung,

worin sicherlich der Mensch Plotin individuell mitschwingt.

პარდერისეულმა "შემოქმედურმა ინტერპრეტაციამ" და "წყნარმა სითბომ" გაგვახსენა ის მამალი მითიური (თუ ნამდვილი?) ფრინველი, რომელიც ბუდეში ზის და თავისი სულისა და ფრთის სითბოთი სამყაროს ჩეკავს. სამყაროსა და აზრს, რაც ერთი და იგივეა. პლოტინი ეს მამალი ფრინველია.

აზროვნების, ფიქრის თბილი სტიქია, რასაც პლოტინი ფლობს, შესაქმური სითბოა. მარადიული შესაქმური პროცესი — ფიქრისა და ყოფნის, საგნისა და (საგანზე) დაკვირვების იგივეობა. პლოტინის "სემინარი" სხვანაირი ვერც იქნებოდა, თუ არა ქაოტური. სადაგ-პლატონიკოსთათვის პრობლემა: სული — სხეული ერთხელ და სამუდამოდ გადანყვეტილია. აღარაა განსჯის თემა, "ეს ასე"-ა. მაგრამ პლოტინი და მისი რჩეული მონაფე პორფირიოსი სამი დღე მხოლოდ ამ პრობლემას უტრიალებენ, რასაც ბოლოს "რალაც ხომ უნდა ჩავინეროთ!" — სტუდენტური ამბოხი მოჰყვება. პლოტინს მშვიდად უპასუხია: "ჩვენ თუ პრობლემა არ გადაეჭერთ, რომელიც პორფირიოსმა გადმოისროლა, ოდნავადაც კი ვერ მიეუახლოვდებით იმ მდგომარეობას, საიდანაც ჩანერის ღირსი რამის მოპოვებას შევძლებთ". სწავლა დოხოტომიური მოვლენაა: მასწავლებელი და მონაფე, მოძღვარი და მორჩილი, ოსტატი და შეგირდი, პროფესორი და სტუდენტი და ა. შ. სტუდენტი რალაცას იწერს, "აფიქსირებს", აღბეჭდავს (გარდა, რასაკვირველია, ქართველი სტუდენტისა). გოეთე თავის "ფაუსტში" დასცინის კიდეც ამ ათასწლეულოვან პრიმიტიულ დოცირებას, რომელიც დოგმატიზმის დიდ საფრთხეს შეიცავს. დოგმატიზმი არაა მხოლოდ რელიგიური შეშა. პლოტინის ლექცია იყო ერთდროულად ქაოსი და შესაქმე, დასაწყისთან დაბრუნებას ჰგავდა. მას, რასაკვირველია, ეს "უშეშობით" ანუ ფილოსოფიური დოგმატიკა-სქოლასტიკის არცოდნით არ მოსდიოდა. პირიქით: არა მხოლოდ პლატონსა და არისტოტელეს —

ფილოსოფიის ამ უძრავ ჯირკვებს განიხილავდა, არამედ "ჯოყრებსა" და "ხმელ წინკრებსაც" არ იწუნებდა (1), ასე მაგალითად, ნეოპლატონიკოსთაგან სევერიოსს, კრონიოსს, ნუმენიოსს, გაიოზსა და ატიკიკოსს; პერიპატიელთაგან მაგალითად, ასპასიოსს, ალექსანდრიოს აფრიდისიაელს; აგრეთვე კლასიკურ ფილოსოფოს ადრიასტოსს, სტოიკოსებს და ა. შ. და სხვ. დოგმატიკა-სქოლასტიკა ანუ "შეშაც" საჭიროა, უშეშოდ ცეცხლი ვერ დაინთების. აი რას წერს პორფირიოს-მალხაზი იმ ცეცხლ-პროცესზე, რომელიც პლოტინის საუბრისას ინთებოდა:

"ამეტყველდებოდა პლოტინი,  
ჯერ მისსავე სახეს ასხივოსნებდა მისი გონების ნათელი,  
მერე კი ხილულ სინათლედ იღვრებოდა დღეში".

პლოტინური სინათლის ღვრამ "ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამოკიდნა" — ემანაციისაკენ. მაგრამ თქმულა: დუმილი ოქროა, მოსმენა კი — ბრილიანტი. ამიტომ ერთხელაც მოვუსმინოთ პლოტინის გერმანელ მთარგმნელს: "პლოტინისათვის წუთისოფელი არაა ბოროტების, სასჯელისა და ცოდვა-სინანულის ადგილი ("სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ, ვითა მპარავი და მტაცებელი"), ღმერთებს, მნათობებს, უსხეულო და სხეულოვან არსებებსა და ელემენტებს შორის ჰარმონია სუფევს. კოსმოსის სიმპათეტური ერთიანობით აიხსნება პლოტინის პოზიტიური ინტერესი ასტროლოგიის, მაგიისა და მანტიკის მიმართ". ამ ფენომენების მიმართ პლოტინის შემეცნებითი ინტერესი (რაც დავით აღმაშენებლისთვისაც არ ყოფილა უცხო), — ჩვენ ვვარაუდობთ, — კ. გ. იუნგის "ღრმავსიქოლოგიური" ინტერესების წინამორბედი. შეუძლია პლოტინს გარდა ფსიქონალიტიკური არაცნობიერისა, ღრმა ფსიქოლოგიის არქეტიპზეც, თუ ე. წ. "კოლექტიურ არაცნობიერზეც" უფლება განაცხადოს? შესაძლებელია ვინმე პლოტი-

ნოლოგი ამასაც ამტკიცებდეს, მაგრამ ჩვენ მას (ჯერჯერობით?) ვერ მივაგენით. ამიტომაც ამ ჰიპოთეზას, სანამ რაიმე გაირკვეოდეს, მალლა ჩამოვკიდებთ თავშესაქცევად, — მარტისგან შეჭირვებული მეცხვარესავით მოვიქცევით.

რელიგიას აქვს ფერიც. ფერი მზის, სინათლის შვილია: "ვიცანი ჩვენი ბატონი, ბუღლის კარს მოდგა მზებურა, ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი.. . " ზემორე განსჯილი სიტბო "რელიგიური ფერისაა, მასში ცოცხლობს და ფეთქავს გონის რელიგია, რომელიც პლატონმა დააფუძნა და ანტიკურ მოაზროვნეთა საერთო საკუთრებაა" (ამაზედ საუბრობს ვრცლად (Werner Jagger). პლოტინი არ იყო ბუნებით რეფორმატორი, როგორც მისი მოწაფე პორფირიოსი, რომელიც რეფორმატორული ყინით ებრძოდა რომაულ წარმართობას, ქრისტიანობასა და გნოსტიციზმს. პლოტინის რელიგია არაეტაბლირებადი, არაფორმირებადი რელიგიაა. იგი თავისუფალი ფიქრის, აღმაფრენის რელიგიაა. სულიერი მდგომარეობაა. ხოლო ეტაბლირებულ-ფორმირებულ ანუ ინსტიტუიზირებულ რელიგია პირიქით, მდგომარე სულიერობაა, პროკრუსტეს სარეცელია, თავად ცოცხალი პროკრუსტეა, რომელიც სხვადასხვა მოძღვრებებს იზმანებს და თავის ზომა-წონის შესაბამისად აგრძელ-ამოკლებს. კაცთა მოდგმა პლოტინისათვის არააპირველცოდვისაგან დასახიჩრებულ ცოდვილიანთა კრებული, რომელიც შეიძლება ცხვრის ფარასავით სინანულის, სასჯელისა და ცოდვის ბაკში გამომწყვდიო და იქ, ჰაერში ჩამოკიდებულ მეორედ მოსვლის იდეის შემყურე, საუკუნეების განმავლობაში აყურყუტო.

შემთხვევითი-არაა ის გარემოება, რომ ევროპული აზროვნების ფორმალურ-რელიგიური ანუ ეკლესიურ წარმოდგენათა მარნუხებისაგან გათავისუფლება სწორედ პლოტინის ხელახალი აღმოჩენითა და თარგმანით დაიწყო. იგულისხმება ფლორენციის ცნო-

ბილი აკადემია, თავისი სამგზის ქებული მარსილიო ფიჩინოთი (1433-1499) — იტალიური და ევროპული ჰუმანიზმის დასაწყისი.

### III. ზემოქმედება

ოსტატი თვითონ ურჩევს პორფირიოსს: გამეცალეო.. . დიდი ფიქრის მაიძულებელია ის, რომ აღარაფერი ეკარება შენს გონებას თუ გონებრივ მელანქოლიას: არც ნაკითხული, არც მოსმენილი, არც ნაქადაგარი, თვით პლოტინიც კი.. . პორფირ-მალხაზი, რომელიც სოკრატესა და არისტოტელეს უნდოდ პრაცხს, პლატონსა და პითაგორას კი განადიდებს, რომაულ კულტებს, გნოსტიკოსებსა და ქრისტიანებს ერთ ტაფაში ხრაკავს და განაქიქებს, ნელს 300-ს გამომამზეურებს პლოტინის ენეადებს და ფაქტობრივად იხსნის პლოტინის მემკვიდრეობას.

პლოტინისაგან ზეგავლენილთაგან ვამბობთ მხოლოდ იმათ, ვისი სახელიც ისტორიამ რჩეულობით განადიდა.

იამბლიხოსი (+330) -

პროკლე (410-485), "ძველი დროის ჰეგელი", სისტემატიკოსი, ათენური სკოლის დამაარსებელი; პროკლესეული კომენტარი დაკარგულია.

ლათინურენოვან მოღვაწეთაგან ქებულია მარიუს ვიქტორიანუსი (+362), რომელსაც პლოტინი ლათინურად უთარგმნია, რითაც დიდი სულიერი საზრდო მიუწოდებია ავგუსტინესათვის, ქრისტიანულად ნეტარისათვის.

ამ უკანასკნელს, პიპპოში, 430 წელს, სულს რომ ჰლევდა, პლოტინის სიტყვები აღმოსდაო: *εἰ δὲ δὴ καὶ κακὸν μεγα ἢ ἄλλο κακὸν...*

კაბადოკიელი მამები: ბასილიოს დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) და გრიგოლ ნოსელი ერთ-ერთი პირველთაგანია პლოტინის გამთავისებელთაგან (შეად. ქვემოთ დასახ. Schwyzer).

და ქრისტიანობაში ყველაზე მონუმენტური ფიგურა ფსევდოდონისე არეოპაგელი, პლოტინის "რეინკარნაცია!" CD-ს, ე. ი. Corpus Dionisiacum-ის მნიშვნელობა, ბერძნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ასურელების, სომხების, ქართველებისა თუ ეთიოპიელების, ძველი ქრისტიან ერთათვის, მათი კულტურული სრულებისათვის ალბათ არანაკლებ გამოუთქმელია, ვიდრე თავად ღმერთი, რომელსაც CD თავისი აპოფატეიკური თეოლოგიით ჰქადაგებს... ამიტომ დუმილს ვამჯობინებთ.

ისლამურ ფილოსოფიაზე, თეოლოგიასა და მისტიკაზე პლოტინის ზემოქმედების ძალა უაღრესია; პლოტინი ჭედდა ისლამურ აზრსა და unio mystica-ს ფსევდონიმურად, რეცა "არისტოტი" (არისტოტელე). XIII ს-დან იწყება ისლამური მისტიკის ნიმუშების ევროპულ ენებზე თარგმნა და ევროპაზე ისლამის გზით პლოტინური უკუქმედება.

ფლორენციის ცნობილ აკადემიამდე (XV) ევროპას ძირითადად ანონიმურ-ფრაგმენტული პლოტინი ხვეწავდა. ასე მაგალითად, კუხელ კარდინალს (1401-1461) პროკლეს ერთი გადარჩენილი თხზულების აშიაზე ნაუნერია: "ღვთისადმი გამუდმებული მიმართვა ჩვენში ღვთაებრივ ნათელს ჰბადებს".

მარსილიო ფიჩინომაც, რომელსაც ევროპა პლოტინის სრულ თარგმნასა და შეცნობას უმადლის, მიქაელ პსელოსივით ჰერმეს ტრისმეგისტოსით დაიწყო. აღორძინება ქრისტიანულ დასავლეთში თუ ბიზანტია-აღმოსავლეთში ერთნაირმა შემეცნებითმა ძიებებმა დაასაბამა. "მხოლოდ ადამიანური გონებით, ამაღლებული, აზნაური სულის (ე. ი. გონის — მთარგმნ. ) გარეშე პლოტინის წვდომა შეუძლებელია" — აუნყებს მკითხველს მარსილიო.

XVII ს-დან პლოტინის ახალ აკადემიად იქცა ე. წ. კემბრიჯული სკოლა.

რომანტიკოსთაგან უფრორე ნოვალისი და შელლინგი განიცდიან პლოტინს.

XIX — ემპირიზმის გაფეტიშების ხანა ("მეცხრამეტე საუკუნის ტექნიკურმა საკვირველმოქმედებამ დასცა, დაამცრევა ზესთაბუნების ძალთა საკვირველება" — ვაჟა) დიდად არ სწყალობდა პლოტინს, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამ საუკუნის უდიდეს მოაზროვნეთა, — მაგალითად კიერკეგორის, — პლოტინისეულ იმპულსებზე საუბრობს.

პლოტინს არა მხოლოდ თითოეული ევროპელის აზრსა, შეგრძნებასა და ქმედებაში უდევს ნილი (ჰარდერი), არამედ ის ერთნაირადაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მასწავლებელი. ჯერ კიდევ გამოუცნობია ის ძალა და იმპულსი, რითაც ის მომავლის ქრისტიანულ, ისლამურ, თუ ნებისმიერ სხვა კულტურას გასწვდება. XVI ს-დან ევროპული არისტოკრატია ყალიბდებოდა პლოტინის თხზულებით: "მშვენიერების შესახებ", და ვფიქრობთ, ანალოგიურად, თუკი რამ მშვენიერი და ამაღლებული შექმნილა ადამიანის სულიერ სფეროში, — ან შეიქმნება, — პლოტინის ანონიმური ფსევდონიმური და ზოგჯერაც, პირდაპირი ზემოქმედებისთვისაა "განწირული".

XX საუკუნეში პლოტინიანა ნამდვილ აღმავლობას განიცდის. იმ ზღვა მეცნიერული ლიტერატურიდან, რომელიც პლოტინს ეძღვნება, დავასახელებთ მხოლოდ საუკეთესოთ საუკეთესოთა შორის.

ასეთნია, მაგალითად, ფრანგულენოვანი E. Brehier, *La philosophie de Plotin*, Paris 1928.

ან ინგლისური A. Amstong, *The Architecture of the Intelligible Universe in the Philosophy of Plotinus*, Cambridge 1940.

გერმანულად, გარდა ზემოხსენებულნი ჰარდერისა, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაიცნოს Jagger-ის, Schwyzer-ისა და

სხვათა ნაშრომები.

სხვათა მონოგრაფიები თუ გამოკვლევები.

ისლამურ პლოტინის კარგად გვაცნობს M. Aouad-ის გამოკვლევა *La théologie d'Aristote et autres textes du Plotinus Arabus*, Paris 1989.

თვითონ პლოტინური ენეადებს, ე. ი. ბერძნულ ორიგინალურ ტექსტს, პარალელური გერმანული (პარადერისეული) თარგმანი-თურთ გავეცნობით: *Plotins Schriften 6 Bde*, Hamburg 1956-71.

გარდა ფრანგული, ინგლისური თუ გერმანული ენებისა, პლოტინი სრულადაა თარგმნილი, გამოცემული და მეტ-ნაკლებად გამოკვლეული ესპანურ, ჰოლანდიურ, პოლონურ, ებრაულ ენებზე და, რალა თქმა უნდა, იაპონურადაც. პლოტინის თარგმნა-კვლევა რუსეთში არ შეწყვეტილა, რასაც მონიშნავს, თუნდაც *Плотин, О счастье, Д. Бугая, Вопросы философии*, 1, 2003.

პლოტინიანა აღმავლობას განიცდის ასევე ეთიოპიაში, სომხეთსა და საქართველოში. ობიექტურ მიზეზთა გამო ამ ქვეყნების პლოტინიანა-დიონისიანას მიმოხილვა მომავლისთვის გადავდეთ. თუმცა არ შეგვიძლია ახლავე არ გამოვთქვათ ჩვენი აღტაცება ერთი მრავლისმეტყველი დეტალის გამო. პლოტინის სომხეთსა და საქართველოში ძირითადად მანდილოსანი მეცნიერები იკვლევენ. ზემოთაც მივანიშნეთ, პლოტინში ძლიერია არაცნობიერი, გველისმჭამლური სანყისი, რასაც ინტუიციურად ქალი უფრო სწვდება, როგორც ჩანს, თავისი მეექვსე შეგრძნებით. თუ პლოტინის ბაგეთაგან ამომავალ თბილ სიბრძნეს მას უამსა შინა მხურვალედ ისმენდნენ გემინანი და სალონიანი, ახლა, 17 საუკუნის შემდეგ, სიამოვნებით იკვლევენ მას დამანე და რიფსიმე, ლელა და გაიანა... დენიზა და სუსანნა (სხვათა შორის, სომხურ პლოტინიანას ორი სუსანნა ჰყავს: შუშანიკ მელიქიანი — ერევანში და სიუზან ორბელინი — დეტროიტში).

\* \* \*



XX საუკუნის შუახანებში, ხევსურეთში უცხოვრია .. დიოგენური სტილით უცხოვრია ანტიკური ფილოსოფიის ერთ დიდ მცოდნეს, მეტსახელად “კვებულას”. კვებულა თავის დროზე შალვა ნუცუბიძის ასპირანტი ყოფილა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო სამუდამოდ გასცლია დედაქალაქს და ფეხმოუცვლელად თავის მშობლიურ ხევსურეთს, სოფელ ამლას შეჰკედლებია. ვერ გეტყვით, რა წყაროებით სარგებლობდა, მაგრამ ამბობენ, კვებულა სულ პლატონსა და პლოტინს აბოდებდაო. “აბოდებდა”, რადგანაც შესაბამისი აუდიტორია მას არ გააჩნდა. კვებულამ თავისი პლოტინოლოგიით სახელი გაითქვა ხევსურეთს გარეთაც, ყველაზე უფრო კი მეზობლად, ფშავში, სადაც დღესაც გაიგონებთ კვებულასეულ ამა თუ იმ სიბრძნეს, რომელიც პლატონის, პლოტინისა თუ დიონისე არეოპაგელის სიბრძნის ანარეკლია. შინაურ მოციქულს შენდობა არა აქვსო; იქნებ პლოტინის საუკეთესო კომენტარი სწორედ კვებულას ეკუთვნის და კვებულასეული ხელნაწერი სადმე, კვებულას ნაქონ ნიგნებს შორის თვლემს, ჯერაც თავის აღმომჩენს ელოდება?

### ეპილოგი

წელი 268. — პლოტინის ბედის ბორბალი უკულმა დატრიალდა... რომის ელინოფილი იმპერატორი გალლიენუს ოჯახიანად გაუუუეს. “განა სოფელი ვისმე დიდხან ახარებს?” ნუთუ სალოლინას ყელსაც, რომელსაც პლოტინის (“ფილოსოფიის”) თბილი სულთქმა ესაღბუნებოდა, გარშემო უვლიდა, როგორც სამოთხეს მდინარენი, მახვილმა შეჰბედა? მოწაფენიც, ბოლო ჟამს მოწაფენიც, იესოსავით შემოექსაქსნენ ოსტატს; ზოგმა ახალი, პრიმიტიული რელიგია ირჩია. — “სხვის არ ძალ-ედვათ წვდომანი”, კაცი ბუნებით მოადვილეა, ადვილს ირჩევს, ერთამდე შორია... ესმოდა პლოტინს მონოთეიზმის იდეა უკეთ, ვიდრე ნებისმიერ მონოთეისტურ რელიგიას? ვეჭვობთ, ეს ასეა.

და პლოტინი დარჩა სულ მარტო. 269-ს, სიკედილის წინა წელს, ის უკვე თავის მეგობარ ზეტოსის მამულშია, და მარტოა, და სასიკედილოდ სწეულია. ზეტოსიც სადღაც გადახვენილა. და რაც მთავარია, გადახვენილია პორფირიოს, ჯერაც 267 წელს, სიცილიისკენ, სულიერ კრიზისს გაექცა. პლოტინის სულიერი მემკვიდრეობის ბედი გაურკვეველია.

ერთადერთი ეესტიხიოსი, რომელიც პლოტინის ზოგიერთი თხზულების გადამრჩენელიცაა, ცხოვრობს მახლობლად, ერთი დღის სავალზე. გუმინ სალამოს დაადგა ის რაღაც მწველი გუმანით გზას მოძღვრისაკენ. პლოტინს ერთი ღამის სიცოცხლეღა უწერია. ერთი ღამეღა ამორებს ოსტატს ერთთან.

პლოტინი წევს მშვიდად თავის საწოლზე და თვალდახუჭული, გასცქერს გზას ერთადერთისას ერთადერთისაკენ, გზას მარტოსულისას მარტოსულისკენ, უკეთ: *φύρι μόνον παρά μόνον*.

წელან ჩასთვლიმა და თავისი მოძღვარი — ამმონიოს საკკასი ეზმანა. ეგვიპტის მცხუნვარე მზის ქვეშ იდგნენ მოძღვარი და მოწაფე, ერთი თასიდან სვამდნენ წყაროს კამკამა წყალს, სვამდნენ რიგრიგობით. სვამდნენ განუწყვეტილვ, ხოლო თასში წყალი არ იცლებოდა და იქცა წყალი ღვინოდ. ახლა კი თვალდახუჭულს, ერთის მჭკრეტელსა და განმცდელს, ანაზდად ვიღაცის ჩქარი, ყმანვილქალური სულთქმა შემოესმა ახლოს, სულ ახლოს და უცებ პატარა, ნაზმა თითებმა დაფარეს პლოტინის თვალთა გუგები და პატარა ქალბატონმა თავისი უმანკო და წკრიალა ხმით ჰკითხა მას:

— “აბა გამოიცანი, ვინა ვარ?”

26. 5. 2003



## მოგონება

მოგონებანი, "საგონის აჩენა", როგორც ჩანს, შუახანსმიტანებული კაცის გაშინაურებული ანუ თვისებადქცეული სტუმარია; დამჩაგვრელი სისუსტეა. არსებობის მზემ თავისი უმთავრესი მისია უკვე შეასრულა, მოსაგონებელი დღეები დააგროვა და ახლა დასავლისაკენ გადასაწვევად ემზადება. დროდადრო გულს წარმავალი კაცის ის აუტანელი სევდა შემოუტევს, ჯავრი რომ ეთქმის. მაგრამ გული ჯავრსაც აჯავრებს; დაე ტკივილი ტკივილმავე აყუჩოს, ჯავრი ისევ ჯავრმა შაჭამოს. ამგვარია სიბერესთან შეგუების — ამ დიდი "ფსიქოლოგიური მეცნიერების" მეთოდოლოგია. — ოდენ მზის ჩასვლა-წარმავლობასთან შერიგებისა თუ მორიგების სისტემატური პროცესის გზით განხორციელებადი.

წარმავლობის ნაზმა სევდამ ათქმევინა კაპადოკიელ ქალწულს: "მე დღესა დავულამდებო". ვინ იცის, იქნებ ისაც ჩვენსავე ჩამავალ მზე-ქალს შესცქეროდა, როდესაც ამას ამბობდა?! მთაში მაინც სულ სხვანაირად იცის მზემ ჩასვლა ანუ, როგორც იტყვიან, "ჩაბძანება": მწუხარედ, მოღლილად, სულ სხვანაირი მადლმოსილებით. თუ ერთხელ ნაგიკითხავს, ველარ ივიწყებ, შესცქერ "მზე-ბძანებას" და თან იმეორებ: "მზე ჩადის, მზე ჩავა მთის იქით, რატომღაც მსგავსი და შენდარი, მე ვიგრძენ უკუნი, თუმცაღა ჯერ ბინდიც არაა შემდგარი!" ნეტავ სადაური უკუნი იგრძნო ამ სიტყვების მწყემსმა, იქნებ საბოლოო? საბოლოოდ ხომ ყოველივეს ის წაიღებს თან, ვინც ყოველივე მოიტანა: დრო. მარადიული არაფერი, — ამბობენ, — გარდა მარადიულობისა. ვითომ? იქნებ მარადიულობაც წარმავალია და მარადიული ანუ წარუვალა არაფერია, გარდა წარმავლობისა?! და კიდევ: გარდა წარმავლობასთან ვერ შეგუებისა ანუ სასწრაფოთილების წარუვალობისა...

გიგრძენიათ უკუნი მზის ჩასვლისას? ამ დროს მზეც ვილაცას

იგონებს, მნათობები ხომ გონიერი არსებანია. ჩვენი სიცოცხლეს ბოლოს ჩამავალი მზის ერთ დიდ მოგონებად გარდაისახება. ჯერ ჩვენთვისვე, სიბერის ჟამს, მერე სხვათათვის — მზე-სანუთროს შემორჩენილთათვის. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივის დაღლილი ნათელი შორეული მთების მწვერვალებს მოელამუნება და... დღეს დავუღამდებით.

გაგვიხსენებენ, გული შეიძვრის, შეიკუმშება; მოგონება თუ მტკივნეულია, — მშობლისა განსაკუთრებით, — მაშინ გული იკუმშება, საგულეში, ფრთაშეკვეცილს, გაძლება უმძიმს... გულისნორის, უსაყვარლესი ადამიანის გახსენება კი სიკვდილში გაზავებული სიცოცხლეა. რელიგიები გვანუგეშებენ! მაგრამ ღირს კი წარუვალობის ამ მაცნეთა მთელი ნუგეში სატრფოსთან გატარებულ მხოლოდ ერთ მზიან, თუნდაც წვიმიან დღედ?!

გახსენებასაც ოსტატობა უნდა, ნიჭი და მადლი შემოქმედ ცხოვრებასავით... აი, დიდი ვაჟა-ფშაველა რომ ორ მოხუცს — თამარსა და პაპას უკედევ ძეგლს უდგამს, გახსენება და მადლიანი მოგონება ისაა. ვინ იცის, იქნებ ტიროდა კიდევ ვაჟა იმ გულმკერდზე დასაწერი ამბის ძერწვისას! ნეტავ საფლავშიც შეიძლება ბოდეს იმ მოთხრობის კითხვა!

ყველას და მათ შორის "მეფე-პოეტსაც" ახსოვს "მოხუცი მამა სასხლავით ხელში"...

"დანელდეს სიბერე", იტყოდა ხოლმე მოხუცი დედა თანაც მირითმავდა: "სიბერე — სიბნელე".

სიბერე მწუხრისეული სიმღერაა, საღამოს ჟამნის გალობასავით დარდიანი. სიბერისას დედის ან მამის გახსენება ალბათ უფრო მწველი იქნება. როცა დაბერდნენ, ჩვენი დედ-მამაც ზომ მათ მშობლებს მისტიროდნენ:

"ერთხელ დედამ, მელანომ, დააცხო ქადა-პურები, ქადა-

პურებიც, სანთელიც, არაყიც, წაიღო, წავიდა ი ძველ სახში, — ცაბაურთის ზენასოფელს, — საითაც ჩამოსახლებულ ვიყვენით: "ანგელოზნ უნდა ჩამოვლანო"...

"ანგელოზების ჩამოლალვის" ეს ჩვეულება კარგა ხნის მოშლილი სჩანს. უამრავი ნასახლარები მთის სოფლებისა მონმობენ ამას. "რად მივალ, თავქვე რად მივალ, ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად, ამ მთას თავს რისად ვანებებ, გინდ ვიქცე ტანჯვის ფიალად?" მაგრამ მაინც მიდიან, სადღაც მინდორზე "კომფორტულად" ბინადრდებიან. ზოგიც სხვანაირად მიდის მიტოვებული სახლი კი, — სახლს ვამბობთ, თორემ ხომ ვიცით, ბექობის პირას მიდგმული პატარა ქვით-კიროვანი კარავია, — რჩება მარტოდმარტო, ანგელოზების ანაბარა...

მოდის ზაფხული. ზაფხულს პეშვებით ცოტა სიცოცხლე მოაქვს პატარა სახლისათვის; მართალია, კარმიდამო შამბით იფარება, მაგრამ აგერ მერცხლები მოფრენილან, თავიანთ ძველ ბუდეებს მოჰპატრონებიან, მათ ხომ შვილები უნდა დაზარდონ, დააფრთიანონ; ღამ-ღამობით ჭერხოს კატები თუ მახლობელი ტყიდან შემოჩვეული კატისებრნი სტუმრობენ, ისინი ჭერში მღელვარე "კრებებს" მართავენ... სიცოცხლის ძარღვი უცებ არ წყდება, სიცოცხლე ნელა კვდება, მერცხლების ნელი ჟღურტულ-ჭიკჭიკის "სულთათანაში"... სახლის მახლობლად მსხმოიარე ბალის ხეს დიდ-პატარა ჩიტფრინველნი შესევიან, მრავალხმოვნად გალობენ, წრიპინებენ და ჟრიამულობენ, — განსაკუთრებით ჩხიკვი აქტიურობს და აქტიურობს, — და ფრინველთა ხმაურობით როგორღაც ისევ ცოცხლობს იქაურობა. ადამიანი, პატრონი კი აღარსად სჩანს...

ასეთ დროს ვნახეთ ერთი სრულიად მიტოვებული სოფელი ხოვლიანა. ჩიტები კი ყივყივებდნენ, მწიფე ბალს შესეოდნენ, მაგრამ გარემოს დიდი ხნის სიჩუმე მაინც ეტყობოდა, და რაღაც სხვანაირი,

დამთრგუნველი, უკუნი სიჩუმე. არარსებობის, უკაცრიელობის საშინელ მდუმარებას დაესადგურებინა. — დედამინა უადამიანოდ? სულეთი, სრული გარინდება, მწუხარეთი და უკუნი ზღვა. იგრძნობ? აღარასოდეს მიგატოვებს.

მთაში მიტოვებულ სახლ-კარს კრძალულების, ტაბუს ნიშანი ადევს, ტაბუს ძალა და აჩრდილი იფარავს. იქაურობას ტყუილ-უბრალოდ, ხელყოფის მიზნით, ვერავინ მიეკარება, თავისი ნებით თავს არავინ დაისჯის. თუკი მაინც გამოერია ასეთი ვინმე, ის უსათუოდ ღვთის გარეგანია. ერთადერთი დროა, რომელსაც ტაბუ ვერ ეკარება, ამიტომაც მიტოვებულ "კარავს" დრომ უნდა უპატრონოს: მან უნდა შთანთქას, იავარყოს და თან ნაილოს ყოველივე. ვაი იმას, ვინც დროს არჩივს შეეცილება!

დრო გადის, მიდენ-მოდენაშია: ზაფხულს ზამთარი მოსდევს, მზე-ცივს ისევ მზე-თბილი, თავგანებებული სახლი კი ნელ-ნელა იშლება. ჯერ სახურავი ჩაიქცევა, ჩაშავდება... მერე კედლები იწყებენ ბზარვა-ნგრევას. დიდხანს, დიდხანს სდგას ორი წასამკუთხებელი კედელი, სახლის საყდრისებური ფორმის მაცნეებად; ღიად დარჩენილი საყდრის სვეტიბივით მოსჩანან შორიდან: თეთრად მგლოვიარენი; ისინი მტკიცობენ, რაც შეუძლიათ; ელიან, ფიქრობენ: "ეგებ მობრუნდეს ჩვენი პატრონი, ან აღდგეს, იქნებ მკვდართა აღდგომა მართალია?!" ის ორი კედელი, ცასა და მიწას შუა უსახურავოდ გაკიდებული, ერთურთსლა შესჩივის თავის უბედობას, უშვილოდ გადაბერებული მოხუცი ცოლ-ქმარივით; გამვლელ-გამომვლელში ეძებენ ისინი მობრალულსა და მოსარჩლეს, როგორც ფამთასელის უღმობელობის მსხვერპლნი. ბოლოს ისინიც ამაო ლოდინში ჩამოიღვევიან, სანთლებივით ჩამოდნებიან. ანგელოზების გულიც ჩამოდნება ნაკედლარი ქვა-ლორღილა რჩება. ქვა-ყორესა და ნაკედლარსაც საუკუნის სვლაში მინა წამოუვლის ზემოდან, ფერ-

დობი თავის კალთას გადმოაფარებს და საბოლოოდ სახლისაგან ერთი ფარდაგისოდენა, თასივით ანუ გრაალივით გლუვი ორმოლა რჩება. ამ დიდ თასში ზამთრობით თოვლის ნამქერი ბინადრდება, ზაფხულობით ასკილი და ბალახ-ბულახი რამ მწვანობს, ფოთოლ-ყოილობს. ანგელოზები კი მინც არსად მიდიან, ზევიდან დაჰფრინავენ თას-ორმოდ ქცეულ სახლ-ნასახლარს, უსასრულოდ ერთგულნი პეპლებივით დაჰფარფატებენ ზედ.

"ჭრელაჲს ნასახლარი", "თვარელაჲს ნასახლარი", "ქურსიკაჲს ნასახლარი"... — ესაა კაცის წუთისოფელი და წარმავალი სიცოცხლე.

ზენა სოფელი და მარადიული ცხოვრება კი იმ ანგელოზების უსასრულო ფარფატია. და მათი უსასრულო ერთგულება.

## ამ სევდიანი მოთხრობის პატარა, მხიარული შვილიკო ანუ "შენი პატრონის დედაც!"

ადამიანიც დროში გაჩნდა. ასე, 1-2 მლნ. წლის წინათ. ღმერთმა გააჩინა, ბუნებამ თუ თავისით გაიადამიანა თავი, რა მნიშვნელობა აქვს, დღეს კი ადამიანია და... 1-2 მლნ. წლის წინათ ის არ იყო, დედამინის ზურგზე სულ სხვა არსებები დაბოგინობდნენ: "მალ-ლები, დიდები, არ ჰქონდათ რიდები არასფერისა", არც ღმერთის, ისინი მას ზედაც არ უყურებდნენ.

დედამინა ნელ-ნელა ადამიანის სახლად იქცა. აფრიკაში ფეხადგმულ "ამდგარას", ანუ ლათ. ჰომო ერექტუსს დაახლ. 1,8 მლნ. წლის ისტორია აქვს. თანამედროვე "ჭკვიანა" ანუ ჰომო საპიენსი სულ რაღაც 100 000 წლისაა. აქედან მან 85 — 90 000 წელი შესწირა ნადირობა-შემგროვებლობას, რასაც ბოლოს მესაქონლეობაც მიამატა. — ფშავლის წუთისოფლის ნესტარი ანუ ძროხა მაიმინაურა; მინათმოქმედური, მკვიდრი კულტურა 10 — 15 000 წლისაა. 250 წლის წინ კი დაიწყო ახალი, ინდუსტრიალიზაციის ეპოქა, რაც



ალბათ დასასრულის დასაწყისია. გასული საუკუნის ორმა მსოფლიო ომმა დაადასტურა, რომ "ჭკვიანა" არც ისე ჭკვიანია!

გავხედავ გაღმა-გამოღმა ველებს... სადღა არიან! წაილო უკან ბუნებამ! ბუნება არაფერს გეჩუქნის, მხოლოდ დროებით თუ გვათხოვებს რამეს, ეგაა. ბოლოს ის ყველაფერს უკან დაიბრუნებს. მაშინ მთელი დედამიწა ადამიანის ნასახლარად იქცევა...

დედამიწა განა დიდი ხნისაა, მხოლოდ ხუთისაა, 5 მილიარდი წლის. რა არის 5 წელი დრო-ჟამის მარადიულ სრბოლაში? ჰა, ჰა, კიდევ ხუთიმც იცოცხლოსო — ამტკიცებენ მეცნიერები. მერე სამყაროში გაიფანტება. დედამიწა ახლა შუახნის დედაა. მომავლის ხუთი მილიარდიდან რამდენ ხანს გაიყოლებს კიდევ დედა თავის პატარა "ჭკვიანას", თუ "ჭკვიანამ" ნამეტანი არ იცელქა (მაგალითად, ატომური "პიპიებით") და თავისი უჭკუობით თავადვე უდროოდ არ აღიხოცა თავი პირისაგან მიწისა? ათასს, ასიათასს თუ მილიონ წელს? მილიონი წელი დედამიწის მთელი მოსალოდნელი სიცოცხლის ერთი მეხუთეათასედია. ასე ცოტაა და მაინც რამდენია ნეტავ რა უნდა აკეთოს ადამიანმა კიდევ ერთი მილიონი წელი?

5 მილიარდი ანუ 5 000 მილიონი წლის მერე, დედამიწა რომ აღარ იქნება, სამყაროს მეორე ბოლოში უსათუოდ ახალი დედამიწა გაჩნდება. ხუთი მილიარდი სიცოცხლის განვითარებას განვითარებას დასჭირდება — ბაქტერიიდან ადამიანამდე. მერე იქაური "გაგარინი" იქაურ მთვარეზე გაფრინდება, სადაც სამყაროში გაფანტული ჩვენი დედამიწიდან შემთხვევით ასხლეტილი ერთი დიდი ქვა ეგდება. — სახლის კუთხის ქვისოდენა, რაღაც სასწაულებრივად გადარჩენილი... წამოჰკრავს "გაგარინი" იმ 15 მილიარდი წლის წინანდელ ქვას ფეხს, წაბარბაცდება და "შენი პატრონის დედაცო!" — ერთს გემრიელად შემოგვიკურთხებს 10 მილიარდი წლის წინათ მცხოვრებ დედამიწელებს.

აპრილი, 2003. თუბინგენი.

## მანანას სიყვარული

კვდებოდა ამირანი.

საბურთალოზე, მზის ჩასვლის ხანს, თავისი ბინის აივანზე, ძველ, მოჩუქურთმებულ ტახტზე იწვა ერთი, ჯერაც ლამაზი კაცი და თავისთვის, ჩუმად კვდებოდა.

კვდებოდა ზუსტად თავისი დედის ხნის, როგორც "ჩაუთქვა" — სამოცდახუთი წლის. დიდი ხნის სიცოცხლე არც უნატრია. მანანასთან ერქარებოდა. ოცი წელია, რაც მანანასკენ მიიჩქაროდა. იცოდა, დედა და მანანა ერთად მოეგებებოდნენ.

— "მანანა, ჩემო სულო, როგორ მომენატრე, როგორ დავიღალე უშენოდ, შენ ხომ ერთადერთი იყავი ამქვეყნად, ვისაც ვუყვარდი, ვისაც მართლა ვუყვარდი!.."

ლექსის დაწერაც სცადა ერთხელ ამირანმა. არ გამოუვიდა, ერთი რითმის მეტი არ გამოუვიდა, უამრავი ცრემლი დააღვარა ქალადს, ეს იყო მისი ლექსი, და: "ქალი — ფიქალი". მანანა ფერმკრთალი იყო, უცნაურია, მაგრამ სიარულისას ნისლს ჰგავდა; უცნაურად დაბნეულს, გაფანტულს თითქოს ეთეროვანი სხეული ჰქონდა. ახლაც, სულს რომ ჰლევს, თვალწინ უდგას ამირანს თავისი თანაკურსელი მანანა, ხედავს: ინსტიტუტის წინ, ჭადრის ქვეშ დგას თვითონ, მანანაც საიდანლაც გამოჩნდა უცებ, მოდის მისკენ, მოდის ნისლივით. ამირანი დგას და არაფერი ესმის, "ბატია" (ეს სახელი მას მანანას მეგობრებმა შეარქვეს). მანანა სევდიანად იღიმება, რალაც ძალიან უბრალოს, ძალიან ამქვეყნიურს ეკითხება, თითქოს განგებ აუბრალოებს ყველაფერს, რათა ამირანი დაარწმუნოს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილია, ყველაფერი ახლა, აი ამწუთას ხდება...

"ეჰ, ბატი ვარ მართლაც, როგორც იქნა, ერთხელ დავიბადე ამ უსასრულო ჟამთასვლაში, ერთ ქალს ვუყვარდი დიდი, ნამდვილი

სიყვარულით და ისაც ვერ შევიშნოვე!"

სამოცდახუთი გრძელი წელიწადი იცხოვრა ამირანმა. ზოგ რამეს მიაღწია, ზოგს — ვერა; პროფესიაც გამოიცვალა; არეული დროც მშვიდობიანად მოინელა; მდიდარი არ იყო, არც ღარიბი ეთქმოდა; ლაზათიანი, მეგობრების სული და გული იყო. დროც ატარა: ისე რააა. — გული იჯერა; ცოლიც კარგი შეხვდა, ოცდაათი-სამ ოცდაორი წლის თბილი, საამო, ზომიერად თქვირი თამთა შეირჩია; ქალ-ვაჟიც ლამაზი გამოუვიდა — ცოტნე და ნაილი. ცოტნე თავიდან დარდიმანდობდა, მაგრამ ბოლოს დაჭკვიანდა, ცოლი შეირთო და უცებ ტყუპი შვილიშვილებით გაიხარა ბაბუა ამირანის კეთილმა, თუმცაღა, ბოლოდროს ცოტა სნეულებაშეპარულმა გულმა. ამირანი და მალხაზი ბაბუას "გულები" და "ბურთები" და "მნათობები" და ვინ მოთვლის, კიდევ რანი არ არიან! ბედნიერი კაცი იყო ამირანი.

"ბედნიერი?"

— "ამირან, შენმა ძველმა თანაკურსელებმა დაგირეკეს, საფლავზე მივდივართო... მანანა"...

ეს ამ ოცდაათი წლის წინათ იყო. რატომ, როგორ, როდის? "ღვიძლი?" კარგა ხანი იყო, მას მანანა აღარ ენახა, ხუთი, იქნებ ათი წელიც.

"ნეტავ როგორ შეძლო მანანას დავიწყება, რატომ ვერ დაინახა მანანას სიყვარული? როგორ არ დაინახა, მანანამ სიყვარული აშკარად აგრძნობინა, მაგრამ მან არ დაიჯერა, არ უნდოდა და არ დაიჯერა; განერიდა, მანანას დიდი სიყვარულისა შეეშინდა, მანანას სინმინდისა შეეშინდა მას, ვიღაც მარტივ ქალებს დასდევდა, არ შეეძლო მანანაც ისე, ჩვეულებრივ ჰყვარებოდა. მანანა სულ სხვანაირი იყო. რაღაც დედურიც, რაღაც მიღმურიც, სული, მანანა სულივით იყო"...

მანანა რომ აღარ იყო, მერელა მოენატრა მას მანანა, ნელ-ნელა... მერელა შეძლო მანანას დიდი სიყვარულის შეცნობა... ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც მანანას მეგობრები მანანას "ნერილებზე" და "გაუმხელელ სიყვარულზე" ატირდნენ... სწორედ იმ დღეს იყო ეს, მანანას საფლავი რომ მოინახულეს. "რატომღაც" მასაც უხმეს, იქნებ მანანას სურვილით, დანაბარებით? აღარც კი ახსოვდა მას მანანა, ინსტიტუტის მერე აღარც კი გახსენებია მას მანანა... უცნაურად გადაივიწყა, მხოლოდ ერთხელ, შემთხვევით, რუსთაველზე შეხვდა, დასხდნენ ბალში, რაზე ისაუბრეს?

"ეეჰ, ბატი ვარ, ბატი, სიყვარულს კი არა, ვიღაც ავხორც ქალებს დავდედი, ბიოლოგიურ ინსტიტუტებს აყოლილი!"

სასაფლაოზე, მანანას გვერდით, ერთი საფლავის ადგილიც იყო დატოვებული, მანანას მამისთვის; მანანას, პატარაობიდანვე დედით ობოლს, არც ახსოვდა დედა...

ათი წელი რომ გავიდა მანანას საფლავის მონახულებიდან, მერელა აეხილა საბოლოოდ ამირანს თვალები. ეს ცოტა უცნაურად მოხდა, გამოცხადებასავით: მან სინათლეში, დ ლ ე შ ი დაინახა მანანა, უცებ, მანანაზე რომ არც უფიქრია, იმ დროს. როგორ? ეეჰ, ამირანს რომ ამის ახსნა შეეძლოს! ერთი პატარა ლექსიც კი ვერ დაუნერია!

ოცი წელია მას აქეთ, ოცი წელი, რაც ამირანი მანანა-ნათელში ცხოვრობდა, ამ სანთლად დანთებულ სიყვარულში ცოცხლობდა და იტანჯებოდა.

"არა, არა, იქნებ ასე არც იყო, იქნებ მანანა კი არა, თვითონ იყო თავისი ფიქრებით არაამქვეყნიური და მანანა თავისი უბრალო კითხვებით მის ამქვეყნად დაბრუნებას ცდილობდა? რატომ ასცდნენ ერთმანეთს? ის ხედავდა მანანას გულს, მანანას სიყვარულს, მაგრამ ვერ გაბედა, დიდი სიყვარულის შეემინდა, ლაჩრულად

მოიქცა, თორემ სხვა რა მიზეზია?. მანანა მისი საფერი იყო: მწყა-  
ზარი, სხმარტალა (ეეჰ, ამირანს რომ მანანას აღწერა შეეძლოს!),  
ქალი — ფიქალი... მაგრამ იქნებ ღეთის ნება იყო ყველაფერი, რათა  
ამირანს სიკვდილი გაიოლებოდა?"

ოცი წელი ფიქრობდა ამირანი, ოცი წელი ტიროდა, ნანობდა და  
ხსნიდა მანანას სიყვარულის გამოცანას. ენატრებოდა მანანა,  
საფლავიც კი მანანას გვერდით, მის გვერდზე საფლავში ნოლაც კი  
ენატრებოდა...

განა თამთა არ უყვარდა ამირანს? განა თამთა მისი საფერი არ  
იყო? განა თამთას ეშხი და სილამაზე აკლდა? განა თამთას არ უყ-  
ვარდა ამირანი?

"მაგრამ ის სიყვარული, მანანას სიყვარული!.. რა იყო მაინც ის  
სიყვარული? ამოდის მზე, დგება ნათელი. ეს მანანაა".

არა, ამირანი კი არ ფილოსოფოსობდა, "მზიან ღამეებს" კი არ  
ეპოტიწებოდა, ის მართლა განიცდიდა დღის ნათელს, როგორც  
მანანას სიყვარულს, როგორც თვითონ მანანას... ეს განცდა არ იყო  
აშრანისათვის რალაც მეტაფორა, არამედ სიცხადე, ცხადზე ცხადი...

ამირანს მანანამ მზე დაუტოვა, სიყვარული-მზე, და მას ეს მზე  
უნდა წაეღო, ისევ მანანასთან მიეტანა. მანანას საიქიოში მზე აკ-  
ლდა, მკრთალი მზის ქვეშ ხედავდა ამირანი მანანას და თავის საყ-  
ვარელ დედიკოს — სამოცდახუთი წლის ბაბუცას. მათ იქ ერთ-  
მანეთი იპოვეს... იყო ამირანისათვის ეს "წარმოსახვა"? არა, ის  
ცხადად ხედავდა ამ ორ ქალს, საიქიოს მკრთალი მზის ქვეშ რომ  
ისხდნენ, რალაც უცნაურ ოთახში, თეთრი ბროლის მაგიდასთან და  
ერთმანეთთან ტკბილად მუსაიფობდნენ. იქ მზე არსად სჩანდა,  
მხოლოდ მისი მკრთალი ნათელი ეფინა იქაურობას ეს სურათი ედგა  
ამირანს თვალწინ. ამირანის სიკვდილს აზრი ჰქონდა, მას მზე უნდა  
წაეღო მანანასთვის...

ოცი წელია რაც თვალები აეხილა, რაც ეს ყველაფერი იცოდა ამირანმა, ცხადად ხედავდა ყველაფერს, მაგრამ ამირანი როგორღაც ამირანულად უმკლავდებოდა ამ თავის ტანჯვას, არ იტყობდა, მხოლოდ მარტო რომ იყო, მაშინ ნებდებოდა ცრემლსა და ტანჯვას, ამ თავის საიდუმლო ცრემლსა და ტანჯვას... ახლაც არავინაა შინ. საყვარელი, ფუმფულა თამთა ბებია "ერთი წამით ვერ ძლებს უშვილიშვილებოდ, უმაღლაზ-უამირანოდ!"

და დაჰკრა ჟამმა.

ამირანმა იგრძნო მანანას სუნთქვა სულ ახლოს, დიდი სიყვარული — სულ ახლოს. ამირანი ისევ ოცი წლისაა და დგას ინსტიტუტის ჭადრის ქვეშ; მოდის მანანა, უმანკო, "ქალი-ფიქალი". —

როგორღაც მოახერხა აივანზე გასულიყო, — არ უნდოდა სახლში დაეღია სული, — დედისეულ ტახტზე მიწვა და ჩამავალ მზეს გაუხსნორა თვალი. მოუხუჭა, დაულამა მზეს თვალები, და:

ჯერ ყველაფერი ნითლად შეივსო, მერე ამ ბრდღვიალა, ყოვლისმომცველ სივრცეში, სადღაც შორს, უსასრულოდ შორს გამოჩნდა რაღაც პატარა, ლურჯი სფერო, რომელიც თანდათან გაფართოვდა, ცისკენ შედრეკილ უშველებელ ღრმულად იქცა და შორიდან ქარიშხლური გრგვინვით შეინოვა ამირანის სული, ამირანი. — მანანასკენ გაიტაცა. მშვიდად გაჰყვა ამირანი, მზიანად.

— "დედი, მანანა, მოველ როგორც იქნა, მზეც მოვიყოლე".

2 — 4 მაისი, 2003. თუბინგენი

## ხეტის აღდგომა

დაიტანჯა ხეტე საფლავში წოლით. წლიდან წლამდე სრუ მეზობლებისაგან ბრალობით: "აგერ არც ხეტე-რაინდის სახ-კარს ებმოდა უამი, მაგრამ"... ხეტემ თავისი სახლი ციხე-სიმაგრედ გადააქცია, ქვითკირი, მუხა და რკინა ანუ, როგორც ამბობდნენ, "ცხეთიდან ჯორ-კიდულად ზიდულ შეშტი" ერთურთს შეაზავა. საბძლისებური, ცერი სახურავი კიდევ უფრო დააცერა: "თოვლს მისხლელტსო"; უკანა კედელს სიპი გაუყოლა: "ქვითკირს თოვლწყალს მაარიდებსო"; კედელი გარედან სულ სიპის პერანგში ჩასვა საყდარივით: "მზე-წვიმას გაუმუდმდებაო".

ხეტეს თავის სახლით სიცოცხლე ეწადა...

ქვეყნის წახდენასაც მაესწრო ხეტე. ბებერ გმირს გადალმელებმა საარაყე ქობი მაჰპარეს. ვაი სირცხვილო! წავიდა ხეტე, ერთ კვირას იყო გადაკარგული, ბოლოს, დღისით, მზისით მთის გადალმიდან გადმაჩინა ზურგზექობაკიდებული აბიკა; თავის ზურგით მათანინა ქობი და თავის ადგილზევე დაადგმევინა.

ყოველი აღდგომის ორშაბათს, ჩვეულებისამებრ, ხეტეს საფლავს ჩამაუსხდებოდენ ფშაველნი. ხეტეს განაპირა საფლავს თავად "ხეტეს" ეძახდენ — "ხეტესთან მივიდეთო". გმირს ხეტეს მოგონებას ვინ გაუბედავდა, ადიდებდენ. გმირს ხეტეს დიდი საფლავის ქვა ედვა, დახავსებული, გულზეხელდაკრეფილიანი კაცის გამოსახულება ძლივსლა ეტყობოდა, ზედ ეწერა: შემინდეთ გმირსაო და წელი — ასოებით გამოყვანილი. ამ ამოუკითხავი თარიღის ბრალითაც თუ იყო, ხეტე რომ სოფლის მარადიულ გმირად იქცა. ხეტეს საფლავის ქვა აღდგომა დღეს საკურთხეველს ემსგავსებოდა. ზედ სანთლებს ანთებდნენ, ხოლო წირვის ნაცვლად კი ათასგვარ საგმირო-სათავგადასავლო ამბებს ყვებოდნენ ხეტეს ცხოვრებიდან; თითქოს ხეტე ასისა კი არა, არამედ ათასის წლის

ნინანდელი გმირი ყოფილიყოს!

ბოლოს ცუდი ამბები ესმოდა ხეტეს საფლავის ზემოდან: "ხეტეს სახს კუთხის ქვა გამაჰვარდნიაო, ხეტეს სახურავს კოჭი მასწყვეტიაო, კედელს წყალ დასდისო"... ზოგნი არ იჯერებდნენ, "ხეტეს სახს დრო-ჟამ ფეკებსაც ვერ მასჭამსო". მოხუცებულნი უფრო ამ უკანასკნელთ უკრავდნენ კვერს: "ხეტეს უთქომ, ე ჩემ სახ რო დაინგრევა, მაშინ დრონიც მიბრუნდებიანო", ე. ი. მეორედ მოსვლა მოინევაო. ხეტეს სახს როგორც ხატს, ისე ერიდებოდნენ. ვერც ვერას მიამატებდნენ, ვერც მიაკლებდნენ. ხეტეს სოფელს ერთად-ერთი ბებერი გიორგილა შემორჩა მუდმივად. მხოლოდ ზაფხულობით, — სამემთოდ ადიოდნენ ქალაზე ჩასახლებული იქაურები, — და სააღდგომოდაც, სასაფლაოზე. ამ დროს ცნობისმოყვარე ბალები სახშიაც ესტუმრებოდნენ ხეტეს, ციხისებური, გისოსოვანი სარკმლებიდან იჭვრიტებოდნენ შიგნით, ხეტეს კიდობანს, ტახტსა და თუნგებს ათვალიერებდნენ. ყველაფერი ისევ ისე იდგა და ელოდა ხეტეს, როგორც ამ ასი თუ ასოცი წლის წინათ; თითქოს ხეტე საფლავში კი არ წოლილიყოს, სადმე საომრად ყოფილიყოს ნასული და დღე-დღეზე უნდა დაბრუნდესო. ბალებიც, ხეტეს ხათრით დერეფანში დიდხანს არ ჩერდებოდნენ, მალევე გაიქცეოდნენ: "ხეტე მოგვისწრებსო". მხოლოდ ბებერი გიორგი, რომელსაც ბალობიდან ახსოვდა ხეტე, ბედავდა ხეტეს ციხე-კარის შეღებას, ხეტესეულ ტახტზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და სულ სხვანაირ ფიქრებს ეძლეოდა. ახლა ისაც საფლავში იწვა...

"პაპაჩემ გიორგი და ჳევსურ ომა გაუყოლებავ, ქისტ ნათელას სათხოვნელად რო წასულა, თეთრ ქორა ჳარ ნაუყვანავ, ისრ შამაურიგებავ ქისტის სოფელი"...

"ხეტეს ერთ ვაჟ პირველ დიდ ომს შაუწირავ; მეორე ღალატით მაუკლავ მემურნეს. ხეტესა და ქისტ ნათელას ერთა ქალიდა



დაპრჩა. ქალაქსა ყოფილა გათხოილი"...

ახალ-უხლები იკვირებდნენ ბებერ გიორგის ამ მოთხრობებს. მათ ხეტე სულ მცირე, ერეკლე მეფის დროინდელ გმირად ნარ-მოედგინათ. ხეტე მითად იქცა და მისგან რაიმე ცოცხალი კვალის დაჯერება ძნელიდა იყო. მერე ხმა გავარდა, ხეტეს ქალის შვილისშვილ გამოჩნდაო დ' თავის პაპის ადგილსა ჩემულობსო. იმასაც ხეტე ქვივნილაო; ზავთიანს რასამ ამბობენ, გაუგავ თავისობა, უკითხავ თავის გმირ პაპის თავგადასავალი და ახლა ხეტეს კერა უნდა რო გააცოცხლოსო... "მუალის, მუალის უსათუოდ, ხეტეს დავლათი ბოლოს მაინც გასჭრისო" — კერს უკრავდნენ ერთმანეთს "ხეტესთან" შეკრებილი მთიელები. და თან ხეტეს პატარა სახლს გასცქეროდნენ, რომელიც სასაფლაოდან კარგად მოსჩანდა, საცოდავად თავპირჩამომტირალი და დასანგრევად გამზადებული.

და დაიტანჯა ხეტე საფლავში ნოლითა და ათასგვარი ამბების მოსმენითა და უქმედობით.

მაშინ ჯანყ-უყო ხეტემ მაღალს: "სად უცადო მე მეორედ მოსვლას, ჩემი სახლი და კერა ინგრევა!"

მაშინ შაჰბრალდა ხეტე მაღალს, მაშინ ნამ-უყო მაღალმა ხეტეს და კვერი დაჰკრა ხეტეს გულისთქმას: "არ არსებობს ნესი გამონაკლისის გარეშე".

მაშინ ნამოდგა ლალი ხეტე,

მაშინ ნამოდგა იალი ხეტე,

მაშინ ნამოდგა ბებერი რაინდი ხეტე, აისხა ხორცნი და იარალი,

მაშინ გადიბერტყა მიწა ხეტეს საფლავიდან,

მაშინ გაიღო ხეტეს საფლავის კარი,

და გაემართა ხეტე თავისი სახლისაკენ,

და შეალო თავისი სახლის კარები...

მეტი გზა არა ჰქონდა მაღალს,

მაღალი ხეტეს ვერ აწყენინებდა,  
 მაღალი ხეტეს ვერ შამაიმდურებდა,  
 ხეტეს უნილ-ბოლოობა არ ეკუთნოდა —  
 ხატისად გარჯილს — სანამეტნაო მსჯელს,  
 ცდასა და ლაშქარში დაღლილს,  
 მტრის რისხვასა და სიკვდილს,  
 "სუსიკვდილი" ანუ უძეობა არ ენილადებოდა!  
 ხეტეს მტრის ქალის ვნებამ მაშინ დაჰკრა,  
 ხატობას რო გაჰყვა თავის ძმობილ ომას, აი მაშინ,  
 რჯულიან-ურჯულოთ სალოცავს, —  
 "შენამც იდიდები ჳაჳმატის ჯვარო,  
 რჯულიან-ურჯულოთა სალოცაო!", —  
 აი მაშინ იყო, ხეტეს გული რომ ქისტი აიშას (ნათელას) გულს  
 გაუზავდა...

ახლა კი მხოლოდ მთვარელა ჰყავდა ხეტეს, მთვარე-ქალი. და  
 მთვარე ხედავდა: ხეტემ სიპეები მიჩიჩ-მოჩიჩა, კავები გადააღაგა,  
 ძირს ჩამოცვივინილი ქეები ისევ თავის ადგილზე დაამკვიდრა, წყალ-  
 სანანვეთურს თავის გზა მიუჩინა, და სხვაც მრავალი. და ხეტეს  
 პატარა სახლი ცისკრამდე ისევ გამოკეთდა, პირვანდელივით  
 შეიქმნა და შეიმკო.

"ასსა და ასოცს თუ ვერა, ორმოცს ნელს ხო კიდევ გასძლებს" —  
 სთქვა ხეტემ გულად — "მერე კი იქნებ მეორედაც მოიდე!"

ასე სთქვა ხეტემ და აჩქარდა, ცისკარს გაასწრო სასაფლაოსკენ.

მეორე დღეს, მწყემსები შორიდან გამოსცქეროდნენ თეთრ  
 კვალს ხეტეს საფლავსა და ხეტეს სახლს შორის; თითქოს ვილაცას  
 გზისთვის ფქვილი მოუბნევიან... და ხეტეს სახლი იდგა ისევ  
 მტკიცედ, თამამად და ლაღად. ყველას ეს სასწაული ეკერა პირზე.

ხოლო ხეტე უკან რომ დაბრუნდა,

მაშინ პირველად იხილა მაღალმა მომღიმარი გმირი,  
და მაღალს ცრემლი ჩამოუგორდა ღანვზე!  
მაშინ დაიჩოქა ბერმა რაინდმა

ღ თაყვანისცა მაღლის გამოუცნობ ნებას.

24. 05. 2003

## ინდოელი გოგონა და "ფიცრის ძია"

ინდოეთის ვრცელი სუბკონტინენტის ერთი ღარიბი და მიყრუებული, უფოსტო, უელექტრონო, უკანცელარიო სოფლის, თუ ზუსტად მახსოვს, პაშრიპურას სკოლამდე ექვსი წლის თამილას "ქალის ქალა" უნდა გაეველო. თამილა ბებიასთან და დედასთან და თავის ხუთ თუ ექვს ძროხასთან ერთად სოფლიდან ორიოდე ვერსის მოშორებით ცხოვრობდა, "პალმის ფერდობად" წოდებულ მაღლობზე. ამ მაღლობს მხოლოდ თამილასიანებილა შემორჩნენ, ისინიც დღე-დღეზე პაშრიპურას ანუ, როგორც ოფიციალურად ერქვა, პაშრიპურასკარს უნდა გადასახლებულიყვნენ. მხოლოდ თამილას მამის ჩამოსვლასლა ელოდნენ. ორი წელია, რაც ჯანვაპი სიღარიბესიდუხჭირეს საზღვარგარეთ გაექცა. შორიდან როგორღაც მოანვდინა ხმა ჯალაფობას და შეატყობინა: ერთ ინდურ სასადილოში მზარეულის დამხმარედ მონყობილა და მომავალ ზაფხულს შინ უნდა დაბრუნებულყო; ძალიან მონატრებია თავისი პატარა გოგონა, რომელსაც ის ბუნდოვნად თუ ახსოვდა.

ქალის ქალაზე, სადაც ადრე პირსისხლიან ქალღმერთ ქალის ტაძარი მდგარა — ცნობილი ადამიანური მსხვერპლშენივით — აგერ, ორი თუ სამი წელიწადია, რაღაც უცნაური თემი დასახლდა. ისინი რომელიღაც შორეული პროვინციიდან მოვიდნენ და ინდოეთში ყველაზე შეურაცხ კასტას, პარიას, ე. ი. ხელოსანთა ფენას ეკუთვნოდნენ. როგორც ცნობილია, ინდოეთში სოციალურ ცხოვრებას კასტობრივი სისტემა ანესრიგებს. პარიებს გლეხები

აღმატებიან თავისი სოციალური სტატუსით, გლეხებს — მეომრები, ყველაზე მაღლა კი დგას სამღვდლოება — ბრაჰმანობა არისტოკრატიითურთ.

საძირად გამოუსადეგარ, პაშრიპურასკარის განაპირა ქალის ქალაზე დაიდგეს თავისი ქოხ-მახები თორმეტმა თუ ცამეტმა პარიამ. რამდენიმე მათგანს ცოლიც ჰყავდა და ამიტომაც გამველე-გამომველი პარიათა სახელდახელო ახალშენიდან ერთი-ორი მშვიერი ჩვილის ღნავილსაც მოჰკრავდა ყურს. ადგილობრივმა მოსახლეობამ კარგად იგუა პარია-ხელოსნები, რადგანაც ისინი შრომისმოყვარეობითა და უჩვეულო პატიოსნებით გამოირჩეოდნენ; თავიანთ ხელობასაც დიდ ფასს არ ადებდნენ, რომ იტყვიან, დღის ლუკმაზეო, ისე მუშაობდნენ; ერთი დოქი რძის ფასად ხან ერთ მაგიდას ან პატარა კარადას ამზადებდნენ. პაშრიპურას საკუთარი, კუსტარულად მონყობილი სამხერხაო ჰქონდა და ამიტომაც სადურგლო მასალის შოვნა იქ არ ჭირდა. წარმოშობით პარიებიც ინდოელები იყვნენ, თუმცაღა, როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი შორეული პროვინციიდან; ისინი ინდოელთა ერთ-ერთ ძირითად ენაზე, ბენგალიურად საუბრობდნენ, ყველას ინდური სახელები ერქვათ. მაგრამ რაც ადგილობრივ გლეხობას ცოტა არ იყოს, ეუცხოებოდა, იყო შემდეგი: ისინი შინაურულად ერთმანეთს სხვა სახელებით მიმართავდნენ, მაგალითად: პეტრე, იოანე, ლუკა... მათ შორის ყველაზე ბეჯითსა და გამორჩეულს, რომელსაც კარვების ქსოვა და საძროხე ბაგების მონწელება ეხერხებოდა, პავლე ერქვა.

ხოლო რაც პაშრიპურასკარლებს კიდევ უფრო მეტად აოცებდა და მათს ისედაც განვითარებულ ფანტაზიას ზურგის ქარივით მიაქანებდა, იყო პარიათა უცნაური რელიგია. ისინი არც ერთ ინდურ ღმერთს არ ეთაყვანებოდნენ. ზოგნი ამბობდნენ, ისინი ოდეს-ღაც ქალღმერთ ქალის მიმდევრები ყოფილან და მას დღესაც ფა-

რულად ჩვილებს სწირავენო! კიდევ კარგი, ეს ჭორი, თავიდან რომ გავრცელდა, ნელ-ნელა დავინყებას მიეცა, რადგანაც პატარა პარიებს თუ არ ემატებოდა, არავინ აკლდებოდა.

მხოლოდ ერთი ღმერთის განდიდება ცოტა არ იყოს უცნაურად ეჩვენებოდა პაშრიპურლებს, მაგრამ ჭკვიანი ინდოელი გლეხები ამას რაციონალურ ახსნას უძებნიდნენ: "ხელოსნების გონება ვინროა, გული კი — დახშული, ამიტომაც მათ ერთზე მეტი ღმერთის არსებობა ვერ წარმოუდგენიათ". გარდა ამისა, გლეხები არ ივინყებდნენ რელიგიის ეკონომიურ დიმენსიასაც. — პარიახელოსნების სილატაკე და სიდუხჭირე თვით სიღარიბით სახელგანთქმულ იქაურებსაც კი აოცებდა: "მათ ერთი ღმერთისთვის შესანიშნავი კი არაფერი აქვთ, რა უნდა შესწირონ მეორეს, მესამეს და მეათეს?" პარიებმა სავალი ბილიკის შორიხლოს წნელით მოქსოვილი პატარა სამლოცველო ჩადგეს, რომელშიაც მუდმივად კანდელი ბუუტავდა. სანთელი მათთვის მიუწვდომელი ფუფუნება იყო; კანდლის ზეთად პალმის წვენს იყენებდნენ, ძაფად კი — ქოქოსის დანწულ ტყავ-ქერქს.

ლასტურა სამლოცველოს ღია კარიდან კარგად მოსჩანდა პავლესა და ლუკასგან ორ დიდ გარდიგარდმო ფიცარზე გამოხატული კაცი, ხელებზე და ფეხებზე რატომღაც ლურსმნებდაკრული. ინდოელ გლეხებს პარიათა ამ "გონებამახვილობაზე" ეცინებოდათ: ეგ ერთი ღმერთი ჰყავთ და მაგასაც ფიცარზე ალურსმავენ, "არსად გაგვექცესო!"

დილაობით, როდესაც პარიები წესისამებრ თავიანთ ლასტურაში სალოცავად იკრიბებოდნენ, და ლასტურას კარი, ჩვეულებრივ, ღია იყო, სკოლისკენ მარტოდ მიმავალი თამილა ყოველთვის ხედავდა "ფიცარზე მიკრულ ძიას". თამილსას ის ძია კიდევ ეცოდებოდა, კიდევ ეშინოდა მისი. მაგრამ ყველაზე მეტად პატარა ინ-

დოელში ყოველმძღველი ბავშვური ცნობისმოყვარეობა ღვიოდ... იქით რომ არ გაეხედა, არ შეეძლო; თამილა თითქმის ყოველდღე, სულ რამდენიმე წამით ჰხედავდა "ფიცრის ძიას", როგორც თვითონ შეარქვა მას თავის ბავშვურ გონებაში. ის ჩქარ-ჩქარა, ლამის სირბილით გაივლიდა ხოლმე ბილიკის ამ მონაკვეთს, ზურგზე გუდით, ლასტურასკენ თავმიბრუნებული; ეჩვენებოდა, რომ ფიცრის ძიაც უყურებდა მას; თამილა ამ დროს ისე ღელავდა, რომ გული ყელში ებჯინებოდა, მაგრამ მაინც ძიასკენ იყურებოდა. თითქოს ვილაცას აგონებდა ის ძია — ბუნდოვნად შემორჩენილს ხსოვნაში, მაგრამ ვის?! მთელი წელიწადი პირველკლასელმა თამილამ ამ შთაბეჭდილებით იარა.

ცხელი ზაფხული რომ დადგა და სკოლიდან დაითხოვეს, მეორე დღესვე დედამ და ბებომ მას ძროხები გადააბარეს სამწყესოდ; ქალები თვითონ სახლის დალაგება-დასუფთავებას, ეზო-კარის გალამაზებას შეუდგნენ, თადარიგი დაიჭირეს, ხუმრობა ხომ არ იყო: ერთ-ორ კვირაში მათი ქმარი და შვილი უნდა დაბრუნებულიყო; ბოლო მოელებოდა მათს ამდენ სიდუხჭირეს, სოფლიდან განაპირობას, წვალეზასა და ჯახირს, პატარა თამილას ასე შორიდან სიარულს სკოლაში.

თავისი მწყემსობის მესამე დღეს, საღამოხანს, ძროხები რომ მორეკა შინ, თამილა უცებ ავად გახდა. მიტკლის ფერი დაედო, მაღალმა სიცხემ გათანგა, მთელი ღამე ვილაც "ფიცრის ძიას" აბოდებდა, დილისათვის კი უცებ დამუნჯდა. ის ღამე დედამ და ბებომ მის საწოლთან თეთრად გაათენეს.

რა ღონე აღარ იხმარეს მეორე დღეს: შელოცვებიო, შინაური წამლებიო, ოფლის მოდენაო... ღმერთებს შესაწირავი აღუთქვეს. მაგრამ ბავშვი სააქაოსკენ მაინც ვერ მოაბრუნეს. ერთ კვირაში სანთელივით დადნა თამილა, ლუკმას არ იკარებდა, წყალსაც ძალ-

ისძალად ასმევდნენ... დედამ და ბებომ თითქმის მთელი იმედი გადაინურეს; თამილა ხმას არ იღებდა, ენა ჩაუვარდა და ეს ენაჩავარდნილობა იყო, იმედის ნატამალსაც რომ აღარ სტოვებდა. დროდადრო გაახელდა თვალს დასიცხული და მხოლოდ ოხრავდა.

თამილას მამა დაბრუნდა. რა ჭრელი კაბები და სანდლები აღარ ჩამოიტანა თავის პატარა გოგონასთვის, მაგრამ ვაი ამ დაბრუნებას, ცოლი და დედა ტირილით მიეგებნენ: კიდევ კარგი, ცოცხალს მოუსწარიო!

მძინარე თამილას შუბლზე მამის ცხელი ცრემლი დაეცა! თვალეები გაახილა, ბავშვის თვალეებს უცებ რალაც დიდი გაოცება და სიცოცხლე დაეუფლა, თამილას მეხსიერებაში წამის მეთაღში გაცოცხლდა, აღსდგა ის ბუნდოვანი ხსოვნა, რაც ზემოთ ვახსენეთ, და თამილამ მთელი ხმით, მთელი სიხარულით წამოიძახა: "ფიცრის ძია, ფიცრის ძია, მამი, მამი, შენა ხარ?! ის ძია, ის ფიცრის ძია შენა ხარ, მამი?! მამი... მამი"...

19. 06. 2003

## სოლო იესომ მიჰხედა და შეუყვარდა იგი ანუ მეძადან მედინასაკან

ამირანს ღვთისმოსაობა ანუ როგორც ბოლო ხანებში ამბობენ, "სულიერება" მაინცდამაინც არ ეტყობოდა. მარხვისაგან ძვალ-ტყავად და ზაფრანად არ ქცეულიყო; არც იერარქების ლოცვა-კურთხევაზე დნებოდა შაქარივით და არც "სულიერ შვილთა" ანუ მოძღვარზედ ფიქსირებულ ყმანვილ ქალთა ბატალიონი დასდევდა კუდში. ღვთისმოსაობა თავისთვის იყო, ამირანი — თავისთვის. ღმერთი მარტივად სწამდა, თეოლოგიურ დისპუტებს ანუ "ლალ-ვათა სჯულისათა" ერიდებოდა. "თავის რელიგიაზე ყველას საუკეთესო აზრი აქვს, — ფიქრობდა ამირანი, — ცთომილება და ჯოჯოხეთი ისეთი რამაა, რომელიც მხოლოდდამხოლოდ "სხვათა"

ხვედრია".

ამირანმა სულიერი მონოდება მშვიდობისმყოფლობაში იპოვა. ეკლესიური შფოთის კერას, თუ იგი უკვე ხანძრად არ ქცეულიყო, ამირანი ხელად აქრობდა. ყოველნაირ შფოთს, — ყოფითს, დოგმატურსა თუ პირადი ანტიპათიით დამიზნებულს, — ამირანი ისევე ებრძოდა, როგორც ჯანმრთელი ორგანიზმი გრიპის, ინფექციის ბაცილებს. ამირანი მოჩხუბრებს, მოკამათებებსა თუ ერთმანეთს დამდურებულებს ჯერ ცალ-ცალკე დაელაპარაკებოდა, მერე ერთად და სადაო საკითხს აფერმკრთალებდა ან ორივეს სასარგებლოდ სწყვეტდა. ამირანს არასოდეს უთქვამს შენ ტყუიხარ და შენ კიდევ მართალი ხარო. ბევრჯერ მომხდარა ისეც, რომ მას მოკამათე ორეულისათვის უცაბედად მოუხმია, მათ შუა ჩამდგარა, ხან ერთისთვის შეუხედავს, ხან მეორისთვის და როგორღაც, დიდი ახსნა-განმარტების გარეშე ისინი ერთმანეთთან შეურიგებია.

შერიგების პროცესი, თავისი მრავალფეროვნებით, იყო ხელოვნება. მთავარი საიდუმლო ამ ხელოვნებისა იყო შეხედვა. ამირანმა შეხედვა იესოსგან, სახარებიდან გადმოიღო. სიყვარულით სავსე გვერდული მიხედვა; ისე რომ ორივე თვალის გული უკიდურესად მარჯვნივ ან მარცხნივ იყო მიქცეული; წარბები ოდნავ მაღლა აწეული, მავედრებელი მზერა სიყვარულს აფრქვევს; თვალებში თითქოს ცრემლიც კიაფობს; წყენის, სიყვარულის, თხოვნა-მუდარის ცრემლი. რას იტყოდა ამირანი ამ დროს: "აი ახლა, თუ გული გაქვთ და ღმერთი გიყვართ და თუ ოდნავ მაინც პატივს მცემთ მე.ჰე კი არა, თქვენს კაცობას" და ა. შ. მაგრამ შეიძლება სულ სხვა რამ ეთქვა, ამ დროს ამირანი სიტყვებს არ დაეძებდა, სიტყვა ამ დროს მას თავისით მოსდიოდა.

ცოდვა გამოტეხილი სჯობია, და, ამირანი მიხედვაში ანუ გვერდულ, სიყვარულოვან გადახედვაში სარკის წინაც კი ვარჯიშობდა.



თამაში, ხელოვნება, თეატრი ამირანს ესმოდა; ესმოდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ "თამაში" კი არაა, არამედ სინამდვილე, თუკი შიგ გულია ჩაქსოვილი. ჰოდა, ამირანიც ცდილობდა, გულის ძგერა, სიყვარული თვალებზე გადაეტანა. ამ ვარჯიშობას რელიგიურ უცნაურობად ვერ ჩავუთვლით ამირანს, ის თავის უნარს შემოქმედებითად სრულყოფდა.

ერთი სიტყვით, ამირანის არსება გლობალურ პლანში რომ განვიხილოთ, მისი კრედო გამოდის: "ვერ დაივანებს ეკლესიაში მშვიდობა, თვინიერ ადამიანთა დაზავებისა". ეს დებულება არის გადაკეთებული, უფრო სწორად, დანეხილი ვარიანტი საქვეყნოდ ცნობილი კათოლიკე თეოლოგის, ჰანს კიუნგის მსოფლიო აფორიზმისა: "არ დაივანებს ამქვეყნად, ადამიანთა შორის მშვიდობა თვინიერ რელიგიათა დაზავებისა". რა თქმა უნდა, ამირანს ჰანს კიუნგისთვის არ მიუბაძავს და მისგან არ გადმოუღია არც მშვიდობისმყოფლობის ნიჭი და უნარი, არც ის გვერდული მიხედვა — მისი მთავარი იარაღი მშვიდობისმყოფლობისას. თუმცაღა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამირანს სხვა კონფესიებისა თუ რელიგიებისა თავის თანამოტაძრეებივით არ ეშინოდა. თუ თავისუფალ დროს იპოვიდა, — ეს დრო კი მას ზოგჯერ ჰრჩებოდა, რადგანაც ტაძარში მორიგეობა იყო დანესებული, — კითხულობდა, ეცნობოდა რელიგიების ისტორიას, ფიქრობდა სხვათა რწმენაზეც. იგი ცდილობდა არა მხოლოდ მონა ყოფილიყო ღვთისა, არამედ განათლებული მეგობარიც: "სწორედ იმიტომ, ჩემი რელიგიის მართებულობა რომ ვიცი, უნდა გავეცნო სხვისასაც, პატივი ვცე სხვის რწმენას და არ შეურაცხყო ვიმე "მწვეჭლებლობის" ბრალდებით; სხვას განაქიქებს მხოლოდ ის, ვისაც თავისი რწმენა არსებითად არ ესმის". — და ა. შ. ამირანმა ბავშვობიდანვე შეიყვარა წიგნი და მსოფლიო ლიტერატურას კარგად იცნობდა. "ლიტერატურაში აისახება

კულტურაც, რელიგიაც და ადამიანიც, ადამიანობის არსი, ფუნქცია". — ფიქრობდა ამირანი. ამირანმა შეამჩნია, რომ სხვათა რელიგიების გაცნობა მას ეხმარებოდა საკუთარი უკეთ შეეცნო. ამირანს ამ მხრივ მისაბაძ მაგალითად მიაჩნდა ჩინგიზ აითმათოვი, რომელიც მუსლიმურ კულტურაში დაიბადა, გაიზარდა და მიუხედავად ამისა, მან შეძლო ისევე ღრმად ჩასწვდომოდა ქრისტეს ტანჯულ, ადამიანისგამომსყიდველ ფიგურას (როგორც ცნობილია, ყურანის ქრისტოლოგიამ არ იცის მსგავსი რამ), როგორც ნამდვილი ქრისტიანი.

რაც თვითონვე აოცებდა მხატვრული ლიტერატურის კითხვისას ამირანს, იყო მისი ცოცხალი წარმოსახვა. მას წიგნის კითხვისას რატომღაც მაშინვე წარმოუდგებოდა წიგნში აღწერილი მოქმედების ადგილი: იყო ეს მისი სოფლის მთები, ნაცნობი ველ-მინდვრები, რომელიღაც, თუნდაც ერთხელ ნანახი სოფელი თუ ქალაქი, ზღვის სანაპირო თუ ბაღი... მაგალითისათვის, ოთარ ჭილაძის ერთი რომანის კითხვისას იგი ხედავდა რომანის სამ გმირს, — მათ შორის "ბრტყელსახიანს", — მისი სოფლის გაღმა, კლდის ეხში; სამნი იქ იყვნენ სამუდამოდ შეფარებულნი, დაუსრულებლად კამათობდნენ, ღვთისმგმობელობდნენ, ფილოსოფოსობდნენ.

ამირანს მორიგეობა რომ მოუწევდა, წიგნებისთვის თავი რომ უნდა გაენებებინა და "ალილუიას", "უფალოსა" და "უკუნითი უკუნისამდეს" ძახილს შესდგომოდა, ამისათვის ხომ ჯერ ფიზიკურად უნდა მიეღწია შესაბამის ადგილამდე. — ეკლესიისაკენ მიმავალ ამირანს ქალაქის ცენტრალური ბაღი უნდა გადაესერა. ამ ბაღში ხდებოდა მთავარი მოქმედება; ამირანის ნაკითხული მოქმედება: როდესაც წინასწარმეტყველი მუჰამედი მექადან მედინასაკენ გაექცა თავის უღვთო თანამოქალაქეებს, რამდენიმე ცხენოსნითურთ ეს ბაღი გადასერა. და აი, — ხედავს ამირანი, — მუჰამედს

მოულოდნელად ყაბალახი დაუვარდება, ის ღვიძლისფერი ყაბალახი სიგრძივ ჩამოიშლება უნაგირიდან და დაბლა მინას დაეფინება, წინასწარმეტყველი ანელებს თავის მხედრულ სრბას და ცდილობს მაღლიდან ყაბალახს მისწვდეს... მძიმე სიტუაციაა, თითოეული წამი მას სიცოცხლედ უღირს, ეს ყაბალახიც ეტყობა, რალაც ძვირფასი მოგონებაა; იქნებ უდროოდ დაღუპული მამის ერთადერთი სახსოვარი? რა ქნას წინასწარმეტყველმა: ჩამოქვეითდეს თუ ყაბალახი მიატოვოს?! და ამ დროს, არ ვიცით საიდან გაჩნდა უცებ, უსწრაფესად იქ ამირანი, — თვითონაც არ იცის, — და ამირანი ანვდის წინასწარმეტყველს ძვირფას რელიქვიას; წინასწარმეტყველს გაოცებით და სიხარულით თვალები უფართოვდება, შემდეგ კი ამოჰკრავს დეზს თავის ბედაურს, ოდნავ წინნასულ მხედრებს წამოეწევა და მალე ყველანი თვალს მიეფარებიან.

ეს წარმოსახვა ამირანის ხშირ სტუმრად იქცა. აი ახლაც, სარკის წინ რომ დგას და იესოსებრ გვერდულ მიხედვაში ვარჯიშობს, თან მუჰამედს ანვდის იმ ყაბალახს და ფიქრობს: "რა არის რელიგია? როგორ ერწყმიან ერთმანეთს ადამიანი და რელიგია?" იქნებ ჩვენც დავფიქრდეთ, მკითხველო?!

## სუფი

იყო ერთი სუფი, — მოგვითხრობს რუმი, — და მას ძალიან უყვარდა ღმერთი, და სუფი ობოლი ყოფილა, არც დედა ახსოვდა, არც მამა.

და ძალიან უყვარდა ღმერთი, ისე ძალიან, რომ გული მას ღმერთთან გაექცა, და ის სახით ღმერთისაკენ იყო შებრუნებული და სულ ლოცულობდა და იოხდა: "ოჰ, ღმერთოოო!"

და შეუჩნდა ეშმაკი სუფის, და დასცინოდა და ელიზღებოდა: სულ "ოჰღმერთო" გაიძახი, ის კი ერთხელაც არ შეგხმიანებია "აქა ვარ"-ო. სუფიმ ეშმაკს ყური არ ათხოვა და ლოცვა გააგრძელა, მა-

გრამ სადღაც გულში მაინც გაჰკენნლა: მართლაც, რატომ არ მეტყვის "აქა ვარ!" და შესწყვიტა ლოცვა სუფიმი; გული ეტკინა, გული გაუტყდა სუფის, მაგრამ სუფის გული მაინც ღმერთთან დარჩა.

ჰოდა, ამ გულმა, თუ თვითონ ღმერთმა, თუ ანგელოზმა, თუ ღმერთის ხმამ, — როგორც გამოეცხადა, — ჰკითხა: "სუფი, შვილო, რატომ შესწყვიტე ლოცვა?"

სუფიმი უპასუხა: " გულო, ანგელოზო, ღმერთო თუ ღმერთის ხმავ, როგორც გამომეცხადა, ხომ ხედავ, დღეში ათასჯერ და ათასბევრჯერ გიხმობ: "ოჰ, ღმერთო!" და პასუხი კი ერთხელაც არ გამიგონია".

და უპასუხა სუფის მისმა გულმა, ანგელოზმა, ღმერთმა თუ ღმერთის ხმამ:

"სუფი, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, შენ რომ ერთხელ იტყვი: "ოჰ, ღმერთო!" — განა ეს ჩემი ათასი პასუხი, ათასჯერ "აქა ვარ!" არაა?!"

და იყო ერთი სუფი და ძალიან უყვარდა ღმერთი, და არც დედა ახსოვდა, არც მამა, მაგრამ ძალიან უყვარდა ღმერთი და დღეში ათასჯერ მაინც იტყოდა გულით: "ოოოჰ, ღმერთო!"

29. 06. 2003. თუბინგენი

## ეშმაკი და ბოძაშვილი

დასაწყისშივე ვურჩევთ მკითხველს — სულ ერთია, მას ღმერთისა და ეშმაკის არსებობა სჯერა თუ არა, — ეშმაკის განდევნის ლუთერისეულ მეთოდს კი არ მიმართოს, არამედ მამა-პაპური პირველი დაირტყას.

ხოლო ვისაც ლუთერის ექსორციული პრაქტიკის თაობაზედ არაფერი სმენია, მოვეუბნებთ: ეს გერმანული რეფორმაციის პატრიარქი და, ზოგადად, პროტესტანტიზმის მამათმთავარი (1483 — 1546) თავის მოწაფეებს ურჩევდა, ეშმაკი თუ გენვევათ, უცებ

ჩაიხადეთ და უკანალი ანახეთ მას, თანაც, თუ მოგიხერხდებათ, მიაქარეთო! უკანასკნელი ქმედება ლუთერს, რომელსაც მომწილებელი სისტემა არ უვარგოდა, მაინცდამაინც არ უნდა გასჭირვებოდა. ცნობილია, რომ ლუთერს არაერთხელ გასჩვენებია ეშმაკი; ტიურინგიის ვართურგში, — ამ პროტესტანტულ "მექაში", — დღესაც აჩვენებენ ადგილს, სადაც ლუთერმა ეშმაკს სამელნე ესროლა + რამდენჯერმე შეაჩვენა, რომლის შემდეგაც ეშმაკს აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ იქიდან "შემტყდარიყო". სანამ გაქრებოდა, მას ერთი გნიასი აუტეხია, თანაც ისეთი მყრალი გაზები გაუშვია, რომ ლუთერი თვითონაც იძულებული გამხდარა, რამდენიმე დღით იქაურობას გასცლოდა. ალბათ პატივი დასდო და ლუთერს რომელიმე განსაკუთრებული კალიბრის, ჯილა ეშმაკი ესტუმრა, არა უბრალო მაცილი, ჭინკა თუ ეშმაკუნა.

უცნაურია, რომ ფსიქოანალიტიკოსებმა, რომელნიც ადამიანის სულის უხილავ სიღრმეებს იკვლევენ, უხილავი ღმერთის, ეშმაკის არსებობისა, — როგორც წესი, — არაფერი უწყიან. მათი აზრით, უხილავი უხილავშია, ე. ი. ადამიანის სულშივეა დაბუდებული ღმერთიც და ეშმაკიც. ერთიც და მეორეც ადამიანური პროექციაა, ადამიანი ადამიანობის საუკეთესო თვისებებს "ღმერთს" მიანერს, უარესსა და უარესზე უარესს კი — "ეშმაკს". ჩვენ კი ვფიქრობთ, როცა წარმოდგენის ძალა რეალურია, მნიშვნელობა აღარც კი აქვს, ის, რაც წარმოიდგინება, ღმერთია თუ ეშმაკი, რეალურად არსებობს თუ არა. თუ ღვთის სახელით ან თავისით, რწმენით თუ ურწმუნოდ სიკეთეს იქმს კაცი, მაშინ ღმერთი არსებულა. ხოლო თუ ბოროტება ბოგინობს, სულ ერთია, ადამიანის ან "ეშმაკის" ხარჯზე, მაშინ ეშმაკის არსებობასაც გზა ეხსნება. ასეა თუ ისე, "ღმერთში" სიყვარულის ობიექტი განსახიერდება, "ეშმაკში" — სიძულვილისა. ლუთერს სძულდა თავისი ტირანი მამა; სძულდა ავტორიტარული

"წმინდა მამა" ანუ რომის პაპი; სძულდა თავისი ქრისტესმიერი ძმები — თანამოსაგრე რეფორმატორები, მაგალითად, ცვინგლი; სძულდა ერაზმუს როტერდამელი; სძულდა მოჯანყე გლეხები და ყველა, ვინც მას არაფრად აგდებდა. ამიტომაც შეუჩნდა ლუთერს, — ამ პარანოიდულ მოძულეს, — "ემმაკი"! — ასკენიან ფსიქოანალიტიკოსები (შეად. მაგალითად, Josef Rattner, Tiefenpsychologie und Religion).

•  
ვინ უფრო გონიერი იყო და გონივრულად მოექცა ემმაკს, ლუთერი, რომელიც ლამისაა მთელი ევროპული განვითარების თავსაკიდურ ლოდად გამოაცხადონ, თუ ერთი ფშაველი კაცი, გვარად ბოძაშვილი, თავად მკითხველმა განსაჯოს. —

ბოძაშვილს, სახელად სახელოვანს, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სოფელ საშავერდნეში უცხოვრია.

ბოძაშვილს მაინცდამაინც არავინ სძულდა, ერთი ლახატოელი ქალი კი ძალიან ჰყვარებია.

ბოძაშვილსაც ესტუმრა ერთხელ ემმაკი, ქალადქცეული; ემმაკმა ბოძაშვილს გამოჯავრება ანუ ფშაურად, კირცხება დაუნყო; დაახველებდა ბოძაშვილი, დაახველებდა ემმაკი; გაივლიდა ბოძაშვილი, გაივლიდა ემმაკი; დაჯდებოდა — დაჯდებოდა; ადგებოდა — ადგებოდა; იტყოდა რამეს — იტყოდა ემმაკიც იგივეს. აღარა და აღარ მოეშვა.

ადგა ბოძაშვილი და აი რა მოიფიქრა, "მოიეშმაკა": დაგრიხა საბელი და ყასიდად დაიხვია ხელებზე, ფეხებზე, ვითომ თავი შეიკონა. ადგა ემმაკიც და იგივე მოიმოქმედა, მართლა შეიკონა თავი. ბოძაშვილსაც ეს უნდოდა, მაშინვე მიმოყარა თავისი საბლები, ამოიღო დანა და გაკოჭილ ემმაკს ფრჩხილები დააჭრა. ფრჩხილები ბოძაშვილმა ნამგლის სათითუთარაში ჩაყარა და მალლა კარადის თავზე შემოდო, თან ზედ ჯვარი დაადო, რომ ემმაკი ვერ მიჰკარებოდა.

ამით ბოძაშვილმა დაიმორჩილა ეშმაკი, ეშმაკს ეშმაკობის ძალა, რომელსაც მას ფრჩხილები აძლევდა, ნაერთვა.

ზემოთხრობაში საოცარი და დაუჯერებელი არაფერია, საზოგადოდ ცნობილია, რომ ეშმაკი იმიტატორი ანუ მაკირცხიაა; ვინაიდან მას თავისი არსი და მეობა არ გააჩნია, ის ან ღმერთს ჰბაძავს ან ადამიანს. ეშმაკი რომ გრძელ ფრჩხილებს იზრდის, ესაც ცნობილია; საერთოდ, სხეულის გამონაზარდი, — ფრჩხილი თუ თმა, — რალაც შეუცნობელ ძალას ატარებს, დიდ ფიზიკურ თუ სულიერ ძალას; გავიხსენოთ თუნდაც ბიბლიური სამსონის ეპიზოდი.

ერთი სიტყვით, თეორიებს რომ არ გადავყვეთ, ბოძაშვილმა ეშმაკი პრაქტიკულად დაიმორჩილა. არათუ მხოლოდ სოფელ საშავარდნეში, არამედ მთელ ფშავის ხეობაში დღესაც ყველა მოგიტხრობთ ბოძაშვილისა და ეშმაკის ამბავს. ბოძაშვილმა ის ეშმაკი-ქალი დასვა სახლში და ამუშავა, ართვევინებდა, აქსოვინებდა, რძეს ადღვებინებდა... ეშმაკი ყველა შინაურ საქმეს მშვენივრად ართმევდა თავს, ფშაველ დედაკაცს, რომელიც სიბეჯითით ცნობილია, არაფრით ჩამოუვარდებოდა. ბოძაშვილს დოვლათი დაუგროვდა, ბოძაშვილის ცოლს ჯაფა შეუმსუბუქდა, ბაღებს კი ისე ლამაზად მოქსოვილი პაჭიჭები და ჯუბები ეცვათ, ყველა მჭრით მათ შეჰნატროდა.

ხუთმა თუ ექვსმა წელმა გასტანა ასე. ბოძაშვილი ხშირად "ავლებდა თვალს" ეშმაკს. განსაკუთრებით მაშინ, როცა შინ არავინ იყო. მაგალითად, ცოლი და ბაღლები თუ მთაში, სათიბ-სახვეტს იყვნენ...

შესაძლებელია მრავალი დეტალი გამომრჩა ეშმაკისა და ბოძაშვილის ურთიერთობიდან; მაგრამ ეს დეტალები ფშავში ისედაც კარგად იცინან, მაგალითად, ხნიერმა ქალბატონმა ნინო ბოძაშვილმა, რომელიც ამ მოთხრობის პირველწყაროა... ჩვენ კი გვინდა ეშმაკისა

და ბოძაშვილის შესახებ საკუთარი აზრიც გვექონდეს! — დასაწყისში, ლუთერის ქვემოთ, ტყუილად არ ვთქვით, ბოძაშვილს ჭაბუკობისას ერთი ქალი ძალიან ჰყვარებიაო. ის ქალი, ლახატოელი მზისთანდარი — ისეთი ლამაზი იყო, კალმით დახატული! — თავის მამას, მდიდარ მეცხვარე ხარანაულს, ბოძაშვილისთვის ვერ გაუმეტებია; ამიტომაც გაყრილან; რალა დაპრჩენოდათ, ბოძაშვილი დაოჯახებულა, მზისთანდარს კი გათხოვება აღარ უფიქრია. გავიდა 15 წელი. სახელოვანი და მზისთანდარი ერთხელაც ხატობას შეხვდნენ ერთმანეთს, და ძველი სიყვარული ისევ ცეცხლივით აგიზგიდა! რა მოვიფიქროთო! ჭკუა და ეშმაკობა არც ერთს ჰკლებია, არც მეორეს: მზისთანდარს ძმებისთვის უთქვამს, სიზმარი ვნახე, მოლოზვნად უნდა ნავიდეთ, და როგორც დათქმული ჰქონდათ, ქოქომიანი, თავმანდილდაგრუნილი ბოძაშვილს სახლში გამოსცხადებია; ბოძაშვილსაც მეტი რალა დაპრჩენოდა, დააჭრა ფრჩხილები "ეშმაკს" და შეუდგა მასთან სანატრელ, თუმცალა ფარულ სიამტკბილობას. რამდენი ტკბილი ღამე გაუტარებიათ ერთად მზისთანდარსა და სახელოვანს, ვინ მოთვლის! ასე შესანიშნავად შეიძლება გამოიყენოს კაცმა მეზობლების, შინაურების ცრუმორწმუნეობა, თუ მას სიყვარულის ცეცხლთან ერთად მოხერხებაც არ აკლია! "სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო" — ამაზე თქმულა.

ეჰ, სოფელი განა ვისმე დიდხან ახარებს?!

ბოძაშვილის სიდედრი ცოტა არ იყოს მიხვედრილი, ბევრს მიხვლილ-მოხვლილი ქალი ყოფილა; იმ მართლაც ეშმაკსა და კუდიან დედაბერს რალაც უყნოსია და თურმე ძალიან გამომცდელად აკვირდებოდა მზისთანდარის მაქციერობას. დედაბერმა შენიშნა: რატომღაც, თუ ცოლს გაჰგზავნიდა სახვეტს, შინ რჩებოდა ბოძაშვილი, თუ — "ეშმაკს", თან მიჰყვებოდა. ბოძაშვილი ამას იმით ხსნიდა, რომეო, "ეშმაკს თავ არა გაჰნებდებოა".



მოსვლა მოიფიქრა გრძნეულმა მზისთანდარმა, წასვლას ვერ მოიფიქრებდა?

ერთხელაც ბოძაშვილს სტუმრებია ერთი გადაკარგული, რეტიანი ცოლისძმა, რომელსაც ბევრი არაფერი გაეგებოდა არც ღმერთისა და არც ეშმაკისა. მზისთანდარი შინ მარტო ყოფილა და თურმე მატყლსა სჩეჩს. უთქვამს მზისთანდარს იმ რეტიანისთვის: "არიქა, ბარკალ გამიბუჟვდა, ვერ ავდგები, ემა კარადის თავზე რო სათითურა ძე, ეგ მამანვადეო".

რახან თავისი ფრჩხილები მოიგდო ხელში, რალა გააჩერებდა ეშმაკს, მაშინვე გამქრალა...

•

ვინ იცის, იქნებ შეერთების ახალი ხერხიც მოიგონეს მზისთანდარმა და ბოძაშვილმა — იმ სიყვარულის გმირმა, სახელოვანმა!

სიყვარულს ეგრე, უქმად რა დააყენებს?!

01. 07. 2003. თუბინგენი

## ღმერთი

ღმერთი სამოთხეში ხე-ცნობადის ახალ ნამყენს ასწორებდა. ზედ ჩიტ-ბატონა შემომჯდარიყო და კალამი ცოტათი გადაეღუნა. "ვაითუ აღარ განედლდეს" — გაჰკრა ოდნავემა ეჭვმა მამა-უფალსა. ამ საზრუნავში რომ იყო, უცებ, როგორც სჩვეოდა, მორჩილი გოგია აყროყინდა.

მორჩილ გოგიას, 120-კილოგრამიან, ჯან-ლონითა და ბალნით სავსე კოლოსს (მუტრუქს), სურდა თავისი უსაზღვრო ენერგიის მოუკლებელ ლოცვაში ინვესტირება, რათა მას ბოლოს დიდი პროცენტი ანუ სამოთხე მიეღო. გოგია საფინანსო-ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (სადაც ის თავისი პროორექტორი ბიძის პროტექციით ჩაირიცხა) უცებ მოექცა და მონასტრის

კედლებს მიაშურა. მდიდარი მორჩილის შემომატება სასიკეთოდ დაეტყო საბეროს: მონასტრის ეზოში ხელად ახალი საოსტიგნე აღიმართა.

ხე-ცნობადის ახალ ნამყენზე მზრუნავ ღმერთს გოგიას ოხაყროყინი სულ გადავინყებოდა, მოულოდნელობისაგან ხელი შეუერთა და კალამი ძირზე გადაუტყდა.

გამწარდა, ენაზე მოადგა სიტყვა: "რას შემომღმუი, შე ოხერო, დღედაღამ, დატკბი სიცოცხლით, სიცოცხლე რად გეცოტავება, შეაღიე შენი ულევი ენერგია ქვეყნიერებას, იყავ ნამდვილი".

მაგრამ ღმერთს არაფერი უთქვამს. ის ხომ არასოდეს გვეტყვის ისეთს, რასაც თვითონვე ვერ მივხვდებით.

17.11.2003

ნ ე რ ი ჯ ე ბ ი

## პროტესტანტული ეთიკა ანუ რატომ არ არიან პანკები საქართველოში

ევროპული წარმატებისა და სასწაულებრივი კეთილდღეობის ყოველი საიდუმლო დამარხულ არს ევროპელის რელიგიურ მენტალიტეტში. რელიგიურად მოტივირებული პატიოსანი, ბეჯითი შრომა (ანუ მაქს ვებერის აღიარებული თეორიის თანახმად, "პროტესტანტული ეთიკა"), რომელიც რელიგიურ ასკეტიზმს პროფესიული წარმატებისა, და, საბოლოოდ, მატერიალური კეთილდღეობის სამსახურში აყენებს, არის სული, გული და ბუნება დღევანდელი, განვითარებული კაპიტალიზმისა.

"ბებერ ევროპაში" ბებრები დიდ განცხრომაში არიან, სიცოცხლით ტკბებიან, სიკვდილი და სულ-ცხოვნება მათ თითქოს აღარც კი ახსოვთ და აღარც სჭირდებათ: თავიანთი მსუყე პენსიადანაზოგებისა და შესანიშნავი სამედიცინო მომსახურების წყალობით მათ იმდენი მოახერხეს, რომ სამოთხე იმქვეყნიდან ამქვეყნად "გადმოიტანეს". ამგვარად "უხილავი რელიგია" ხილული გახდა, უხილავი სამოთხე — ხილული სამოთხე.

მაგრამ ევროპა უმონყალოა, "უჯიგროა" საკუთარი ახალგაზრდების მიმართ. ევროპის სამოქალაქო საზოგადოების თითოეულმა ახალგაზრდა წევრმა კარგად იცის: თუ იგი დროს არ მოუფრთხილდება, არ იასკეტებს, პროფესიულ პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება; თუ "პროფესორად" ვერ ჩამოყალიბდა, მაშინ იოლი შესაძლებელია იგი ქუჩაში აღმოჩნდეს, როგორც ე. წ. "კეთილდღეობის ნაგავი". ასე იწოდებიან საზოგადოებიდან ასხლეტილები, განსაკუთრებით punks. ეს ჩამოკონკილი, თმააბურძგნული კაცები და ქალები ევროპის ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე მრავლად ირევიან; ბევრი მათგანი "უძლები შვილივით" ძაღლებთან ერთად სვამს, სჭამს და იქვე სძინავს, მათხოვრობა-მანანნალობითა და სო-

ციალური შენეებით გააქვს თავი (თუმცაღა, ეს "სოციალური შენეენა" ჩვენებური პროფესორის ხელფასს გაცილებით სჯობიბა).

ადამიანი თავისი ბუნებით, როგორც ჩანს, არაპროტესტანტულეთიკათანდაყოლილი, ზარმაცი არსებბა. საკუთარი სიზარმაციის მოთოკვის, დისციპლინირებულობის, გონიერი და ზომიერი ცხოვრებით ცხოვრების უნარი ყველას არც ეეროპბში შესწევს.

გასბგები მიზეზების გამო, საქბრთველომ რელიგიური რეფორმაციის პერიოდი ვერ გამოიბრბ და, — ზოგი ჭირი მბრგებელიბო, — სნორედ ჩვენი ტრბდიციული ყოფისბ და ეთიკის წყბლობითბ, რომ ჩვენი ახბლგბზრდები პბნკებბდ გბდაქცევბს გბდბურჩნენ! ჩვენს პირობებში ხომ უქნბრობბ მბინცდბმბინც სბშიში და სბძრბხისი ბრბბ! პირიქით, შეიძლება სიბეჯითემ, პუნქტუბლურობბმ და ზომიერმბ კუჭმბ უფრო დბგბყენოს სბზოგბდობერივი პრობლემების წინბშე. უქნბრბმ და უვიცმბ, იმის მბგივრბდ, რომ გბპბნკებულებო, შეიძლება სერიოზული კბრიერბც კი გბიკეთოს, მინისტრობბს ბნ რბლბც იმის მბგვბრს გბმოჰკრბს ხელი! თუკი შეიძლება რომ იოლბდბც, "ფხიბნობითბ" და "პბტრონიბნობით" მბბლწიო ნბრმბტებბს, რბლბ სბჭირბბ ჯბფბ, წვბლება და პროფესიონბლიზმბ?!

პროტესტბნტულ-კბლგინისტურ თემებში შემუშბვბდბ სულის ცხონების ეთიკური თეორიბ, რომლის თბნბხმბდბც სულის ცხონებბბ ინდივიდუბლურიბ; ღმერთი ყოვლის მცოდნებბ და ყოველი კბცის ცხონებბს წინბსწბრ, თვით მის დბბბდებბმდევე გბნსბზღვრბვს. მბგრბმ სბბდბნ იგებ, რბთ ბდგენ, ხბრ თუ არბ ღვთის რჩეული, ბნუ "ცხონების კბნდიდბტი"? შენი პროფესიული ნბრმბტებბთ! ხოლო პროფესიული მბღწევბ-ნბრმბტებბს სბნბნდბრი კი სბკუთბრი "მბდლიბნობის" მეთობღური კონტროლიბ, ფბქტობრივბდ დღიური, რომელშიც მეთობღურბდ ბღწერ, ბფიქსირებ შენზე გბდმოსულ ღვთის მბდლს. რელიგიური პბრბდოქსიბ: ცხონებბ ბედისწერბბ, თბვისით

ვერასგზით მიაღწევ, მაგრამ იმის გაგებისას, ცხონდები თუ არა, როგორღაც აღწევ ცხონებას... ვინაიდან ეს პრედესტინაციული სწავლება სიბეჯითეს მოითხოვდა, საბოლოოდ ამან მოიტანა დიდი ეკონომიური აღმავლობა და განვითარებული კაპიტალიზმი. ამავე დროს, პროტესტანტული ეთიკა ნელ-ნელა გაზავდა ევროპულ ყოფაში, დესაკრალიზირდა, ე. წ. "ამქვეყნიურ ასკეტიზმად" გარდაისახა. ევროპელი დღეს თავისთავად ბეჯითობს, მომჭირნობს და გონიერობს, მოკლედ, პროფესიულ თვითკონტროლს ეწევა უკვე რელიგიური მოტივაციის, მეთოდური ჩანაწერების გარეშე; ამით რელიგია, — ცნობილი სოციოლოგის, თ. ლუკმანის თანახმად, — უხილავი გახდა, უხილავად, არაუშუალოდ მოქმედებს ევროპული ყოფა-ცხოვრების წესებსა და სფეროებში.

"მართლმადიდებლური ეთიკის" თანახმად კი, ჩვენი დაკვირვებით, სულის ცხონება, პირიქით, კოლექტიური მოვლენაა. ჩვენ, მართლმადიდებლები, ვცხონდებით კოლექტიურად, უბრალოდ იმიტომ რომ ასეთები, მართლმადიდებლები ვართ, ბუნებით ღვთისნიერნი. ბოლშევიზმის თანახმადაც, ყოველი გლეხი და მუშა ავტომატურად კეთილი უნდა ყოფილიყო. პიროვნულ-პროფესიული უნარების განვითარებას ჩვენი რელიგიური ეთიკა, პრინციპში, არ გვავალდებულებს; ის კი არა და, შეიძლება პირიქითაც კია: მონური მორჩილების კულტი, რომელიც ბოლო ხანებში მორწმუნე მრევლის დიდ ნაწილს მოედო, პიროვნების სრული ნაშლისა და ნიველირების ამკარად გამოხატულ ტენდენციებზე მიუთითებს. რასაკვირველია, ჩვენში ისეთებიც გამოერევიან, — თუმცაღა, სამწუხაროდ, იშვიათად, — ამ ტრადიციულ — რელიგიური ეთიკის მოჯადოებული წრიდან თავდაღწევას რომ ახერხებენ. ჩვენი ტრადიციული რელიგიურობა ანუ ღვთისმშობსაობა-მორწმუნეობა თავისთავად უკვე "პროფესიაა". ეს საცხონებელი რუტინა (მოძღვარ-მარხვა-წირვაზე

სიარული) იმდენ დროს, რუდუნებასა და ენერგიას მოგთხოვს, რომ პროფესიას კი არა, ღმერთსაც დაგავინყებს.

ტრადიციულ-კოლექტიურ რელიგიურობას ემატება და ამყარებს ზოგიერთი სხვა მსგავსი, — მაგალითად, კლანურობის, ტრადიციაც და საბოლოო ჯამში ვიღებთ ჯგუფურ სულს. ერთ სულს რამდენიმე, მეტწილად ხუთი-ექვსი კაცი იყოფს. ცოტა უცნაურად მოჩანს, მაგრამ ზოგიერთი კულტურის, — მაგალითად, ეგვიპტურის, — წარმოდგენით, კაცს რამდენიმე სული აქვს: "ბა", "კა", "აჰ". საქართველოს სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა: თუ ქართული ყოფა-ცხოვრების წესს ჩაეუღრმავდებით და თან ელემენტალურ მათემატიკასაც მოვიშველიებთ, მაშინ იოლად დავადგენთ, რომ ერთი ქართველი ერთ ადამიანურ სულს კი არა, სულის მეხუთედს, მეათედს, მეთექვსმეტედს, და, ზოგჯერ, სულის თითქმის ნულამდე დასულ ნაწილსაც კი ფლობს. სწორედ ამიტომაცაა საქართველოში კორუფცია და სხვა მანკიერებანი დაუძლეველი. კორუფცია, ლათ. *Corruptio* გახრწნას ნიშნავს. გახრწნა იქაა, სადაც სული არაა; უსულოდ სხეული იხრწნება, გვამდება. ამიტომაც საქართველო ცივილიზებულ მოქალაქეების ქვეყნად კი არა, ცოცხლად გახრწნილი გვამების, ანუ კორუმპირებულთა სათავესოდ იქცა. ამ აქოთებულ სათავესოში, რასაკვირველია, პიროვნებისათვის, ანუ სრულსულიანისათვის შეიძლება მხოლოდ ისეთი და, უარესი სიტუაციაც კი შეიქმნას, რომელიც ერთ შესანიშნავ ფილმში ასე შთამბეჭდავად აისახა: აბსურდული, მოჯადოებული, აუტანელი... როგორ გინდა წააკითხო "რომანი", აწამებინო ახალი იდეა, გააგებინო რაღაც არსებითი ამ სულნამცვეცა თუ უსულო კაცუნებს, რომელთათვის კლანის, სანათესაოს, ლინიჯის, "საძმოს", საუბნოს, სამრევლოს ("ვისი მრევლი ხარ?") თუ სხვა მსგავსი ჯგუფისა და "სასტავისადმი" მიკუთვნებულობა ყველაფერია: სულიც, გულიც,

პროფესიაც და ყოველგვარი სიკეთის საზომიც?!

ჩვენმა ბოლოდროინდელმა ისტორიამ ცხადყო, რომ საქართველოში შეიძლება ყველაფერი გაპატიონ, გარდა პიროვნებადქცევისა, გამორჩეულობისა, ერთი სიტყვით, სრულსულიანობისა. "ყველანი ერთნი ვართ", "ყველანი ქართველები ვართ", მაგრამ ამავე დროს, "ადამიანი" მხოლოდ ისაა, ვისაც "ბიძები", "ფულები" და ამგვარები მოეძეება. ვინც გამორჩეულია, ის ან უნდა მოიკლას, ან უნდა ნავიდეს, სადმე გადაიხვეწოს, ან უნდა გაჩუმდეს და ჩაკედეს; ნებადართულია ზომიერი კრიტიკაც, მოზომილი კბენა, რაც ნებისმიერი ადამიანისათვის, — მაგალითად, შევარდნაძისათვის, — სასიამოვნოდ სახამუშოა. ისევე როგორც ნებისმიერი ცხოველისათვის, — მაგალითად, ძაღლისათვის, — მისივე მოყვასის, თანაძაღლისაგან ყელში მიღებული "ღერღი". — სიყვარულოვანი "სიძულვილის" ვნებიანი გამოვლინება.

თავისუფალი და ნიჭიერად მონოდებული ინფორმაცია იყო ის ჩვენი ბოლო იმედი, რომელიც მაინც რალაცნაირად ისევ ბუჟუტავდა ჩვენი ქვეყნის მომავლის ბნელი და უთავბოლო გვირაბის ბოლოს. ჩვენ ვისაც მათი პროფესიონალური მოდერატორული საქმიანობით ვიცნობდით და ვაფასებდით, ახლა ვისაკლისებთ: სანაია მოიკლა, ტაბატაძე გადაიხვეწა; იქნება არც ერთი დარგის პროფესიონალური პერსპექტივა არ ჩანს ჩვენთან, ყველა დარგის "სანაიები" და "ტაბატაძეები" უნდა მოიკლან, გადაიხვეწონ ანდა უბრალოდ გაჩუმდნენ, აჩრდილოვან არსებობას შეაფარონ თავი, რათა როგორმე ფიზიკური არსებობა შეინარჩუნონ?

იქნებ სიტყვა "პროტესტანტული" არ მოგვწონს; რაც გინდათ ის უნოდეთ: გნებავთ "პროტესტანტული", გნებავთ "დასავლური", და თუ გნებავთ, უბრალოდ, "პატიოსანი", ზემოხსენებული პროფესიონალების პატიოსანი პოზიცია მათი უურნალისტური სიმნიფისა



და თავისუფალი პიროვნების ჰარმონიული შერწყმის შედეგი იყო. პროფესიონალიზმი და თავისუფლება მჭიდროდაა ერთმანეთს გადაჯაჭვული, ურთიერთმემავსებელნი არიან. "თავისუფლება" ფართო ცნებაა და ის თავისი არსით პროფესიონალურია. ამიტომ ის, ვინც მართლაც რაღაც იცის, იმ უმსგავსობას, რაც ჩვენთან ხდება, — თუნდაც რელიგიის სფეროში, — ვერც აიტანს და ვერც ვერასოდეს შეეგუება. რა შეფასებას მისცემდა ჩვენს ბოლოდროინდელ რელიგიურ მოვლენებს პროფესიონალი თეოლოგი? ამ აბსორპციულ ანუ ყოვლისშთანმთქმელ კლერიკალურ მადას, რომლის წინაშეც ისე თრთის ყველაფერი, — დანყებული მინით და დამთავრებული განათლების სფეროთი, — როგორც პითონის წინაშე მარტოდ დარჩენილი, გადასაყლაპავად განწირული ბაჭია? ადოლფ ჰარნაკმა, — ჩვენი თვითმარქვეებისაგან განსხვავებით, მართლაც თეოლოგმა, — თავის დროზე ასეთი მართლმადიდებლობის მიმართ ბრძანა: "სწორედ იმისათვის გაეკვრევიან იესო ჯვარზე, რომ რელიგია აღარასოდეს ყოფილიყო ასეთი უსახური".

პიროვნებადქცევა გენიოსობა არაა. ყოველი ადამიანის პოტენციური შესაძლებლობაა. მაგრამ ამასთანავე, პიროვნული მეტნაკლებობის აღიარებაცაა. სანამ "ყველანი ერთნი ვართ" და "ყველანი ქართველები ვართ", პიროვნებებად ვერ ჩამოვყალიბდებით, ჩვენი საზოგადოება პიროვნებათა სანრთობ ქურად ვერ ივარგებს. გათანაბრების, არადიფერენცირებული მიდგომის გზით პიროვნებას ჩვენთან სკოლიდანვე ახშობენ. ნიჭიერი ბავშვი სვამს კითხვას და მართალიცაა: "რა აზრი აქვს კარგად სწავლას, თუ საბოლოოდ ყველას მაინც ერთნაირად კარგ ნიშნებს გვინერენ?"

იქნებ სჯობდეს, სულაც გავანებოთ თავი ამ რელიგიურ მენტალიტეტებს, ბიზანტიურ-საორთოდოქსო — მცონარების, თუ ევროპულ-რეფორმატორულ — სიბეჯითის ეთიკებს? მაგრამ როგორ

გავანებოთ, "ეგენი" მთელი საზოგადოების, ხალხის ფსიქოლოგიას თავის ტვიფარს ასვამენ! კულინარიაც კი მათი წყალობით ვითარდება, იხვენება; გაიხსენეთ: სამარხო ლობიანები, "ასატრინის" ხინკლები... გააგრძელეთ...

მაინც გავანებოთ! ერთი მაგათი ეთიკებიც, მაგათი საცხოვნებელი ბოდვებიც და თეორიებიც (ხინკლები და ლობიანები დავტოვოთ, ნაბან წყალს ბავშვსაც ნუ გადავავოლებთ)!

ჩვენი განახლების დვრიტა რელიგიაში კი არა, ჩვენს ეთნოსურ წარ-სულშია! როგორ? მოვუაროთ სათქმელს ცოტა შორიდან; ერთმა ამერიკულ-პროტესტანტულად განათლებულმა ქალბატონმა ამასწინათ მასობრივი ინფორმაციის გზით ჩვენც "გავგანათლა": თურმე ნუ იტყვით, და, ამერიკელი ბალანა რომ პიროვნებად ჩამოაყალიბონ, ამისათვის მას როგორც დიდს, ისე ელაპარაკებიან, ეთათბირებიან და ხან ჭკუასაც კი ეკითხებიან! ამაზე თქმულა: თურმეშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო!

აი რას სწერს ვაჟა-ფშაველა თავის ეთნოგრაფიულ "ხევსურეთში":

"ხევსური თავის შვილს სიყრმიდანვე სითამამეს, სიამაყეს აჩვენებს; მამა თავის დღეში პატარა შვილს ხელს არ დააკარებს, არ სცემს; გაუბამს საუბარს, როგორც დიდ კაცს, მოისმენს იმისგანაც პასუხს და მსჯელობას, როგორც დარბაისელი, გამოცდილი კაცისაგან. როდესაც ბალლი სახლში შადის, იქ თუნდაც ორმოცი დროული მოხუცებული კაციც იყოს, ყველანი მაშინვე ფეხზე აუდგებიან და მიესალმებიან: — მოხვედი მშვიდობითაო! (სახელი) — დასხედით, თქვენც დამხედით მშვიდობითაო".

თქვენც მშვიდობით დამხედით, მკითხველო! ქართველი მინისტრების გაპანკებამდე არაფერი გტკენოდეთ!

28. 03. 2003. თუბინგენი

## სატანა და სახელმწიფო კონტროლი

ძალიან საინტერესო ციკატას იმონშებს ბ-ნი სოზარ სუბელიანი თავის ერთ საყურადღებო წერილში ("მართლმადიდებლობა და სამოქალაქო საზოგადოება", "კავკასიონი", 9 — 15 ივნისი, 1999): "ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის წინააღმდეგ მთელი მძვინვარებით აღსდგა ჯოჯოხეთიდან გამოშვებული სატანა თავისი დემონური იერარქიითა და გადაბირებული კაცობრიობით... მართლმადიდებელთა სისხლი დაიღვრება".

პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ვისი აზრია ეს, რადგანაც იგი ზოგადად ფუნდამენტალისტურ წარმოდგენას ასახავს და მას ყველა დაეთანხმება, ოსამათი დაწყებული (თუ, რასაკვირველია, "ჭეშმარიტ ქრისტიანობას" "ჭეშმარიტი ისლამით" შეეცვლით) ამერიკელი მართლმადიდებელი ეპისკოპოსით, ვიტალით დამთავრებული; მათ შორის, — როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც აჩვენეს, — ჩვენი სამღვდლოებისა და მრევლის დიდი ნაწილიც მოჰყვება. ვეთანხმებით ბ-ნ ს. სუბელიანს, რომ ზემორე ნააზრევი სადო-მაზოხისტურად შეფერილი და მრისხანე "პროფეტული" სინდრომის გამომხატველი ბოღვაა. მაგრამ არა მხოლოდ ეს და არა უბრალოდ ეს. შეფასებები "ცუდი" და "კარგი", "ჭეშმარიტება" და "ბოღვა" ჩვენი საქმე არაა. არც თეოლოგობას, ე. ი. ჭეშმარიტებათა რკვევას ვჩემულობთ და არც საზოგადოებრივად საჭირობოროტო საკითხთა გადაჭრას ვცდილობთ. რელიგიური ესენცია, რომელსაც ზემორე ციკატა აფრქვევს, მთელი ძალით შემოგვღალადებს: "გამაკონტროლეთ!" — აი, რამ დაგვაინტერესა.

ზოგადად რელიგიურ აზროვნებას ალოგიკურობა ახასიათებს; და რაც არ უნდა არადემოკრატიული და არაელეგანტური იყოს ზემორე ციკატა, ერთს მასაც ვერ წავართმევთ — რელიგიურ ხასიათს. ანუ, თუ ნეგატიურად შევაფასებთ, ბოღვილიანობას.

ვიტყვით ერთსაც, თუ არ გაგვიწყობიან: მთელი ქრისტიანობა "ჭეშმარიტი მუსლიმისათვის" მხოლოდ ბოდვა და ბლაზფემიაა. ზოგადად ერთი რელიგია მეორისათვის ბოდვაა; ათეისტისათვის კი ყველა რელიგია ბოდვაა. ერთი რელიგიის ფარგლებშიც კი არის ბოდვითა მრავლობა, მაგალითად, მართლმადიდებლური ცხონების თეორია დანარჩენი ქრისტიანებისათვის (შეად. ადოლფ ჰარნაკის "ქრისტიანობის არსი") ბოდვა და ცრურწმენაა და ა. შ. და პირიქით. დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს "ბოდვას", ჩვენი აზრით კი — სრული ჭეშმარიტების ირიბად მლაღადებელს.

გავისიგრძეგანოთ ციტატა: ვინ გამოუშვა სატანა? თვით ღმერთმა? რომ იყოს "აშვებული" და არა "გამოშვებული", მაშინ სატანის შეუზღუდავი თვითმპყრობელობა უნდა გვეგულისხმა. დემონოლოგიური ჭვრეტები ჩანს. რამდენხანს იქნება გამოშვებული, ან როგორ მოახერხა სატანამ მთელი კაცობრიობის გადაბირება? "გამოშვებული" ალბათ ღმერთის ყოვლისშემძლეობას მანიფესტირებს: ღმერთი განა ყოვლისშემძლე არ უნდა იყოს? რატომ ფიგურირებს სისხლი? სატანა თითქოს რაღაც სტიქიონური ძალაა; ეს გამოშვებული სტიქიონი იტაცებს "ჭეშმარიტ მართლმადიდებელს", რომელიც სიამოვნებით, სადო-მაზოხისტურად ნებდება სტიქიას და ეგვემინება, ესისიხლიანებიანება მას. "სატანა" აქ სხვა არაფერია, თუ არა კონტროლის წყურვილი. ფუნდამენტალისტური ენერგია ღაღადებს: "გამაკონტროლეთ!" სატანის ზემორე ნარმოსახვა შესაძლებელია სრულიად აცდენილი იყოს ეკლესიურ დემონოლოგიას, მაგრამ როგორც რელიგიური ყოფის კომპონენტი, სავსებით რეალურია. "სატანა" აქ "ჯაჭვია", რომელსაც მართლორწმუნე შიიტები შუბლზე ირტყამენ და თავს ისისიხლიანებენ, და, რაც მთავარია, თავს იკონტროლებენ. არ შეიძლება რელიგიური მოვლენა, საკუთარი თუ სხვისი, შეფასდეს ცალსახად და გარედან,

როგორც "ცუდი" და "კარგი" ან "ბოდეა" და "ჭეშმარიტება". შიიტს შეუძლია ნებისმიერ ჩვენთაგანს იგივე უთხრას, რაც აბომ თავის მსაჯულს უთხრა: "შენცა გრწმენინ და მაშინლა ღირს იქმნე ცნობად სიტკობებისა მისისა", ე. ი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯაჭვის რტყმისა.

რელიგიურ ცხოვრებას სჭირდება კონტროლი, სიმბოლურად, "ჯაჭვი". რეფორმატორულ ეკლესიაში ეს პირადი სინდისის ("პროტესტანტული ეთიკის") მეოხებით ხორციელდება. ჩვენთან უახლოეს წარსულში რელიგიის კონტროლს ავადსახსენებელი KFB ახორციელებდა. KFB, ჯაჭვი, ინკვიზიცია, ცენზურა, რელიგიის სამინისტრო, რწმენის კონგრეგაცია და ასე შემდეგ, სულ ერთია, პროლტეგიური თუ ანტირელიგიური, კონტროლის ორგანოებია, რელიგიური ცხოვრებისათვის საჭირონი, თანმდევნი, უკვდავნი. ძველ რომში რელიგიაზე ტოტალური სახელმწიფო კონტროლი იყო დაწესებული. ძველი ბერძნები რელიგიას, თუმცალა "წმინდას", მაგრამ მაინც "ავადმყოფობას" ეძახდნენ. ავადმყოფობა თუ არ გააკონტროლე, აცრები არ ჩაიტარე, უდროოდ მოგკლავს. დღეს ჩვენთან კონტროლის ვაკუუმი შეიქმნა, როცა/თუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება კონტროლის ორგანოებით დაიქსელება, მაშინ "სატანა" ისევ თავს დაიბამს. რასაკვირველია, კონტროლის საუკეთესო ფორმა პირადი სინდისია და დემოკრატიაც + ადამიანობა პრინციპში პირად სინდისს ეფუძნება. მაგრამ დემოკრატია არსად არაა მხოლოდ სინდისის ანაბარა მიტოვებული. დემოკრატიულ ქვეყნებში ყველაფერი კონტროლდება და ურთიერთკონტროლდება. მაგალითად, გერმანიაში სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა სახელმწიფო გამოცდა თეოლოგიაში. სახელმწიფო გამოცდის გარეშე მღვდლობას ვერ მიაღწევ, ე. ი. გაუნათლებელი ან შეშლილი მღვდელი, რომელიც სახელმწიფოსათვის პო-

ტენციური საფრთხეა, პრაქტიკულად გამორიცხულია. რისი ბრალია ჩვენი დღევანდელი ანტიეკუმენისტური ისტერია და ეკლესიური განხეთქილებანი, თუ არა, უპ. ყოვლისა, შეშლილობა-გაუნათლებლობის? ეს ხომ შესანიშნავად დაამტკიცა თვით ეკლესიისა და ღვთისმსახურმა, მღვდ. ბასილ კობახიძემ! რისი ბრალია შეშლილობა-გაუნათლებლობის ეკლესიაში აღზევება? სახელმწიფოს მხრიდან გაუკონტროლებლობის! რას უქადის სახელმწიფოს ეკლესიური შეშლილობა-გაუნათლებლობა? გადაგვარებას, მოსპობას, ფანატიზმის უფსკრულში გადაჩეხვას.

რელიგიის კონტროლის მეორე მაგალითი: გერმანიის უმშვენიერეს ქალაქ კოლნში რამდენიმე წლის წინათ მოღვაწეობდა ერთი თურქი მოლა, რომელმაც თურქეთი დაუსწრებლად ღვთიურ ხალიფატად გამოაცხადა, თავი კი რა თქმა უნდა — ხალიფად. მომხრეებიც საკმაოდ დაიგროვა. გერმანული პრესა "კოლნელ ხალიფაზე" მსუბუქი ირონიით ქიჩქილებდა, სანამ იგი ანტისემიტურ ქადაგებაში არ ჩაიჭირეს; მერე კი პოლიციამ დააპატიმრა, გაასამართლეს და მიაბრძანეს იქ, სადაც მისი ადგილი იყო — საპყრობილეში. გამოხდა ხანი და ხალიფამ სასჯელი გაასაჩივრა, რითაც "მიაღწია" იმას, რომ იგი თურქ სამხედროებს გადასცეს. ცუდია თუ კარგი, ვერ გეტყვით, — ალბათ არასასურველი იძულებითი ღონისძიებაა, რასაც დასავლეთი გაგებით ეკიდება: თურქეთში რელიგიურ ცხოვრებას სამხედროები აკონტროლებენ. ლაიცისტური თურქეთის მომავალს, რომელიც დასავლეთთან ინტეგრაციაზეა გათვლილი, რელიგიის "გამოშვება" კარგს არაფერს უქადის. რელიგიური აგრესია, რომელიც სამწუხაროდ მაჰმადიანურ სამღვდელოებასაც ახასიათებს, როგორც ჩანს, უკუჩვენებელი სენია; მაგრამ ერთია ფარული აგრესია და მეორე — აშკარა ძალადობა. თუ რელიგიური აგრესორი ვერ ხედავს ძალასა და კონტროლს, რო-

მელიც მას შეაკავებს, მაშინ ის ხელად მოძალადედ და რელიგიურ კრიმინალად იქცევა. "როდესაც და სადაც სამართალდამცავი სისტემის კონტროლი მოიშლება, რელიგიას ეძლევა გასაქანი დანაშაულებრივი ქმედებების ავტორიზირებისათვის". — ნერს რელიგიის ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი მკვლევარი თავის წიგნში "კრიმინალური რელიგია". "თანამედროვეობის შუაგულში ნამოყო თავი რელიგიამ და სახე, რომელსაც ის გვიჩვენებს, სასტიკი და სახიფათოა" (გაზ. Die Zeit, 28. 05. 2003). ერთია რელიგია იდეაში და მეორე — ყოფაში. თუ გინდა მგელი (ანუ თავაშეებული მღვდელი) შენს ფარას შეეშვას, შეგონებებს, მგლის თავზე სახარების კითხვას კი არ უნდა გადაჰყვე, არამედ ბონთვერა ნაგაზები უნდა მოიმრავლო.

კრიმინალობისა და შეშლილობა-შეურაცხადობის ფაქტებს ჩვენს რელიგიურ ყოფაში დიდი ძებნა არ სჭირდება. მაინც დავიმომბებთ რამდენიმე მათგანს :

ა) "მე იმედი მაქვს, რომ პარკინსონით დაავადებული რომის პაპი მალე ჩაბარდება პატრონს". — ასეთი განცხადება შეშლილობის გამოვლინებაა. ისევე როგორც მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობის განწყვეტის მოთხოვნა ან დაუბადებელი ყრმების ჯოჯოხეთში გაშვება.

ბ) "ზოგიერთმა სასულიერო პირმა ანტისემიტური განცხადებაც კი გააკეთა იუდეურ-ებრაულ ამერიკას ჩვენი ხატები არ სჭირდება"-ო ("კავკასიონი", 4-10 აგვისტო, 1999 წ. ) ასეთი "ორიგინალური" განცხადების გაკეთებას რაც მოჰყვებოდა მაგალითად, გერმანიაში და ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში, ზემოთ უკვე ვნახეთ.

გ) "ქუთაისის, ბათუმის, გორისა და უდეს კათოლიკურ ტაძრებში მართლმადიდებლები შეიჭრნენ და დღემდე ფეხს არ იცვლიან... სხვათა სარწმუნოებრივი სინდისის შეურაცხყოფა და ისტორიული

მემკვიდრეობის ხელყოფა უზნეობისა და კრიმინალობის იმ ხარისხს უტოლდება, რასაც პროფანულ და იურიდიულ ენაზე ბანდიტიზმი ეწოდება და უმკაცრესი კანონით ისჯება" ("რეზონანსი", 29. 06. 2002).

რაკილა ღმერთი სამეხობათა, ამ სამიოდე ციტატას დავჯერდებით; ჩვენი რელიგიური ლანდშაფტი უამრავ მსგავს მაგალითებს გეთავაზობს: მაგალითად, წიგნების დანვა, მეძველსტილეობა, პროტესტანტების ცემა — ტყეუა და სხვ. და ა. შ.

დღეს ჩვენი ეკლესია, რომლის მისიაცაა ზეციური ეკლესია განასახიეროს და არა უძრავ-მოძრავი ქონება დააგროვოს, ყოველად გაუკონტროლებელია. ამიტომ დაკარგა მან თავისი ეკლესიური სახე და მუტირდა ანუ გადაგვარდა ის მაკონტროლებელ ძალოვან სტრუქტურად. ეკლესია, რომელსაც საკუთარი თავი და სამღვდლოება ვერ გაუკონტროლებია, მთელი ქვეყნის კონტროლს და ყველაფრის მიჩემებას ცდილობს, დანყებული მიწით და დამთავრებული განათლების სფეროთი.

ერთი სიტყვით, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბულობის გარეშე, ოფიციალურად და კანონზომიერად, სახელმწიფომ, თუ ის სახელმწიფოა, ან სახელმწიფოდ ქცევას მაინც აპირებს, უნდა აღასრულოს თავისი მოვალეობა და დაინყოს ეკლესიის კონტროლი. — სახელმწიფო ინტერესების, ამ შემთხვევაში დემოკრატიულის, დაცვის მიზნით. "რელიგიის რწმუნებულის აპარატი", რომელიც სსრკ-ს დროს ეკლესიას აკონტროლებდა, კარგად ასრულებდა თავის, იმ შემთხვევაში ტოტალიტარულ ფუნქციას. ის ავადსახსენებელი კონტროლი ზოგიერთი მიმართებით ეკლესიისთვისაც კი სასარგებლო იყო. მაგალითად, შეშლილების, კრიმინალების მღვდლებად კურთხევა მაშინ ძალიან ჭირდა. დღეს კი ეკლესია ასეთებით გაივსო. შედეგებიც სახეზეა.



ეკლესია აწესებს აბსურდულ კრიტერიუმს: "სულიერობა". ვის შეუძლია შეამონმოს ეს ფენომენი და არ შეცდეს? მხოლოდ ღმერთს. აქედან გამომდინარე, ეკლესია "ღმერთია". ღმერთს კი ყველაფრის უფლება აქვს. მინის ექსპროპრიაცია, რაც ეკლესიას მოესურვა, ღმერთობაა, ღმერთობის მოსურვება. მინა, საკუთარი დედულ-მამული, შესაძლებელია გლახს სიცოცხლეზე მეტადაც კი უღირდეს. ეკლესია კი გლახს ამ სიცოცხლეზე მეტს ართმევს. მოკლედ, ყველაფერზე უფლებამოსილია, სიკვდილ-სიცოცხლე მის ხელშია.

სახელმწიფო კონტროლის ორგანო დაანებს ადამიანურად ზომვად კრიტერიუმებს: "ჯანმრთელი", "განათლებული" და მსგ. სახელმწიფოს არ უნდა ეშინოდეს არაფრის, არც ღმერთის, რომელიც დღევანდელი საქართველოს რელიგიურ ყოფაში ფაქტობრივად ფეტიშურმა ცნებამ "მართლმადიდებლობამ" გადაენა. სახელმწიფომ თავისი ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე მალლა უნდა დააყენოს. დროა. ეყოფათ!

ჩვენ გვჯერა, რომ ამ იდეას უპირველესად მხარს დაუჭერს ეკლესიის ჯანსაღი, თუმცაღა უმცირესობაში მყოფი სამღვდლოება, რომელსაც, მისდევს რა ურყევ ქრისტიანულ და ეროვნულ ტრადიციებს, დემოკრატიული სახელმწიფო კონტროლის არ ეშინია.

დღევანდელი ყოვლადგაუკონტროლებელი და ყოველთაგამაკონტროლებელი ეკლესია არამხოლოდ მცხეთელი გლახის მინისა და სიცოცხლისთვისაა დიდი საფრთხე, არამედ სრულიად მცხეთის ანუ საქართველოს მომავლისთვისაც.

P. S. ოღონდ ესაა, კონტროლის ორგანომ რომ ნორმალურად იფუნქციონეროს და პირიქით, ისევ თითო-ოროლა ჯანსაღთა და მართალთა მდევნელ ორგანოდ არ გადაიქცეს, ქვეყანაში ჯერ კანონის უზენაესობა უნდა დამკვიდრდეს. მაგრამ შესაძლებელია კი ჩვენთან ოდესმე მიღწეულ იქნას კანონის უზენაესობა? საქართ-

ველო ხომ არც თურქეთია და მითუფრო, არც გერმანია ანუ როგორც იოანე ბატონიშვილი თავის კალმასობაში ასკვნის, "ქართლში სამართალი არასოდეს არ ქნილა და არც იქნების".

20. 05. 2003. თუბინგენი

## ჟერ IUSTITIA, მერე PIETAS და SAPIENTIA, გოლოს კი RELIGIO ?

ლაკტანციუსი, რომელსაც ყურმოკრულად ვიცნობთ როგორც რელიგიის ცნების ციცირონულ გაგებასთან მოპოლემიკეს, ჩრდილოაფრიკელი ორატორია, სახელად Caecilius Firmanius Lactantius, დაბადებული სადღაც 250 წელს, ნაცხოვრები არანაკლებ 317 წლამდე. ლაკტანციუსი III ს. ბოლოს უნდა გაქრისტიანებულიყო, მისი აპოლოგეტიკური "divinae institutiones" 304 და 313 წლებს შორის უნდა მოვლინებოდა ქვეყნიერებას. თუ თვალს გადავაავლებთ ლაკტანციუსის ამ შესანიშნევ თხზულებას, რომელიც დაბეჭდილია corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum-ის XIX ტომში, აღმოვაჩინებთ მრავალთა შორის ერთ საყურადღებო მოვლენასაც: ყბადაღებული "კავშირი" ანუ "რელიგიის ისტორიის" პრიმიტიული შესავლების პირველსავე გვერდზე ერთობ მორჭმულად გამოჭიმული "რელიგია" დედანში ორმაგად მეორეხარისხოვანი ცნებაა. პირველადი ცნებებია — Sapientia და Pietas. რელიგიო არის ღვთის განდიდება — "ქოლერა" (ლათ. colere), მაგრამ სანამ ღმერთს განდიდებას დავუპირებდეთ, ის უნდა ვიცნოთ. "Sapientia" თავისი პირველადობით მოიცავს ღვთის შემეცნებას და სიყვარულს; გარდა ამისა, ლაკტანციუსი არ ლაღატობს ლათინურ ტრადიციას და ცნებას religio ეკლავაც Pietas-ის გამგებლობაში სტოვებს. Pietas დედა სათნოებაა, რომელმაც ძუძუ უნდა აწოვოს Religio-ს, ამ ცელქ "ბიჭუნას". Pietas ზნეობრიობაა, ზნეიანობა; უზნეო-"უპიეტასონი" ავნია, ავი-ზნიანნი და უპატიოსნონი.

ლაკტანციუსი რელიგიური ცხოვრების ალლოიანი ანალიტიკოსი ჩანს. ლეთისშემეცნება — საპიენტია, ვითარცა ლეთისგანდიდების წინაპირობა და შეიძლება ითქვას წინასამუშაო, პიროვნული ფენომენია; იგი გულისხმობს გამომუშავება — ამოქმედებას გარკვეული შინა-რელიგიური უნარებისა: ჭერეტისა, ფიქრისა, ღწვისა, გამორჩევისა — გამორჩევით მქნელობისა, ე. ი. ნებისა და არჩევანისა და სხვათა, რომელთაც ერთობლივად და საბოლოოდ პიროვნებისათვის მოაქვს რელიგიური სიმნიფე.

სჭირდება რელიგიას პიროვნებები თუ რელიგია მუშაობს ადამიანთა საკრებულოს ხროვად და ჯოგად ანუ ბრბოდ გადაქცევის პრინციპით? Wilthehead (1861-1947) ამბობს: "რელიგია მარტომყოფობაა", რჩეულნი მცირედ არიან. "თუკი თანამედროვე რელიგია დაივინყებს ამ ჭეშმარიტებას და უკუაგდებს მცირედთა ინტუიციას, მაშინ ის თავს უკუიგდებს პრიმიტიული ბარბაროსობის ატავისტურ უფსკრულში, ჯოგური ფსიქოლოგიის დამნერგავად მოგვევლინება"(The Making of Religion) ასე მსჯელობს ვაითჰედი.

მაგრამ ვაი, რომ ვერც ვაითჰედი და ვერც მისი შორეული მამა ლაკტანციუსი ვერ წარმოიდგენდნენ თუ რა კარგად გრძნობს თავს "ბედნიერი ერი" პრიმიტიული ბარბაროსობის უყში. "ბედნიერი ერი" ან იწონებს, ან გულგრილად შესცქერის სხვათა ტაძრების მიტაცებას, ღმერთის სხვანაირად მადიდებელთა შეურაცხყოფას და ცემატყეპას, ანტისემიტურ ბოდვებს და სხვა უამრავ უზნეობათა, უსამართლობათა, და უმსგავსობათა, რომელთა საერთო სახელიცაა ორთოდოქსობა-ბარბაროსობა და რომელთაც რელიგიის სახელით სჩადიან თავაშეებული, ზნეობრივი კონტროლიდან გამოსული "სასულიერო პირები".

ნუთუ ყოველივე ამის შემყურეთ კიდეც უნდა ვიკითხოთ თუ რატომ უნდა ექვემდებარებოდეს რელიგია, ეს ყოველივეზე აღმატი-

ბულის ანუ ღმერთის სანაეარდო რამ ზნეობას, რომელიც თავის მხრივ სხვისი "მონაა", რომაული გაგებით სათნოებათა მეფეს, *Iustitia*-ს, სამართლიანობას ემორჩილება? "ჭეშმარიტი მონოზონნი" არავის ხელმწიფებას არ ცნობენ ამ ქვეყნად. რომაელები კი ამ ქვეყნად სანამ იყვნენ, უბრალოდ რელიგიას არ ენდობოდნენ; "რამდენი ბოროტება მოიტანა რელიგიამ, რელიგიამ უზნეო და კრიმინალური ქმედებები წარმოშვა" — ნუხდა ლუკრეციუსი. ამიტომაც რომაელებმა რელიგიას ზნეობრივი ლაგამი ამოსდეს. ერთი ხალხური ლოცვის არ იყოს: "პირში ლაგამი ამოსდეს, გააორონიეს მშიერი".

თანამედროვე რელიგია და მისი კერძო რეპრეზენტანტი, ე. ი. რელიგიური ინსტიტუტი თუ ორგანო, ამას მნიშვნელობა არა აქვს — მინა-წყლებს, სამუზეუმო ნივთებსა და სხვა მინიერ სიკეთეებს კი არ უნდა დაეძებდეს, არამედ იმ ერთადერთს, რაც მას გადაარჩენს და რაც მას ისევე სჭირდება, როგორც უდაბნოში სამი დღის მწყურვალს წყალი; ესაა ზნეობა, სინდისი. სინდისი მას სარკეში ჩაახედებს და დაანახებს ქურდს, რომელმაც ვაღეს, ახალციხის, ქუთაისისა და ბათუმის კათოლიკური ტაძრები მოიპარა, დაიპყრო და მიითვისა.

რაც შეეხება ლაკტანციუსის ეტიმოლოგიურ ნიაღვრას ანუ *religio*-ს *religare*-სთან დაკავშირებას და სრულიად უცოდველი ცნების ღმერთთან დაკარგული კავშირის აღმდგენლად დასახვას, ეს სრული სემანტიკური კატასტროფაა. რელიგიის პირველცნება რელეგერე-დან მოდის და იგი გამოხატავს კრძალვა-კრთომას ნუმინოზური ძალის წინაშე — ტა-ბუს, ე. ი. "მრავალგზის დანიშნულის" ანალოგიურად. რომაელთა პირველქმნილი რელიგიური ცნობიერება ამის იქით ვერც და არც წავიდოდა (მათ ხომ ეგვიპტის ტყვეობა და უდაბნოში ხეტიალი არ გამოუცდიათ). რომაელთა რელიგია და რომაული რელიგიურობა იყო ორთოპრაქსულად და არა

ორთოდოქსულად ორიენტირებული; ღმერთთან "კავშირი" მყარდებოდა თუ არა, ამას არავინ დაგიდევდათ. ეს ადამიანის შინაგანი განზომილებაა, Sapientia, რომელიც გარეგან კონტროლს ვერ დაექვემდებარება. რელიგია იყო რომში სახელმწიფო იურიდიული კონტროლის ობიექტი. რა არის რელიგია ჩვენთან?

ჩვენ, როგორც "ბედნიერი ერი" კარგად აგითირებული მრევლიცა ვართ! "რომაელთა რელიგია ხომ პოლითეისტური, მცდარი, "მცრადმადიდებლობა" იყო, ჩვენი კიდეც მართლმადიდებლობაა!" ესაც არ იყოს, ჩვენი (!) იმდენად გაგანვირდა, რომ მას იუსტიციის ანუ სამართალისა და სამართლიანობის არავითარი კორსექტი უკვე აღარ ერგება!

### 3-4. VI 2003 თუბინგენი

**ანდრიას თაჰის ქალა, ანუ ტვინთან ბაბაასება.**

აღბათ ერთხელ მაინც უნდა სცადო კაცმა ბედი იმ უდიდეს ვაჟკაცობაში, რომელსაც ეწოდება: იყო ის რაც ხარ; თქვა ის, რისი თქმაც გინდა; არ შეგეშინდეს იმის ფიქრი, რაც გეფიქრებინება; არ ეცადო იყო იმაზე მეტად ჭკვიანი, ვიდრე შეგიძლია...

თავდაცვის, სიცოცხლე-მუცლის გადარჩენის ინსტიქტი, რაც მედროვეობის, შემგუებლობის, ნელთბილობისა და ოპორტუნიზმის სულს ასულდგმულებს, აღბათ ტვინის უჯრედების თანდაყოლილი ფუნქციაა, მათი წყეული დასაქმებულობა და ასე ვთქვათ, დარვინულობა — გადარჩევა-გადარჩენის სამსარა. ეს დარვინულობა ტვინის უჯრედების ტუალეტია, ამ ტუალეტის მისიაა მახინჯი, მრუდი პოლიტიკური თუ რელიგიური იდეები დეჰკრატიისა თუ რელიგიური შეუმცდარობის (მართლმადიდებლობის) სამოსელში გამოაწყოს და საზოგადოებას ასე წარუდგინოს. ეს ერთგვარი ხელოვნებაც კია, ხელოვნება მოჩვენებითობისა, დოკეტიზმისა, ხელოვნება ფარისევლობისა...

მაგრამ არჩსებობენ ხალასი იდეებიც, უნდოდ და დაბებკილად შემოსილნი, ობოლ კვირიასავით ჩამოგლეჯილ-ჩამონენილნი, ნელ-ზე ნელით შერტყმული ხმლით. ეს ხმალი სულია, რომელიც ენის, სიტყვის ქარქაშშია ჩაგებული. კვირიას სიტყვა-გზირობა მზის შუქთან ერთად ჩაგებული ხმალია.

მოიცავს ტვინი სულსა და გონებას მთლიანად? რა შეიძლება იყოს სული ემპირიკოსი ბიოლოგისათვის: იმ ქიმიურ რეაქციათა ერთობლიობა, რომელნიც აღმოცენდებიან ორგანიზმში ფიქრის, შემეცნების, განცდის თუ აღქმის ნიადაგზე! სადაა სული ანუ *Дух*, *Geist*; ვუნოდოთ მას გონი? თან სდევს იგი ადამიანს, ადამიანშია, თუ პირიქით, სული ანუ გონი გარედან მოიცავს სხეულს, როგორც პლოტინი ფიქრობდა იქნებ სულაც ტვინის უჯრედებშია დავანებული. ტვინი პირველი კვდება სიკვდილისას, რადგანაც უპაეროდ ვერ სძლებს; სხვა ორგანოები ჯერაც ცოცხლობენ, ამიტომაცაა შესაძლებელი ორგანოთა მედიცინური გადანერგვები: გულის გადანერგვა! გულით ავადმყოფი ნლობით ელოდება ვილაც კატასტროფაში მოყოლილის, ვილაც მამაცის გულს, მეტწილად ვნებიანი მოტოციკლეტისტისას... ასე, რომ ყველაფრის გადანერგვაა შესაძლებელი, გარდა ტვინისა. ტვინი ტვინის პატრონის მარადიულ მფლობელობაში რჩება, ან და მარადის. ადამიანის ორგანიზმის ეს უცნაური ნაწილი, რომელიც წონით მისი მეორმოცედიც არაა, მიღებული საკვების ერთ მეოთხედს ნთქავს, განსაკუთრებით ტკბილეულობა ესაჭიროება მას... შეგვეძლო კიდევ განგვერცო ტვინის დახასიათება, სადმე ლექსიკონში მოგვეძია — რა არის ტვინი და შემთხვევით ცნობებს, გაკვრით "ტვინოლოგიას" არ დავეჯრდებოდით, მაგრამ რა საჭიროა: ტვინის კვლევას არ ვაპირებთ. ტვინი თავის ძალაშია, ჩვეულ პროცესებში "ზის", ტვინურ რეაქციებს მხოლოდ ნამის ერთი მემილიონედი სჭირდება,

ტვინი მარად მდინარებაშია, და, რაც მთავარია, — რისი თქმაც თავიდანვე გვინდოდა, მაგრამ სათქმელი სადღაც გაგვექცა, — ტვინი თავის ქალაშია, თავისთვის, მყარად. და, როგორც ჩანს ტვინი თავის ქალაზე, გამხრნნელად არ ზემოქმედებს. ერთი თუ ორი მილიონი წლის წინანდელი თავის ქალებიც კი შემონახულია. ტვინი მინად იქცევა, ნელა-ნელა ჭია-ლუანი შეახრამუნებენ, გამოსწოვენ ადამიანის ამ უდიდეს ორგანოს, ლამის ლმერთთან გატოლებულს და რჩება ცარიელი თავის ქალა.

თავის ქალა მაგალითად წმ. მოციქულ ანდრიასი, რომელიც შარშან ზაფხულში საქართველოსაც ესტუმრა დიდი ზარ-ზეიმით, ჩვენი რწმენა-წარმოდგენების ამზვირთებელი უნარი. რადგანაც დროში ვიყავი ჩასმული, ახლოსაც ვერ მივეკარე, რათა ვმთხვეოდი. მაშინ ჩემმა ტვინმა, რომელიც ჯერაც თავის ქალაშია, მირჩია:

“მთხვევა ანუ შეხება ერთ-ერთი შეგრძნებაა, დაკმაყოფილდი შეხედვით, რომელიც ასევე შეგრძნებაა” — დავიჯერე, უცებ დავეყრდენი მხრებზე ორ მგალობელს, შევხტი, შევხედე და თან თვალები გადავაელმე სასოებისგან. ეს ხდება სვეტიცხოველში, სანთლითა და რელიგიური განცდით გავარვარებულ, მდულარე ტაძარში; რომ არ დავდაგულიყავ, სასწრაფოდ გავაღწიე გარეთ, ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და შევუყევი საარაგოს — სიგრილისა და თავისუფალი აზროვნების სამეფოს.

ეტყობა მხოლოდ შეხედვით მიღებული მადლი საკმარისი არ აღმოჩნდა ან ჩემი ტვინის “ტუალეტმა” არ იფუნქციონერა, რადგანაც მოგვიანებით უამური ფიქრებიც ამეტორღილა, მაგალითად:

“იყო კი ის მართლაც ანდრიას თავის ქალა?”

კაცმა რომ თქვას, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია ეთაყვანები შენი რწმენის კომპონენტს და ანდრია ამ საქციელს ისე შეინირავეს, თითქოსდა მართლაც მის თავის ქალას მთხვეოდე.

მსგავსადვე, რა მნიშვნელობა აქვს, ანდრიამ მართლა იმოგზაურა თუ არა იბერიაში, ლეგენდა ხომ არსებობს! მთავარია ის, რომ ასეთი ლამაზი ლეგენდა არსებობს და ერის ცნობიერებას საუკუნეთა მანძილზე ჰკვებავს, ხოლო ლეგენდა რასაც მოგვითხრობს, ისტორიულად ნამდვილია თუ არა, ეს უკვე უმნიშვნელოა და მეორეხარისხოვანი..

ეს უკანასკნელი სჯანი ჩემი ტვინის შელამაზებული აზრებია ("ტუალეტი" ამოქმედდა!), მანამდე კი აი რა იფიქრა მან:

"ხომ არ გავგაბრიყვა იმ ბერძენმმა პატრიარქმა? მას რომ ის თავის ქალა თუნდაც ვატიკანში ჩაეტანა, ჯერ ლაბორატორიაში გააქანებდნენ, მის ხნოვანებასა და წარმომავლობას დაადგენდნენ, ჩვენ კი ასე ბრმად, ცხვრებივით მივესიეთ დედანუღლიანად"...

ტვინი აგრძელებს:

"რა არის რწმენა? რწმენა მარად ცოცხალი ტვინია. ის მარადიულობაა, მარადიულობა კი მხოლოდ მაშინაა ცოცხალი, როდესაც იგი შესაბამის დროში, ანუ თავის ქალაშია ჩასმული. თანამედროვე რწმენის, ანუ თანამედროვე მარადიულობის "თავის ქალა" თანამედროვეობაა, რწმენის ობიექტის მეცნიერული ექსპერიმენტისათვის გამომეტება. ნიშნავს ეს იმას, რომ არ გნამს, ან ნაკლებად გნამს და შენ შენი რწმენის ობიექტს მეცნიერული ცდის ქვეშ ათავსებ? იქნებ პირიქითაა, იმდენად გნამს, რომ მეცნიერული ექსპერიმენტისარა გეშინია"...

"სწორედაც რომ პირიქითაა" — აგრძელებს ჩემი ტვინი. — "თუნდაც ის ძვლოვანი რელიქვია ანდრიას თავის ქალა არ გამომდგარიყო, განა ამის გამო ჩვენს რწმენას, თუ კი ის რწმენაა, რამე დააკლდებოდა? ჩვენი რწმენა სავალალოდ ძველებურ-თავისქალიანია, დაბზარული დროის თავის ქალით, ამიტომაც ჩვენი რწმენა გარეთ ჟონავს, ე. ი. ცრურწმენაში გადადის".



— რას ამბობ ტვინო, აღარ გრცხვენია?

ტვინი თავს იმართლებს:

“არ ვაპირებდი ასე შორს გამეტია, შემთხვევით საბერძნეთის პატრიარქის სატელევიზიო გამოსვლისთვის რომ არ მომესმინა. საბერძნეთის პატრიარქი, პატრიარქი კია, მაგრამ საკმაოდ გონიერი კაცი ჩანს (ნამდაუნუმ “გამრყენელ დასავლეთს” არ ლანძღავს რუსეთის პატრიარქივით): მან დაბეჯითებით მოგვინოდა, მართლმადიდებლობის განსახელმწიფოებრივობის უგუნურ მცდელობაზე ხელი აიღეთო. პირდაპირ არ უთქვამს, — უგუნურიო, — მაგრამ იგულისხმებოდა. მან იცის რა დამლუპველიცაა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთშედნობა; დამლუპველი ორივესათვის — როგორც ეკლესიის, ასევე სახელმწიფოსათვის”. ამ მიმართულებით ჩემი ტვინი აღარ აგრძელებს ფიქრს, ესო, ამბობს, საუბრის სხვა თემააო.

“ჭკვიანი უნდა იყოს, მეტი რა გზა აქვს საბერძნეთის პატრიარქს, მისი სამშობლო ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. ეკლესია ახალ სტილზეა, კალენდარულადაც და შეგნებითაც, ბერძენი თეოლოგები დისერტაციებს გერმანიაში, პროტესტანტული თეოლოგიის ფაკულტეტებზე იცავენ თუ “აკეთებენ”; ხოლო რუსეთ-საქართველოს ეკლესია ჯერაც ბიზანტიური ღვთისმოსაობის დრომოჭმულ კაბალაშია; საქართველოსა რუსეთისაზეა მიჭიპული დროითაც, გეოგრაფიითაც, შეგნებითაც; ორივე ერთად — ბიზანტიაზე. ბიზანტიური დრო კი მარადისობის დაბზარული თავის ქალაა”.

“ჰოდა, ასეთმა ჭკვიანმა კაცმა” — აგრძელებს ჩემი ტვინი საბერძნეთის პატრიარქის განკითხვას (ჰოი საშინელებავე, ჯერ “ისე” კაცის განკითხვა რამხელა ცოდვაა, პატრიარქისა რალა იქნება!).

“ჰოდა, ასეთმა ჭკვიანმა კაცმა იცის, ვინ გააბრიყვოს, სად ჩაიტანოს “ანდრიას თავის ქალა” — დაასრულა თავის ფიქრთა ერთი

ნყება ჩემმა ტვინმა. მას რომ ჰკითხოთ, თანამედროვედ აზროვნებს, ფარგლებში სალი განსჯის, common sense-სი; ახლა ტვინი იწყებს ხიდის გადებას, გადანაცვლებას თავის ქალიდან (ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, სულერთია) ორნაირი რელიგიურობისაკენ. აღმოსავლური და დასავლური რელიგიურობის თემას უპირებს შეჭიდებას. პირობითად შეგვიძლია ვუნოდოთ დასავლურს ელენურ — ევროპული და აღმოსავლურს სპარსულ — იუდაური. ჩემი ტვინი ახლა გაიხსენებს რამდენიმე ციტატას, რომელიც მის ჯურღმულებს როგორღაც შემორჩა ხსოვნად, ერთმანეთს შეუდარებს ამ ორი ჯურის რელიგიურობას, ორ რელიგიურ მენტალიტეტს და საქართველოს, სამნუხაროდ, სპარსულ — იუდაურს მიაკუთვნებს. რატომ. აბა ყური დაუგდეთ:

"საბერძნეთის პატრიარქის არ იყოს, ის გერმანელიც, Frey, ჭკვიანი ჩანს, თეოლოგებისათვის ფილოსოფიის სახელმძღვანელო რომ დანერა, ძირითადი თემების სათაურები მინდორზე მსხვილად გამოუტანია, თეოლოგებს დიდი ასოთი დაანახა, მათი ფეტიშური შეთვისების უნარს შეუსადაგა (ეს ფიქრის მხოლოდ შესავალია). Frey თავისი სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში სხვათა შორის აღნიშნავს: "აღმოსავლური სპარსეთის გამარჯვება ტოლფასი იქნებოდა რელიგიასა და პოლიტიკას შორის რაღაც მითიური გადაჯაჭვულობის გამარჯვებისა", რაც ევროპულ მომავალს სამუდამოდ დაასამარებდა. საუბარია ძველი ბერძნების თავგანწირულ ომებზე აღმოსავლური შემოტევების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ელენთა მაშინდელმა გამარჯვებებმა მომავლის სეკულარულ ევროპას პოლიტიკური და კულტურული დასაბამი უბოძეს; რომ არა მაშინდელი გამარჯვებები-ერთი სიტყვით, ეს "მითიური გადაჯაჭვულობა რელიგიასა და პოლიტიკას შორის", რელიგიისა და პოლიტიკის აღმოსავლური აღუფხულობა, ანუ "ღვთიური" ტირანია

ბერძნებს ყოველთვის აოცებდა, სძაგდა, თავზარს სცემდა...არაა გამონაკლისი არც საბერძნეთის დღევანდელი პატრიარქი, რომელმაც ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში რელიგია — პოლიტიკის მიქსტურა დაინახა და მასში ძველი ბერძნული სისხლი და გონიერება აყივლდა”...

ზოგიერთ ფიქრს გამოვტოვებთ, იყოს ტვინში, "დედად" დარჩეს.

"ჰეროდოტეს გაცეხებას საზღვარი არა აქვს იმის გამო, რომ სპარსელები ყოველი მსხვერპლშენიღვისას მოგვს მოუხმობდნენ; ანტიკურ საბერძნეთში ყველას შეეძლო რელიგიური რიტუალის აღსრულება, თვით დიასახლისებსა და მონებსაც კი; ბერძნულ რელიგიას შეიძლება ეუნოდოთ რელიგია სამღვდელოების გარეშე; საგანგებო სამღვდელო ფენა თუ კასტა, მისთვის დამახასიათებელი იერარქიით, ხელდასხმით, ტრადიციით აქ არაა; ნებისმიერს შეუძლია ისე ემსახუროს ღმერთს, როგორც თვითონ უნდა, როლების გადანაწილება უცხოებს, მოქალაქეებს, მონებს, თავისუფლებს, ბავშვებს, დიდებს, კაცებსა თუ ქალებს შორის თავისუფალია"

(ტვინის ეს უკანასკნელი ფიქრი — აბზაცი შეად. : Walter Burkert, Die Religionen der Menschheit, გვ. 157)

"სპარსეთს რომ სულაც თავი გავანებოთ, ახალსაც, ძველსაც, მაზდეანურსაც, მაჰმადიანურსაც და შევიჭრათ სახარების ლანშაფტში, აღმოვაჩინოთ მღვდელმთავართა, მნიგნობართა, მოხუცებულთა მთელ დასტას, სასულიერო კასტას, რომლის ხელშიცაა პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება, რომის ხელისუფალიც კი იძულებულია იუდეური სამღვდელოების კაპრიზებს ანგარიში გაუწიოს; რაშია "ჭეშმარიტი ღმერთის" ამ აგრესიულ მსახურთა ძლიერება? ეს ძლიერება ეყრდნობა აღმოსავლურ, ხარბ რელიგიურობას, გაუაზრებელ რწმენას, რელიქვიაზე დედანულიან, ბრმა მიწყვეტას.

სახარებაშია ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც ნათელყოფს რომ მორწმუნე მრევლი, რომელსაც შეგვიძლია სინდისის ქენჯნის გარეშე ბრბო ვუნოდოთ, უფრო ფუნდამენტალისტურადაც კია განწყობილი, ვიდრე, თვითონ ზემოხსენებული სამღვდლოება; იესო ჰკითხავს მღვდელმთავართ, მნიგნჯობართ და მოხუცებულთ, იოანეს ნათლისცემა ზეცით იყო თუ კაცთაგან. ისინი პასუხს არ იძლევიან, რადგან ეშინიათ ბრბოსი: "უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვაჲ დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოანე წინასწარმეტყველად" (ლუკა, 19, 5); წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: მორწმუნენი მათაც კი აღარ ინდობენ, ვინაც ისინი მორწმუნეთა ბრმა ბრბოდ აქცია; შესაძლებელია შეცდნენ მღვდლები და ვერ შეაფასეს იოანე, განა ამისთვის ისინი უნდა ჩაიქოლნენ? ბრბოული რელიგიურობაა ის, რაც ასაზრდოებს რელიგიოპოლიტიკის მითიურ გადაჯაჭვულობას. დემოკრატიული რეფორმირება და ოდნავ მაინც გათანამედროვეობა თავიანთი ქვეყნებისა ვერც ავლანეთის მეფემ შესძლო და ვერც ირანის შაჰმა, რადგანაც მათ თავ-თავიანთი ხალხების რელიგიურ მენტალიტეტს ვერაფერი მოუხერხეს: თუ ევროპულად გამოწყობილ გოგონას დაინახავდნენ ირანელი ქალები, გარშემო შემოერტყმოდნენ მას და აფურთხებდნენ. უფრო საშინელი ფაქტების გახსენებაც შეიძლება; "ღვთისმგმობელთა" ჩაქოლვა-ჩამოხრჩობები ირანში დღესაც ჩვეულებრივი ამბავია"...

ეს ჩემი ტვინი ცოტა შეყოვნდა, ჭმუჭვნა — ჭმუნვას მიეცა:

"ნუთუ რელიგიურ ბრბოდ იქცა ტოლერანტობითა და ზომიერი რელიგიურობით მოქადული ქართველობა, ნუთუ კლერიკალური კასტის ბრმა იარაღად გარდაიცვალა, ისეთ მორწმუნე "ერად" გადაგვარდა, მცირე რამ საბაბი რომ იპოვოს, თავის ამღზრდელ სამღვდლოებასაც კი აღარ დაინდობს! ნიშნები და სასწაულები გვეუბ-

ნებიან: ალბათ. დღეს თავის ქალის ბრმად თაყვანისმცემელი ხვალ რას მოიმოქმედებენ, უცნობია. განა იგივე მორწმუნენი, ასე ვთქვათ, "მოთავისქალები" არ არიან, საღად მოაზროვნე მღვდელს, ბასილ კობახიძეს რომ გამუდმებით ლანძღავენ, ემუქრებიან, ატერორებენ? ჩაქოლვა არაა უსათუოდ ქვათა დაკრეფა... მართლმადიდებელი და ქართველი იგივეაო, ამბობენ მოთავისქალები. ფანატიზმი და ერის სიკვდილიც, უმომავლობა, ერთი და იგივეა. "ადამიანი რაცაა, — ამას ეტყვის მას მხოლოდ ისტორია" W. Diltthey ამ ცნობილი აფორიზმით ისურვა ტვინმა თავისი მონოლოგური დიალოგის დასრულება.

მართლაც, ისტორია გვეტყვის ყველაფერს, თუ კი მას შემოვრჩებით და თანაც ისეთი გონიერიც აღმოჩნდება ვინმე ჩვენს შორის, ვისაც ნამდვილი ისტორიის დანერის თავი ექნება.

\*\*\*

არ ვიცი, ვინ როგორ მოინონებს ზემორე სჯას, ანუ "გაბაასებას ტვინთან"; მაგრამ ვერც ტვინს და ვერც იმის პატრონს ვერავინ ნაგვართმევს უფლებას, კიდევ ერთხელ, ნათლად და საჯაროდ ვკითხოთ დედა — სამშობლოს: საით გაგინევია, ჩვენო ტკბილო ქვეყანავ?!

17. 06. 2003, თუბინგენი.

## დაკარგული ცნება

შვეიცარიაში გამოდის ჟურნალი "რწმენა მე-2 სამყაროში" (Glaube in der 2. Welt). მასში იბეჭდება სტატიები ე. წ. აღმოსავლურ-ქრისტიანული ეკლესიების: რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის და სხვათა შესახებ. ჟურნალის გეოგრაფიული ხედვის არეალი მოიცავს აღმოსავლეთ ევროპისა და ექსსაბჭოურ ტერიტორიას. Theologicum-ბიბლიოთეკაში იოლად იპოვით ჟურნალის ბოლო ნომრებს საგანგებოდ გამოყოფილ თაროზე; ყოველ მსურველს შეუძლია გადახედოს

მათ ან უფრო ღრმად ჩაიხედოს უურნალის მასალაში.

ამჯერად "ჩახედვა" გადავწყვიტეთ. რასაკვირველია, ზემოხსენებულ გეოგრაფიაში ჩვენი ქვეყანაც შედის. შედის მხოლოდ ფორმალურად, რადგანაც რაიმე სერიოზულ მსჯელობას საქართველოში რელიგიის მდგომარეობის, რელიგიური პრობლემების თაობაზე იქ ვერ წაიკითხავთ. ასეთი პატივაცარილი დასახელებულ უურნალში არცერთი ქვეყანა არაა. მიზეზი? რელიგიური შემოღობვისა და ფუნდამენტალიზმის ქაობში ჩამხვრჩალ ამ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას ცივილიზებულ ქრისტიანულ სამყაროს აღარ მიაკუთვნებენ. საქართველოს შესახებ იბეჭდება მხოლოდ მშრალი ინფორმაცია: მართლმადიდებლებმა დაარბიეს ესა თუ ის არამართლმადიდებელი ეკლესია თუ გაერთიანება. — უკვე მერამდენედ! და ამას არავითარი რეაგირება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არ მოჰყოლია; არავინ დაუპატიმრებიათ, ეჭვი არავიზე მიუტანიათ, არავინ დასჯილა. ერთი სიტყვით, დანაშაულს არავინ დაეძებს. უურნალის ბოლო ინფორმაციის თანახმად, მართლმადიდებელ-ცულიანი აგრესია ახლახანს ქუთაისელი კათოლიკეების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული; და, როგორც ყოველთვის, დამნაშავე არავინაა.

რატომ არ ისჯება ჩვენთან დანაშაული? პასუხი უბრალოა: "დანაშაული არ არსებობს". იმის საილუსტრაციოდ, თუ რანაირად შეიძლება დანაშაული არ არსებობდეს, როდესაც დანაშაული ფაქტობრივად ხდება, მოვიხმობ ერთ შორეულ შედარებას. ვმონაწილეობდი ერთ საუნივერსიტეტო სემინარში, რომელიც აგრესიისა და ძალადობის საკითხებს ეძღვნებოდა. აგრესია ყოველთვის ძალადობაში არ გადადის, მაგრამ თუ აგრესორი ვერ ხედავს ძალას, რომელიც მას შეაკავებს, მაშინ ის უსათუოდ მოძალადედ იქცევა. პროფესორი მოგვითხრობდა ერთ-ერთ აფრიკულ ეთნოსში წარმოე-

ბული კვლევების შედეგებს. იგი თავის მეცნიერულ გუნდთან ერთად ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის გაუპატიურებასაც იკვლევდა. ევროპელი მეცნიერები აფრიკის იმ რეგიონში წააწყდნენ არასრულწლოვანთა გაუპატიურების შემზარავ ფაქტებს, რის გამოც მათ იქ არაერთი აღშფოთება გამოთქვეს. ამ აღშფოთებებს, მათდა გასაოცრად, არავითარი რეაგირება, არც საზოგადოების, არც სამართალდამცავების მხრიდან არ მოჰყოლია. პროფესორმა დაასკვნა, რომ ის აფრიკული ეთნოსი გაუპატიურების ცნებას არ იცნობს, ანუ, ზუსტად რომ გადმოცეთ პროფესორის სიტყვები, "გაუპატიურება გაუპატიურებად არ ითვლება". დაიკარგა იმ ხალხმა "გაუპატიურება" თუ საერთოდ არ ჰქონიათ, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, — და ამას უკვე ჩვენ ვვარაუდობთ, — გაუპატიურება იქაურებში კაცურ მოვალეობადაც კი ითვლებოდა, როგორც ჩვენთან მართლმადიდებელთა საპატიო მოვალეობაა სხვათა მიმართ აგრესიის გამოჩენა.

ასეა თუ ისეა, საქართველოში აბსოლუტურად აფრიკულის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე. ჩვენთან დანაშაულის ცნება დაიკარგა. წარმოვიდგინოთ, ერთ-ერთმა ევროპულმა ჟურნალმა თუ გაზეთმა მოიპოვა ინფორმაცია, რომ საქართველოში ყოველდღე სამართალდამცავები, — დანყებულ ბაზრის პოლიცია-ავტონისპექციით, დამთავრებული მალაჩინოსნებით, — იღებენ ერთ მილიონ ქრთამს, და ევროპელების გასაოცრად, ჯერ არავინ დასჯილა. რელიგიური ტერორი, ე. ი. კრიმინალური რელიგიურობა, ისევე როგორც კორუფცია და გაუპატიურება, დანაშაულია. კორუფცია კრიმინალურ რელიგიურობასთან ღრმა შინაგან კავშირშია. არც ერთი ისჯება და არც მეორე. "დანაშაული" დაიკარგა.

"დანაშაული" რომც ვიპოვოთ, მრავალ პრაქტიკულ პრობლემას წამოვიკიდებთ. რომელი ერთი უნდა დაიჭირო? ყველა დამნაშავეა,

დანყებული რელიგიური ფანატიკოსებით, დამთავრებული მექრ-  
თამე მინისტრებით. ალბათ ისინიც, ვინც არაფერს აშავენს, მაგრამ  
დანაშაულს უყურებს და ეგუება.

ამიტომ ძალზედ ბუნებრივი და ნორმალური იქნება, თუ საქართ-  
ველოს სახელს გადავარქმევთ და ვუნოდებთ მას ციხეს. ციხის რე-  
სპუბლიკა! განა სიმართლეს არ ვამბობთ? ხოლო თუ მართლები  
მამაც შემორჩენილან ჩვენში, ისინი მივაბრძანოთ ციხეში და ციხეს  
დავარქვათ საქართველო. ჩვენც ხელს დავიბანთ დანაშაულობების-  
აგან და საზღვარგარეთაც მიხედებიან, რომ "დანაშაულიც" დავ-  
კარგეთ, ნამუსიც, საქართველოც და სამუდამოდ თავს დაგვანებე-  
ბენ.


ყენევა. 27. 06. 2003



# სარჩევნი

ესსეები, ესკიზები.....	5
როგორ გამრავლდნენ რელიგიები და როგორ გაქრა რელიგია 6 დევების ქორნილი.....	9
ს ა მ ე უ ლ ი .....	12
არცერთი რელიგია — რელიგიისავე მიზეზით? .....	14
"კერივი" .....	21
ღმერთი, ფროიდი და შემოქმედება .....	23
"ღმერთის ნება გამოუცნობია" .....	26
ს ი მ ლ ე რ ა.....	27
ისინი "მიმდინარეობს" .....	28
მიხვდება რამეს? .....	29
თეოდოცეა, იაკობ ბოემე და რომანო გუარდინი — ერთი სიტყვით.....	33
სული და ბუნებისმეტყველება ანუ "ლჰალჰ" .....	38
ს ი ე რ თ ე .....	45
საორო რა არი? .....	46
ორნაირი ქრისტიანობა .....	48
საო ანუ ყველაფერი, "მყარს" გარდა .....	52
მაგია, რელიგია და მეცნიერება მოკლედ:.....	54
თანაგრძნობა ანუ ესსეი ძილში .....	60
შ ე ჩ ე ე ნ ე ბ ა .....	61
ჩრდილის დევნა ანუ თვითდადგენა.....	62
უკან, მსახურებისაკენ.....	63
"სექტა", "სეკარე" და საქართველოს ეკლესია .....	66
პლოტინის უკანასკნელი ხილვა .....	94
მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი.....	115
მოგონება.....	116

ამ სვედიანი მოთხრობის პატარა, მხიარული შვილიკო ანუ "შენი პატრონის დედაცა".....	120
მანანას სიყვარული .....	122
ხეტეს აღდგომა .....	127
ინდოელი გოგონა და "ფიცრის ძია" .....	131
ხოლო იესომ მიჰხედა და შეუყვარდა იგი ანუ მექადან მედინასაკენ.....	135
სუფი .....	139
ეშმაკი და ბოძაშვილი .....	140
ღმერთი .....	145
ნ ე რ ი ლ ე ბ ი .....	147
პროტესტანტული ეთიკა ანუ რატომ არ არიან პანკები საქართველოში .....	148
სატანა და სახელმწიფო კონტროლი .....	155
ჯერ IUSTITIA, მერე PIETAS და SAPIENTIA, ბოლოს კი RELIGIO ?.....	162
ანდრიას თავის ქალა, ანუ ტვინთან გაბაასება.....	165
დაკარგული ცნება .....	173



## ზელიმხან შკილაური

პირველი განათლებით  
ფილოლოგი, დაამთავრა  
თბილისის სასულიერო აკადემია.

ამჟამად მოღვაწეობს  
გერმანიაში, თუბინგენის  
უნივერსიტეტის  
დოქტორანტურაში. მისი მთავარი  
ინტერესი რელიგიის  
ფენომენოლოგიაა.

წიგნში “ხეტეს აღდგომა”  
რელიგიის ფენომენოლოგიის  
საკითხები დამუშავებულია სამი  
ლიტერატურული ჟანრის  
მეშვეობით: ესეებში,  
მოთხრობებსა და პუბლიცისტურ  
სტატიებში.